

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

3 მარტი 2006 №5



ალექსანდრე ჭავჭავაძის ამერიკელი შვილთაშვილი  
ჯორჯ ბუში – რომანტიკოსი თუ იაკობინელი  
თანამედროვე ფრანგ მწერალთა ახირებანი  
უილიამ ფოლკნერის ნოველა  
იაპონური დეტექტივი  
ოთარ ჩხეიძის ესეი  
რეზო ესაძის ახალი ლექსები  
დიალოგი ბაჩანა ბრეგვაძესთან  
ვახუშტი კოტეტიშვილის პასტერნაკი  
„გიულიპ-ჰ!“ სამეფო უბნის თეატრში

## შინაარსი

<b>რედაქტორის გვირგვინი</b>	2	<b>ახლა იწყება ნიჭის გვირგვინი</b>
<b>ჩვენი ყოფა, წუთისოვანი</b>	3	<b>პეგი ნუნანი ჯორჯ ბუში – რომანტიკოსი</b>
	5	<b>კლავს გ. რინი მთავარი იაკობინელი</b> (ფრანგული რევოლუციის ექსპორტი მთელს მსოფლიოში)
<b>ექსპრეს-ინტერვიუ</b>	7	<b>ქველ ფუქიჯი</b> (საუბარი ჯემალ მონიავასთან)
<b>პროზა</b>	9	<b>ზურაბ ლავრელაშვილი ნოველა და ორი მიწიატურა</b>
<b>პიკველი შთაბეჭდილება</b>	13	<b>გიორგი გამსახურდია ურნოვოების წყვილი</b>
<b>პოეზია</b>	14	<b>რეზო ესაძე ახალი ლექსები</b>
<b>უსმოთის სმოვრები</b>	16	<b>მნარაღის უცნაურობანი</b> (მოამზადა ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძემ)
<b>რისი და პედინება</b>	19	<b>ტყვიან ვაშინგტონშიც დაგეგვა</b> (მოამზადა თემურ ღვინგერიამ)
<b>ფილმი</b>	23	<b>ალატონი, რუსთველი, მზიანი ღამე</b> (რევაზ სირაძეს ესაუბრა ბაჩანა ბრეგვაძემ)
<b>ფეხები</b>	33	<b>იუკიო მისიმა ნინქას ხელოვნება</b>
<b>გამომხატვა</b>	34	<b>საბა სულხანიშვილი ელინიზმი გვიმორდება</b> <b>გარემობაშვილი დრამატიზმით</b>
<b>ქრიტიკა</b>	35	<b>მზია ძაძამია ორი სამზარი</b>
<b>დავნიშარი სახელები</b>	38	<b>ოთარ ჩხეიძე ქართული სტილის ძიებაში</b>
<b>რეპორტაჟი</b>	43	<b>ამერიკელი მნარალი – შვილთაშვილი ქართული პოეტიკისა</b> (თამაზ ნატროშვილის საჯარო ლექცია)
<b>პოეზიის მერიანიება</b>	47	<b>ბორის პასტერნაკი ლექსები</b> (თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა)
<b>ქუდაბე</b>	50	<b>ეგანი სნორედ ეგეთები არიან</b>
<b>თეატრალური სიხლანი</b>	51	<b>ლელა ოჩიაური ერთგულებაც შვილბეა გორობაც იძვეს</b>
<b>უსმოური ნოველა</b>	55	<b>უილიამ ფოლკნერი არასოდეს დაიღუპება</b>
<b>ნაქვენი</b>	61	<b>მასვილსიტყვაობის ნიშნები</b>
<b>მოზიკა</b>	63	<b>ორი დოქტრინატი კინოცოდნის კომენტარით</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 94-39-63

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 95-23-24

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: კაპიტოლიუმის შენობა ვაშინგტონში

უილიამ ფოლკნერი



# ახლა ინყება ნიჭის გვირაბი

მთები ჟირაფივით აჭრელდება.

მატარებელი ბინდებდა მიჭქრის.

საცაა ნიჭის გვირაბი უნდა დაიწყოს.

და სტროფის კუთხეში (ბოლო სტრიქონი კუთხედ ითქვას, რა დაშავდება) გალაკტიონის ღვთაებრივი ირონია უნდა გაკრთეს:

## თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

იოლი მისახვედრია, თუ ვის შეიძლება მიმართავდეს ნიჭის გრძელი, ბნელი გვირაბის კართან მიმდგარი ლირიკული გმირი, და თუმცა მოულოდნელი ჩანს სულ სხვა ტონალობაში შემოჭრილი ეს კვიმატი ფრაზა, არც ისაა ძნელად მისაგნები, რომ ის ტონალობა კონტრასტული ხერხია სწორედ ამ ღიმილით გამთბარი სტრიქონისათვის. ისაა ბირთვი ამ პანია ლექსისა, ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ სტრიქონად რომ დარჩენილა.

არა, განსაკუთრებული კი არაფერია, მაგრამ მაინც... მაინც...

მურმან ლებანიძისათვის ეს მატარებელი რკინის ვეშაპია, ნიჭის გვირაბი რომ უნდა გამოხრას, და თუმცა ყოფითია სურათი – ლიხის მთაზე ჩამოკიდებული ქოხი – მაგრამ ამ ყოფითობაში რაღაც მისტიკურიც უნდა შემოიჭრას, ეს ქოხი სიზმრისას რომ ჩამოგვავს; მერე კი სულაც ღვთისმშობელიც გამოგვეცხადოს ყრმით („უცბად – ღრუბლებში თითია, ყმანვილ ქალს ჩვილი გამოჰყავს...“). და თუმცა შედეგ კვლავ ყოფითი სცენა გრძელდება (ქოხთან პანია ყანა, ლბილზე ჩამოკრული ნაღდი, სახლაკის მამა – ყანა რომ უნდა გამოხნას), ირეალური სურათი ნარეულვლად იბეჭდება ხსოვნაში და აღარც ის გეჩვენება შემთხვევითობად, ღრუბლებში ყმანვილი ქალის გამოჩენა ჩვილით ხელში მაინცდამაინც ნიჭის გვირაბის სიახლოვეს რომ ხდება.

ლიხის ქედი და რიკოთის უღელტეხილი რომ ყოფდა აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ საქართველოსგან, ნიჭის გვირაბი ერთბაშად მოშლიდა ამ პირობითობას და ახლებურ სიმბოლოდ გამოჩნდებოდა... და კიდევ იმ მეტაფორადაც, სულს რომ ჩაკირავდა მოულოდნელად, რადგანაც ქუთაისურ სიზმრებში გახიზნულ ვახტანგ ჯავახაძეს, ასე მძაფრად რომ დაუძახებენ მისი ნარიონალი და ნაქალაქარი, ერთადერთი ის ოცნებაა დარჩენია:

## უნდა დავბრუნდე, მუხლებზე უნდა შევიბა გირები და უნდა ამოვაშენო ნიჭის ორივე გვირაბი.

ჯავახაძისებური იუმორი აქაც მოხდენილად ჩამალულა, მაგრამ მთავარი მაინც ის გაუსაძლისი ტკივილია, სიზმრების ხიზანს აუცილებლად რომ აედევნება და თავის დაღწევას ვერაფრისდიდებით ვეღარ ახერხებს, თუ არა ასეთ ოცნებებში შეეყუწვა.

მიდი, აბა, და ამოაშენე ორივე გვირაბი – სამატარებლოც, სამანქანოც... აბა, ამოაშენე გალაკტიონის ტუჩის კუთხეში გამკრთალი ღიმილი: თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ.

არადა:

გზა გახსნილა და სული ჩაკირულა.

და თუ სული გინდა გაიხსნას, გზა უნდა ამოიქოლოს.

რაღაც ტრაგიკულის სუნთქვაც კი იღვებს ამ ნოსტალგიურ ლექსში.

აქ კი, ჯემალ ქარჩხაძის რომანში „განზომილება“, არა გავლევბად, მართლა ტრაგიკული სულით სუნთქავს ნიჭის გვირაბის შემოგარენი. მხატვრული ღერძივითაც არის და ერთდროულად რეალისტურ და მისტიკურ სურათადაც, ხოლო შინაგან დრამატიზმს იუმორი, ირონია, გროტესკი აფარებია გარეგან საბურველად, რათა უფრო ხელშესახებად გამოიკვეთოს ქვეყნის ბედისწერა.

სულიერი ზღვარი ნიჭის გვირაბის მეტაფორისა თუ რეალისტური სურათის მოშველიებით ხდება საცნაური.

მაინცდამაინც ნიჭის გვირაბი?

სახელწოდება რომ არ იხსენიება?

რა მოხსენიება უნდა, ისე თვალნათლივია მისი იერი, ისეთი ხელოვნებით ნარმოსახული, ამოსაცნობიც არაფერია.

და სწორედ აქ უნდა იყოს მიზღვავებული ხალხი, გაურკვევლობაში მყოფი, გაოგნებული, დაბნეული, რაღაცის მძივებული, მაგრამ შეუკავშირებელი, რეალობისა და ილუზიების ერთნაირად აღქმელი, ადვილად მოსატყუებელი...

რიკოთის ფერდობებზე ანთებული კოცონები მთბრობელს „გარდასულ დროს“ შეაგრძნობინებს, თითქოს თვალთ შეჭყურებდეს ჩვენს თანდაყოლილ – და ეგებ დასაბამიერ – რომანტიზმს, რომელიც თურმე მოგონება ყოფილა და არა გამოგონება. და როდესაც რომანტიზმის წყალობით აღგზნებულ გონებაზე ფაფუკი, ლბილი და საამო ღრუბელი მზრუნველ ბინდად შემოებურება ხალხს, მათთვის ნათელი შეიქნება, რომ მთავარია გვირაბი მხატვრულად გადაილახოს, თორემ რეალურადაც გადაილახება თუ არა, ამას მნიშვნელობა უკვე აღარც გააჩნია.

ნიჭის გვირაბთან მიმდგარი მგზავრები მთელი ქვეყნის სახეა და ამიტომაცაა ასე გულისშემძვრელი მათი ყოფა.

ჯემალ ქარჩხაძეს კი არ შეეძლო სიმართლე არ ეთქვა თავისი ხალხისათვის, რაოდენ მწარეც უნდა ყოფილიყო, რაოდენ დაუბრუნებელიც ეს სიმართლე.

თითქოს მართლა განკითხვის დღე ყოფილიყოს.

და ასეთ დროს მკაცრ საყვედურად უნდა გაისმას მისი პერსონაჟის სიტყვები: ნაბოძები თავისუფლება სახეცვლილი მონობააო.

განა მართლა ასე არ არის?

განა ამიტომაც არ გამოკიდებულა ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც ჰაერში?

მყოფია ის საყრდენები, რაზეც ფეხის მოკიდებას ვცდილობთ და ვკორიკობთ კია, რადგანაც სახეცვლილი მონობა კვლავინდებურად გადახერგილი გზაა, რომლის თავშიც გველექმაში – თეთრი დათვის სახითაც რომ გასიმბოლოებულა – ზის და გამოცანებით გვაბრუნებს.

მთავარია გვირაბი მხატვრულად გადაილახოსო...

ამ ფონზე კი სულ სხვა შინაარსსა და სიმძაფრეს იძენს გალაკტიონის უწყინარი გახუმრება: თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?..

თითქოს უკვე ძრწოლის იერიც დაჰკრავსო, ისეთივე, როგორც „განზომილების“ გაღვებით ჩაქროლილი პერსონაჟის სულიერ გმინვას: „რამდენი ხანი უნდა ვიცოცხლო, სახლამდე რომ მივიდე? ათი წელი? ოცი? ასი? მილიონი? ვერავინ იტყვის“.

## რედაქტორის გვირდი

„სახლი“ აქ იმავს გულისხმობს, რასაც, ერთი მხრივ, ტომას ვულფის მეტაფორა, გამუდმებული შინდაბრუნებით რომ გამოიხატებოდა, და, მეორე მხრივ, ერთხელ უკვე დამონმებული ფრაზა, ნაბოძები თავისუფლებისა და სახეცვლილი მონობის იგივეობაზე რომ ჩაგვაფიქრებს.

მართლაც რამდენი ხანი გჭირდება, ნაბოძებ თავისუფლებაში განელილი დროიდან და სივრციდან შენს ნამდვილ სამშობლოს რომ მიაღწიო? ათი? ოცი? ასი? იქნებ მილიონი?..

სხვაგან კი სხვაგვარი განწყობილებანი ჩნდება:

ნეტა ორივე გვირაბი ამომავნიებინაო...

თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათო...

და უეცრად ღრუბლებში იელვებს თითი და ყმანვილ ქალს ჩვილი გამოჰყავს...

\*\*\*

ეს ყოველივე იქა ტრიალებს, სადაც უირაფივით ქრელდება მთები და ბინდებად მიჰქრის მატარებელი.

შეშინებით თქვენ მაინც ნურაფრისა შეგეშინდებათ, მთავარია გვირაბი მხატვრულად გადაილახოს, ჯერ ცნობიერებას გაარღვიოს შემორკალური სივრცე, ჯერ გულმა ირწმუნოს საკუთარი ძალისა, ჯერ უფრო ხელშესახები შეიქნას იდუმალი ხმა, მოლიცლიცე უსასკოთაც და უსულოთ შორისაც.

და კვლავაც ის გაიელვებდეს – ყმანვილი ქალი ჩვილით.

## ჩვენი ყოფა, წუთისოფლი


პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიმართვა ამერიკელი ერისადმი – 2006 წლის 31 იანვარს – მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ამერიკის ცხოვრებაში. ასეთი ტრადიციული მიმართვები ყოველწლიურია და ზეიმურობითა და რიტუალურობით გამოირჩევა. პრეზიდენტის მიმართვა, როგორც წესი, მოსწონს ამერიკელ ხალხს და მეორე დღეს ყოველთვის მატულობს პრეზიდენტის რეიტინგი, თუმცა ამომრჩეველთა ზოგად განწყობილებაზე არ მოქმედებს და არც რაიმე კონკრეტული ცვლილება მოაქვს თეთრი სახლის პოლიტიკასა და რიგით ამერიკელთა ცხოვრებაში.

გთავაზობთ ორ პოლიტიკურ ესეის ამერიკის პრეზიდენტის შესახებ.

ორივეს ავტორი კონსერვატორია, მაგრამ ერთი, პეგი ნუნანი, პრეზიდენტ რეიგანის სიტყვების შემდგენელი, ნეოკონსერვატორთა ერთ-ერთი ბასტიონის – „უოლ სტრიტ ჯორნალის“ – ავტორი და, ასე ვთქვათ, უშტატო რედაქტორია, ხოლო მეორე, კლაეს გ. რინი – ფილოსოფოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი, ამერიკული კლასიკური კონსერვატიზმის ერთ-ერთი ყველაზე მგზნებარე დამცველი; იგი ნეოკონსერვატორებს „იაკობინელებს“ უწოდებს და მარქსისტებთან უფრო აახლოებს, ვიდრე კონსერვატორებთან.

კონსერვატორები თავდაუზოგავად იბრძვიან ძველ ღირებულებათა გადასარჩენად, ნეოკონსერვატორები კი მოპოვებულ თბილ ადგილებს უფრთხილდებიან და ახლის მოხვეჭაზეც არ ამბობენ უარს, თუმცა მათი ერთ-ერთი ძველი ფლაგმანი – პეგი ნუნანი – უკან იხევს, მოახლოებულ საშიშროებას ამკარად ხედავს და სხვებსაც აფრთხილებს.

კლაეს გ. რინი კი დიდი ხანია ჩანვდა იმას, რაც წარმატებით თავბრუდახვეულ, ზედაპირულ ადამიანებს ჯერაც ვერ გაუგიათ.



პეგი ნუნანი

# ჯორჯ ბუში – რომანტიკოსი

\*

**ორჯარ გაგიმარჯოს დემოკრატიის  
გავრცელებისათვის,  
მაგრამ მეტი გამჭრიახობა გმართებს**

უყურეთ პრეზიდენტ ბუშის ღირსშესანიშნავ შეხვედრას ამომრჩეველებთან, სამშაბათს, კანზასის შტატის უნივერსიტეტში? თითქოს სარკმელი გაიჭრა ძველი პოპულარობის სულში. მეგობრული გახლდათ, ხალისიანი და დრო და დრო შემაშფოთებლად გულგახსნილი. მისი შენიშვნები წარმოაჩენდა მისსავე შეხედულებებს მსოფლიოზე და რეაქციას იმაზე, რასაც ხედავს. ვფიქრობ, შენიშვნები ემოციური იყო. მ-რ

ბუშის გული და გონება მძლავრად შეკავშირებული. მისი ენა ემოციურია და მისი ფიქრები, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო მეტად ამოიზრდება გრძნობებიდან. ან, როგორც თვითონ იტყვოდა, ჯიგრიდან. თავიდან თითქოს „ბროუქბეკის მთისაკენ“\* აიღო გეზი – სიამოვნებით ვისაუბრებდი რანჩოს ცხოვრებაზე, მაგრამ ყველაზე საგულისხმო იყო ის, რაც დემოკრატიის გამო განაცხადა, და ფაქტიც, რომ თავს მსოფლიო დემოკრატიული მოძრაობის ლიდერად მიიჩნევს.

აი, რა თქვა ერაყელ მემამბოხეებზე:

ისინი ხვდებიან, რომ მშვიდობის მარში გადამდები იქნება. ჩემი ზოგიერთი გადანყვეტილება მომდინარეობს მტკიცე რწმენიდან, რომ კაცებსა და ქალებს ბუნებისაგან მონიჭებული უფლებები აქვთ; მნამს, რომ ყველას სულშია სურვილი თავისუფლად ცხოვრებისა. მნამს, რომ არსებობს ყოვლისშემძლე ღმერთი და მნამს, რომ ღვთის უდიდესი საჩუქარი თვითეული კაცისა თუ ქალისათვის ამქვეყნად არის სურვილი თავისუფლებისა. ეს არ არის ამერიკის საჩუქარი მსოფლიოსადმი, ესაა უნივერსალური საჩუქარი მსოფლიოსათვის და ხალხს სურს თავისუფლება. და თუ თქვენ გჯერათ ეს და

\* გახმაურებული ფილმი გეი (ცისფერი) კოვბოების შესახებ. ამ ფილმმა ამ ორიოდ დღის წინათ რამდენიმე ოსკარი მოიპოვა.



გვერათ, თავისუფლება მშვიდობას წარმოშობსო, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მეგობრებთან ერთად გაუძღვეს თავისუფლების საქმეს.

უფრო ღრმად ჩავიხედოთ მის გამონათქვამებში:

დარწმუნებული ვარ, თუ არ დაგვარგავთ ნებას, შევინარჩუნებთ ძლიერებას და წინ წავწევთ თავისუფლებას, ხალხი მოიხედავს... და იტყვის, იცი, ეგებ მართლები არიანო. ეგებ ამერიკა, დაფუძნებული კაცებისა და ქალების ბუნებრივ უფლებებზე, მშვიდობისაკენ მიმავალი ბილეთითაო. ეგებ ისეთი თვალსაზრისები – რომ თვითული პიროვნება მნიშვნელოვანია, რომ არსებობს ისეთი რამ, ადამიანური ღირსება და ძირითადი თავისუფლებანი რომაა, რასაც ჩვენ აღვიქვამთ, გახდეს უდიდესი კატალიზატორი გაუმჯობესებისათვის. ეს ჯარი თქვენ გიცავთ მთელი თავისი ძლიერებით, მაგრამ, ამავე დროს, ცვლის მსოფლიოს იმით, რომ ავრცელებს თავისუფლებას.

მერე აშშ – ჩინეთის ურთიერთობებზე რომ ჰკითხეს, უპასუხა:

ერთი რამ, რაც მაფიქრებს, ჩინელი ხალხის თავისუფლებათა. ფიქრობ, ყოველთვის გსურთ, რომ დიპლომატიურ არენაზე პრეზიდენტს ჰქონდეს ისეთი ურთიერთობები, როცა ისაუბრებს გულწრფელად და მის სიტყვებს გაიგებენ და არა ისე, რომ იყოს დაძაბულობა და უნდობლობა. არავის სურს საჯარო ლექცია ნაუკითხონ და დამოძღვრონ, ასე მოიქცეო. მე ეს არ მომწონს და დარწმუნებული ვარ, დანარჩენ ლიდერებსაც არ მოსწონთ. ასე რომ, ბევრი ვიშრომე, რათა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ჩემს დიპლომატიას გარკვეული რამის მინიშნება შეეძლო ჩინელთათვის...

ჩინეთში ყოფნისას ეკლესიაში წავედი, თავიდან გნერვიულობდი ლიცენზირებული ეკლესიის გამო. დარწმუნებული არ ვიყავი, უნდა წავსულიყავი თუ არა ეკლესიაში და წავედი – ლაურა და მე წავედით ერთ ყმანვილთან ერთად, სახელად ლუი ფალაუ. და შთაბეჭდილება მოახდინა იმ სულმა, რაც ეკლესიაში ვიგრძენი... ვიმედოვნებ, ჩინეთი ამ მიმართულებით სვლას განაგრძობს – ანუ გააგრძელებს ადამიანური ღირსების მიმართულებით სვლას. მე ვესაუბრე (ჩინეთის პრეზიდენტს), რა თქმა უნდა, დალაი ლამას შესახებ; ვუთხარი ისიც, კათოლიკურ ეკლესიას არ ეძლევა უფლება იქ ეპისკოპოსები გააგზავნოს-მეთქი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, თავისუფლების საქმეს მივანჭი.

პრეზიდენტის მოსმენისას სხვადასხვაგვარი ფიქრები აღმეძრა და ზოგიერთი — ურთიერთსაპირისპიროც.

ფიქრობდი: მისი განცდები პოლიტიკური თავისუფლების გამო შეეფერება ამერიკის პრეზიდენტისას. რა თქმა უნდა, ჩვენ თავისუფლების მხარეზე ვართ. ეს არის ჩვენი ისტორიული არსი ამქვეყანად: ვიყოთ შუქურა, ნიმუში, მოკარნახე დემოკრატიული ოცნებებისა.

ფიქრობდი: ცხადია ამას გულისხმობს. მან გაითავისა მსოფლიო გათავისუფლების სული.

ფიქრობდი: გზა და გზა ჩვენი ქვეყანა მართლაც მოიგებს მ-რ ბუშის გულიანი, პირდაპირი და, ალბათ, საბედნიეროდ, ზომიერი დაჟინებით, მთელს მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებსა. დიდი ხნის შემდეგ ამერიკის ღვაწლი ანაზღაურდება იმით, რომ მსოფლიო დისიდენტები და დემოკრატიისათვის მებრძოლნი იგრძნობენ, რომ ამერიკა არ არის მორიგი ცინიკური ზეძალა, არამედ ჭეშმარიტად მოყვარული ხალხით დასახლებული და გაძლიერებული ერთი.

ფიქრობდი: მაგრამ ამას დიდი დრო სჭირდება.

მოკლე ვადაში კი პრეზიდენტის საქმიანობა როგორღაც ვერ ეწყობა დღევანდელ საჭიროებას. და პრობლემაც ის

არის, ცხადად შეიგრძნობა, რომ მოკლევადიან მსოფლიოში ვცხოვრობთ.

ხომ ნათელია, რასაც გვეულისხმობ: ყველაფერი შეიძლება გროშის ფასი გახდეს. ძალზე მცირეა განცდა ისტორიული სიმყარისა. თითქოსდა ყინულის ნაგლეჯებზე მივაბიჯებთ. ძველ დროში – ანუ ოცი წლის წინათ – ორი დიდი არტისტი იყო მსოფლიოში და თავიანთ უხეშ საქმეთა შედეგების მიხედვით უგებდნენ ერთმანეთს. ამერიკა ატომურ ბომბს არ ესროდა რუსეთს იმიტომ, რომ ბოროტი არ იყო: რუსეთი ატომურ ბომბს არ ესროდა ამერიკას იმიტომ, რომ გიჟი არ იყო. ასეთი უშნო სტაბილურობა გვექონდა.

ახლა ყველამ კარგად ვიცით, სცენაზე მრავალი მსახიობია, მრავალი ჯგუფი, მრავალი ამბოხი, მრავალი ვნება, მრავალი იარაღი. მსოფლიო სტაბილური ადგილი აღარ არის. ამ მსოფლიოში პრეზიდენტის საქმიანობა და ვნებები დისჰარმონიულ ღრჭიალად მეყურება. მას თითქოს რეიგანის ეპოქის ხმა ამ მსოფლიოს რეალობაში გადმოაქვს, მსოფლიოსი, რომელიც მეტად დაბზარულია, რათა რაიმე ეშველოს.

ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს პრეზიდენტს უყვარდეს დემოკრატია და მაღლა სწევდეს. მაგრამ უკეთ ვიგრძნობდი თავს, თუ მისი საქმიანობა და საჯარო განცხადებანი მეტად შეეხებოდა უსაფრთხოებას, შიდა უშიშროებას და გაძლიერებულ გრძნობას მზადებისა. ვისურვებდი ოსამა ებოვნა.

სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ მ-რ ბუში რომანტიკოსია ისტორიის მიმართ. ეს ყოველთვის ცუდი არ არის და შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ რალაც ძალზე ბევრი გასაიფიქრებელი რომანტიკა დაუგროვდათ იქ ამ დღეებში – დიდი ვნებანი და მუჟღუგუნები. ზოგჯერ მსოფლიოსათვის უკეთესია, როცა მოვლენები გრილია, ქვის თვალბიანი.

სამშაბათ საღამოს პრეზიდენტი ამერიკელ ერს მიმართავს. მიმართვები პარადოქსულია იმით, რომ პრეზიდენტის უმნიშვნელოვანესი ყოველწლიური სიტყვაა და თითქმის ყოველთვის მომბაზრებელია. რატომ? ყველამ ვიცით, რატომაც. ყოველწლიური მიმართვები ერთადერთი შანსია, რათა პრეზიდენტმა ყველა სააგენტო მოიხსენიოს, აღნიშნოს მათი თავმოსაწონებელი საქმეები და მათი წარმატება ქვეყანას ამცნოს. პრეზიდენტი მეტად მოუცლელია, რათა სარწმუნოებასა და სათემო საქმეებს მიხედოს, მაგრამ ყოველ იანვარს გამოამზეურებს და შეეშველება ხოლმე მათ გეგმებს. იგივე ითქმის ჯანმრთელობაზე, ადამიანის უფლებებზე, იგივე ითქმის კომერციაზე.

ყველა ისინი თავთავის აბზაცს ამზადებენ. სიტყვა იზრდება და იზრდება, აბზაცი აბზაცს მოსდევს, ფენას ფენა ემატება ინტელექტუალურ შაშხში. დაბოლოს, სიტყვა ერთ საათს მოიცავს. ფინალში ყოველთვის იკარგება ლოგიკური ძაფი, თემა, რომელმაც თავ-ბოლო უნდა შეკრას. (ყოველთვის გამოჩნდება თანამემნე თეთრი სახლიდან, ვინც ამას შენიშნავს. იგი ამას სულ ბოლოს, აწყობისას შენიშნავს ხოლმე, როცა სიტყვა დასრულებულია. აქამდეც უნდა შეენიშნა, მაგრამ ძალზე დაკავებული გახლდათ, აქეთ-იქით ეხეთქებოდა შაშხში ენერგეტიკასა და სოფლის მეურნეობას შორის).

ამაში არაფერია საშინელი. ასეა და ყოველთვის ასე იყო. სიტყვა მანაც წარმატებული იქნება. ყოველთვის ასეა. პრეზიდენტი ერთ საათსა ხალხის წინაშე. იგი კარგად გამოიყურება: შემართულია: და ყველაფერს, რასაც იტყვის, ტაშით ხვდებიან, რადგან კონგრესმენებს სურთ უჩვენონ ამერიკას, რომ პასუხისმგებლობით არიან სავსენი და მხარს უჭერენ პრეზიდენტს, მხარს უჭერენ ახალ ინიციატივებს ჯანმრთე-

ლობის სფეროში. რაც უფრო ყოჩაღად მოიქცევიან, რაც უფრო სწრაფად წამოხტებიან ფეხზე, იმედი აქვთ, უფრო სწრაფად მოხვდებიან ობიექტივში და დიდხანსაც შეერჩებიან. მიმართვის შემდეგ პრეზიდენტის რეიტინგი ყოველთვის მაღლა მიიწევს. მაგრამ ყოველთვის რჩება ბუნდოვანი შეგრძნება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებისა.

როგორ გავაუმჯობესოთ მიმართვა? არის ერთი გზა, რომ ჩამოვაშოროთ ყველანაირი სადეპარტამენტო სპეციფიკა. დაე პრეზიდენტმა გაგვიზიაროს თავისი მოსაზრებანი, განზრახვები, რწმენა და არა ის მძიმე, მოსაწყენი დამატებითი მასალა, რომლის მოსმენაც ყოველ დეპარტამენტს სურს. რეპორტიორები ნაიკითხვენ, იფიქრებენ, აქ რაღაც ცხელ-ცხელი ამბები იმალებაო; ისაუბრებენ ამაზე და ქვეყანას მოსდებენ. მიმართვიდან სამი დღის შემდეგ ადმინისტრაციას შეუძლია გაავსოს საკაბელო ზონები დეპარტამენტთა თავკაცებით, ვინც თავთავისი დეპარტამენტის საქმიანობაზე ისაუბრებენ.

ამგვარად, პრეზიდენტი შეძლებს შექმნას მისანვდომობის ატმოსფერო და აღარც აღარავის მოანატრებს სიკვდილს მონყენილობისაგან. და მისი წარმოჩენის დროც უფრო ეფექტური გახდება, რადგანაც უფრო დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი გამოჩნდება – ეს იქნება ლოგიკურ ძაფზე აგებული სიტყვა.

თემა? ბევრი გზა შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ, ვიმედოვნებ, ის გავიგონო, რაც ყოველი ამერიკელისათვის უმნიშვნელოვანესი იმედია: იყოს დაცული და მშვიდი მზარდად სტაბილური მსოფლიოში. შესაძლოა ეს ოცნებაა, მაგრამ თვით ოცნებამდეც კი მიდის ბილიკები.

კლავს გ. რინი

# მთავარი იაკობინელი

\*

## ფრანგული რევოლუციის ექსპორტი ათელს მსოფლიოში

11 სექტემბრიდან მოყოლებული ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტი მოითხოვს, ამერიკის ძლიერება გამოყენებულ იქნას „მშვიდობისა და დემოკრატიის“ საქვეყნოდ გახმაურებულ პრინციპთა, მთელს მსოფლიოში გასავრცელებლად. თავისი ბოლო ევროპული მოგზაურობისას პრეზიდენტმა ბუშმა ამ საქმეში ევროპის დახმარება მოითხოვა და განაცხადა: „ჩვენი იდეალები და ინტერესები ერთი და იმავე მიმართულებით მიგვიძღვის“.

ხოლო თუ რა მიმართულებაა ეს, ორიოდ დღით ადრე მრავლისმეტყველად მიგვანიშნა კონდოლიზა რაისმა. პარიზში გამოსვლისას მან თქვა, ამერიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის დამფუძნებლები შთაგონებულნი იყვნენ ერთი და იმავე ღირებულებებით, რითაც საზიარო რევოლუციური სულის საერთო სანყისებზე მიაწინა. ისტორიულად სრულ-

ლიად მცდარი კია, მაგრამ ეს თვალსაზრისი შეესატყვისება იმ იდეოლოგიას, რასაც ადმინისტრაცია ქადაგებს. ახლა უკვე ცხადი უნდა იყოს, რომ, ჯერ მარტო საგარეო პოლიტიკაში შეერთებული შტატების პრეზიდენტი არ არის კონსერვატორი. იგი იაკობინელი ნაციონალისტია.

შთაგონებულმა, წარმართულმა და გამაგრებულმა ყველგანმყოფ ნეოკონსერვატორთა მიერ, პრეზიდენტმა ბუშმა შეითვისა, გაანოყიერა და აღმოაცენა იდეოლოგიურად შემტევი მისიონერული სული, რაც მეტად ნააგავს იაკობინურ სულს, საფრანგეთის რევოლუციას რომ უძღოდა. „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ პრინციპები მთელს მსოფლიოში გააქვს ქველ ამერიკულ ძალას. ფრანგი იაკობინელებიც, საკუთარ თავში უნივერსალურ პრინციპთა ქველ რაინდებს ხედავდნენ, „თავისუფლება“ და ხალხის მმართველობა მათ შორის იყო პატივდებული.

საინაგურაციო მიმართვას მიდევნებულ პრესკონფერენციასა და ამერიკელი ხალხისადმი მიმართვაში, პრეზიდენტს უდავოდ იგივე თვალსაზრისი უნდა გაემთვობინა მსოფლიოში ამერიკის როლის გამო. თავისუფლებისა და დემოკრატიის წინსვლა, თქვა მან, „ჩვენი ერის მიერ შექმნილი მისიაა“. და შემდეგ დასძინა, „მოუთმენლად ველი, როდის გაუძღვებით მსოფლიოს ამ მიმართულებით“. ერისადმი მიმართვაში მან მიაწინა „განგების გზაზე“ და განაცხადა: „ჩვენ ვიცით საითაც მივყევართ მას, მას მივყევართ თავისუფლებისაკენ“.

ნეოკონსერვატორებმა შეცვალეს ძველი ამერიკული იქსეფშენალიზმი,\* რაც მსოფლიოსაგან კარჩაკეტილობას არჩევდა ჯიუტი, იდეოლოგიურად მძაფრი ნაციონალიზმით, რომლის თვითკმაყოფილებასაც თითქოსდა საზღვარი არ გააჩნია. პრეზიდენტი დიდი ხანია ამტკიცებს, ამერიკის ღირებულებანი ყველა ხალხთათვისააო. „არსებობს ღირებულებათა სისტემა, რასაც სახელს ვერაფერი გაუტეხს, და სწორედ ამ ღირებულებებს ვადიდებთ. და თუ ეს ღირებულებანი საკმაოდ კარგია ჩვენი ხალხისათვის, კარგი უნდა იყოს სხვებისთვისაც“. ამერიკელი ხალხისადმი მიმართვაში განაცხადა, „ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ყველაზე უდიდესი ოცნებები დაიბადა“. იგი და ამერიკა მონოდებული არიან განგების ნება შესარულონ.

ცალკეული ლიდერისა თუ ქვეყნის გაიგივება ღვთის ნებასთან უცხოა ქრისტიანული ტრადიციის მთავარი დინებისათვის, რის მიხედვითაც, ადამიანი ცოცხელია. ადამიანური ცოდნა, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, არასრულყოფილია. თუმცა სახელმწიფო მოღვაწემ, ისევე, როგორც სხვებმა, უნდა განინმინდონ თავი ბოროტ ზრახვათაგან, არცერთ კეთილი ზრახვების მქონე პიროვნებას არ უნდა შეეძლოს ამ უსაზღვროდ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში იმის განცხადება, განეჭვრიტე ღვთის ნება მსოფლიოს მიმართო. პრეზიდენტი ამ ნაკლოვანებებს არ ერიდება, იგი გამოხატავს ამპარტავნებას, რასაც ძველი დასავლური ტრადიცია – ორივე: კლასიკურიცა და ქრისტიანულიც – გმობდა.

„თავისუფლება“ და „დემოკრატია“ შესაძლოა რადიკალურად განსხვავებულ რამეს ნიშნავდეს. პრეზიდენტმა, მისმა სახელმწიფო მდივანმა და მათმა ნეოკონსერვატორმა იდეის კაცებმა ეს ორი ცნება იაკობინური რწმენით შეაერთეს. ფრანგი იაკობინელები ჟან-ჟაკ რუსოს მიმდევარნი იყვნენ, ვინც ამტკიცებდა, რომ „ადამიანი იბადება თავისუფალი,

\* ამერიკული იქსეფშენალიზმი – გამორჩეულობა დღეს საყოველთაო მსჯელობის საგანია ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა წრეებში

მაგრამ მერე ყველგან ბორკილებშია ჩაჭედული“. ადამიანის გასათავისუფლებლად ტრადიციული საზოგადოება და რწმენა უნდა დაინგრეს.

ფრანგული რევოლუცია რუსოს იდეების ხორცშესხმის მცდელობა გახლდათ. იაკობინელები სასტიკად მოექცნენ „ბოროტებას“, გილიოტინაზე აიყვანეს ძველი წესრიგის გამოჩენილი წარმომადგენელი და დაწვეს საერთო დაუნდობლობა, რაც ტერორით დაგვირგვინდა. საფრანგეთს დაეკისრა გათავისუფლების მისია. ევროპა და მსოფლიოს სხვა მხარეები ჩაეფლნენ გაჭიანურებულ ომში.

1980 წელს ჯეიმზ ბილინგტონმა, კონგრესის ბიბლიოთეკარმა, რევოლუციურ რწმენაზე დაწერილი წიგნის სათაურისათვის გამოიყენა ფრაზა — „ადამიანთა ცეცხლმოდებელი გონება“. რევოლუციურმა რწმენამ შეარყია მთელი მსოფლიო და, ბოლოს, 1917 წლის კომუნისტური რევოლუციაც გამოიწვია. თავის მეორე საინაუგურაციო მიმართვაში პრეზიდენტმა წარმოთქვა იგივე ფრაზა, „ადამიანთა ცეცხლმოდებელი გონება“, არა იმიტომ, რომ უკუეგდო ეს იმპულსი, რაც მოსალოდნელი იყო კონსერვატორისაგან, არამედ, რათა განესაზღვრა ამერიკის მისწრაფება თავისუფლებისაკენ. იგი ამაზე უკეთ ვერ შეძლებდა მიეკუთვნებინა თავისი თავი იაკობინიზმისათვის. გიკვირს კაცს, ნუთუ პრეზიდენტი ან მისი სიტყვათა შემდგენელი ვერ ხვდება, ბოლოს და ბოლოს, რიტორიკულად მაინც, რომ შეითვისა ის რწმენა, რამაც ისტორიის ყველაზე ჯოჯოხეთური რეჟიმები წარმოშვა.

დღეს კომუნისტი დანგრეულია, მაგრამ მისი ადგილი დაიკავა მეორე უნივერსალურმა იდეოლოგიამ, ახალმა იაკობინიზმმა. განსხვავება ფრანგულსა და ახალ იაკობინიზმს შორის ისაა, რომ ამ უკანასკნელმა საფრანგეთის ნაცვლად ამერიკა აირჩია კაცობრიობის მსხენელად.

11 სექტემბრიდან მოყოლებული სიტყვებისა და განცხადებათა უმრავლესობაში პრეზიდენტი ცხადად მიანიშნებს, რომ ამერიკის მისიის განსახორციელებლად საჭიროა შეიარაღებული მსოფლიო ჰეგემონია. ინაუგურაციისას უსაფრთხოების დიდმა ძალამ — რაც მოიცავდა 30 000 საიდუმლო სამსახურის აგენტს, პოლიციელსა და სამხედრო პერსონალს — და სხვა ნიშანდობლივმა სიმბოლიზმმა უჩვენა შეერთებული შტატების ძლევამოსილება და ნება. აქ გამორჩა ამერიკელი იმპერატორი — გაცილებით უფრო ძლიერი და ამბიციური, ვიდრე მისი რომელიმე რომაელი თანამოძმე იქნებოდა. ნეოიაკობინური იდეოლოგია წარმოჩნდება ამერიკული იმპერიული ძალაუფლების ქეშმარიტ გამოხატულებად.

პრეზიდენტის საინაუგურაციო მიმართვას რომ ხოტბას ასხამდა, ნეოკონსერვატორთა საგარეო პოლიტიკურმა მიმომხილველმა რობერტ კაგანმა „ვაშინგტონ პოსტში“ დაწერა, რომ ამერიკამ უნდა მისდიოს უსაზღვრო „უნივერსალურ მისწრაფებებს“. ტერორიზმთან ბრძოლა „ძალზე ვიწრო და შეზღუდულია“ საიმისოდ, რომ „ამერიკული საგარეო პოლიტიკის პარადიგმა“ გახდეს.

საბჭოთა კავშირის წგრევის შემდეგ ნეოიაკობინელი ნეოკონსერვატორები ამტკიცებდნენ, ამერიკამ, როგორც ერთადერთმა ზესახელმწიფომ, უნდა გამოიყენოს თავისი სტატუსი თავის პრინციპთა გასავრცელებლად. ისინი მოითხოვდნენ „ზნობრივ სიკვადეს“ აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში. კეთილი უნდა დაპირისპირებოდა ბოროტს. 11 სექტემბრის შემდეგ ბუში გახდა მათი მთავარი ორატორი. მან შეერთებულ შტატებს დააკისრა, როგორც თვითონ უწოდებს, „გლობალური დემოკრატიული რევოლუცია“. ომი ერაყის წინააღ-

მდეგ, მისი თქმით, „პირველი ნაბიჯი“ გახლდათ ამ რევოლუციისა. პრეზიდენტის ბოლოდროინდელ სიტყვებში მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ ერაყის მარცხმა და ათი ათასობით დაღუპულმა და ხეიბარმა ეჭვქვეშ დააყენეს მისი ქველი ნაციონალიზმი.

იმეათად თუ გამაგრებულა რომელიმე იდეოლოგია ასე, ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელ ისტებლიშმენტში. ახალი იაკობინიზმი მძლავრადაა წარმოდგენილი ამერიკის არსებითად ყველა წამყვან მედია ნაკადში, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საზიო. პრესაში ეს ითქმის „უოლ სტრიტ ჯორნალზე“, ხოლო „ნიუ იორკ ტაიმსი“, „უოშინგტონ პოსტი“, „ნიუსუიკი“, „ტაიმი“ და „იუ ეს ენდ უორლდ რიფორტი“ ახალ იაკობინელებს საკმარისზე მეტ ადგილს უთმობენ. საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი ჟურნალებიდან ახალ იაკობინელთა მთავარი ხმა „უიკლი სტანდარტი“ გახლავთ, მაგრამ საგარეო პოლიტიკის მიმართულე-ბით, ახალი იაკობინიზმი მბრძანებლობს აქამდე, კონსერვატორულ ჟურნალებში, მაგალითად, „ნიუენალ რივიუში“.

სიტყვიერად ნეოიაკობინური აზროვნება მოსაჩვენებლად უპირისპირდება ძველ, დაღვებულსა და ძალადაკარგულ ლიბერალიზმს. ნეოიაკობინიზმი გაბატონებულია აზრსაცავებში, განსაკუთრებით იქ, სადაც საგარეო პოლიტიკა და ნაციონალური უსაფრთხოებაა წინ წამოწეული. მისი გონებრივი ცენტრია ემერიქან ერთერფრაიზ ინსტიტუტი. ტელევიზიაში რუპერტ მარდოქის კუთვნილი „ფოქს ნიუს ჩენელი“ ყველაზე სანდო და აშკარა გამხმაურებელია ნეოკონსერვატორული საგარეო პოლიტიკისა, მაგრამ ეს პოლიტიკა აყვავებულია საკაბელო ქსელის ყველა არხზე. იმიო, რომ რადიო ტალღებზე და სხვაგანაც, ყველგან, მეჰანლურე ამერიკანიზმის სახით მოჩანს, ნეო-იაკობინიზმმა მილიონობით ჯარისკაცი მიიზხო დროშების მოფრიალე ამერიკელთაგან.

საკვირველია, რომ შეუმჩნეველი რჩება, იარღისდა მიუხედავად, ნეოკონსერვატორები თავს რომ მიიჩნევენ პროგრესული რევოლუციური ძალის წარმომადგენლებად. ამერიკა, რომლის დამცველებდაც მოაქვთ თავი, არ არის ისტორიული ამერიკა ევროპულსა და ინგლისურ წარსულში გადგმული ღრმა ფესვებით. თეორიულად მათ თავიანთი საკუთარი ამერიკა აანყეს, რაც რადიკალურადაა დაშორებული ისტორიას.

„განადიდო ამერიკა ნიშნავს... განადიდო რევოლუცია“, წერს პროფესორი ჰარი ჯაფა, მონინავე მონაფე ლეო სტრასისა, ვისი თავვანისმცემლებითაც მოფენილა ბუშის ადმინისტრაცია. ამერიკული რევოლუცია შესაძლოა მშვიდობიანად მოჩანდეს მას მოდევნებულ, „საფრანგეთის, რუსეთის, ჩინეთის, კუბისა და სხვა რევოლუციებთან შედარებით“, აღნიშნავს ჯაფა, მაგრამ „მიუხედავად ამისა, მოიცავს უდიდეს მცდელობას განახლებისა, რაც კი ადამიანურ ისტორიაში ჩანერილა.“

მეორე წამყვანი ნეოკონსერვატორი მაიკლ ლიდინი, ვინც ასპარეზზე გამოვიდა, როგორც რეიგანის დროის თეთრი სახლის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, აშკარად გვიხატავს ამერიკას, ანტებულ საზოგადოებათა დამანგრეველად. ლიდინის მიხედვით, „შემოქმედებითი წგრევა ჩვენი გარდამავალი სახელია ჩვენს საზოგადოებაშიც და საზღვარგარეთაც. ძირს დავამხოთ ძველი წესრიგი ყოველდღიურად... ჩვენს მტრებს ყოველთვის სძულდათ ეს ქარაშოტი ენერჯისა და შემოქმედებისა, რაც ემუქრება მათ ტრადიციებს... [ჩვენი] უნდა დავანგროთ ისინი, რათა გაიმარჯვოს ჩვენმა ისტორიულმა მისიამ.“

ზოგიერთმა ყველაზე ცნობილმა ნეოკონსერვატორმა მაშინ შეითვისა რევოლუციური სული, როცა ჯერ კიდევ მარქსისტი გახლდათ და, მიუხედავად მათი „მეორადი აზროვნებისა“, კვლავ სათუთად ინახავენ ღრმა სურვილს მსოფლიოს გარდაქმნისა ერთი მოდელის, მათი მოდელის მიხედვით. ერთ-ერთ მიზეზი, თუ რატომ შეუყვარდათ კაპიტალიზმი, ისაა, რომ, მარქსისა არ იყოს, ტრადიციულ ელიტათა და საზოგადოებების დამანგრეველად მიაჩნიათ.

ნეოკონსერვატიზმის სახელგანთქმული ნათლის ირვინგ კრისტოლის მიხედვით, დღევანდელი შეერთებული შტატები „იდეოლოგიურია, გუშინდელი საბჭოთა კავშირით“. მისი ვაჟი, უილიამი, ბრძანებს, იმისათვის, რათა ამერიკამ ფართოდ გაიტანოს უნივერსალური პრინციპები საზღვარგარეთ, მძლავრი შეიარაღებული ძალები და მთავრობა უნდა ჰყავდესო. და უნდა გაეთავისუფლდეთ ძველი, კონსერვატიული ეჭვისაგან ცენტრალიზებული ფედერალური მთავრობის მიმართო. უფროსი კრისტოლის მიხედვით, ნეოკონსერვატიზმის ამოცანაა „მოაქციოს რესპუბლიკური პარტია და კონსერვატიზმი, მათი სურვილის მიუხედავად“, მთავრობის ახალი კონცეფციაზე.

ახალი იაკობინელობის მიმდევართათვის, „ნეოკონსერვატორთა“ წოდება დიდ გაუგებრობას იწვევს. თანამედროვე

კონსერვატიზმი იაკობინურ უნივერსალიზმთან დაპირისპირებამ გააჩინა. კონსერვატიზმის მამა, ედმუნდ ბერკი, ინგლისელი ლიბერალი გახლდათ, ვიგი, ამერიკელი კოლონისტებისადმი ძალზედ მეგობრულად განწყობილი; ბერკს ეგონა, რომ ამერიკელები მყარ ტრადიციულ საფუძველზე იდგნენ, როცა მეფესა და პარლამენტს დაუპირისპირდნენ. მეორე მხრივ, ბერკი მგზნებარედ ილაშქრებდა ფრანგული რევოლუციისა და იაკობინური აზროვნების წინააღმდეგ, რაც, მისი აზრით, გამოხატავდა არაისტორიულ, ტირანულ სულსა და ჯიუტ სწრაფვას ძალაუფლებისაკენ. ბერკი განსაკუთრებით აბსტრაქტული „თავისუფლების“ გამო აფრთხილებდა ადამიანებს.

ბერკის მსგავსად, აშშ კონსტიტუციის შემოქმედნი თავისუფლებას კონკრეტული მემკვიდრეობით გადმოცემულ ტრადიციებთან, შეზღუდულ, დეცენტრალიზებულ მთავრობასთან, ძალაუფლების შეკავებასთან, თვითდაურვებასთან, ზომიერებასთან, კომპრომისისათვის მზადყოფნასთან აკავშირებდნენ. იაკობინური „თავისუფლება“, პირიქით, შეუზღუდავ იმპერიულ ძალაუფლებას ამკვიდრებს.

აი, ასეთი „თავისუფლების“ გამორჩეულ ადვოკატად მოგვევლინა ჯორჯ უ. ბუში.

ექსპრეს-ინტერვიუ

ქველ  
ფუქიაზე

\*

საუბარი  
ჯემალ მონიავასთან

– ბ-ნო ჯემალ, გილოცავთ ძველ ფუქიზე მშობლიური თეატრის ახალმოსახლეობას, და რახან პროფესიონალი ჯერ მსახიობი ბრძანდებით და მერე მწერალი, გკითხავთ, რა ხდება მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით?

– მაღლობას მოგახსენებთ. მართალია, რეფორმები დაიწყო. ცხადია, მისასაღმებელია. ოღონდ, კულტურის სამინისტროს მონადინება დანიშნულიყო დირექტორი – აბსოლუტური უფლებამოსილი და პასუხისმგებელი – არ დამტკიცდა. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც.

აღბათ ასეც უნდა მომხდარიყო. დირექტორი მაინც ადმინისტრაციული ხელმძღვანელია, სამხატვრო ხელმძღვანელი კი წარმმართველია თეატრის იდეოლოგიისა. ასე იყო ყოველთვის თეატრის ისტორიის მანძილზე და ცხადია, ასე უნდა იყოს.

რეფორმად მიმანია ის, რომ დალოცვილმა კაცმა, ვინც გვიკრძალავს თავისი სახელის ხსენებას (ისედაც მთელმა საქართველომ იცის), გააკეთა საშვილიშვილო საქმე და არა მხოლოდ ჩვენთან: რუსთაველისა და კინომსახიობთა თეატრებში, ახლა მოზარდ მაყურებელთა თეატრს ქველმოქმედობს. ეს კაცია, გვერდში რომ უდგას მრავალ სახელმწიფო მუზეუმს, სხვადასხვა ღირებულ კულტურულ დაწესებულებას...

ჩვენთან, თეატრში ჩატარდა შესანიშნავი რეკონსტრუქცია და არა რემონტი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თეატრი

ახლად აშენდა, თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითურთ. შექმნილია განათების თანამედროვე აპარატურა, მაღალი ხარისხის მუსიკალური ცენტრი და სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი. ერთი სიტყვით, მან აგვაცილა უამრავი საზრუნავი, რაც ყოველთვის აწუხებდა თეატრს, და შექმნა სრულყოფილი შემოქმედებითი ატმოსფერო – მეტი რა უნდა არტისტს?

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოვიდა ნიჭიერი რეჟისორი ლევან წულაძე, დირექტორია ეკა მაზმიშვილი. მათ აქვთ ძალიან საინტერესო, ორიგინალური იდეები, სარწმუნოდ გასახორციელებელი. გვაიმედებენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რაც წაადგება თეატრს, მსახიობსა და მაყურებელს.

– უფლებამოსილი თუ ხართ განაცხადოთ, რას შესთავაზებთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი წლეულს მაყურებელს?

– სულ მალე პრემიერით წარსდგება ჩვენი თეატრი. რეჟისორი გიზო ჟორდანიას დგამს ბრეხტის „სამგროშიან ოპერას“. აგრეთვე გეგმაშია სამი-ოთხი ისეთი სპექტაკლი, რომელიც გვეკონდა რეპერტუარში და დასაკარგად არაა გასამეტებელი.

სხვათა შორის, ყოველთვიურად წარმოვადგენთ ახალ სპექტაკლს, სადაც ყველა მსახიობი შესაფერისად იქნება დაკავებული.

– დასანანი სიმართლეა, და თქვენც აღბათ დამეთანხმებით, თეატრს რაღაცნაირი სიჯიუტით ჩაენაცვლა სატელევიზიო გასართობი შოუ. სხვადასხვა ტელეკომპანია თითქოს ერთმანეთს ეცილება ტყუპისცალივით მიმგვანებული სახალისო წარმოდგენებით მუქთად გააცინოს მასობრივი მაყურებელი. თავს შევიკავებ შთაბეჭდილების უფრო მკაფიოდ გამოხატვისაგან, რადგან გამიგონია, პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?





– ძალიან ბევრჯერ აღუნიშნავთ, რომ ქართული თეატრის მაცურებელი არის მეტად სახიფათო, ფაქიზად ანგარიშგასანევი. ამას უცხოელი გასტროლოგორებიც ადასტურებდნენ...

ჩვენი თაობის გემოვნება ჩამოაყალიბეს ეროვნული თეატრის გრანდებმა: აკაკი ხორავამ, ვასო გოძიაშვილმა, ვერიკო ანჯაფარიძემ, სესილია თაყაიშვილმა... და არ გამოჭირდება ამ ჩამონათვალის გაგრძელება.

ნლებია, წამყვანი თეატრები დაკეტილი იყო. მთელი ეს ინდუსტრია ჩაიგდეს ხელთ „კავეენიკებმა“, რომელთა მეტყველების კულტურა, აქტიორული მონაცემები და განათლების დონეც საკამათოა. მაცურებელმა და შოუს წამყვანებმა ძალიან გაუგეს, აჰყვნენ ერთმანეთს და ის ფხიზელი, გონიერი მაცურებელი დაიკარგა.

მათ ვითომ შემოქმედებაში არა ჩანს პროფესიონალი მსახიობი, პროფესიონალი მწერალი, პროფესიონალი მხატვარი. ეგენი პასუხს არ აგებენ თავიანთ ქმედებებზე და არც არავინ არაფერს სთხოვთ. ათეული წელი დასჭირდება ამ ბანგიდან გამოფხიზლებას.

კი მაგრამ, ვასო გოძიაშვილს თუ ანუხებდა პასუხისმგებლობის გრძნობა, სხვა რატომ არის ამისაგან თავისუფალი?!

შევხსნარი ერთხელ, იჯდა მარტო თავის არტისტულ სააღკაზმებლოში და გრიმს იკეთებდა, თანაც თითქოს საკუთარ თავს ებუზღუნებოდა: „ყოველ საღამოს უნდა ვამტკიცო, რო ნიჭიერი ვააარ?!“.

პირდაპირ ყურს ქრის სავალალო მეტყველება, „ლ“-ს დარბილება ლამის წესად დაამკვიდრონ. უცხოური ენების ნაბაძვით ქართულ სიტყვებს უდიერად ამახვილიანებენ. ენა რომ დაემცრო, გაუბრალოვდა და ნახდა, ხომ სახეზეა. მე დაფიქვარ, დავებტები ამ ჩემს კავთისხევაში. და იმ წამონაკრებ სიტყვებს დავეძებ, რომლებიც ცხონებული გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ შეკრებისას დარჩა. ვკენკავ, ვაგროვებ ჯიბე-უბით ჩამომაქვს თბილისში და, სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩემი სტუდენტები იმასაც ვერ გებულობენ, რომ ამ დალოცვლ ქვეყანაში არსებობდა სიტყვები: „გენაცვალე“, „გეთავყვა“, „უკაცრავად“, „მომიტყვე“ და სხვა მისთანანი...

**– ბ-ნო ჯემალ, ათეული წლებია იბეჭდებით ლიტერატურულ პრესაში, გამოცემული გაქვთ პროზაული კრებული „ნათლია“. მართლაც ვინ იყო თქვენი ნათლია. ვინ შეგაგულიანათ არტისტი კაცი ბუდი ლიტერატურაში გეცადათ?**

– ლიტერატურულ სარბიელზე ჩემი ნათლია თამაზ ბიბილური იყო – შესანიშნავი მწერალი. პირველი წერილი „იფნის წნელი“ მოქმედებდა „გზაზე“ მან დაამიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტში“. მერე და მერე კი მიშლიდა წერას, ძირითად საქმეს მონყდებო. სხვათა შორის, „თარაშს“ მეძახდა... წლების წინათ მე ვითამაშე ეს პერსონაჟი ჩვენი თეატრის სცენაზე.

საოცრად გულიანი ადამიანი იყო თამაზ ბიბილური, საიმედო კაცი...

**– ვიდრე ახალგაზრდა ხარ, ან ვერ აფასებ, ვის გვერდით გეობა, დაჰყო წლები, ანდა თავი ღირსად არ მიგაჩნია, დიდებული ადამიანების ცხოვრებისეული ეპიზოდები ჩაინიშნო.**

**თქვენს წიგნში თბილი, ცოცხალი ჩანახატებიცაა, თავის დროზე ინიშნავდით თუ მესხიერებას მიენდით?**

– ძალიან ხშირი ურთიერთობები მქონდა იმ ადამიანებთან, ვისაც თქვენ გულისხმობთ, რომ იცოდეთ კარტოთეკასავით შედის მესხიერებაში ეს მოგონებები და ილექება. სულ პატარა მიზეზია საჭირო, ემოციაზე აგებული ურთიერთობა, ისევ ემოციამ რომ ამოაგდოს ცნობიერებიდან.

**– კომპლიმენტი მინდა გითხრათ. ამას წინათ ისე ლაღად, მოხდენილად მიდიოდით პლებანოვზე, ცოტა არ იყოს შემშურდა – რა ლამაზად ბერდება-მეთქი, გავიფიქრე. რა არის**

**თქვენთვის სილამაზე. თქვენი წიგნის პირველსავე მინიატურაში „ვანო“, და საერთოდ მთელ კრებულში, ეს სილამაზე ყელყელაობს.**

– ვბერდები, ამაზე კი აღარ ვფიქრობ, სამოცდაშვიდისა ვხდები... რა არის, იცი? თუ შენ არ გიყვარს შენი თავი, შენი ოჯახი, სამშობლო... ეზო-კარიდან იკითხება და შეიცნობა ადამიანის ხასიათი. დააკვირდით, როგორაა აღწერილი სახლ-კარი ილია ჭავჭავაძისა და დავით კლდიაშვილის მოთხრობებში. პერსონაჟების ფსიქოლოგია იქვეა გახსნილი...

ლაზათი და პენი არ უნდა დაკარგოს ქართველმა. სისუფთავე ხასიათია. რა სჯობს ლამაზი ეზო-კარიდან გამოსვლას. მერე რა, თუ უბრალოდ და ლარიბულად ცხოვრობ. იმ უბრალოებაში უნდა ისაზრდოოს მშვენიერებამ, სილამაზემ.

ჩემს შვილიშვილებს სულ ვეხვევები, დილით რომ ადგებით, გაილიმეთ, წაილიმინეთ, ილოცეთ: „ლეთის ანგელოზო, გამიძებ და მოგყვები-თქო“. ასე ხომ სხვებსაც ვუადავილებთ ურთიერთობას.

**– თქვენს წიგნში განსაკუთრებული სიყვარულით იკითხება კავთისხევი და კოლორიტული კავთისხეველები – ბარაქიანი ქართული სიტყვით.**

**როგორ ცხოვრობს სოფელი, ბარაქიანობა ყოფასაც თუ ამჩნევია?**

– შრომა არ ეზარებათ კავთისხეველებს, მაგრამ მაინც სიღუბნით სუფევს. ფულის ერთეულია მოსახლეთებელი. არადა, აუცილებელია გადასახადისათვის, საკვებისათვის... დილაუთენია ჩამოდიან ისინი ქალაქში. ალაგ-ალაგ მალაზიებში ჩამოარბებენ მანონსა და რძეს. მერე გარბიან დილური სამუშაოსათვის. ბოლოს აკრეფენ ცარიელ ქილებს, ზოთილებს და გროშებს და, წელმონყვეტილები, შებინდებისას თუ ჩააღწევენ ოჯახებში. კავთისხეველთა ბედს იზიარებენ თბილისის ახლომახლო სოფლების გლეხობადაკარგული მცხოვრებლებიც.

აივსო დედაქალაქი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სამოვარზე დაძრული მამაკაცებით. აქვე რომ სწავლობენ ხელობას. ცოდვილობენ, მაგრამ მაინც არ იტყვენ იხტიბარს. რა ქნან, თავი ხომ უნდა გაიტანონ. ეს მწარე რეალობაა და ყველა კარგად ხედავს. გლეხკაცის ფუძეზე დამკვიდრება თუ გახდება შესაძლებელი, მერე რაღა გვიჭირს, ეშველება სოფელსაც, ქალაქსაც.

**– საუბრის დასასრულს შემოქმედებით გეგმებზე გეთქვით ვეგზ ორიოდ სიტყვა.**

– დასაწყისში თქვენ პირველად თეატრზე მალაპარაკეთ. ამიტომ საუბრის ბოლოს, ჯერ ჩემს ლიტერატურულ გეგმებზე მოგახსენებთ. მზად მაქვს ახალი ნოველები და მოგონებები ერთად თავმოყრილი. თუ გამომიჩნდა შემწე და პატრონი... მეორე წიგნიც აღარ დაახანებს.

რახან მეძლევა საშულება, ბარემ აქვე ჩემს დიდ სიხარულსაც გამოვხატავ. მეც გილოცავთ სარედაქციო ცხოვრების განახლებას. შევიტყვე თუ არა თქვენი ადგილ-სამყოფელი, მაშინვე აქეთ მოვაშურე. თანამდგომად მიგულეთ უწინდებურად. ხელცარიელიც რომ არ მოვსულვარ, მოთხრობა მოგიტანეთ კავთისხეურ თემაზე – „მუხიგული“...

როგორც მსახიობი, მაინც რეჟისორზე გახლავარ დამოკიდებული. მაქვს რალაცნაირი, იდუმალი მოლოდინი... თეატრი ლამაზი ბედისწერაა. მიყვარს ცარიელ დარბაზში, ჩაბნელებულ სცენაზე დგომა. ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ ვგრძნობ, როგორ ცოცხლდებიან გარდასულთა სულები, ჩემს ყურთასმენას იპყრობს ის ხმები, აქ რომ ჩამესმოდა დიდი ხნის წინათ... გამძლეობის, რწმენისა და იმედისაა ეს ხმები.

ესაუბრა  
ნინო ღაქანიძე

ზურაბ ლავრელაშვილი

# ნოველა და ორი მინიატურა

## გაქცევა

ნორას მიცვალებულების ეშინოდა. ამიტომაც ძალზე შემოფოთდა, თითქმის შეძრწუნდა, როცა იელისის სულის-შემხუთველ სალამოს, საძინებელში შესვლისას, მკვდარი მამაკაცი დაინახა სანოლზე. რა ექნა?! პოლიციაში დარეკვა განიზრახა, მაგრამ გამომძიებელთან შეხვედრისა და დაკითხვის შიშმა გადააფიქრებინა.

მიცვალებული თავით სანოლის ზურგს მისვენებული იწვა. პერანგი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა, რაც ფრიად რესპექტაბელურს აჩენდა. ჰაერში ოდნავ მოტკბო სუნი იგრძნობოდა – გვამს უკვე ხრწნა დაეწყო და ზაფხულის პაპანებაში ნორამ სუნამოს არომატთან შერეული აქოთებული წინდების სუნიც იცნოსა. ცხადია, მასთან დიდხანს ვერ დარჩებოდა, კვირის ბოლომდეც ვერ მიატანდა, რადგან ხრწნილების სუნი მალე ბინიდან გაჟონავდა და მეზობლები ყველაფერს მიხვდებოდნენ. როგორ მოიქცეს?! ნორა ფანჯარასთან მივიდა და გამოალო, მაგრამ იმავ წამს დახურა, დივანზე ჩამოჯდა და სახე ხელისგულელებში ჩამალა. მთავარი იყო, შიშს არ დანებებოდა. კარგი იქნება, თუ მიცვალებულს ოთახიდან შეუმჩნევლად გაიტანს, მაგრამ მარტო ამას ვერ შეძლებდა. ნანილ-ნანილ რომ დაეჭრა? ფილმებში ეს ენახა. ნორამ გამბედაობა მოიკრიბა და სამზარეულოდან დანა შემოიტანა, მაგრამ მიცვალებულის სიზვიადემ შეაჩერა. მკვდარი მამაკაცი ერთდროულად შიშსაც აღუძრავდა და პატივისცემასაც. ნეტავ აქ საიდან გაჩნდა? ფანჯრიდან შემოიპარა თუ კარიდან შემოვიდა? ვინმემ მოკლა თუ თავისით მოკვდა? მერედა, რალა მისი ბინა ირჩია საბოლოო განსასვენებლად? ის, რომ კაცი მის ლოგინზე იწვა, ნორას ჟრჟოლას ჰგვრიდა. დანამომარჯვებული მიუახლოვდა და მოეჩვენა, თითქოს მიცვალებული დამცინავად უყურებდა. რა სამწუხაროა, რომ ვერ გაესაუბრება! ნორა ფერხითი ჩამოუჯდა მიცვალებულს. რაზე ისაუბრებდნენ?! ალბათ ამინდსა ან სამსახურში მეტროთი მგზავრობის სიძნელეზე. დილაობით ხომ მეტროპოლიტენი ხალხით არის სავსე და ნორას დიდი ჭაპანწყევტა უხდება, სანამ ვაკონში შევა. მერე რამდენიმე სადგური ვილაცის ბეჭზე ცხვირმიჭყლეტილმა უნდა გაიაროს, ჯაჯგურსა და ჯგლეთას გაუძლოს და ესკალატორზეც ისე ავიდეს, კაბა არ დაეჭმუჭნოს. მაგრამ ვაითუ მიცვალებულებს საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ამბები არ აინტერესებთ? მაშინ ღრუბლებსა და მთვარეზე მოუყვება რამეს; იქნებ გრანელის ლექსიც უხსენოს სამუდამო მარტოობაზე და-

ისის ჟამს, როცა ნითელი მზე ფანჯრის მიწებს ააელვარებს. ნორას უყვარდა ეს სევდიანი ლექსები, რომლებსაც განუმეორებელ ხიბლს მატებდა მათი ავტორის ბეჩავი ყოფა. ნეტავ ჩემი ძმა იყოსო, უფიქრია ხშირად, მაგრამ გრანელი არავის ძმა არ ყოფილა, თავისი დებისაც კი. ნორამ ეს იცოდა.



ოცდასამი წლისას სიცოცხლე იმდენად სწყუროდა, გრანელის საფრებლად არ ეცალა. სიკვდილის ხშირი ხსენება ამ ლექსებში მისთვის გამაბრუებელი სასმელივით იყო, როგორც, ვთქვათ, ლიქიორი ან მსუბუქი კოქტილი; აიღებ ჭიქს, ცოტას მოწრუპავ, ტანში ჟრუანტელი დაგვივლის, თვალები დაგენამება და ოდნავ სევდიანი, ბუნდოვანი აზრები დაიძვრება საიდანღაც. კარგია მაშინ ფანჯარასთან ჯდომა და ქუჩაში ცქერა, სადაც ხალხი ირევა და ავტომობილები გიჟებივით დაჰქრიან. მარტოობის შეგრძნებაც ასე უფრო ტკბილია, ვინემ სხვა დროს, როცა სასონარკვეთილს თავი ეული და მიუსაფარი გგონია. დიახ, ნორა მარტოსული იყო, თუმცა მშობლებიც ჰყავდა და ნათესავ-მეგობრებიც. მოსწონდა ეს, მარტოსულობა უპირატესობა ეგონა, რაკი სხვებს არ ჰყავდა იმ თავის მარტოობაში. მყუდრო ბინა იყო მისი თავშესაფარი. ძილის წინ აანთებდა აბაჟურიან სანათურს, ჩართავდა რადიოს ან ტელევიზორს, ზოგჯერ მსუბუქ საკითხავს გადმოიღებდა და თან ღამეს უსმენდა. აი, ეს იყო მისი ცხოვრება – სამსახური და სახლი. გრძნობები?! ვნება?! აღტაცება, ტრფიალი?! თაყვანისმცემლები საკმარისად აუჩნდნენ, მაგრამ მამაკაცი არ ჰყოლია; ყოველ შემთხვევაში, დღევანდლამდე, როცა უცხო კაცი მის სანოლში წევს და ისიც მკვდარი, უძრავი, უტყვი. ნორამ სახეში შეხედა მკვდარ სტუმარს. ისიც კი არ იცის, მისია თუ არა მიცვალებული?! ასე რომ იყოს, იზრუნებდა მაინც მასზე, ყვავილებს დაუნყობდა მკერდზე, თმას გაიშლიდა და იტირებდა. სხვისი მკვდარი როგორ ეგლოვება?! მიცვალებული რალაცით იზიდავდა. ნორას ამიერიდან საფიქრალი გაუჩნდა. ეს მისი საიდუმლო იყო, თითქოს მკვდრის გაყინული გუგები უთქმელად აგებინებდნენ: „შენ გამოუცნობს ჩასწვდი, ნორა, და გამოუთქმელი იხილე! ახლა რალას იზამ?! გაიქცევი, თუ ჩემთან იცხოვრებ?! აირჩიე, ნორა, ნება შენია!“

ნორამ დანა დააგდო და საძინებლიდან გავიდა. ღამის გასათევად მშობლებთან წასვლა გადაწყვიტა, რადგან ჯერ ვერ შესჩვეოდა მიცვალებულს. მაინც ეშინოდა მისი. ხელჩანთა აიღო, კარი გამოიკეტა და კიბეზე დაეშვა. უკვე ბნელოდა, სამარშრუტო ტაქსები აღარსად ჩანდა, ამიტომაც ნორამ მეტროპოლიტენისკენ გასწია. მიდიოდა, მიბაკუნობდა, ხელჩანთა მტკიცედ ჩაებლუჯა ხელში და კვლავაც მიცვალებულზე ფიქრობდა. მეტროპოლიტენის ვიწრობაშიც ასე გაბრუებული ჩაეშვა. ესკალატორს ნელა ჩაჰ-

ყავდა ქვემოთ, ცრიატი სინათლისაკენ. მატარებელი შემოგრიალდა და ნორა ვაგონში შევიდა. ვაგონი თითქმის ცარიელი იყო. მარტო ერთ კუთხეში ვილაც ბავშვიანი ქალი იჯდა, მის პირდაპირ ყმანვილს ეძინა. ნორა სავარძელზე დაეშვა და ამოიოხრა. ნელი-ნელ ბრუვდებოდა, იღვენებოდა, დაბლა ცურდებოდა, სადაცაა იატაკზე გაიშხლართებოდა.

„ნუთუ მეც მოგკედი?“ – ნორას აღარ შეეძლო სიკვდილზე ეფიქრა; ეფიქრა იმაზე, თუ სად იმყოფებოდა – აქეთ, სააქაოში, თუ რომელიღაც მიღმურ სამყაროში, თუნდაც ჯოჯოხეთში.

„გამაგრდი, ნორა!“ – მოესმა უცებ და ნორამ მისკენ დახრილი ყმანვილი დაინახა.

„მე ექიმი კარანაძე ვარ“, – ყმანვილმა სავიზიტო ბარათი გაუწოდა და იმავე დროს მის მაჯას დასწვდა.

ნორამ დაიკვნესა.

„ნუ წრიალებთ“, – მკაცრად გააფრთხილა ექიმმა, – უნდა დაისვენოთ. ვიცი, რომ გიმძიმთ იმის გაძლება, რაც გადაგხდათ, მაგრამ ბედს უნდა დაემორჩილოთ“.

„ჩემი სახელი ვინ გითხრათ?“

„ჩვენ ხომ ერთმანეთს ვიცნობთ“.

„ნუთუ?“

„პატარაობისას, როცა რამე გტკიოდა, დედას ჩემთან დაჰყავდი კლინიკაში. ხვალაც შემომიარე, მინდა რაღაც გაჩვენო“.

ნორას სახე დაეღმეჭა, რაც გაღიმებას ჰგავდა. ექიმი მასზე პატარა ჩანს. ეტყობა, დასცინის, რაკი ამნაირ რამეს ეუბნება!

ნორამ კვლავ დახუჭა თვალები. ძილი სძლეოდა. მატარებლის რწევა უნანავებდა, თუმცა ექიმთან საუბარმა გამოაფხიზლა. არა, ნორა სხვისი სამასხარაო არ არის! ექიმი შარლატანი ჩანს: თითქოს უთანაგრძნობს, მაგრამ მის საიდუმლოს ვერ ჩასწვდება! ნორა აიძვრა, აირია, მთელი ღამე ყოყმანობდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც ეწვია კლინიკას. ექიმი ლაბორატორიაში დაუხვდა. მან ნორას ხელი ჩასჭიდა და გვერდით თოხაში გაიყვანა, სადაც უამრავი მუყაოს ფიგურა იდგა.

„ეგენი შენი და-ძმანი არიან. სანამ ცოცხლობდნენ, თითოეული მათგანი შენზე ნაკლებ როდი იყო დაზაფრული. ხომ გიყვარს, ნორა, შიში?! ეს ექსტაზია, უდიდესი ნეტარება, რასაც ალბათ ვერავის გაანდობ“.

ექიმმა თაროდან ჩაქუჩი აიღო და ქალის ფიგურას დასცხო. ფიგურა გადაყირავდა. ნორას მუხლი მოეკვეთა. ექიმი სწვდა და შეანჯღრია.

„ვიცი, მკვდართან რომ ცხოვრობ, – ჩასძახა მან, თითქოს უფსკრულში იყურებოდა, – ესეც ნეტარებაა, ნორა, ტკობა, თავდავინყება. მაშ ჩემთან რაღად მოხვედი? მიცვალებული აგიყროლდა და სუნი გალონებს? თქვი, ნორა, გამიმხილე შენი საიდუმლო, თუ სიცარიელის მეტი არაფერი გაგაჩნია?!“



მხატვარი მზია დედანაშვილი

ნორა ხმას ვერ იღებდა. ექიმმა იმედი გაუცრუა. უთხრა, სასწაულს გიჩვენებო და სისულელეს კი ებუტებო! ნორამ თავი დახარა. აქ ვეღარ გაჩერდებოდა. ექიმი კიდევ მცირე ხანს ესაუბრა და გამოუშვა. ნორა ყოყმანით შეჩერდა გზაჯვარედინზე. საით წავიდე? საკონდიტროში შევიდა, ნამცხვარი შეჭამა და ყავა დააყოლა. შინ მიცვალებული ელოდებოდა, ამიტომაც უნდა ეჩქარა, რადგან მარტო აღარ იყო. საკონდიტროდან ქუჩა ჩანდა, მაგრამ ნორას სანახაობა აღარ იზიდავდა. ტაქსი გააჩერა და ათ წუთში სახლში იყო.

მყუდროებაში ჩადირული ბინა მდუმარედ დაუხვდა. ნორამ საძინებელში შეიხედა, მიცვალებული ისევე უძრავად იწვა, ზვიადი, უტყვი, თითქოს ზემოდან მაცქერალი. პირისკანი ოდნავ შეჰყვითლებოდა, უპეებიც ჩაშავებოდა. ნორამ ხელჩანთა საწოლზე მიაგდო, ლოგინზე ჩამოჯდა და მკვდარს თავისი ეჭვები და გრძნობები გაუზიარა. არც ის დაუმალავს, მხსნელად ექიმს რომ უხმო; წინასწარ ვიცოდი, ვერაფერს მიშველიდა, მაგრამ სულმოკლეობამ მძლია, მაინც მივედი მასთან კლინიკაში; შენთან უნდა დავრჩენილიყავი, ჩემო ძვირფასო, რადგან შენ ჩემი ნაწილი ხარ, ჩემი საიდუმლო, ჩემი საუნჯე; ამიერიდან აღარ მიგატოვებ, რათა გამოუთქმელის ხსოვნა არავინ შემიბლალოს.

მიცვალებული გულგრილად უსმენდა ერთგულების ფიცს. ნორას ეწყინა. განა საპასუხო სიყვარულის ღირსი არ იყო?! თავისუფლება იმისთვის დათმო, რომ თანაგრძნობა მაინც არ ღირსებოდა? ნორა მუდართი მიაჩერდა მიცვალებულს, მაგრამ ის შეუბრალებელი იყო. ნორას ტირილი წასკდა. ლოგინს დაემხო და მიცვალებულს მიუჩოჩდა, როგორც წელმონყვეტილი ძაღლი მიხობავს ხოლ-

მე ჯოხშემართული პატრონისაკენ. ასე ტირილითა და სლუკუნით ჩაიძინა, თითქოს ამით ბედისწერას გაექცეოდა. მოკუნტული იწვა და ღამე ჰფარავდა მასაც და მის ტანჯვასაც. მარტო მიცვალებულის თვალები ანათებდნენ ბნელში და უეცრად გამოღვიძებული ნორა მათ ცივ ნათებას მზერას არიდებდა, ქუთუთოებს ხუჭავდა, რათა მხსნელ ძილს დანებებოდა, რადგან ხვდებოდა, გამოღვიძება რა ძნელიც იქნებოდა.

ჯერ ისევ რიჟრაჟი იყო, როცა ტელეფონმა დარეკა. ნორამ ნაცნობი ხმა გაიგონა ყურმილში და თითქოს გული საგულეს მოსწყდა, სადღაც დაბლა ჩაუვარდა.

„ექიმი, გემუდარებით, მალე მოდიო!“

„მოხდა რამე, ნორა?“

„არ ვიცი, მაგრამ მოდიო!“

„მარტო ხარ?“

ნორამ მიცვალებულს გახედა და ცრემლების ყლაპვით დაუდასტურა. დიახ, მარტოა, მარტო!

განთიადის სინათლე ფანჯრის ოთხკუთხედსა და ქუჩაში ალვის კენწეროებს მოედო. ნორა გათანგული იწვა და მიცვალებულისკენ ცქერა ველარ გაებედა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რა სისულელე ჰქნა, როცა ნებით მას დაემონა! მიხვდა, რომ მიცვალებული აღარსად გაუშვებდა და ისიც სამუდამო ტყვე იყო მისი, როგორც გველისგან მონუსხული ბაჭია, ან საკანში გამომწყვდეული ტუსალი!

ექიმი მართლაც მალე მოვიდა. მან ნორა სამზარეულოში გაიყვანა და ჭიქით წყალი დაალევინა. ნორა კანკალებდა.

„აქაურობას უნდა მოვაშოროთ, ნორა, გესმის! სუნს მაინც ვერ გრძნობ?! ვერ გრძნობ, როგორ ყარს?“

ნორას ახლალა ეცა ცხვირში მიცვალებულის აქოთებული სუნი. ეს სუნი მასაც უდიოდა. მას ზიზლით გააჟრჟოლა.

ექიმმა სიტყვის უთქმელად გააძრო ნორას სამოსი და აბაზანაში შეაგდო. ცხელი წყლის ჭავლმა ნორა კინალამ გაგულა. ექიმი მანამდე ბანდა და ხეხდა, სანამ ნორას ქანცი არ გაუწყდა. ისე იყო ნიათგაცლილი, ველარც კი გრძნობდა, შიშველი რომ იდგა უცხო ადამიანის წინაშე.

ექიმმა აკოკრებულ ქუთუბებზე დაუსვა ხელი. ნორა შეხტა.

„გეშინია?“ – ჰკითხა კაცმა.

„ჰო“.

ექიმმა ახლა თმაში წაავლო ხელი და უკან გადაზნქა.

„გრცხვენია, ნორა?“

ნორამ საშოზე დაიფარა ორივე ხელი. პატარა და უმწეო იდგა ექიმის წინ, როგორც განუწული წინილა.

ექიმს აღარაფერი უთქვამს, პირსახოცი შემოახვია და სააბაზანოდან ამოსვლა უშველა.

„დალამებისას პროზექტურის ავტომობილს მოვიყვან და, ვინმემ რომ არ დაგინახოს, მკვდარს ფანჯრიდან ჩავიტანო. მენდე, ნორა, მხოლოდ ასე განთავისუფლდები. ახლა კი, თუ გინდა, კლინიკაში წაგიყვან“.

ნორა ადგა და ექიმს მკლავზე დაეყრდნო. ექიმმა სუფთა ტანსაცმელი მოუტანა. ნორამ ჩაიცვა, თუმცა ღილეების შებნევა გაუჭირდა.

კლინიკაში ისინი სუფთა და ნათელ ოთახში ისხდნენ. მუყაოს ფიგურები ექიმს აღარ გახსენებია. ნორა უყურებ-

და ბალს, ხეებს, ცას, პალატის თეთრ ჭერს და სხვა სამყაროში ეგონა თავი. თეთრხალათიანმა მომვლელმა ბულიონი მოუტანა. მერე ექიმმა მკლავში ნემსი გაუკეთა და ნორასაც ჩაეძინა – ამჯერად მშვიდად, უტანჯველად, უზიფათოდ.

არც გამოღვიძება გასჭირვებია. თვალი გაახილა და ვიღაც დაინახა.

სანოლთან ექიმი კარანაძე იდგა. მან ცერად გახედა ექიმს.

„დიდხანს მეძინა?“ – ჰკითხა.

„ზოგი ვერასდროს იღვიძებს, სიკვდილამდე“, – უპასუხა ექიმმა, მერე სათუთად მოხვია მხრებზე ხელი და ავტომობილამდე მიაცილა, რომლითაც მიცვალებულები გადაჰქონდათ. ნორას სიზმარში ეგონა თავი. ნაცნობი ხედები ელვის უსწრაფესად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, თითქოს წარსულის კადრები ამოძრავებულყვენ. აი, სადარბაზოც! ექიმმა მკვეთრად დაამუხრუჭა. ნორამ სადარბაზოსთან ხალხი დაინახა და მოიბუზა. ექიმმა კარი გააღო და გადავიდა, მაგრამ მალევე მობრუნდა.

„რა მოხდა?“

„მიცვალებული, ნორა!“

„ნუთუ?“

ექიმი დუმდა.

ნორას სახე გაუმტკნარდა.

„ახლა გამოასვენებენ. უნდა ვიჩქაროთ“. – ექიმი ნორას სადარბაზოში შეუძღვა. ნორა გაფითრებული გაჩერდა თავისი ბინის ზღურბლთან. კარს იქით შეუცნობელი ელოდა.

აუმღვრეველმა სიმყუდროვემ შთანთქა ისინი. ნორას ამჯერად საძინებელში აღარ შეუხედავს, ისევ სამზარეულოში შევიდა და სკამზე დაეშვა. ესმოდა, როგორ ფატიფუთობდა ექიმი. მერე ისიც სამზარეულოში გამოჩნდა.

„ხელ-ფეხი შეეუკარი. ახლა ვერსად გაგვექცევა. რომ იცოდე, რა უმწეო სანახავია! – ექიმს ონავრული, თითქმის ბავშვური გამომეტყველება დააჩნდა სახეზე, – მე დაბლა ჩავალ, შენ კი ფანჯრიდან ჩამოუშვი. მთავარია პროზექტურამდე მივიტანოთ, იქ ველარავინ იპოვნის“.

ექიმი ისევე უცბად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. ნორამ ნაცემივით აითრია წელი და საძინებლისკენ დაიძრა. ნაიბორძიკა, შედგა. მიცვალებულისაგან ახლა მხოლოდ შემინული კარი ამორებდა, მაგრამ ნორას შესვლა მაინც ვერ გაებედა, რადგან მიცვალებულთან გამოთხოვება უჭირდა, თითქოს სულის ნაწილს ართმევდნენ. ქვემოდან ავტომობილის საყვირი მოისმა. ნორამ კარი შეაღო. საყვირი განმეორდა. როგორც ჩანს, ექიმს მოთმინება ელეოდა. ნორამ საძინებელში შეიხედა და ცარიელი სანოლი დაინახა, რომელზეც მისი ხელჩანთა და პენუარი იდო. ნორა სანოლს მიუახლოვდა, გადასაფარებელს ხელისგული გადაუსვა, მერე მიმოიხედა. ოთახში არავინ იყო, დაისის წითელი მზესავით ღალანებდა აბაჟურაინი ღამპა, ქვემოდან კი განუწყვეტლივ, იერიქონის ბუკივით ხმაინობდა საყვირი. ეს ხმა გულს უგმირავდა ნორას. იგი უკუიქცა, კარისკენ დაიხია და მხოლოდ ახლა შენიშნა სანოლზე მოკუნტული მიცვალებული, ვინც ექიმს პროზექტურაში უნდა წაეღო; მერე კიბეებზე ამომავალთა ნაბიჯების ექოც გაისმა, კარი გაიღო და წინკარში ჭირისუფლებიც

გამოჩნდნენ. მათ მდუმარედ აუარეს გვერდი ნორას, საძინებელში შევიდნენ, სანოლიდან მიცვალებული ასწიეს; ვილაცამ ჩაახველა, ვილაც ტიროდა, შემდეგ ნორას ბუტბუტით ამოთქმული ლოცვაც შეესმა; კარი ისევ გაიღო და ექიმი შემოვიდა. ნორა გახარებული დაიძრა მისკენ, მაგრამ ექიმმაც გვერდი უქცია, თითქოს, ჭირისუფლებივით, ისიც ვერ ამჩნევსო, სანოლიდან მივიდა და ნორას პენუარი აიღო; ნორა განცვიფრებული უყურებდა და იმ წამს, როცა ექიმმა ქვეთინით ჩარგო თავი ვარდისფერ ქსოვილში, თითქოს მრუმე ფარდა აეხსნა თვალთაგან.

„გაიქეცი, ნორა!“ – უთხრა ვილაცამ გამოუთქმელ შეუტნობელში, მაგრამ ნორა გახევებულივით იდგა საძინებელში. თუმცა ეს წუთია მისი ცხედარი პროზექტურისკენ მიჰქონდათ ექიმის ავტოთი, თავად კი შინ იმისთვის მობრუნებულიყო, თითქოს ამით შეუტნობელს და გამოუთქმელს გაექცეოდა.

### ჩაიხანის მეპატრონე

თითების სწრაფი მოძრაობით პორტიემ გასაღების აცმა საკიდიდან ჩამოხსნა და გამომიწოდა:

– თქვენი გასაღები, ბატონო!

ამ ქალაქში არავის ვიცნობდი. ვერც ვიფიქრებდი, თუ ასეთი მიგდებული მხარე სადმე იყო. პორტიეს გასაღები გამოვართვი და ზღურბლზე შეეჩერდი. მეკარემ მირჩია ორი კვარტლის იქით ჩაიხანას ვწვეოდი. გზა ხსნილი მქონდა. სწრაფად ვიარე. ვინმეს გავეუბოდი? ვემალეოდი? ჩაიხანა რად მიზიდავდა? საღამო ჩაშავდა. ქალაქი ჩაკვდა. უკაცრიელ ქუჩებში ლანდები დაბორიალობდნენ. მალე ჩინური ფანრების ნათება შევნიშნე. ეს თუ იყო ჩემი მსხემობის საბოლოო მიზანი!

ცისფერხიფთანიაინი და გრძელწვერა ბერიკაცი კუთხის მაგიდისკენ გამიძღვა. მარჯვენა მხარზე პირსახოცი გადაეკიდა, რითაც ჩაის ფინჯანი მოამშრალა. მერე მონინებით დაიხარა ჩემს ზურგს უკან.

– მსახურს გავგზავნი წყლის მოსატანად, – მან დაკონკილი, ფეხშიშველი, გაბურძგენილი ბიჭისკენ მიმახედა, სამოვართან რომ ჩაცუტყულიყო და ნაკვერჩხლებს სულს უბერავდა. შემდეგ რალაც დაუყვირა ბიჭს უცხო ენაზე. ბიჭი უსიტყვოდ წამოდგა და ბიდონს ხელი წამოავლო.

– ერთხელაც იქნება ამ ბიჭს მოვკლავ, – მიჩურჩულა ჩაიხანის მეპატრონემ – თვალეები აენტო და პირსახოცი მრისხანედ დააქნია ჰაერში, – მოცდა მოგვიწევს, რადგან, ვინ იცის, მსახური როდის დაბრუნდება.

თუ ეგრეა, უკან გავყვები-მეთქი, ვუთხარი. ბერიკაცმა უკბილო პირით გამიღიმა და თავი დააქნია.

– მაშინ ის მოგკლავთ, – ქამრიდან ბებუთი ამოიძრო და გამომიწოდა, – როგორც კი გზიდან გადაუხვევს, კისერში ჩაეცით. ჩემს სახელსა და პატივს ასე თუ იხსნით.

ცივ ლითონს ხელი მოვუჭირე და მსახურს ავედევნე. უდაბურ ადგილას ფიჭვნარში მივდიოდით. მთვარე ბილიკს გვინათებდა. მოსაბრუნში მსახურს ფეხი დაუცდა და ჩავარდა. ხელი გავეუბოდი ბნელში.

– არ არის და არც ყოფილა ვინმე, აქედან ჩემი ამოყვანა რომ შეეძლოს, – ყვავივით დაიჩხავლა ბიჭმა, – უკან გაბრუნდით, სანამ ჩაიხანის პატრონი მოვა.

შარიშური მესმა. ფიჭვებს შორის ცისფერი ხიფთანი გაკრთა. მოხუცმა თავს დამიარა და ჩემს ზურგს უკან გაჩერდა.

– შენც მაგნაირი ხარ, – თქვა დანანებით, – ვიცი ჩაისთვის წყალს არ მომიტანთ, რადგან მსახური მებრალეა.

მერე უხმოდ მეძგერა, ლანდივით დამაცხრა. სხვა რა გზა მქონდა – ბებუთი კისერში ჩავეცი. ჩაიხანის მეპატრონე მიწაზე ჩაჯდა და კისერზე პირსახოცი შემოიხვია.

– ნადით აქედან! – ამოიხრიალა, თითქოს მე არ მომმართავდა, – აქ არაფერი გესაქმებათ, – შემდეგ ჩურჩულით თქვა, – რა სამწუხაროა, რომ ჩაის ვერ დავლევ! მსახურს რომ არ ელაღაბა, ნამდვილი სურნელოვანი ჩაით გიმასპინძლებდით. ჰო, ასეა! გავკოტრდი და ამ მხარეში ჩაისაც ველარავინ მოუმზადებს მგზავრებს. ეს კი საძაგელი ბიჭის ბრალია, თქვენ რომ შეგეცოდით.

სისხლით დამბალ პირსახოცს ორივე ხელი ჩასჭიდა და ამოიხროტინა:

– უნდა მოგეკლათ, როგორც კი ბილიკიდან გადაუხვია. აკი გაგაფრთხილეთ, მაგრამ ჩემი ნათქვამი არ შეისმინეთ. არავის ესმის ჩემი ნაუბარი. ამიტომაც ვართ ბნელში და ვერც ვერავინ გავციყვანს გზაზე, ვერავინ!

### მეოთხე

ჰგონიათ, რომ სამინი ვიყავით და მარილოვანი ტბის აღმოსავლეთიდან ვენვით უდაბნოს, თუმცა მანამდე თვალთაც არ გვენახა იგი. თითოეულ ჩვენგანს თან საჩუქარი მოჰქონდა, რასაც ჩვენი არსებობა უნდა დაედასტურებინა. რადგან ისტორიას მხოლოდ ისინი შემორჩება; ემახსოვრებათ აგრეთვე კომეტა, რომელიც არ შეგვინიშნავს. არც მარილოვანი ტბის გადაღმა უდაბნო გადაგვილახავს, არ ვსტუმრებივართ მეფეს, ვინაც უკან დაბრუნება გვიბრძანა, როცა სასწაული აღსრულდებოდა. ჩვენ არ გვინახავს ყრმა, ანგელოზნი, მწყემსები და ცხვრები; ეს მათ იხილეს, ვინც მაცხოვრის შობას შეესწრო, ჩვენ კი ჯერაც არ შეგვიბნევია თასმა ხამლებზე და არ აღგვიკაზმავს აქლემები თუ ჯორები, რათა შორეულ გზას დავდგომოდით; მესიის ხარებას ჯერ არ მოუღწევია ჩვენამდე, თუმცა ვიცით, რომ ზოგჯერ ლოგოსი განსხეულდება ხოლმე; როგორ და რანაირად, ეს როდი ვუნწყით. ჩვენ სამინი ვართ, მეოთხე კი ის იქნება, ვინც სიტყვა იხილა. ამბობენ, რომ ის უკვე მოეშურება ჩვენკენ, რათა მხსნელის სახახავად დაგვძრას; რომ ვიცნობთ მას, როგორც კი დავინახავთ, რომ ის ჩვენს შორისაა, ერთი ჩვენგანია, ჩვენს ახლო მყოფი.

გზაჯვარედინზე კოცონი ანთია და სამი მოგზაური ცეცხლთან თბება, ხამი ტილოს სამოსიანი ყარობი ვინმე სიბნელიდან გამოდის და მათ უახლოვდება.

„ნუთუ?“ – ჰკითხავს ერთი მოგზაურთაგანი და ოქროს უწვდის.



ყარიბი დუმს.

„ემონმე მას“. – ამბობს მეორე, ძვირფასი ტომსიკიდან გუნდრუკს იღებს და ისიც ყარიბს აძლევს.

„აღსრულდა“, – ნართქვამს მესამე და მურს უწვდის.

ყარიბი კოცონთან მიდის და საჩუქრებს ცეცხლში ყრის. მოგზაურები მწუხარედ ხრიან თავს.

„გვარქვი, რა ვქნათ? – შეჭლადადებენ ყარიბს, – გვეუნყა, რომ სასწაული მოხდა, მაგრამ ჩვენი საჩუქრები ცეცხლმა შთანთქა. ნუთუ ხსოვნა ჩვენი ნაიშლება?“

„უყურებთ და ვერ ხედავთ, უსმენთ და ვერ იგებთ, ეხებით და ვერ გრძნობთ, მაგრამ თქვენ იცოცხლებთ, ვით უდიდესი ცთომილების ნიშანი. ცოცხალი თქვენს შორის მხოლოდ მეოთხეა.“

„სადა არს იგი?“

„სად იყო იგი! აი, რა უნდა გეკითხათ, – ამბობს ყარიბი და სახე ნელი-ნელ უმტყნარდება, თანდათან უსახურს ემსგავსება, – ნუ გგონიათ, რომ მას იხილავთ, რადგან ეს კოცონის ალია, კომეტის ნათება, ფოთლის შრიალი, წყლის წვეთი ან პეპლის ფრთა, რომელთაგან არც ერთი არ არსებულა. სანამ მათსავით არყოფნისკენ არ მიიქცევით, მა-

ნამდე ვერავინ გაიგებს თქვენს არსებობას და მხოლოდ მაშინ, როცა ეგ მოხდება, სამყაროს თითოეული ატომი, თითოეული ნაწილაკი იტყვის, რომ სასწაული აღსრულდა და თქვენც ამ გზაჯვარედინიდან შინ დაბრუნდებით“.

„და რა გვიმონმებს ამას? როგორ გვენიშნოს, რომ ჟამი დადგა?“

ყარიბი დადუმდა.

„ჰოი, უგუნურნო, – თქვა ბოლოს, – აკი გეუნყათ, რომ მეოთხეს უნდა დალოდებოდით. თქვენ კი რა ჰქენით! თქვენს შორის არის იგი, ერთი თქვენგანია, თქვენს ახლო მყოფი. თქვენ კი ვერ ხედავთ“.

მაშინ მოგზაურები მიწას დაემხვნენ და თავყვანი სცეს ყარიბს, მაგრამ იგი უეცრად გამქრალიყო, ვით კოცონის ნაპერწკალი.

და თქვა მაშინ უხუცესმა მათ შორის:

„აღსრულდა!“

„ჭეშმარიტად, ემონმებით ამას“. – დაუმატა მეორემ.

„ნუთუ?“ – იკითხა მესამემ და სამივენი აღმოსავლეთისკენ შებრუნდნენ, რათა მზის ამოსვლის ნიშანს დალოდებოდნენ.

პირველი შთაბეჭდილება

ურნამუნობის წყვდიადი

ცხოვრებიდან გაქცევის, მხოლოდ საკუთარი ჭირ-ვარამით ტკობის მაგალითები, მრავლად მოიძებნება მსოფლიო და ქართულ ლიტერატურაში. ჩვენს უახლეს მწერლობაში, სიცოცხლის საზრისისაკენ შემობრუნების ერთ-ერთი ნათელი მაგალითი, გურამ დოჩინაშვილის „ძმისავ“-ში გვხვდება, სადაც ლარისა ცერცვაძის ბოლოს მაინც აფიშებისკენ გაპარული თვალი, ამქვეყნიური მშვენიების ხილვისა და წყურვილის სიმბოლოა.

ზურაბ ლავრელაშვილის ეგზისტენციალური ხედვა მოთხრობაში „გაქცევა“, მთავარი გმირის გონს ერთი ნიშნით დაღვას, იგი ვერ ავლებს ზღვარს რწმენასა და ნიჰილიზმს შორის. ნორას ტრაგედია. იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერც რეალურსა და ვერც ირეალურ სამყაროში ჰპოვებს შევებას. რუტინა, ვნებისაგან განძარცული უძრაობა, მხოლოდ სამსახურიდან სახლამდე მიმავალი გზით შემოფარგლავს. ამ გზას და „ესკალატორს ნელა ჩაჰყავდა ქვემოთ, ცრიატი სინათლისაკენ.“ სინამდვილის მხატვრულად გარდასახვის უნარი და ფანტაზია ავტორს არ აკლია. იგი ხატოვანი სახეებითა და მინიშნებებით, ზოგჯერ მომეტებულად უსიამო და ამაზრზენი სურათების გამოყენებითაც, საერთო განწყობილებათა მისტიკურ გარსში აქცევს მკითხველს.

თავიდან ნორას მიცვალებულის ეშინია, მაგრამ საბოლოოდ იმდენად მიიღებს უცხო კაცის გვამს, რომ მისი კარჩაქეტილობის, განჯგონებული ყოფის ნაწილად და მესაიდუმლედ აქცევს. ქალიშვილი ერთგვარად მზადაც არის ასეთი არჩევანისათვის, რადგან მთელი არსით გამოუთქმელის ხსოვნის ერთგულია. მისთვის უცხოა ტრფიალი და აღტაცება, არ ძა-

ლუძს ძლიერი, ამაღლებული განცდის ქვეშ ყოფნა. თავყვანისმიცემელთა სიხშირის მიუხედავად, უკარებაა და თვითგვემის ნაჭუჭში გამოკეტილი არსებობს.

ოცდასამი წლის გოგონას ფიქრები, ერთი შეხედვით ტერენტი გრანელის პოეზიას შეუპყრია. გულის სიღრმეში ყოველთვის სურდა პოეტის და ყოფილიყო, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ის „არავის ძმა არ იყო, თავისი დებისაც კი“. თუ გრანელის და სიჩუმეა, მაშინ გასაგებია ნაწარმოების გმირის სურვილიც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უშუალოდ პოეზიის ხიბლზედ მაღლა, მაინც თვისი მარტოობა დგას და საბოლოოდ, წიგნის კითხვა, ლექიორითა და მსუბუქი კოქტილით გაბრუნებას უფრო ჰგავს, ვიდრე სიღრმისეულ, აუცილებელ წვას.

ეს უსაგნო ყოფა, იქამდე მიიყვანს, რომ ყველაზე დიდ გულის გაქარვებად და შევებად ფანჯარასთან ჯდომა ექცევა. ამაში არაფერია ცუდი, თუკი მეოცნებე, ნატიფ ადამიანს ვხედავთ ძალ-ღონის მოსაკრებად ფანჯრიდან მაცქერალს, მაგრამ ნორას ხალხისა და ავტომობილთა რბოლის ყურება, მარტოობისათვის უნდა, რომ უფრო მძაფრად შეიგრძნოს მისი სიტკობება. იგი იმდენად მონყდება რეალობას, რომ მიცვალებულის სუნს მაშინლა იგრძნობს, როდესაც ექიმი კარანაძე შესძახებს და მიუთითებს. ტანს ბანს უცხო მამაკაცი, მას კი შიშველსა და ნიათგაცლოლს, სირცხვილის გრძნობა გვიან ეწვევა. სუნის აყოლასა და განბანვას სიმბოლური დატირთვა აქვს. ექიმის ქმედება, სიცოცხლის არსის, მისი სიყვარულის შეცნობისკენ არის მიმართული. ქალის უსიცოცხლო ფიგურასაც გამეტებით დაარტყვამს ჩაქუჩს მკურნალი, რათა ნორაში აღმართული უძრაობის კერძი დაამსხვრიოს, მაგრამ ვერაფერს გახდება, რადგან ეს ქანდაკება, მარტოობის უარსო ცრემლების ხარჯზეა ფესვგამდგარი.

ექიმისადმი უნდობლობა, ანუ სიცოცხლისადმი ურწმუნობა, ნორას ისევ განსვენებულისაკენ შეაბრუნებს, ვისი გულგრილობაც საგონებელში აგდებს. ის მონაა ოთახში მწოლიარე კაცისა, მისი პატრონი კი სიკვდილია. ერთადერთი

## პირველი შთაბეჭდილება

კითხვა სტანჯავს „თავისუფლება იმისათვის დათმო, რომ თანაგრძნობა მაინც არ ღირსებოდა?“ ორჭოფობს, ვერ ხვდება რომელი გზა არჩიოს, რადგან არც სიცოცხლე შეუძლია და არც სიკვდილი. მისი აღსასრული მოთხრობაში ისე შემოიპარება, რომ თავადაც ვერ გაარკვევს, მოკვდა თუ ცოცხალია. ათჯერ რომ მისცე არჩევანის უფლება, ათჯერვე გაუჭირდება მიცვალებულთან განშორება, რადგან „ზოგი ვერასოდეს იღვიძებს, სიკვდილამდე.“ აქ გალაკტიონის სიტყვები მახსენდება: „...მე მემინია ისეთ სიცოცხლის სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია.“

„ჩაიხანის მეპატრონე“-ში მწერალი უნდობლობის საკითხს ეხება. ის აღწერს ქალაქს, სადაც ადამიანური და ამაღლებული თვისებები სრულიად უადგილოა. ჩაიხანის მეპატრონისა და თმაგაბურძენული ბიჭის ეჭვებზედ აგებული ურთიერთობა, ვერასოდეს მოიტანს წყალს და ვერ მოუშზადებს სურნელოვან ჩაის, პირქუში ქალაქის სიცივით შეწუხებულ მგზავრს. შეგირდის გზიდან გადახვევა, ალბათ მასწავლებლის მიერ მისი უნიათოდ დამოძღვრის შედეგია. სწორედ ამიტომ არის მიდამოც ჩამკვდარი და საკუთრივ პატრონის უკან დადევნებული, ეჭვიანი სულიც. „გარეთ ხევისთავის სულივით ბნელა“, წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, ეს ხატოვანი ნათქვამი, სრულად მიესადაგება სურათს, რომელსაც მკითხველი ზურაბ ლავრელაშვილის მონათხრობში ხედავს.

ავტორის მიერ, რელიგიური აზრით, ურწმუნობისა და დაუჯერებლობის თემაა გადმოცემული ნაწარმოებში „მეოთხე“. ყარბის სახით გამოცხადებულ უფალს, ვერც ერთი მოგზაური შეიცნობს. ისინი ემპირიულად ცდილობენ დაუმონმონ საკუთარ თავს ლოგოსის განსხეულება. მოგზაურნი ვერ ხედავენ, ვერ გრძნობენ და ვერ იგებენ, რადგან კოცონის აღში, კომეტის ნათებასა და ფოთოლთა შრიალში ჭეშმარიტების აღქმა უჭირთ. სასწაულის აღსრულება და გზაჯვარედინიდან მის მომლოდინეთა შინ დაბრუნება, მხოლოდ არყოფნისაკენ მიქცევით არის შესაძლებელი. ნაწარმოების ბოლოს დასმული შეკითხვა: „ნუთუ?“, ალბათ კიდევ დიდხანს დარჩება და აწვალებს კაცობრიობის უმეტეს ნაწილს.

ნორას, ყავახანის მეპატრონის და მოგზაურთა საერთო პრობლემა, რწმენის არქონაა. ვისთვის სიცოცხლის, ვისთვის ადამიანის, საბოლოოდ კი უფლის გზისა. ადამიანი ვერასოდეს გაარღვევს და დაამარცხებს წყვილადს, თუკი მის აზრში, სამშენველოში ურწმუნობა და უმეცრება დაისადგურებს, რადგან: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქვეშე ხვიმირსა, არამედ ზედა სასანთელესა გადაიან, რაითა ჰნათობდეს ყოველთა. ეგრე ბრწყინებდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა.“

გიორგი გამსახურდია

## პოეზია



ის ახალი პოეტური სამყარო, რაც ორიოდ წელია გახდა ხელმისაწვდომი მკითხველისათვის და უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართული პოეზიის მდინარეებში, უკავშირდება აღიარებული კინორეჟისორისა და მსახიობის, ასევე ჩინებული მხატვრის რეზო ესაძის სახელს. ეს სამყარო არ არის დანამატი მისი კინოშედეგებისა. რეზო ესაძის პოეზია იმ თავისთავადობით, სიღრმითა და ექსპრესიით აღბეჭდილია, რომ მაშინაც იოლად გაიკვლევდა გზას მკითხველისათვის, ზურგს რეჟისორის ავტორიტეტი რომ არ უმაგრებდეს.

ლექსი უაღრესად ნიჭიერი კაცის კიდევ ერთი მომზიბლავი ასპექტი აღმოჩნდა. მის ზუსტსა და ხატოვან აზროვნებას სწორედაც შეჰფეროდა ეს მხატვრული ფორმაც.

„ჩენი მწერლობის“ ბიოგრაფიაში საამაყოდ დარჩება, რომ რეზო ესაძის პოეტური სამყაროს დამკვიდრებასაც შეუწყო ხელი ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

### რეზო ესაძე

### კითხვა

არაფერს არა აქვს არც თავი, არც ბოლო, დარჩება სიმბოლოდ ოცნება მარადი. მე რომ შემეძლოს, ო, რომ შემეძლოს, იმ ოცნებიდან დაგიფარავდი.

გზა სადღაც იწყება და აღარ თავდება, სიკვდილიც გზა არის, გზა არის მარადი, მე რომ შემეძლოს, ო, რომ შემეძლოს, მე შენ იმ გზიდან დაგიფარავდი.

სადღაც შორიდან ისმის ძახილი, ძახილი გადადის კარიდან კარამდი. მე რომ შემეძლოს, მე რომ შემეძლოს, იმ ძახილიდან დაგიფარავდი.

მარადჟამ ტრიალებს შეკითხვა ასეთი: კი მაგრამ როდემდე? კი მაგრამ სადამდი? ო, რომ შემეძლოს, მე რომ შემეძლოს, ამ კითხვიდანაც დაგიფარავდი.

### პოლგოთა

შენს ნაკვალევზე ვიარე, გზადაგზა ცისკენ მეჭირა თვალები. ო, მაცხოვარო, ლოცვაო მამათა, აქ საუკუნეა ნამები.

ბაგეს წყებოდა სიტყვა ანაზღად, მოქროდა ცხელი ქარები. ო, შვილო იესო,

ლოცვაო მამათა,  
ამტკივდი ნაიარევი.

აჰა, ის წმინდა ადგილიც,..  
ჯვარს გაცვეს, მოკვლას ეცადნენ...  
ვტირი მუხლებზე ვარდნილი.  
ვგრძნობ, რა შორია ზეცამდე.

\* \* \*

ნაპირს ვარცხნიდა ტალღა,  
ბათუმი იყო მძიმე,  
გარბოდა მაღლა, მაღლა,  
იქ საცალფეხო კიბე.  
თრთოდა პალმების ჯარი,  
კამელიების რიგი,  
ტრაპს მიჰყვებოდა ქალი  
და გულამოსკვნით იგი  
ტიროდა. ცრემლი ღანწებზე  
ვით მარგალიტის მძივი,  
როგორც სევდაში ნაწებს,  
ვით მოურჩენელ ტკივილს  
აჩენდა. ლარნაკს - ვაზას  
ხან ადგა პალმის ჩრდილი  
და იბნეოდა გზა-გზა  
მარგალიტების მძივი.  
ნაპირს ვარცხნიდა ტალღა,  
ცა იყო მძიმე, მძიმე,  
გარბოდა მაღლა-მაღლა  
ის საცალფეხო კიბე.

\* \* \*

ეტლი მიადგა სადგურს. ორთქმავლის  
გაბმულ კივილს  
რელსების ბაგა-ბაგურს  
გულის საშინელ ტკივილს.

გამცილებელი ბრაზობს -  
რად აგვიანებთ, მადამ?  
წასვლას თავისი დრო აქვს  
დარჩენასაც აქვს ვადა.

თქვით, მოდიხართ თუ არა?  
სჯობს, იქნებ დარჩეთ ბარემ.  
მაშინ ამოდით ჩქარა,  
მე უკვე ვკეტავ კარებს.

\* \* \*

დაჰქონდათ ნაგლეჯები იალქნების ქარებს  
ღრუბლების დარად.

მდინარეს ასხამდნენ ოკეანეს.

და ქვას ქვაზე ციხის კედელში ნაღებს  
აფენდნენ საფენს

სანთელს აწვიმდა,.. არ გაიდარა  
ერთიანად,.. ოკეანეს ახლაც აწვიმს.

ყველაფერი,  
მოხდა  
განანებით  
როდესაც იალქნებმა ცა გადაიარეს -

\* \* \*

*ვუძღვნი თამარ ღონღაძეს*

თესლი, რომელიც იმპულსს იძენს გაღვივებისას  
წარღვნას უქადის ცნობიერებას. ელვისებურ გაჭრას  
შეუცნობლისკენ, რადგან წესი აზროვნების ამ

გზას არ  
იცნობს. გაღვივებისას ის კარგავს ფორმას, რომელიც  
იმას არც ჰქონია, რადგან სწორედ დაბადებისას  
სხვა ქარებს გაჰყვავდა და დაივიწყა ის  
რაც იყო. ეს  
ხდება ასე. არა გარედან, არამედ შიდა პროცესებით,  
რომლებიც შემდგომ გარდაქმნილი უწყვეტ სტიქიად  
ნაწილებს შორის მოულოდნელი კონტრასტებით შლიან  
მთელს და ვიდრე რაიმე ითქმებოდეს  
ინცება

სულ სხვა: რალაცაიდან რალაცის შექმნა,..  
უსხეულო ფორმების ფრიალს  
თან ახლავს განცდა სხეულისა, რომელიც  
იყო და იქვე გაქრა, სადაც იშვა  
შობისთანავე წამსვე დაბერდა და გაჩნდა სულ სხვა.  
ამ ცვლილებას ვერც გულს, ვერც თვალს ვერ დაანევ,  
წარმოსახვით აღვიქვამთ მხოლოდ  
მის მოჩვენებას. ვჩერდებით რიცხვზე -  
ვკრებთ, ვაკლებთ, ვყოფთ და ვანგარიშობთ, თუმცა  
ვიციტ

რომ წარმოსახვას ყოველივე თავანწყვეტით კვლავ  
იქით მიაქვს, სად ქარიშხალებს არა აქვთ ბინა.  
და ფუსმენტ დაუშრეტი მათი ნაკადი  
შობს კვლავ არყოფნას.  
ამიტომ ამ დროს მიახლოება არ ნიშნავს  
მისვლას და დუმილი სიყრუეა დიდი ხმაურის,  
რაც ჩვენ არ გვესმის, როგორც ნაწილს არ ესმის  
მთელის. ნუ წარმოვიდგენთ ვარდს ლარნაკში თუნდაც  
იმიტომ

რადგან არ არის და ტკბობას თქვენსას მისი ჭვრეტით  
პალიატივის ფასი აქვს ისე, ვით ბაზარზე  
„ბარახოლკის“ შეფასებას  
რაიმე საგნის, რომლის შესახებ არც  
მყიდველს და არც გამყიდველს წარმოდგენა არ  
გააჩნია,

რადგან გარდაქმნა ჩაკეტილ წრეში  
 აუთვლელი სისწრაფით ხდება და არვინ იცის  
 სად ვართ ამ დროს? წრეში? წრის გარეთ? ან იქნებ  
 სადმე?

რომლის სახელიც უცნობია.  
 თავს ვიტყუებთ, მაშინ რო-  
 დესაც მთქმელიც, სათქმელიც და, რაც ყველაზე  
 მტკივნეულია,  
 ვისაც უნდა რაღაც ვუთხრათ უკვე სხვა არის,  
 ან არ არის და მოძრაობა ქმნის  
 „სიმართლეს“ და ილუ-  
 ზიას მინიერ ალქმის ჩარჩოებში -  
 ცხოვრების ხატს,  
 სადაც უკვე ცდომილება ყველაფრისა დაუთვლელია.  
 თავგზააზნევის ადამიანთა ქმედებისას

მის ჯამურ შედეგს  
 ზღვარი არა აქვს,.. მკვახე ხაპი იხრწნება ხელათ,  
 როგორც კი ლერწი, რომელიც ნაყოფს გამოზმულია  
 ნაადრევად რატომღაც ლპება,  
 მაშინ, ნაყოფი დამპალ ლერწს და  
 გასკდომის ხმა მისი ვარდნისას  
 ფშუკი ნაღმის ჰგავს  
 აფეთქებას და მის მარცვლებს ველარ  
 დაითვლით, რა-  
 დგან არ იცით როდის რა მოხდა,  
 თან პროცესი  
 ამ დინამიკის წრეზეც, მის შიგნით,  
 მით  
 უფრო გარეთ უცნობია და არენაზე ვუხმობთ  
 მასხარას,..

უცხოეთის ცხოვრებიდან

მწერლების უცნაურობანი

უთუოდ, ყველას გასმენიათ მათ შესახებ და ეს საყოველ-  
 თაო ინტერესი ბუნებრივია: ესეც ხომ შემოქმედის სამზარე-  
 ულოს, ცოცხალი პროცესის განუყოფელი ნაწილია. ფრანგუ-  
 ლი ჟურნალი „Lire“-ი უმთავრესად თანამედროვე ფრანგი  
 მწერლების მაგალითზე განიხილავს ამ საკითხს. ვნახოთ, რა  
 შეიცვალა და რა დარჩა უცვლელი XXI საუკუნის ლიტერატუ-  
 რულ ლაბორატორიაში.

გართულებები, ტიკები და მანიები, აკვიატებანი და ფო-  
 ბიები, რიტუალები და მაგიური წარმოდგენები. მწერალიც  
 ისეთივე ადამიანია, როგორც სხვები. ეგაა, წერს – ქალაქ-  
 დზე ან კომპიუტერის დისპლეიზე, რაიმე განსაზღვრულ ად-  
 გილას თუ სადაც მოუხდება, დღისით ან ღამით...

როგორ დავინყოთ? ყველას თავისი ფსიქიკური საყრდენი  
 აქვს. კოლექტი თეთრი ფურცლის შიშს იმით ებრძოდა, რომ  
 მხოლოდ ცისფერ ქალაქზე წერდა. მწერალი ქალი კამილ  
 ლორანსი ყოველთვის ბოლოდან იწყებს და მომავალი წიგნის  
 უკანასკნელ ორ გვერდსა წერს. მაგრამ როგორ განვაგ-  
 რძოთ? როგორ და წერის პროცესის თანმხლები, უცვლელი  
 მექანიზმის ამოქმედებით. არაფერია, თუ ის სრულებით არა  
 ჰგავს რაიმე რიტუალს: საგანგებო მექანიზმის უქონლობა  
 უკვე თვითონ წარმოადგენს მექანიზმს.

მხოლოდ გამოკითხულ მწერალთა მცირე ნაწილი უარ-  
 ყოფს რიტუალის იდეას: მათ შორისაა რეჟის ჟოფრე, რომე-  
 ლიც ამბობს: „განსაკუთრებულ საჭიროებას არაფრისას არ  
 განვიცდი, და თანაც, რიტუალის ქონა აწყობილ ცხოვრებას  
 გულისხმობს. მისი აზრით, მხოლოდ მოვლენათა რომანტი-  
 კული ხედვა გვაფიქრებინებს, რომ მწერლობა ეზოთერული  
 და არა ადამიანური საქმიანობაა. მარი დარიუსეკიც ამ აზრი-  
 საა. მას, როგორც მწერალს, ადრე რამდენიმე პატარ-პატარა  
 მანია აწუხებდა. წერდა დღიით, სიჩუმეში, და მუდამ ერთი და  
 იმავე ავტოკალმით, – დივანზე წამოწოლამ (იგ. ვიზიტი ფსი-  
 ქონალიტიკოსთან) ყოველივე ეს გააქრო. „ანალიზმა შემაძ-

ლებინა, რომ მწერლობა ხელობად გამეხადა. ეს უკვე აღარ  
 არის ნევროტული საქციელი“.\* დღეს მას ყოველგვარი  
 მღელვარების გარეშე შეუძლია თავი დაანებოს წერას. „რო-  
 გორც ეს ფოლკნერმა მოიმოქმედა ორმოცდაშვიდი წლის  
 ასაკში. სრულიად ბუნებრივად, სხვებთან თანაბარ პირობებ-  
 ში მყოფმა“.

და მაინც, პროზაიკოსთა უმრავლესობა აღიარებს ნიშან-  
 დობლივი მექანიზმის, საგანგებო წესრიგის აუცილებლობას.  
 „ამერიკული სასაფლაოს“ ავტორი, ტიერი ჰესსე ამბობს: იმი-  
 სათვის რომ წერო, ჩვეულებრივ ცხოვრებაში უნდა დაანესო  
 დრო, რომელიც ჩვეულებრივისგან განსხვავებული იქნება.  
 თვითონ იგი, ვიდრე წერას დაიწყებდეს, დღის 4 საათზე ხმა-  
 მალლა კითხულობს „ენერგეტიკულ გვერდებს“ (ფოლკნერს,  
 ჰომეროსს ანდა შექსპირს). დომინიკ ფაბრს, ავტორს წიგნისა  
 „მისი ასაკის ქალისთვის“, თავისთან წერა არ შეუძლია, ამი-  
 სათვის მას „ანონიმური ადგილი“ ესაჭიროება. „სახელოსნო,  
 მოახლის საძილე ოთახი, დასასვენებლად წასული თანამ-  
 შრომელი ქალის სახლი“, ყველაფერი, საკუთარი სახლ-კარის  
 გარდა. დიდია საღვეირი კიდევ უკეთ მომთაბარეობს: „ყველ-  
 გან შემოძლია წერა, რაც უფრო შემთხვევითია ეს ადგილი,  
 მით უკეთესად გამომდის“. კბილის ექიმის მოსაცდელშიც კი  
 შეუძლია რამდენიმე სტრიქონის დაწერა. მისი ერთადერთი  
 ბარგი მეხსიერებაა: „მთელი წიგნი თავში მაქვს. ეს რაღაც  
 პორტატული ტექსტის მსგავსია“. ერთადერთი პირობა: „მარ-  
 ტობის განცდა უნდა მქონდეს“-ო.

სამაგიეროდ, ზოგიერთ მის ლიტერატურულ თანამოძმეს  
 სხვის თანდასწრებით წერა ვერცკი წარმოუდგენია. მაგალი-  
 თად, ფილიპ ბესონის უნებართვოდ მის „ბუნაგში“ შესვლის  
 უფლება არავისა აქვს. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მათ  
 შორის, დამლაგებლის, და ისიც ჩხოლოდამხოლოდ ავტო-  
 რის ფიზიკური ზედამხედველობის ქვეშ. „მე მუდამ თან ვახ-  
 ლავარ სტუმარს, დავყვები და თვალს ვადევნებ“, – ამბობს  
 უდარდელი ლიმილით, ვითომც ამ სიტყვების უკან არ იმალე-

\* მაგრამ ასეთი მკურნალობა მთლად უსაფრთხო როდია. ერ-  
 თხელ, რაინერ მარია რილკემ სთხოვა ლუ ანდრეას სალომეს,  
 მისთვის ფსიქონალიზის სეანსი ჩაეტარებინა. ექიმმა უარი  
 უთხრა, შემდეგი მიზეზით: „თუ ანალიზი წარმატებით განხორ-  
 ცილდება, შესაძლოა თქვენ ვეღარ შეძლოთ ლექსების წერა“.  
 აბა წარმოიდინეთ, რომ რომელიმე გამოცდილ ფსიქონალი-  
 ტიკოსს კავჯა ეგ ზისტენციალური შფოთვისგან განეკურნა...

ბოდეს შიში, ცხრაკლიტული არ დამიმსხვრიონო. მისი ხელნაწერებისთვის თვალის გადავლებაც კი სასტიკად აკრძალულია. საშინლად აცოფებს იმის წარმოდგენა, რომ ვიღაცამ შეიძლება ნახოს მისი ნაწლები და ჩასწორებანი, ყოველივე ის, რისი გადაყრაც სურს. შეიძლება ეს მიაწინებდეს გაკონტროლების სურვილზე, ანუ იმაზე, რაც ყოფით ცხოვრებაში არ ძალუძს – „ყოველთვის ყველაფერს ვკარგავ“. ცრურწმენისა და ნაადრევი მშობიარობის შიშით შეპყრობილი, არასოდეს საუბრობს იმ წიგნზე, რომელიც ჯერ არ დაუმთავრებია.\*

თუ ნატალი რეიმსიც დაშინებულია, რომ ნაიკითხვენი მის დიდ, უჯრიან, პერფორირებულ რეჟულს – ამას სხვა ახსნა მოეძებნება. მას თავისი ორთოგრაფიული შეცდომების გამჟღავნებისა ეშინია. „სიმართლე რომ გითხრათ, მეხუთე კლასის მოსწავლის დონე მაქვს“, – ამბობს იგი. შაბათობით ნაწერს საკუთარ გამომცემელს კარნახობს. ეს მექვიდრეობით მიღებული მანიაა. მამამისი, მორის რეიმსი დიქტოფონზე იწერდა თავის პროზას, რომელიც ყოველ დილას გამოცდილი მდივანი ქალის ხელში გადადიოდა. მაგრამ რეიმსების შემთხვევა უნიკალური როდია. თვით ნობელის პრემიის ლაურეატი, გაბრიელ გარსია მარკესი წიგნში „იციზოვრო ამის მოსათხრობად“ გაანდობს მკითხველს, თუ რამდენად დამცირებულად გრძნობდა თავს, როცა შეცდომებით გაძედილი ხელნაწერის ჩაბარება მოუხდა. პოლ ბოულზი უშეცდომო ტექსტის ილუზიას იმით ქმნიდა, რომ თავის მოთხრობებსა და რომანებს მხოლოდ ამერიკულ მოსწავლის (ათასფურცლიან) რეჟულბში წერდა. ისინი დიდი და მოხერხებულია და, რაც მთავარია, ეს რეჟულბები მხოლოდ ამერიკაში, საგანგებო ქალაქისაგან მზადდება, რომელიც ნაწერის ნაშლის საშუალებას იძლევა. ასეთმა მწერალმა იქნებ წერაც შეწყვიტოს, თუ ერთ მშვენიერ დღეს ვეღარ იშოვნის თავის საყვარელ ნასამლელ ქალადს.

ორთოგრაფიულ შეცდომებს კაცი კიდევე აიტანდა... საქმე ისაა, რომ ნატალი რეიმსი ვერ ხედავს, თუმცა და დარწმუნებულია, რომ ლიტერატურაში მომდერალ მილენ ფარმერის მსგავსი სახე შექმნა... „ხალხს ჰგონია, რომ კუბოში ვწევარ და მძინავს“. – ხუმრობს იგი. მართლაც მის ყველა წიგნს – „ჩემს თვალთათვის უხილავი სინათლე“, „სიჩუმის ყვავილები“ ანდა „გარდაცვლილი სატრფოს წერილი“ – სიკვდილთან ბევრი აქვს საერთო. მწერალი ქალი, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ არის პათოლოგიური, წიგნის წერას ჩვეულებრივ გაზაფხულის დადგომასთან ერთად ამთავრებს.

კლერ კასტიონი თავის ხელნაწერს ყოველთვის 20 დეკემბერს გადასცემს გამომცემლობას. სწორედ ამ დღეს, რამდენიმე წლის წინათ, მან გამომცემელს ფოსტით გაუგზავნა პირველი რომანი „სხვენი“, რაც სიმბოლურად შეყვარებულთან მის დაშორებას დაემთხვა. საგულისხმო ამბავია, ჭკუის სასწავლებელი. „ეს ჩემი მარცხი იყო და იმას ნიშნავს, რომ

წერა სამუშაოა და, მაშასადამე, მასთან ხუმრობა არ შეიძლება“ – განმარტავს მომხიბვლელი მწერალი ქალი.

იმ ავტორებისგან განსხვავებით, რომლებიც წელიწადში რამდენიმე წიგნს წერენ და არანაირ საფრთხეს არ გრძნობენ, სებასტიან ჟაპრისოს არაფრით შეეძლო ბოლო წერტილის დასმა, ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „დასასრული“ წლების მანძილზე იცდიდა. მისგან განსხვავებით, სერჟ ჟონკურს ფსიქიკური კი არა, მეტეოროლოგიური მიზეზები აფერხებს. „ანტიციკლონური რეჟიმი კარგად ზემოქმედებს ხელნაწერის გადაცემაზე, ხოლო ცუდი ამინდი ხელს უშლის“. განტოლება მარტივია: როცა კარგი ამინდია, ადამიანები თავს ბედნიერად გრძნობენ და შემწყნარებლნიც არიან. რა არის ეს, ავტორის ახირება? არა, მეტად სარწმუნოა, რომ ეს იყოს მინიშნება მოუსვენარ (მშფოთვარე) ტემპერამენტზე და თავად ხელნაწერისადმი ნდობის დეფიციტი. მაგალითად, ეჭვების ტყვეობაში მყოფი ფილიპ ბესონი გამომცემლისგან მოითხოვს, რომ მან ოცდაათი საათის განმავლობაში აცნობოს თავისი გადაწყვეტილება. როცა ეს ვადა იწურება, თავს განადგურებულად გრძნობს. ზოგიერთი კალმოსანი ისეთი ცრუმორწმუნეა, ბანქოზეც კი მკითხაობს, რათა გაიგოს: მოეწონება კი მისი წიგნი გამომცემელსა და მკითხველს? გამომცემელთან როცა მიდის (მუდამ ფეხით) თითებს გადააჯვარედინებს და სხვ.



ფილიპ ბესონი

ეს ერთი შეხედვით უვნებელი წესჩვეულებანი უმთავრესად მაგიური აზროვნებისგან მომდინარეობს. დოქტორ ფრანკ ლამანიერის განსაზღვრების მიხედვით, ესაა აზროვნების ფორმა, რომელიც, სახელდობო, აკვირდებათა სფეროს ეკუთვნის და შემდეგი მექანიზმით ხასიათდება: „თუ ამას ვფიქრობ, ვაკეთებ ან ვამბობ, კიდეც მოხდება ესა და ეს“. მაგიური წარმოდგენები ნიშნავს ფსიქიკურ რწმენას, რომელიც ხშირად „იძულებით თავს მოხვეულ შიშებთან არის დაკავშირებული (ფრანგულად TOC) ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ისეთი ნერვული დაავადების სიმპტომები, როგორიცაა ყილ დე ლა ტურეტის სინდრომი. ამავე სახელობის ფრანგული ასოციაციის მიხედვით, ანდრე მალრო, რომლის სახეც ელდანაკრავს ჰგავდა, საყვარუდოდ ამ სენით იყო ავად. როგორც უნდა იყოს მათი წარმოშობა, ნაძალადეგ აზრებს შეუძლია მოიცვას სრულიად მოულოდნელი სფერო. მათემატიკური „გართულება“ ემილ ზოლას აიძულებდა, ქუჩაში განუწყვეტილვ ეთავლა გაზის ლამპიონები და კარებისა და ეტლების ნომრები ერთმანეთზე გაემრავლებინა. დიდი ხნის მანძილზე სამის ჯერადი რიცხვები ილბლიანად მიაჩნდა, შემდეგ ისინი შეიძინა ჯერადებმა შეცვალა. ასევე გაუცნობიერებელი იყო ფრენსის ბეკონის ქცევა, როცა მთვარის ყოველი დაბნელებისას გული მისდიოდა. ზემოხსენებულ სინდრომს უნდა მივანეროთ ერასმის ცხელება ნებისმიერი თევზის დანახვისას; შეკრთობისა და ზიზლის ნახავი, რომელსაც ალფრედ მიუსე გველთევზის მიმართ გრძნობდა; და კიდევე პიერ დე კორნელის უცნაური ჩვეულება, როდესაც ეს უკანასკნელი უხეში შალის ქსოვილის გადასაფარებლებში გახვეული, გალულუნებული ოთახის იატაკზე გორავდა, რათა გაოფლილიყო და, ამგვარად, უგუნებობისგან თავდაღწეული ინყებდა წერას.

\* მეორე უკიდურესობა – ფრედერიკ ფაჟარდის, ორი შვილის მამას, სურს, წერისას არ მოწყდეს ყოველდღიურობას, ამიტომ მისი კაბინეტის კარი მუდამ ღიაა და არავის ეკრძალება იქ შესვლა.



ზოგიერთ მწერალს თავისი უცნაურობანი საკმაოდ ძვირად უჯდება. მაგალითად, მარო ვარგას ლიოსა (ისევე, როგორც მისი ნაწარმოების გმირი), თვითმფრინავის შიშით იტანჯებოდა, რაც იმით დაძლია, რომ ფრენისას ლიტერატურული შედეგების კითხვა დაიწყო. ხოლო სერუ ჟონკურს არც ალკოჰოლი უშველა, არც დამამშვიდებელმა აბებმა, რამდენჯერმე ზედ თვითმფრინავში ჩასხდომამდე გადაიფიქრა ფრენა! ეს შიში ნაწილობრივ იმასაც უკავშირდება, რომ მას ძალიან უჭირს დიდხანს სადმე ჯდომა, თვით კბილის ექიმთან და დალაქთანაც კი. ამას აგორაფობიაც ემატება, რომელიც მწერლის სიტყვებით, მის მიერვე შექმნილი მექანიზმია (ზოგი ჩირი მარგებელიაო, ნათქვამია) და თუ იგი თავს არიდებს ხალხმრავლობას და მეტროში მგზავრობას, სამაგიეროდ იძულებულია სახლში იჯდეს და წეროს. მეორე მწერალი, პიერ მერო ბროს დანახვისას პანიკაში ვარდება. ამიტომ ხალხის თვალთაგან შორს, საკუთარ კაბინეტშია გამოკეტილი, „საშინელ ბორდელში“, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, „კოტრილობს, ვით ღორი ტლაპოში“.

ფსიქიატრი კრისტოფ ანდრე: „ეს ზემგრძობელობის თანმხლები პათოლოგიებია. წერის ფაქტი ერთდროულად მარცხი და წარმატებაა. მარცხი იმიტომ, რომ მოქმედებით გამოიხატება, წარმატება იმიტომ, რომ მიღწეულია კომპრომისი, რაც ნიშნავს, რომ საქმე არც ისე ცუდაა“.

ზოგიერთი მწერალი საკუთარი ზემგრძობელობის მსხვერპლი ხდება. გავიხსენოთ ჟორის-კარლ ჰუისმანსი, „სუნ(ებ)ის კოლექციონერი“, რომელმაც თავის პერსონაჟებსაც გადასცა ავადმყოფობითა და ჭუჭყით გამოწვეული შიში. მწერალი იძულებული იყო სიცოცხლის ბოლო წლებში კარჩაკეტილი და განმარტოებული ცხოვრება აერჩია. ისევე, როგორც რაიმონდ რუსელი, „აფრიკული შთაბეჭდილებების“ ავტორი, სიურრეალისტების მეგობარი, რომელიც საუზმეს, სადილს, სამხარსა და ვახშამს ყოველთვის მარტო და... ერთმანეთის მიყოლებით შეექცეოდა... ხუთი საათის განმავლობაში. რა არის, რომ წერა არ შეეწყვიტა?

მწერლობის რიტუალიზაცია, მწერლის ახირებანი უდაოდ მიუთითებს ფსიქიკური სარჩულის არსებობაზე. „რიტუალთა რაოდენობა ყოყმანის ზრდასთან ერთად მატულობს“ – განმარტავს ფსიქიატრი კრისტოფ ანდრე. ეჭვი, რომელიც ხშირად შექმნის აქტისგან განუყრელია, სხვადასხვაგვარად ვლინდება: შინაგანი სამყაროს მოწესრიგების სურვილიდან მოყოლებული, ყველაზე უფრო შლეგურ ექსტრავაგანტურობამდე: პარიზში მოსიერნე ნერვალის თან დაატარებდა ცისფერ სარტყელზე გამობმულ ცოცხალ კობორჩხალას!

ენახოთ, როგორია ამ შინაგანი წესრიგის გარეგნული გამოვლინებანი. ვიდრე ახალი წიგნის წერას მიჰყოფდეს ხელს, კატრინ კუსე თავისი ბინის ყოველ კუთხე-კუნჭულს მანიაკალური თავგამოდებით ასუფთავებს. მხატვარ-გრაფიკოსი და იაპონური ტრილერების ავტორი რომენ სლოკომბი წერის დაწყებამდე, ჟორჟ სიმენონის მსგავსად, ფართე და კომფორტულ ტანსაცმელს იცვამს. მარგარიტ დიურასისა და ან-

დრე პიერი დე მადიაგრესის ბიოგრაფიების ავტორი, კათოლიკე მწერალი ალენ ვირკონდელე, როგორც თავად ამბობს, წერის პროცესის რიტუალიზაციას კი არა, საკრალიზაციას ეწევა. მისი შთაგონების წყაროებია: ღმერთი და ბავშვობის-დროინდელი, დაკარგული ალჟირი. არაბულ, ირანულსა და კაბილურ მუსიკას იგი სხვა სამყაროში გადაჰყავს, უხილავი სფეროსავით გარშემოერტყმის. წერის დროს, ალენ ვირკონდელე კიდევ უფრო მეტი მონდომებით მარცვლავს კრიალოსანს, რომელიც ამ ათიოდე წლის წინ რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ აჩუქა. „ამ დროს ვგრძნობ, რომ ღმერთის ხელთ ვიმყოფები“ – ამბობს იგი.



ალენ ვირკონდელე

ახალგაზრდა მწერალი დენი რობერტი მუშაობის დროს მეგობრების: ცნობილი მხატვრების, მწერლების, ფილოსოფოსების და სხვათა ნაჩუქარი ნივთებითაა გარშემორტყმული, როგორც ჯადო-თილისმებით. სამაგიეროდ, ვირჟინი ბრაკი სანამ საწერ მაციდან მიუჯდებოდა, ჯერ საგულდაგულოდ ალაგებს და აპრიალებს. არც ერთი ზედმეტი ნივთი! მეტი სიბრტყე! იგი უარს ამბობს აგრეთვე კართან ზურგშეკცევით ჯდომაზე.

ამგვარად, ყველას საკუთარი რეცეპტი აქვს, როგორც ბალზაკი ამბობდა: რალა ადამიანის ტვინი და რალა ოპერაო.

### ჯანსაღი ცხოვრების წესი

ყველაფერი მოდაა. თუ ორიოდ ათეული წლის წინათ ალკოჰოლიკი მწერალი არავის ეხამუშებოდა, ახლა ეს თითქმის საძრახისია. თუმცა ჯერ კიდევ სადღაც დადიან „დაბოლილი“ თუ შემთვრალი მუზათმპყრობელნი, თანამედროვე პროზაიკოსის ზოგადმა პორტრეტმა უკვე შეისისხლბორცა სამაგალითო სპორტსმენის ნაკვთები. ფრანგულ ლიტერატურაში დიდი უმრავლესობა სწორედ ჩაის, ყავისა და ჩვეულებრივი წყლის მსმელია.

მწერალთა რაციონს რაც შეეხება, რომენ სლოკომბი მკაცრი საკვები რეჟიმის მომხრეა: შვრიის ფაფითა და მარცვლეულით საუზმობს, რაც საღამომდე მხნედ ამყოფებს. ხოლო რათა საჭმლის მონელებამ შედეგის შექმნაში ხელი არ შეუშალოს, პიტნის, როზმარინისა და შავ მოცვზე დამზადებულ ნაყენებს სვამს, რომლებიც ძალ-ღონეს მატებს და ორგანიზმს მავნე ნივთიერებათაგან წმენდს.

დანიელ ბულანჟეს საკუთარი ჩვეულება აქვს: „ყოველ დილას ვჭამ ვაშლს, ვკითხულობ ლექსს და ვცვამ ერთ ჭიქა წყალს. ეს ჩემი მედიცინაა, ჩემი მკურნალობა“. მისი ერთადერთი ნაკლი სიგარაა.

დენი რობერტიც ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს. „ადრე წერის დროს ვისკის ვსვამდი ხოლმე. გულახდილად რომ გითხრათ, მიმე რამ იყო“. ახლა კი წყალს ეტანება და როგორც თანამედროვე მწერალს შეეფერება, სპორტულად ჩაცმული შთაგონების საძებნელად არხს მიაშურებს, რათა იმოგზაუროს და გონებაში, ნება-ნება შეთხზას კიდევ. წყალსა სვამს და თვალსაც წყალს ალევინებს!

კრისტოფ დონერი ჰიმალაის მწვანე ჩაის დიდი მოტრფი-  
ალება. „ნარკოტიკები და ალკოჰოლური სასმელები ჩემს მიერ  
გამოგონილი სამყაროს ნაწილია, მაგრამ თავად არა ვარ მათი  
მომხმარებელი. ამ დროს შეუძლებელია გამართულად წერა“.

ფრედერიკ ფაჟალიდი საკუთარ თავს მწერლობის სამუ-  
რაის უწოდებს. წყალს დავლევ და არა ღვინოს – ამბობს ცნო-  
ბილი ქართული სიმღერის სანინაალმდეგოდ – ალკოჰოლსა  
და ნარკოტიკს მწერლობის მეგზურად არ ავირჩევ, რადგან  
ბევრი მინახავს, ვინც ამას საკუთარი ჯანმრთელობა და წე-  
რის სტილი შესწირაო. ალბათ, ღირს ამაზე დაფიქრება...

პიერ პელომ თამბაქოს მოწვევას დილაობით ტყეში (1-2 სა-  
ათით) სეირნობა ამჯობნა. ჟან-მარკ პარისის: „სინამდვი-  
ლეში მაშინ ვწერ, როცა შხაპს ვიღებ – მონაცვლეობით მდუ-  
ლარესა და ყინულოვანს, შემდეგ – როცა ვვარჯიშობ და მუ-  
სიკას ვუსმენ“.

რამონ ჩაო, წარსულში ცნობილი პიანისტი და მომღერალ  
მანუ ჩაოს მამა, წერის დაწყებამდე სამ სიმბოლურ და რიტუ-  
ალურ ფაზას გადის: ნახევარი საათის მანძილზე უკრავს პია-  
ნინოზე, 15 წუთს უთმობს „დონ კიხოტის“ კითხვას და ბო-  
ლოს 2-3 ვაშლს დებს სანერ მაგიდასთან ახლოს, რათა იგ-

რძნოს მათი სურნელი, ხელით შეეხოს და ასე დაუბრუნდეს  
თავის ბავშვობას.

თუმცა უკვე თითქმის ყველა მწერალი კომპიუტერით  
სარგებლობს, ცალკეულ შენიშვნებს, ჩანაწერებსა თუ მონა-  
ხაზებს ისინი მაინც უბის ნიგნაკებსა და ბლოკნოტებს ანდო-  
ბენ; კატრინ ბერნფელდი კი პირდაპირ მეტროს ტალონებზე  
წერს: „პრობლემა ისაა, რომ ხშირად შეუძლებელია მათი გა-  
შიფვრა“ – აღიარებს იგი.

ახლა, XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, თავმომწონე აკადემი-  
კოსი, გონკურის პრემიის მფლობელი დანიელ ბულანჟე  
კვლავ თავის პატარა, მოსწავლის სანერ მაგიდას მიუჯდება  
ხოლმე, რომლის ზედაპირიც წლების მანძილზე წერით გაიც-  
ვითა...

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ხელოვანს საბო-  
ლოოდ დასჩემდება ხოლმე სხვადასხვა უცნაურობანი. ალ-  
ბათ სწორედ ესაა მათი სტილის გარეგანი ხიზლი.

მომზადა

ალინა ქაღაგიშვილი-ოქროპირიძე

# ტყვია ვაშინებთონშიც დაბენავა

პრესა აუწყებდა მკითხველს, რომ ნიუ-იორკში იმყოფებო-  
და საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ყოფილი გენერალი, ერთ-  
ერთი ხელმძღვანელი კრემლის მიერ დასავლეთ ევროპაში  
გაბმული ჯაშუშური ქსელისა.

სინამდვილეში კრივიციკი გაქცევისას ითვლებოდა „ენკა-  
ვედეს“ რეზიდენტად ჰოლანდიაში და მაინცდამაინც მაღალი  
წოდება არც ჰქონდა. იგი ერთგვარად შეაცბუნა იმ ფაქტმა,  
რომ გენერლად მოიხსენიებდნენ, მაგრამ მისი გამომცემლის  
თვალსაზრისით, ამას მოითხოვდა რეკლამა. სურდათ, რაც  
შეიძლება მეტი მკითხველი მიეზიდათ კრივიციკის შემოქმედე-  
ბის გასაცნობად.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი გაჩაღდა, მაშინლა მიაქ-  
ციეს ყურადღება კრივიციკის. მიიწვიეს ანტიამერიკული საქ-  
მიანობის გამომძიებელ კომისიაში.

მისი მოსმენა გრძელდებოდა მთელი დღე, ეს იყო და ეს.  
მისი ჩვენებანი არც კი გადაუციათ გამოძიებათა ფედერალუ-  
რი ბიუროსათვის, რათა შეერთებული შტატების ტერიტორი-  
აზე მოქმედი საბჭოთა აგენტები აღრიცხულიყვნენ.

მაგრამ კრივიციკის ინფორმაციით დაინტერესდნენ ოკეა-  
ნის გაღმა, სახელდობრ – ინგლისში.

ერთხელ კრივიციკი ესაუბრებოდა თავის ლიტერატურულ  
კონსულტანტს – ცნობილ პუბლიცისტსა და სოვეტოლოგს  
ისააკ ლევიანს.

ამ საუბრისას კრივიციკიმ, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ  
ბრიტანეთის მთავრობის წმინდათაწმიდა ნიაღში შეპარული

იყო ორი საბჭოთა აგენტი. ერთი მათგანი, გვარად კინგი, მუ-  
შაობდა როგორც „მინისტრთა კაბინეტის კლერკ-მშიფრავი“,  
მეორის გვარი კრივიციკის აღარ ახსოვდა. იგი მუშაობდა რა-  
ლაც „იმპერიის თავდაცვის საბჭოს“ მსგავს დაწესებულებაში.

ლევიანმა ეს ინფორმაცია აცნობა ბრიტანეთის ელჩს ვა-  
შინგტონში – ლორდ ლოტიანს.

გარკვეული ხნის შემდეგ ლევიანს დაურეკეს ბრიტანეთის  
საელჩოდან და აუწყეს, რომ ლონდონიდან მოვიდა დაშიფრუ-  
ლი ცნობა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საშიფრო განყოფილე-  
ბის კლერკი, გვარად კინგი, მართლაც საბჭოთა აგენტი გა-  
მოვდა,

ლონდონში აინტერესებდათ, ხომ არ დათანხმდებოდა  
კრივიციკი ბრიტანეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლო-  
ბას სხვა საბჭოთა ჯაშუშების გამოსამჟღავნებლად, რომლე-  
ბიც მოქმედებდნენ ინგლისში?

მიწვევა რომ მიიღო, კრივიციკი, ცოტა არ იყოს, დაფრთხა.  
არა, გერმანელთა წყაქვეშა ნაგები როდი ამინებდა. საშიშად  
ერგებოდა ის გარემოება, რომ საბჭოთა აგენტები ინგლისში  
გაცილებით ლაღად გრძნობდნენ თავს და იოლად შეეძლოთ  
კრივიციკის „გასაღება“.

უსაფრთხოების მტკიცე გარანტია მისცეს და 1940 წლის  
19 იანვარს კრივიციკი ჩავიდა ლონდონში.

იგი შეხვდა დაზვერვის გამოცდილ სპეციალისტებს, რომ-  
ლებიც ფართო პროფესიული ცოდნის გარდა გამოირჩეოდნენ  
ადამიანთა ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ვაგებობით. მათ  
სწრაფად მოიხვეჭეს ნდობა კრივიციკისა, რომელიც სკოლის  
თავმდებალ მასწავლებელს უფრო ჰგავდა, ვიდრე თვალსაჩინო  
საბჭოთა ჯაშუშს.

კრივიციკიმ დაასახელა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა  
ქვეყნებში მოქმედი ასამდე საბჭოთა აგენტი. მათი მესამედი  
ბინადრობდა ბრიტანეთის ტერიტორიაზე. მერე ამოიცნო  
ოცამდე ე.წ. ოპერატიული მუშაკი, ასევე ბრიტანეთის ტერი-  
ტორიაზე რომ მოქმედებდნენ.

ინგლისელი მკვლევარი გორდონ ბრუკ-შეპერდი სვამს  
კითხვას: კრივიციკის მხილებათა შედეგად დაეცა თუ არა ეჭ-  
ვის ჩრდილი იმ სამ ინგლისელ არისტოკრატს, უკვე იმხანად  
კრემლის სუპერჯაშუშები რომ იყვნენ? (იგულისხმებიან ე.წ.

„კემბრიჯის ხუთეულის“ წევრები: კიმ ფილბი, დონალდ მაკლინი და გაი ბიორჯესი).

თვითონვე პასუხობს ამ კითხვას და წერს, რომ კრივიციკის არც ერთი მათგანი არ დაუსახელებია. მკვლევარის აზრით, მათი მუშაობა ისე საგულდაგულოდ იყო დაცული სახელმწიფო საიდუმლოებით, რომ „ენკავედეს“ წამყვან რეჟიდენტსაც კი არ ძალუძდა მათი კვალის მიგნება.

ბრუკ-შეპერდი დასძენს, რომ კრივიციკიმ, თავისდაუნებურად, მაინც მიაწინა ერთ-ერთ მათგანზე. ეს იყო დონალდ მაკლინი, რომელიც „ფორინ ოფისში“ მსახურობდა.

როდესაც კრივიციკის უჩვენეს იმპერიის თავდაცვის კომიტეტის საიდუმლო დოკუმენტთა ასლები და ჰკითხეს, რომელი მათგანი იყო ცნობილი მისთვის საბჭოთა დაზვერვაში მუშაობის დროიდან, კრივიციკი მიუთითა რამდენიმე დოკუმენტზე, რომელთა წაკითხვა მოუწია მოსკოვში – ფოტოასლების სახით, საბჭოთა აგენტებს რომ გადაეღოთ ლონდონში. ყველა შემთხვევაში საქმე ეხებოდა დოკუმენტებს, რომლებიც ვრცელდებოდა „ფორინ ოფისის“ ფარგლებში.

დონალდ მაკლინის „გამოთვლა“ არ იქნებოდა რთული, მაგრამ საბჭოთა მზვერავი გადარჩა.

ბედის ირონია კი ის იყო, რომ სწორედ მაკლინმა, რომელიც გაუსხლტა მხედველობიდან კონტრდაზვერვას, აცნობა მოსკოვს კრივიციკის მხილებათა შესახებ. მართალია ყოფილი საბჭოთა მზვერავის ჩვენებანი ღრმად იყო გასაიდუმლოებული, მაგრამ „ფორინ ოფისის“ საიდუმლო ანგარიშის ეგზემპლარი ხელთ ჩაუვარდა მაკლინს.

ბრუკ-შეპერდი წერს: „1940 წლის იანვარში ლონდონში წარდგენილ მხილებათა წყალობით კრივიციკი საკუთარ თავს, ფაქტიურად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“.

დაახ, თავისთავად საბჭოეთიდან გაქცეული ჩეკისტი სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მაგრამ რაც კრივიციკი ჩაიდინა – ეს უკვე აღემატებოდა გაქცევასაც და შტატებში გამოქვეყნებულ წიგნსაც. ინგლისში მოქმედი საბჭოთა აგენტების ცაცემას, რასაკვირველია, უფრო მძიმე დანაშაულად ჩათვლიდნენ, ვიდრე სტალინისა და მისი რეჟიმის განქიქებას. სტალინსა და მის რეჟიმს მებოტბენი არ აკლდა საზღვარგარეთ და კრივიციკის ერთი წიგნი ვერ გადაწონიდა მათ გარჯას. სამაგიეროდ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტულ მზვერავთა „ჩაფარდა“ გაცილებით მტკივნეულ დარტყმას წარმოადგენდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. კრივიციკი, ცხადია, ხვდებოდა ამას, მაგრამ ბანქოს მოთამაშესავით არაფრად აღარ ავდებდა რეალობას. ერთხელ შეტოპა, თითქოს გაუმართლა და სიფრთხილე დაკარგა. შეერთებულ შტატებში უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, როგორც სამოთხეში. სჯეროდა – ტყვიამერიკაში ვერ დამენევაო.

**არ დაიჯაროთ!**

დაენია...

1941 წლის 10 თებერვალს, ორშაბათ დღეს, ვაშინგტონის უბრალო ოტელის „ბელვიუს“ მოახლე ტელმა ჯეკსონი მიადგა 532-ე ოთახის კარს მეხუთე სართულზე, როცა საათი უჩვენებდა დილის ათის ნახევარს. კარს მიღმა ჩამიჩუმი არ ისმოდა. კაკუნზე პასუხი არავის გაუცია. კარი შეინიდან იყო ჩაკეტილი და მოახლემ თავისი სამომსახურო გასაღებით გააღო.

როგორც კი შეავლო თვალი ოთახს, მყისვე უკან გამოვარდა და სირბილით გაჰყვა ტალახს, თან ყვიროდა: მიშველეთო... მამაკაცი, რომელიც დაბინავდა 532-ე ნომერში, ახლა სანოლზე იწვა და სისხლის გუბებში ცურავდა. მის გვერდით პისტოლეთი ეგდო.

ნახევარი საათის შემდეგ პოლიციამ დაადგინა, რომ მოკლული პირველად გამოჩნდა „ბელვიუს“ ოტელში წინა დღეს, დაახლოებით საღამოს ექვს საათზე და დაიქირავა ნომერი ვალტერ პორეფის სახელით. პირადობის მონიშვნა საშუალო გინზბერგის სახელზე ჰქონდა.

იმავე დღეს პოლიციის სამმართველოში დარეკა ადვოკატმა ლუის ვალდმანმა და განაცხადა, რომ საშუალო გინზბერგს სინამდვილეში ჰქვია ვალტერ კრივიციკი და იგი ყოფილი საბჭოთა აგენტია, ვისმა ვლადიმერმა და კონგრესის კომისიის წინაშე გამოვლენა თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ვალდმანი აფრთხილებდა პოლიციას, რომ არ დაეჩქარებინათ საქმის დახურვა იმ ვარაუდით, რომ ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას. ადვოკატი დარწმუნებული იყო, რომ კრივიციკი დაიღუპა იმავე მიზეზით, როგორც ტროცკი (ისიც მისი კლიენტი იყო) – ე.ი. ეს იყო საბჭოთა აგენტურის მიერ განხორციელებული აქტი შურისძიებისა.

ბრუკ-შეპერდის სიტყვით, როგორც ხდება ხოლმე კლასიკურ დეტექტივებში, ორივე ვერსია – მკვლელობაც და თვითმკვლელობაც – თითქოსდა მტკიცდებოდა სარწმუნო საბუთებით.

იმ სურათის საფუძველზე, რაც თვალწინ გადაეშალა ოთახში შესვლისას, პოლიციის ინსპექტორმა ბერნარდ ტომპსონმა დაასკვნა, რომ მომხდარა თვითმკვლელობა. ოთახში არ შეიმჩნეოდა მუხრძოლების კვალი, ნივთები არ იყო უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილი. კრივიციკი იწვა დალაგებულ სანოლზე მთლიანად ჩაცმული (მხოლოდ ფეხთა გაცხადა). პისტოლეთი ეგდო გვერდით, მოკლულის ხელში არ ჩაებლუჯათ, როგორც ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე, როდესაც თვითმკვლელობის იმიტაცია სწადიათ. ერთი უცნაური გარემოება არღვევდა საერთო შთაბეჭდილებას – პისტოლეტზე თითების ანაბეჭდის არავითარი კვალი არ შეინიშნებოდა. ასე ახსნეს: კვალი სისხლმა ჩამორეცხაო.

პისტოლეთი იყო 38-ე კალიბრისა, სავაზნე კოლოფში აღმოჩნდა მთელი მჭიდვე ერთი ვაზნის გამოკლებით – მამასადაამე, მხოლოდ ერთხელ ისროლესო. ტყვიამ შეაღწია კრივიციკის მარჯვენა საფეთქელში. ჭრილობის იერი არ ტოვებდა ეჭვის ნატამალს, რომ ისროლეს მიბჯენით. ნაპოვნი იქნა გამოსასვლელი ჩხრელიც. მაგრამ ტყვიას ვერსად წააწყდნენ. როგორც ჩანს, იგი შეიჭრა კედელში და მისი კვალის მიგნება ვეღარ მოხერხდა.

ინსპექტორ ტომპსონის აზრით, თვითმკვლელობის გადაწყვეტ დასაბუთებას წარმოადგენდა სამი გამოსათხოვარი ბარათი, ოთახში რომ იპოვეს. გამოიძახეს ექსპერტი-გრაფოლოგი. მან დაადასტურა, რომ სამივე ბარათი, უეჭველია, ერთი და იმავე პიროვნების მიერ იყო დანერილი, ვისი საკუთარი ხელწერაც აღბეჭდილი იყო ოტელის სარეგისტრაციო წიგნში.

ყველაზე ვრცელ ბარათში, რუსულად რომ დაენერა, კრივიციკი მიმართავდა თავის ცოლსა და შვიდი წლის ვაჟიშვილს: „ძვირფასო ტანია და ალიკ!“

ძალიან მძიმე დღეში ვარ. ძალიან მწყურია სიცოცხლე, მაგრამ ეს შეუძლებელია. ჩემო ერთადერთო, მე თქვენ მიყვარხართ. მიჭირს წერა, მაგრამ იფიქრეთ ჩემზეც და თქვენ მიხედვით, რაც უნდა დაგმართო თავს. ტანია, ამჟამად ნუ ეტყვი ალიკს, თუ რა შეემთხვა მამამისი. მისთვის ასე აჯობებს. ვიმედოვნებ, როდესაც დრო დადგება, სიმართლეს გაუმხელ...  
მამაპატიე, მიმძიმს წერა. გაუფრთხილდი ბიჭს, კარგად გაზარდე. იცხოვრეთ მეგობრულად, ნუ იჩხუბებთ... კეთილი აღამიანები დახმარებას გაგიწევენ – ოლონდ მტრები არა! ჩემი ბრალი ძალზე დიდია. გეხვევით ორივეს. თქვენი ვალა“.

ქვევით იყო მინანერი:

„ეს გუშინ დავწერე დობერტოა ფერმაში. ნიუ-იორკში ძალა არ მქონდა სანერად. ვაშინგტონში არავითარი საქმე არა მქონია. დობერტთან ჩავედი, რადგანაც სხვაგან ვერსად ვერ მოვახერხე იარაღის შოვნა“.

მეორე ბარათი კრივიციკის ადვოკატის სახელზე იყო დაწერილი ინგლისურად:

„ძვირფასო მისტერ ვალდმან! ჩემს ცოლსა და შვილს თქვენი დახმარება დასჭირდება. გეთაყვა, ყველაფერი ილონეთ მათთვის, რაც კი შეგიძლიათ. თქვენი ვალტერ კრივიციკი“.

ამ ბარათის პოსტსკრიპტუმი ასე გამოიყურებოდა:

„ვირჯინიაში ვიყავი, რადგანაც ვიცოდი, რომ იქ შევძლებდი პისტოლეტის შოვნას. თუკი ჩემს მეგობრებს უსიამოვნება შეემთხვათ, გეთაყვა, დაეხმარეთ. ისინი კარგი ადამიანები არიან. მათ არ იციან, რისთვის მჭირდება პისტოლეტი“.

მესამე ბარათი დაწერილი იყო გერმანულად სუზანას სახელზე:

„ძვირფასო სუზანა! ვფიქრობ, რომ შენ ყველაფერი წესრიგში გაქვს. ვკვდები და ვიმედოვნებ, რომ შენ დაეხმარები ტანიას და ჩემს საბრალო ბიჭუნას. შენ ერთგული მეგობრობა იცოდი. შენი ვალტერი“ (დადგენილია, რომ იგულისხმება სუზანა ლაფოლეთი, ლიბერალური მწერალი ვისკონსინის შტატის წარჩინებული ოჯახიდან, რუსული წარმოშობის ამერიკელი ანტიკომუნისტი. იგი მეგობრობდა კრივიციკსთან).

ვირჯინიელი ფერმის მფლობელი იზოვეს და დაკითხეს. ეს იყო ეიტელ ვოლფ დობერტი, წარსულში რაისხვერის ოფიცერი, გამოქცეული ნაცისტური გერმანიიდან შეერთებულ შტატებში.

მისმა მეუღლემ მარგარიტამ განაცხადა, რომ

შაბათს დილით იგი გაჰყვა კრივიციკის შარლოტსვილში და ესწრებოდა პისტოლეტის ყიდვას იარაღის მაღაზიაში. კრივიციკი უთხრა მარგარიტას, პისტოლეტი თავდაცვისთვის მჭირდებაო. იგი სავსებით მშვიდად გამოიყურებოდა და კარგ გუნებაზე იყო. მარგარიტამ დაუჯერა, მაგრამ გაუგებრობად მოეჩვენა, თუ რატომ უნდა ჩახვიდე პისტოლეტის შესაძენად ნიუ-იორკიდან შარლოტსვილში, როდესაც მისი შეძენა შეიძლება ნებისმიერ ქალაქში და, ცხადია, ნიუ-იორკშიც.

პოლიცია ჩქარობდა საქმის დახურვას და დაჟინებით ებლაუჭებოდა თვითმკვლელობის ვერსიას, მაგრამ არც ადვოკატ ვალდმანს, არც კრივიციკის ოჯახსა და მეგობრებს არა სჯეროდათ მისი ნებაყოფლობითი წასვლა ამქვეყნიდან.

ისინი ამ საქმეში „ენკავედეს“ ხელს ხედავდნენ.

აი, რას ფიქრობდნენ ისინი:

ჩაკეტულ კარს არ ძალუძს შეაჩეროს წინასწარ დაგეგმილი მკვლელობის შემსრულებელი, თუკი მათ მოეპოვებათ განუსაზღვრელი ფულადი სახსრები.

პროფესიონალი მკვლელები, თავისი მსხვერპლის თვითმკვლელობის მოჩვენებითი სურათი რომ შექმნან, რასაკვირველია, ტოვებენ ოთახს იმ მდგომარეობაში, როგორც დახვდათ, და სპობენ განუღიწილ ნინაალმდეგობის ყოველგვარ კვალს. ამასთან ერთად, ისინი არ იყენებენ იაფფასიან ფანდს – მოკლულის ხელში პისტოლეტის ჩადებას.

მაგრამ კრივიციკის გამოსახოვარ ბარათებს რას უშვრები?

აქაც მოიძებნა ვარაუდი: იმ უწყების განკარგულებაში, სადაც იგი დიდხანს მსახურობდა, უსათუოდ დარჩებოდა ქალაქები, რომლებიც დაუნერია სხვადასხვა ენებზე. მისი ხელწერის ნიმუშები ხელთ ექნებოდათ. მოსკოვში „ენკავედეს“ ემსახურებოდა ყველა ჯურის უაღრესად დახელოვნებულ ფალსიფიკატორთა ჯგუფი. მათ არაერთხელ მოახერხეს გაეცურებინათ მსოფლიო კლასის ექსპერტები და აბა აქ რა მოსატანია ვაშინგტონის პოლიციის სამმართველოს რიგითი გრაფოლოგი!

ბარათების ტექსტიც აეჭვებდა კრივიციკის გულშემატიკვართ.

„იარაღის შოვნას“ ეთმობოდა ისეთი ყურადღება, როგორც არაფერი იმსახურებს შეერთებულ შტატებში.

თვითმკვლელობის ვერსიას ეწინააღმდეგება ის გარემოებაც, რომ კრივიციკის არავითარი გამონათქვამი ან საქციელი არავის აძლევდა საბაბს, რომ ჩათვალათ იგი პოტენციურ თვითმკვლელად. როდესაც ნიუ-იორკიდან შარლოტსვილში მიემგზავრებოდა, ეს იყო სრულიად ჯანსაღი ადამიანი. მისი პირადი ცხოვრება სასიკეთოდ გამოიყურებოდა. ის არ განიცდიდა მატერიალურ გაჭირვებას. თავისი ოჯახისათვის გეგმავდა შემდგომ ცვლილებებს უკეთესისკენ. სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე თავის ადვოკატთან განიხილავდა ფერმის შეძენის გეგმას. ფიქრობდა სამუდამოდ დამკვიდრებას სოფლად.

ადვოკატის მიერ გადმოცემული ეს ეპიზოდი გვიხატავს ფიზიკურ-სულიერი ენერჯით აღსავსე ადამიანს და არა – გატანჯულ სულს, რომელსაც აეკვიატა ფიქრი თვითმკვლელობაზე.

ჯერ კიდევ შეერთებულ შტატებში ჩასვლამდე კრივიციკი წერდა: „მე ვიცი – ამის მონმონი მაქვს – რომ ჩემი სიცოცხლე უკვე შეფასებულია. ვიცი, რომ ეყოფი და მისი დამქაშები არაფერს მოერადებინან, ოღონდ კი მომკლან და გამაჩუმონ; მე ვიცი, რომ ათეულობით ვაჟბატონები ეყოვისა, ყველაფრისათვის მზად რომ არიან, ჩემს კვალდაკვალ დაძრნიან ამ მიზნის შესასრულებლად“.

1941 წელს ეყოფი უკვე აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. „ენკავედე“ ჩვეულებრივად განაგრძობდა თავის საქმიანობას. მას სათავეში ჩაუდგა ლავრენტი ბერია – გაცილებით გამოცდილი და ეფექტური სპეციალისტი. 1940 წლის აგვისტოში უეყოვოდაც მოახერხეს, იმქვეყნად გაესტუმრებინათ მექსიკაში გადახვენილი ტროცკი.

კრივიციკი დარწმუნებული იყო, რომ მას მალე გაუსწორებდნენ ანგარიშს. რა იყო ეს – გაზვიადებული შიში თუ რაციონალური ანალიზიდან აღმოცენებული წინათგრძნობა?

თავისი ერთი მეგობრისათვის უთქვამს: „ყველაფრის შემდეგ, რაც მე გავაკეთე ინგლისისა და შეერთებული შტატებისათვის, მოსკოვი განიცდის ჩემთან ანგარიშსწორების აუცილებლობას“.

სიკვდილამდე რაღაც ერთი თვით ადრე კრივიციკი შეაშფოთა ცნობამ, რომ ნიუ-იორკში გამოჩნდა ერთი განსაკუთ-



რები სახიფათო მკვლელი კომინტერნიდან (მეგობრებთან საუბარში კრივიცი ასხენებდა მხოლოდ მის სახელს, ანდა მეტსახელს, ჰანსი ჰევია).

სწორედ იმ დღეს, 10 თებერვალს, კრივიცი მინვეული იყო ნიუ-იორკის შტატის ადმინისტრაციის მიერ, რათა მიეცა ჩვენებანი საბჭოთა აგენტთა დანერგვაზე შეერთებულ შტატებში.

გარდა ამისა, 1941 წლის დამდეგს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ითხოვა ვაშინგტონის თანხმობა ლონდონში კრივიციის გამგზავრებაზე საბჭოთა აგენტების საქმიანობის ახალ გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად. მოსალოდნელი იყო ახალი სახელების ამოტივტივება.

ერთი სიტყვით, „ენკავედეს“ მოტივები არ აკლდა ვალტერ კრივიციის მოსაკლავად.

ოლე ცარიოვი და ჯონ კოსტელო თავიანთ წიგნში „სასიკვდობო ილუზიები“, რომელშიც მოთხრობილია ასევე ამერიკაში გაქცეული სახელანთქმული საბჭოთა მზვერავის ალექსანდრე ორლოვის თავგადასავალი, აღნიშნავენ შემდეგს:

1941 წელს კრივიციმ თავი მოიკლა იდუმალ ვითარებაში, ვაშინგტონის ოტელში. მრავალნი, ორლოვის ჩათვლით, ფიქრობდნენ, რომ მისი სიკვდილი ადასტურებდა იმას, რომ ბოლოს და ბოლოს მან ვერ შეძლო გადარჩენოდა სტალინის შურისძიებას. მაგრამ დაზვერვის დოკუმენტებით ეს არ მტკიცდება. ამ დოკუმენტთა მიხედვით, „ენკავედემ“ გააუქმა თვალყურის დევნება კრივიციზე 1939 წელს და კრივიციის თვითმკვლელობა შეიტყო სადებეშო სააგენტოთა ცნობებიდან.

ამ ავტორთა აზრით, სავარაუდოა, რომ კრივიციმ, გასცა რა რამდენიმე მისთვის ცნობილი აგენტი, ფსიქიკური აშლილობის ნიადაგზე მოიკლა თავი.

მაგრამ ამავე წიგნის შენიშვნებში ვკითხულობთ შემდეგს: თუმცა „ენკავედეს“ არქივების მიხედვით, კრივიციის დევნა გაუქმდა 1939 წლის 11 თებერვალს, რჩება ეჭვი, რომ მისი სიკვდილი არ ყოფილა თვითმკვლელობა. პოლიციამ ვერ იპოვა ტყვია, რათა დაემტკიცებინა, რომ სროლა მოხდა მართლაც კრივიციის პისტოლეთიდან. აგრეთვე არ დაუკითხავთ მეზობელ ოთახებში მცხოვრებნი და არ გაურკვევიათ, არც ერთ მათგანს რატომ არ უტყობებია გასროლის შესახებ. ამ საქმეში კიდევ სხვა შეუსაბამობანია, რომლებმაც დააბნიეს გამომძიებლები.

დასასრულ, დასკვნა: „უკანასკნელი დანვრილებითი ანალიზი საქმისა მიუთითებს, რომ ეს იყო მკვლელობა“.

აჯამებს რა ურთიერთსანიანადმდეგო საბუთებს, ბრუკ-შეპერდი წერს:

„მე ისღა დამრჩენია, რომ დავასრულო ამბავი კრივიციის იდუმალი სიკვდილისა მისივე საკუთარი სიტყვებით, არაერთგზის რომ უთქვამს მეგობართა წრეში სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე: თუკი თქვენ მოვიწვევთ მოსმინით ანდა გაზეთებში წაიკითხოთ, რომ მე თავი მოვიკალი – არავითარ შემთხვევაში არ დაიჯეროთ!“

კრივიციის საქმის ფინალურ აკორდად შეიძლება მივიჩნიოთ „ენკავედეს“ წიაღში შობილი აფორიზმი: კაცის მოკვლა იოლი რამ არის; გაცილებით ძნელია, რომ თვითმკვლელობა ჩაინდოს.

და ყურში თითქოს ჩაგვესმის დაბნეული, სასონარკვეთილი და სასიკვდილოდ განწირული კრივიციის ჩურჩული: ჩემი თვითმკვლელობა არ დაიჯეროთ... არ დაიჯეროთ!

დიახ, შეერთებული შტატებიც ვერ გამოდგა საიმედო თავშესაფარი საბჭოეთიდან გაქცეული კაცისათვის. იქაც დაენია „ენკავედეს“ გრძელი ხელი და ერთადერთმა ტყვიამ ბოლო მოუღო.

P.S. თითქოს ყველაფერი დალაგდა და უეცრად ახალი მონმე ერთი ხელის დაკვრით ანგრევს მტკიცებათა მწყობრ ნაგებობას.

„ენკავედეს“ გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი პავლე სუდოპლატოვი თავის მემუარულ თხზულებაში „დაზვერვა და კრემლი“ (1997) წერს: ვარაუდობდნენ, რომ კრივიციის სიკვდილში „ენკავედეს“ ხელი ერია, თუმცა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა. წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოსა და „ენკავედეში“ მისი სიკვდილი, რა თქმა უნდა, არავის სწყენია, მაგრამ ეს სიკვდილი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი ნახელავი არ იყო. ჩემი აზრით, კრივიციმ თავი მოიკლა ნერვული სტრესის შედეგად, ვერ მოერია დებრესიას.

თქვენ იტყვი, „ენკავედეს“ გენერალი აბა რას დანერდა, თავის უწყებას ჩირქს როგორ მოსცხებდაო. მაგრამ იგი სრულიადაც არ მიიჩნევდა ამგვარ აქციებს ჩირქად თავისი უწყებისათვის.

საერთოდ, სუდოპლატოვი სანდო ავტორად უნდა მივიჩნიოთ.

განა შეიძლება არ ირწმუნო ესა თუ ის მტკიცება იმ კაცისა, რომელიც გულახდილად აღიარებს, ტროცკის მკვლელობის

ორგანიზატორი ვიყავი და დანვრილებით მოგვითხრობს მთელი ამ საქმის დასაწყისსა და დასასრულს.

განა შეიძლება არ ენდო იმ კაცს, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ მიაღწია (სტალინის პირადი დავალებით) შოკოლადის კანფეტების კოლოფი, რომელშიც ასაფეთქებელი მონყობილობა იყო დამონტაჟებული, უკრაინელ ნაციონალისტთა ერთ-ერთ ლიდერს, გვარად კონოვალეცს (1938 წლის 23 მაისს, ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში) და აფეთქებამდე ხუთიოდე წუთით ადრე გაქცევით უშველა თავს.

სუდოპლატოვი, სხვათა შორის, გვამცნობს იგნატი რაისის მკვლელობა ვინაობას და მკვლელობის სურათსაც აღწერს. ორი მკვლელი (ბულგარელი აფანასიევი და მისი ცოლისძმა პრავდინი) ჩასულა მოსკოვში. ისინი ორდენებით დაუჯილდოებიათ და სამსახურიც მიუციათ. აფანასიევი გამხდარა დაზვერვის ოფიცერი, ხოლო პრავდინი სიკვდილამდე მუშაობდა რედაქტორად უცხოური ლიტერატურის გამომცემლობაში.

და აი ასეთი გათვითცნობიერებული და სანდო ავტორი აცხადებს, რომ კრივიცი ჩვენ არ მოგვიკლავსო.

მაშ დაიჯეროთ თუ არ დაიჯეროთ, რომ ვალტერ კრივიციმ თავი მოიკლა? თავი მოიკლა თუ ჩეკისტთა ტყვია ბოლოს და ბოლოს მაინც დაენია მოსკოვიდან ესოდენ დაშორებულ ვაშინგტონში?

პასუხი არა ჩანს. ეს იდუმალი საქმე კვლავ გაუხსნელი რჩება.

**მაკონდო მალე რეალური ქალაქი იქნება**

გაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედების თავყანისმცემელთა გასახარად სულ მალე კოლუმბიაში გაჩნდება მაგიური ქალაქი მაკონდო, რომელშიც ვითარდება „ასწლიანი სიმარტოვის“ მოქმედება. ეს ქალაქი გახდება არაკატაკა, სადაც მწერალი დაიბადა. ქალაქის მერი იმედოვნებს, რომ არაკატაკა საკულტო ტურისტულ ცენტრად იქცევა (პირველხანს, გაუგებრობათა ასარიდებლად, დასახელება ორმაგი იქნება: არაკატაკა-მაკონდო).



# პლატონი, რუსთველი, მზიანი ლამე

ბაჩანა ბრეგვაძის მიერ თარგმნილ პლატონის „პარმენიდეს“ („ნეკერი“, 2002) ერთვის მისივე მონოგრაფია – „პლატონი და რუსთველი“ (გვ. 261-464). ეს მონოგრაფია არა მხოლოდ რუსთველოლოგიის, არამედ საერთოდ ქართული მეცნიერების წარმატებაა. იგი გაჯერებულია ბაჩანა ბრეგვაძის, როგორც მეცნიერისა და მოაზროვნის, მრავალმხრივი ნაფიქროთ: ბიბლია და ავგუსტინე, პლატონი და არისტოტელე, ნეოპლატონიზმი და დანტოლოგია, პასკალი და პოლ ვალერი. თანაც, ბაჩანა ბრეგვაძის თვალთახედვა ყოველთვის მიემართება ქართულ აზროვნებას, ქართულ მწერლობას. მასში მთლიანდება აკადემიზმი და „მაღლად მხედი“ პოეტური ბუნება.

ზემოაღნიშნულ მონოგრაფიასთან დაკავშირებით რედკოლეგიამ ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულისა – „რუსთველოლოგია“ ბაჩანა ბრეგვაძეს სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე. ესაუბრა კრებულის რედაქტორი რევაზ სირაძე.

**რევაზ სირაძე: პლატონიზმი პოეტური ფილოსოფია, არისტოტელიზმი – მკაცრი კატეგორიოლოგია; როგორ აისახება ამათი ურთიერთმიმართება „ვეფხისტყაოსანში“?**

ბაჩანა ბრეგვაძე: პირადად მე ასე მკვეთრ ზღვარს ვერ გავავლებდი ორი ბერძენი მოაზროვნის ფილოსოფიურ სისტემებს შორის: „პარმენიდე“, ან, თუ გნებავთ, „სოფისტი“ თვალნათლივ მოწმობს, რომ პლატონისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო „მკაცრი კატეგორიოლოგია“; თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ არისტოტელეს, მისი სახელგანთქმული „პოეტიკის“ მიუხედავად, შეიძლება ყველაფერი „დასწამო“ პოეტურობის გარდა. რაც შეეხება მასწავლებლისა და მოწაფის „ურთიერთმიმართებას, „ვეფხისტყაოსანში“, ჩემი აზრით, პლატონის გავლენა ამკარად დომინანტურია.

**რევაზ სირაძე: „ვეფხისტყაოსანი“ იწყება და მთავრდება მზის გასხივოსნებით. ცხადია, ამას თვით რუსთველის სახისმეტყველებმა განსაზღვრავს; და მაინც: საამისო წყაროთაგან რომელია უფრო მნიშვნელოვანი: პლატონი, ნეოპლატონიზმი თუ არეოპაგიტკა? თუ ესე-ნი აქ ერთ მთლიანობაშია?**

ბაჩანა ბრეგვაძე: „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც მზიური ქმნილებაა. ვიქტორ ნოზაძემ მთელი ტომი მიუძღვნა უკვდავი პოემის „მზისმეტყველებას“. ეს მომენტი, როგორც თქვენ ბრძანებთ, რა თქმა უნდა, რუსთველის სახისმეტყველებითა და, საერთოდ, მისი ესთეტიკური მრწამსითა განპირობებული. და მაინც „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი-

ერთ ბრწყინვალე პასაჟში ამკარად იგრძნობა პლატონის – „მთელი დასავლური ფილოსოფიის მამის“ („le père de toute la philosophie occidentale“, როგორც მას უწოდებს 1992 წელს გამოცემული ფრანგული „ფილოსოფიური ლექსიკონი“) გავლენა.

„დღე ბერძენთა ხედვისა პლატონ“, – ასე ახასიათებს „პარმენიდეს“ ავტორს „ქართლის ცხოვრება“. ჩემს გამოკვლევაში „პლატონი და რუსთველი“ მე ვამბობ: „იდეალიზმი სამყაროს მზიური ხედვაა, და სავსებით ბუნებრივია, რომ იდეალიზმის ფუძემდებლის – პლატონის მთელი მოძღვრება, მთელი მისი ფიზიკა და, მით უმეტეს, მეტაფიზიკა, სინათლის მორევშია დანთქმული. მზეა მისი „უზენაესი სიკეთის“, ანუ აბსოლუტური ერთის (ღმერთის), ისევე, როგორც „დემიურგოსული (კოსმიური) გონების“ სიმბოლური ხატი (εἰκᾶς). მაგრამ ამ მზიურ ხატებათა შორის ისეთივე გრადაციია, როგორც გადმოგვცემს დავით გურამიშვილი თავის ქრისტიანულ სიმბოლიკას:

**სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზედ ითქოსა, ძე ღვთისა მხოლოდ-შობილი მზე სიმართლისა იქოსა; მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ირქოსა...**

ჩემს ნაშრომში ამას მოსდევს „სახელმწიფოს“ VI წიგნის საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტი (507 b – 508 c), სადაც პლატონი დანწრილებით აანალიზებს უზენაესი სიკეთის, ანუ ღმერთის სიმბოლური ხატის – „მზისა“ და მისგან გამონაშუქი სინათლის აღმქმელი „მზერის“ თანაფარდობას, რასაც ასეთ დასკვნას მოაყოლებს: „...ამასვე ვამტკიცებ მე იმის თაობაზედაც, რასაც მსგავსად თვისად ბადებს სიკეთე. რასაც ნიშნავს სიკეთე აზრობრივ ადგილას (ἐν τῷ σοῦτῷ τόπῳ)<sup>1</sup> გონებისა<sup>2</sup> და გონით საწვდომთა მიმართ (πρὸς τε καὶ τὰ σοῦσμενα)<sup>3</sup>, იმასვე ნიშნავს მზე ხილულ ადგილას (ἐν τῷ ὄρατῷ)<sup>4</sup> მზერისა და მზერით საწვდომთა მიმართ (πρὸς τε ὄψιν καὶ τὰ ὀρᾶμενα)<sup>5</sup>.

საკუთრივ ჩემი მსჯელობა კი ასე გრძელდება: „მზერით რომ აღვიქვათ საგანი, აუცილებელია სინათლე. მაგრამ შეიძლება თუ არა თვით სინათლის აღქმა? სინათლის ინტენსივობას გააჩნია. ვის შეუძლია თვალი გაუსწოროს მზის დამაბრმავებელ ნათელს? ციური მნათობი – მზე კი მხოლოდ მკრთალი და უღიმღამო ათინათოა ღმერთის, ანუ, დავით გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მზის მამზევებელი მზისა“. ამიტომაცაა ღმერთი არა მარტო „უცნაური და უთქმელი“, არამედ უხილავიც და ადამიანის ცნობიერებისათვის მიუწვდომელიც. „ვინც პირისპირ უმზერს მზეს, – ამბობს პლატონი, – ასე ჰგონია, თითქოს შუადლისას ღამეა ირგვლივ (ὡς ἔν ἐν μεσημέριῳ), და ჩვენ ვერ ვიტყვით, თითქოს იმის ძალი შეგვწევდეს, რომ მოკვდავი თვალთ ოდესმე ვიხილავთ გონებას და საკმარისად შევიცნობთ მას. ასე რომ, ნაკლებად სახიფათოა, თუ მის ხატს (εἰκᾶς) დავუწყებთ ცქერას“ („კანონები“, X, 897 de).

ახლა დავუკვირდეთ „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს:

**იტყვის: „მე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“...**

როგორც ვხედავთ, პლატონიც და რუსთველიც ღვთის ხატად (εἰκόν) მიიჩნევენ მზეს (ἥλιος). ვთარგმნოთ რუსთველის „მზიანი ღამე“ ბერძნულად: "νύξ ἥλιακή" და შევუდაროთ იგი პლატონის "შუადღის ღამეს": - νύξ ἐν μεσημέριᾳ, - „შუადღისას“, როცა მზე ზენიტშია. თავად განსაჯეთ, გვაქვს თუ არა უფლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ „სახელმწიფოს“ IV წიგნში გადმოცემული ღმერთის სოლარული კონცეფცია, ისევე, როგორც პლატონის უკანასკნელი გრანდიოზული ქმნილების - „კანონების“ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შთაგონების წყარო, როცა ის თავის უკვდავ მეტაფორას ქმნიდა.



რევ. სირაძე

მაგრამ აქ მარტოოდენ პლატონის დიალოგებით ვერ შემოვიფარგლებით, რადგანაც რუსთველი ბრძანებს: „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“. ჩემი აზრით, კიდევ ერთ ფილოსოფოსად, ვის ნააზრევშიაც შეიძლება „მზიანი ღამის“ შესაბამისი გამოთქმა მოიძებნოს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს დიონისე არეოპაგელს უნდა გულისხმობდეს. დაუუკვირდეთ მისი ყველაზე მოკლე ტრაქტატის - „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის“ (Περὶ μυστικῆς θεολογίας) დასაწყისს: „სა-მებაო ზეარსო, ზედვითურო და ზეკეთილო, ქრისტიანთა თეოსოფიის მოძღვარო, წარგემართე ჩვენ საიდუმლო სიტყვათა ზეუცნაური, ზებრწყინვალე და უზენაესი მწვერვალის მიმართ, სადაც ღვთისმეტყველების მარტივი, წრფელი და უცვლელი საიდუმლონი დაფარულნი არიან იდუმალი დუმბილის ზე ნათელ ბნელ-ში (σῆμα φαινοῦ... γυφῶσι), რომლის უკუენეთშიაც (ἐν τῷ σκοτεινοτάτῳ) ცხადზე უცხადესი ზებრწყინვალეებით ნათობენ“ (PG, t.III, 997A). იმავე დიონისე არეოპაგელის V ეპისტოლეში დროთაღმდეგობის მქონე მისთვის (λεიტურჯის) მიმართ ვკითხულობთ: „საღმრთო ბნელი არის მიუწვდომელი ნათელი (ὁ θεῖος γυφῶς ἐστὶ τὸ ἀπρόσιτον φῶς. - PG, t.III, 1073 A).

რეპაზ სირაძე: ვეფხისტყაოსნის ტარიელისთვის ნესტანის დაკარგვით გამოწვეული სევდის სიმბოლოა. ვეფხისტყაოსნის ნიშნავს - უბედური ტარიელი (მსგავსად დასავლეთევროპული რომანისა - „უბედური როლანდი“). ნესტანის გამოხსნის შემდეგ ტარიელის ვეფხისტყაოსნობა აზრს კარგავს. იგი აღწევს ბედნიერებას ტანჯვის გზით. აქ „ბედნიერება ტანჯვის გზით“ - საკუთრივ ქრისტიანულ პრინციპად გვესახება, თუ მას პლატონიზმს დაუკავშირებდით?

ბაჩანა ბრემბაძე: მართალი გითხრათ, არა მგონია „ტანჯვის გზით ბედნიერებისაკენ“ ქრისტიანული ან პლატონური პრინციპი იყოს. შესაბამისი ლათინური გამოთქმაა - „per aspera ad astra“ - „ნარეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ“ ქრისტიანობამ ასე შეცვალა: „per crucem ad lucem“ - „ჯვრის (ე.ი. ტანჯვა-წამების) გზით სინათლისაკენ“.

„ბედნიერება“ (ბერძნ. εὐδαιμονία; εὐτυχία; ლათ. felicitas) ამქვეყნიურ, მიწიერ სევდის განთავსებას თუ კეთილდღეობას გამოხატავს (სხვათა შორის, ლათინური felix - „ბედნიერი“ და fecundus - „ნაყოფიერი“ ერთი და იმავე ძირის სიტყვებია). ქრისტიანობაში კი ჭეშმარიტ ბედნიერებად „ნეტარებას“ (ბერძნ. μακαρία; ლათ. beatitas; beatitudo), ამქვეყნიურ სევდის განთავსებას კი არა, იმქვეყნიურ, სამოთხის „ნეტარებას“ სახავს. ისიც საგულისხმოა, რომ „ძველი აღთქმის“ უზარმაზარ კორპუსში სიტყვა „ბედნიერი“ მხოლოდ 6-ჯერ იხსენიება, „ახალ აღთქმაში“ კი - ერთჯერ; თვით „ბედნიერებას“ „ძველი აღთქმაში“ სულ 5-ჯერ ვხვდებით, „ახალ აღთქმაში“ კი - არცერთჯერ. იესო ქრისტე, არსებითად, მწუხარე ღმერთია: ზღვა იკონოგრაფიულ მასალაში ერთხელაც ვერ ნახავთ ღმირი დასათამაშებდეს პირზე (ამ მხრივ ბუდა მისი სრული ანტიპოდაა), და კათოლიკური ეკლესიის წმიდანთა შორისაც მხოლოდ ფრანჩესკო ასიხელს თუ მივიჩნევთ ხალისითა და სიხარულით გულსასვლელ (შეადარეთ ელ გრეკოს წმიდანთა კუმტი და პირქუში სახეები). ქრისტიანობის მიხედვით, ბედნიერება მიზანი კი არ არის, არამედ - საშუალება: სიმართლით, სინაზვლით და სიმშინდით გალიო ეს წუთისოფელი - სიმწრისა და სიმწირის საუფლო, რათა სანაცვლოდ, უფლის გულმონყალებას მიწოდებოდა სასუფეველის წარუვალი ნეტარება დაიმსახურო.

**ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლი შენი მონდობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განანირსა.**

ამქვეყნიური ბედნიერება მხოლოდ უხანო, უღიმღამო და მსწრაფლწარმავალი ლანდია სასუფეველის უღრუბლო და აუღმღრველი ნეტარებისა. ასეთი უნდა ყოფილიყო რუსთველის მრწამსი, ესოდენ ზუსტად ნაგაძნობი იშვიათი გამონაკლისის - ნიჭიერი ინტერპოლატორის მიერ:

**გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა. გარდახდეს, გავლეს სოფელი, - ნახეთ სიმუხთოე უამისა! - ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა. ვნერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა...**

ახლა ვნახოთ, როგორია ბედნიერების პლატონისეული განცდა: როცა ის ცდილობს დაგვიხატოს თავისი იდეალური სამყაროს სურათი, ჩვენს თვალწინ წამდელი ზეციური სამოთხე იშლება მთელი თავისი არამიწიერი მშვენიერებით და უსხეულმყოფელ სულთა ნეტარი ყოფით; და პირიქით, ამქვეყნიური სინამდვილე პირქუშ მღვიმედ, უსხივო დილეგად ესახება, სადაც ადამიანები (ხოცუმესხმული სულები)

უსასო პატიმრებით არიან გამომწყვდეულნი, მათ მიწიერ ყოფას კი შეიძლება ყველაფერი ენოდოს, ბედნიერების გარდა (იხ. „სახელმწიფო“, VII, 514a – 515e – ე.წ. „მღვიმის მითი“).

„მშვენიერება თვალისმომჭრელი სხივოსნობით ბრწყინავდა მაშინ, როცა ნეტართა დასთან ერთად პირისპირ ვჭვრეტდით ამ თვალწარმტაც სანახაობას და, ამრიგად, ვეზიარებოდით, თამამად შეიძლება ითქვას, მისტერიითაგან უტკებესა და უნეტარეს მისტერიას, რომელშიაც უმანკონი და მომავალ ცხოვრებაში ჩვენს თავს მოწვევად ბოროტებასთან წილყურელნი თავად ვასრულებდით ღვთისმსახურების მისტიურ წესს. ჩვენ ვჭვრეტდით უზრუნველ, უმარტივეს, უცვლელსა და წარუვალ არსობა, და მათი წმინდა სხივოსნობის მჭვრეტნი თავად ვიყავით უმანკონი და უბინონი, ვინაიდან ნატამალიც კი არ გვეცხო იმ ხრწნადი გარსისა, რომელსაც დღეს სხეულს ვუნოდებთ და რომელშიაც მომწყვდეულნი ვართ, როგორც ლოკოკინა თავის ნიჟარაში“ („ფედროსი“, 250 c).

თავის ზეციურ სამშობლოს მოწყვეტილი და მამა ღმერთს განშორებული სულის უღიმღამო და უსიხარულო ყოფას არანაკლებ შთამბეჭდავად აღგვიწერს პლატონის სულიერი მემკვიდრე, ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი პლოტინი:

„რა არის იმის მიზეზი, რომ სულები ივინყებენ მამა ღმერთს (Πατήρ θεός)? რატომაა, რომ მისი ნამცეცები და ბუნებით მთლიანად მისეულნი ვეღარც თავიანთ თავს სცნობენ და ვეღარც შემოქმედს? ამ ბოროტების მიზეზი თვით მათშივეა: ესაა მათი შლეგური სწრაფვა დაბადებისა და განსხეულებისაკენ, პირველადი სხვა-ობა, ანუ სხვა სამყაროში არსებობისა და თვითმყოფობის დაუოკებელი ჟინი. დამოუკიდებლობით აღტყინებულნი სრულ გასაქანს აძლევენ თავიანთ სურვილებს და მისწრაფებებს, რათა არა მარტო განემორონ, კიდევაც დაუპირისპირდნენ ღმერთს, და, ამრიგად, დაივინყონ, რომ მისი ქმნილებები და ნამიერნი არიან.<sup>7</sup> როგორც ბავშვები, დაბადებისთანავე რომ მოსწყვიტეს დედ-მამას და უცხო მხარეში აღზარდეს, ვეღარც თავიანთ მშობლებს სცნობენ და აღარც თავი მიაჩნიათ მათ შვილებად, ისე სულებიც, დაბადებისთანავე რომ მოსწყდნენ ღმერთს, მასაც ივინყებენ და საკუთარ თავსაც, აღარს თავიანთი მშობელი ახსოვთ და აღარც თავიანთი სადაურობა. უთვისტომონი და უცხო მხარეში გადმოხვენილნი ზიზღით ემსჭვავიან ერთმანეთსაც და თავიანთ თავსაც, და ამ უცხოეთში არა არის რა ისეთი, რასაც უფრო დიდ პატივს არ სცემდნენ, ვიდრე საკუთარ მეობას.

ყველაფრით მონუსხულნი, შემცბარნი და გაოგნებულნი ცდილობენ, რამდენადაც შეუძლიათ, ყოველგვარი კავშირი განწყვიტონ იმასთან, რასაც დაშორდნენ და ზიზღით აქციეს ზურგი. რაკილა წარმოდგენაც არა აქვთ ღმერთზე, სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ესოდენ დიდ პატივს მიაგებენ ყოველივე ამქვეყნიურს და ასე ეზიზღებათ თავიანთი თავი. რადგან თუ სული თავისი განცვიფრებისა და სურვიელი ლტოლვის საგნად სახავს რაიმეს, ეს იმას ნიშ-



ბახანა ბრეგვაძე

ნავს, რომ თავის თავს მასზე დაბლა აყენებს; მაგრამ რაკი იმაზე დაბლა აყენებს თავს, რაც დაბადებისა და დალუპვისთვისაა განწირული, რაკი თავი უფრო უღირსი და უბადრუკი ჰგონია, ვიდრე ის, რასაც ხარბად მიელტვის, ველარასოდეს მისწვდება აზრით ღმერთის ბუნებას და მისი ძალმოსილების სიდიადეს“ („ენნეადა“ V, 1, 1).

ამიტომ პლოტინისათვის ზეციური სამყარო, პლოტინის იდეალური სინამდვილე იყო დასაბამიერი სამშობლოც, ადამიანის სიცოცხლის აზრიც, ქვემარტივი ბედნიერე-

ბაც და ნეტარეობაც ("Πατρίς δὴ ἦμιν, ὅθεν παρήλθομεν, καὶ πατὴρ ἔκεί" – „ჩვენი სამშობლო იქაა, საიდანაც მოვსულვართ, და იქვეა მშობელიც ჩვენი“ – „ენნეადა“ I, 6, 8).

რეკავ სირაძე: საინტერესოა, მაგრამ საკამათოცაა, როცა თქვენ ნესტანის სიტყვებში („ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა“...) სულთა გარდასხეულების ბუდისტურ წარმოდგენას ხედავთ (ინდოეთის მეფის ასულისგანო), რაც ეხმიანება პლატონსაცო (გვ. 329-330). აქ რომ ქრისტიანული სამოთხეა საგულეველი, ამას გვეკარნახობს 54-ე ფსალმუნთან შეხმიანება: „ვთქუ: ვინმცა მცნა მე ფრთენი ვითარცა ტრედისანი, და ავფრინდე მე და განვისვენო“ (ფს. 54,7) – ნესტანი: „მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჭხვედ მას ჩემსა ნდომასა“ (წინარე სტროფში ნესტანი ამბობს: „სული ჩემი შეივდრე, ზეცით მომხვედეს ნუთუ ფრთენი“. სულის ფრთებით ზეაღსვლის მოტივი „ფედროსიდან“ პეტრიწთანაცაა. თ. 206 (ს. ყაუხჩიშვილი), ცხადია, უნდა ვიგულვოთ ქრისტიანული სახით. ზემოაღნიშნული სტროფის „კვლა“ გააზრებულია ასეც: შემდეგ, მერე, მომავალში, მცირე ხანში. ხოლო ნესტანის ნათვრა – „დღისით და ღამით ვჭხევიდე მზისა ელვათა კრთომასა“, – მოგეხსენებათ, – ძლიერ ჰგავს დანტესა და ბეატრიჩეს მიერ ღვთიური ნათლის სულიერ ჭვრეტას, ბეატრიჩე კი, როგორც თავად აღნიშნავთ, არ იზიარებს სულთა გარდასხეულებას. გთხოვთ თქვენს განმარტებას.

ბახანა ბრეგვაძე: რა თქმა უნდა, თქვენს მიერ 54-ე ფსალმუნიდან მოხმობილ პოეტურ სტრიქონს თავისი ლექსიკური პარალელიზმით და მეტაფორული ექსპრესიულობით ბევრი რამ აქვს საერთო ნესტანის აქვე ციტირებულ სიტყვებთან, და ეს სავსებით ბუნებრივია: რუსთველი, როგორც ქვემარტივად ქრისტიანი პოეტი, არა მარტო ლექსიკური რემინისცენციის, შინაარსობრივი და სულიერ სიახლოვის თვალსაზრისითაც, თავისი კონკრეტული მიზანდასახულობის ხორცშესახსმელად არცთუ იშვიათად მიმართავს ბიბლიის ცალკეულ პასაჟებს. მაგრამ ჩემი გამოკვლევის თემა „ბიბლია და რუსთველი“ არ გახლავთ და ამიტომ თქვენს მიერ ციტირებული სტრიქონი („მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჭხვედ მას ჩემსა ნდომასა“) კი არა, უწინარეს ყოვლისა, იმავე სტროფის პირველი სტრიქონი მაინტერესებს: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა

დამხსნას სოფლისა შრომასა“ ,სადაც საკვანძო სიტყვა, ერთმანეთთან რომ აკავშირებს „ვეფხისტყაოსანსა“ და „სულთა გარდასხეულებისა“ (μετεμψυχωσις; reincarnatio) თუ „კვლავ დაბადების“, „ხელახლა შობის“ (παλιγγενεσις) ძველთუძველეს კონცეფციას, – „კვლავ“, მხოლოდ იმას ნიშნავს, რასაც „კვლავ“, „ისევ“, „ხელახლა“ და არა „შემდეგ“, „მერე“, „მომავალში“, „მცირე ხანში“, როგორც თქვენ ფიქრობთ.

ბევრს ჰგონია, რომ „მეტემფსიქოსის“ – ის ძველისძველი კონცეფცია ათასწლეულების წინათ, „მითოლოგიურ ეპოქასთან“ ერთად სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს; ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ მისი ნაკვალევს ძიება თითქოს შეიძლება ანაქრონიზმადაც კი ჩაითვალოს. მაგრამ როგორც ჩანს, იდეებსა და კონცეფციებსაც აქვთ თავიანთი რენესანსი. თავს თუ არ შეგანწყნო, ვეცდები ევროპული კულტურის მაგალითზე, რაც შეიძლება მოკლედ გავაღვეწო თვალი ამ „რენესანსს“ (სხვათა შორის, ფრანგული სიტყვა „renaissance“, ან იტალიური „rinascita“ ზუსტად იმასვე ნიშნავს, რასაც ბერძნული „παλιγγενεσις“).

მოდით, წინარე – სოკრატული ფილოსოფიის კლასიკოსის, დიდი ბერძენი მოაზროვნის ემპედოკლეს (დაახლ. 495-435 ძვ.წ.ა.) ჩვენამდე მოღწეული სათანადო ფრაგმენტების მიხედვით, შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ სულთა გარდასხეულებისა („მეტემფსიქოსის“) თუ „ხელახლა შობის“ („პალინგენეისის“) მისტიური თეორია. ემპედოკლეს აზრით, ესაა სულის სასჯელი და, იმავდროულად, კათარსისიც. ათასწლეულების მანძილზე სხეულიდან სხეულში სახეტილოდ განწირული სული ერთიმეორის მიყოლებით იტოვებს უკან ამქვეყნიური არსებობის ციკლთა სიმრავლეს და, პლატონის თქმისა არ იყოს, „სამოსივით იცვლის“ მინაზე მძრომ, წყალში მცურავ თუ ჰაერში მფრინავ არსებათა სხეულებს, ვიდრე სიყვარულის უშრეტეი ძალით აღვისილი საბოლოო განმენდას არ მიაღწევს ადამიანში, რათა ამრიგად, აღასრულოს თავისი საღმრთო ვალი. მაგრამ თუ ადამიანში სიყვარული კი არა, ზიზღი და სიძულვილი მძლავრობს; თუ ის მუსრს ავლებს თავისსავე მსგავსს, ან უწყალოდ ხოცავს ცხოველებს; თუ არაფრად უჩანს ქედმაღლობა, ძალადობა, ძალმომრეობა, თვისტომის ჩაგვრა ან უმწეოთა ცრემლი, მაშინ, ნაცვლად იმისა, რომ სიყვარულის მეოხებით ამაღლდეს ყოფიერების ჰიერარქიული კიბის საფეხურიდან საფეხურამდე და, ამრიგად, ნეტარ სულად, დემონად<sup>8</sup> თუ ღვთაებად იქცეს, ის თანდათან დაბლა ეშვება იმავე კიბის საფეხურებით და ცხოველებისა თუ მცენარეების სხეულში ისადაგურებს.

თუმცა ემპედოკლეზე უფრო ადრე ამავე თეორიას აღიარებდა დიდი ბერძენი სწავლული და ფილოსოფოსი პითაგორა (დაახლ. 550-495 ძვ.წ.ა.) მთელი თავისი სკოლითურთ. დიოგენე ლაერტელის (II-III ს.) მოწმობით, რომელიც, თავის მხრივ, ჰერაკლიდე პონტოელის (IV ს. ძვ.წ.ა.) ცნობას ემყარება, პითაგორას ურყევად სწამდა, რომ ის თავდაპირველად, ჰერმესის ძე – ეფალიდე იყო, ვისთვისაც მამას მესხიერების მანამდე არნახულად მძლავრი, მარად უშრეტეი ნიჭი უბოძებია, რისი წყალობითაც არა მარტო სიცოცხლეში, სიკვდილშიაც ყველაფერი მშვენივრად ახსოვდა თურმე. შემდგომი განსხეულებისას ის უკვე ჰომეროსის „ილიადას“ ერთ-ერთი გმირის – დარდანელი ევფორბოსის სახით მოვლენია ქვეყნიერებას. ეს ევფორბო-

სი „ილიადაში“ თავისი ბასრი შუბით მიძიმედ დაჭრის პატროკლეს<sup>9</sup>, ხოლო შემდეგ მასზე მენელაოსი იძიებს შურს: ორთაბრძოლაში კლავს ევფორბოსს და გამარჯვებულის სანუკვარ ნადავლს – საჭურველს აპყრის მას.<sup>10</sup> ევფორბოსის სიკვდილის შემდეგ მისი სული ფილოსოფოს ჰერმოტიმე კლადომენელში (IV ს. ძვ.წ.ა.) განსხეულებულა. დიოგენე ლაერტელი იმონმებს ძველ გადმოცემას, რომლის თანახმადაც, ჰერმოტიმე მილეტის მახლობლად მდებარე ბრანქიდეში (Βραγχίδα) ჩასულა და იქ უცვნია თავისი, ე.ი. ევფორბოსის ფარი, მის მკვლელს – მენელაოსს ტროიდან გამგზავრებისას აპოლონის დიდებული ტაძრისთვის რომ შეუწირავს. ჰერმოტიმეს სიკვდილის შემდეგ მის სულს დელოსელი პითევის – პიროსის სხეულში დაუდევს ბინა, ბოლოს კი პითაგორას სხეული აურჩევია თავის სავანედ.<sup>11</sup>

მათ შორის, ვინც ძველ საბერძნეთში იზიარებდა რეინკარნაციის – სულთა გარდასხეულების რელიგიურ დოქტრინას, შეიძლებოდა დაგვესახელებინა პოეტი პინდარე (522-438), ისტორიკოსი ჰეროდოტე (დაახლ. 485 – დაახლ. 424), ფილოსოფოსები – პლატონი (427-347), არისტოტელე (384-322) და სხვაც მრავალი, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს ნავიყვანდა.

გარდასხეულების მისტიური იდეა არა ერთი და ორი დასავლური თუ აღმოსავლური რელიგიის ქვაკუთხედი: ბერძნულ-რომაული პოლითეიზმი, ზოროასტრიზმი, მანიქეიზმი, გნოსტიციზმი, იუდეიზმის ცალკეული მიმდინარეობანი, ინდუიზმი, ბუდიზმის ორივე ძირითადი მიმართულება – „მაჰაიანა“ („დიდი ეტლი“, „ფართო გზა“) და „ჰინაიანა“ („პატარა ეტლი“, „ვიწრო გზა“), ჯაინიზმი, სიკჰიზმი, ტიბეტური ვიჯრაიანა, ჩინური დაოსიზმი, იაპონური სინტოიზმი, ისლამი (დრუზებისა და ნუსაირიტების შიიტური სექტები). ანალოგიური იდეები მკაფიოდ იჩენენ თავს ისტორიულად, გეოგრაფიულად თუ კულტურულად ერთმანეთისაგან ისე დაშორებულ ეთნიკურ ჯგუფებში, ტომებსა თუ ხალხებში, როგორც არიან ძველი კელტები (დრუიდების რელიგია) და გალები, აფრიკული, პოლინეზიური და ცენტრალური თუ სამხრეთ ამერიკის (კოლუმბამდელი ცივილიზაცია) ტომები.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გარდასხეულების თეორიას ზოგიერთი ქრისტიანი თეოლოგიც იზიარებდა, როგორც, მაგალითად, სახელგანთქმული ალექსანდრიელი ღვთისმეტყველი ორიგენე (185-274), რომელიც თავის მთავარ თხზულებაში „საწყისთათვის“ (Ἐπι δὲ ἀρχαῖς) წერდა: ზოგიერთი სულიერი გარდაქმნის, გარდასახვისა თუ ფერისცვალების ახსნა მხოლოდ მეტემფსიქოსის თეორიის საფუძველზე თუა შესაძლებელიო. რელიგიის ზოგიერთი ისტორიკოსის მიხედვით, ამ თეორიის კვალი შეიძლება თვით გრიგოლ ნაზიანზელისა (დაახლ. 330-390) და ნეტარი ავგუსტინეს (354-430) ნააზრევშიც იქნეს აღმოჩენილი.

როგორც ჩანს, ზემოხსენებულ თეორიას არც მომდევნო საუკუნეში დაღვია მიმდევრები, რაკილა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565) მიერ 553 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეულმა მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ამ განაჩენით დაჰგმო ორიგენესაგან მომდინარე ერესი: „თუ ვინმე დაიცავს სულების ამ გამოგონილ წინარე-არსებობას და გაიზიარებს აქედან გამომდინარე სა-

ზარელ მოძღვრებას, შეჩვენებულ იქნეს“. ამ სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, რეინკარნაციის იდეა შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში დროდადრო მაინც იჩენდა თავს (უპირატესად, მისტიკოსთა ნააზრევში).

რაც შეეხება ახალი დროის ევროპულ სინამდვილეს, ართურ შოპენჰაუერი (1788-1860) ირონიულად შენიშნავს: „აზიელს რომ ეკითხა ჩემთვის, როგორ განსაზღვრავდი ევროპასო, ალბათ, იძულებული ვიქნებოდი ასე მეპასუხა: „ესაა მსოფლიოს ნაწილი, უჩვეულო ცთომილების ტყვეობაში რომ იმყოფება, – თითქოს ადამიანი არაფრისგან იყოს შექმნილი, და მას, თავისი ახლანდელი დაბადებით, პირველად შემოეღოს სიცოცხლის კარი“. მაგრამ დიდი მოაზროვნის ირონიული ღიმილის მიუხედავად, რეინკარნაციის იდეა მთლიანად არასოდეს ჩამქარა ევროპაში. ავიღოთ თუნდაც XVIII საუკუნე, სადაც მის ადებტებად გვევლინებიან ევროპული კულტურის, მწერლობისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები: შვედი მისტიკოსი ემანუელ სვედენბორგი (1688-1772), შვეიცარიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი იოჰან გასპარ ლაფატერი (1741-1801), გერმანელი მწერალი, გოეთეს სიტყაბუკის მეგობარი იოჰან გეორგ შლოსერი (1739-1799), ავტორი დიალოგისა „სულთა გარდასხეულების შესახებ“, რომელსაც ამავე სახელწოდების თავისი სამი დიალოგით უპირისპირდება იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803): თუ შლოსერი ისტორიას სტატიურ ფენომენად სახავს და გარდასხეულებათა თანმიმდევრობას ჩაკეტილ წრედ მიიჩნევს, ჰერდერის მტკიცებით, გარდასხეულებათა პროცესი ისტორიის პროგრესს ემსახურება. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ინგლისელი ფილოსოფოსი დევიდ იუმი (ჰიუმი; 1711-1776), გერმანელი მწერლები – გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი (1729-1791), გეორგ კრისტოფ ლიხტენბერგი (1742-1799) და თვით გოეთე (1749-1832), თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლირიკულ შედეგში ასე რომ მიმართავდა საყვარელ ქალს (შარლოტე ფონ შტაინს):

**Ach, du warst in angelebten Zeiten  
Meine Schwester oder meine Frau.**

(„აჰ, გარდასულ ეპოქებში შენ იყავი ჩემი და თუ ჩემი მეუღლე“), ხოლო ვილანდისადმი მიწერილ წერილში ასე ახასიათებდა ციტირებული ლექსის ადრესატს: „მნიშვნელობა, რომელიც ჩემთვისა აქვს ამ ქალს, და ზეგავლენა, რასაც ის ახდენს ჩემზე, მე მხოლოდ სულთა გარდასხეულებით თუ შემიძლია ავხსნა“.

ასე გრძელდება XIX საუკუნეშიც, თვით მის დასასრულამდე, როცა რეინკარნაციის იდეას ეპიზოდურად უბრუნდებიან მსოფლიო დრამატურგიული ხელოვნების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი – ნორვეგიელი ჰენრიკ იბსენი (1828-1906), თავის გრანდიოზულ ისტორიულ დრამაში „კეისარი და გალილეველი“ (1873) და დიდი გერმანელი კომპოზიტორი ვილჰელმ რიჰარდ ვაგნერი (1813-1883), თავის უკანასკნელ ოპერა-მისტერიაში „პარსიფალი“ (1882). ხოლო XX საუკუნეში მხატვრული სიტყვის ოსტატებსა და ფილოსოფოსებსზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რეინკარნაციის იდეა სრულიად ახალ ასპექტს იძენს და როგორც ევროპულ, ისე ამერიკულ ფსიქოლოგთა

და ფსიქიატრთა სამკურნალო პრაქტიკისა და კვლევის სფეროში ექცევა.

1980 წელს 52 ამერიკელმა ფსიქიატრმა დააარსა „წინარე სიცოცხლეთა კვლევისა და თერაპიის ასოციაცია“, რომელიც დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ასეულობით სპეციალისტს აერთიანებს. ასოციაცია აქვეყნებს „რეგრესიული თერაპიის ჟურნალს“ და თავისი შრომების კატალოგს. ჟურნალის პირველ ნომერში მისი რედაქტორი ირენ ჰიკმანი წერდა: „წინარე სიცოცხლეთა კვლევისა და თერაპიის ასოციაციის წევრები იყენებენ მეთოდებს, რომლებიც გვეხმარებიან იმაში, რომ გამოვავლინოთ წარსულის, ზოგჯერ ძალზე შორეული წარსულის სურათები, ახლანდელ სიცოცხლეში სწეულების, დისპარმონიისა და დისფუნქციის მიზეზებად რომ იქცნენ. ჩვენი ცდების მეშვეობით შევძელით აღმოგვეჩინა, რომ რეგრესიული თერაპიის მეთოდების გამოყენებით საცვებით რეალურია გამოვავლინოთ პაციენტებისა თუ კლიენტების ნებისმიერი პრობლემის მიზეზი, რომელზე ზემოქმედებითაც შეიძლება გავანეიტრალოთ მისი გავლენა და ჯანმრთელობა დაუზღუროთ ავადმყოფებს. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ჩვენი გამოკვლევები და მეთოდები არ თავსდებიან თანამედროვე მეცნიერებისა და სამედიცინო პრაქტიკის ჩარჩოში“.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგისა და ფსიქოთერაპევტის სტანისლავ გროფის (წარმომავლობით – ჩეხის) მიხედვით, ეს მეთოდები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მენსიერებისა და, საერთოდ, ფსიქიკის სიღრმისეულ შრეებში შეღწევას და წინარე სიცოცხლის ცალკეულ მომენტთა თუ ეპიზოდთა ხელახლა განცდას, საკმაოდ მრავალფეროვანია: მედიტაცია, ჰიპნოზი, სენსორული იზოლაცია, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გარკვეული დოზით გამოყენება და სხვა. ამნაირი მეთოდები, რა თქმა უნდა, მიუღებელია „ტრადიციონალისტებისათვის“, სამაგიეროდ მათ აღიარებენ და საკმაოდ წარმატებითაც იყენებენ „ნოვატორები“. „ჩემთვის ცნობილია შემთხვევები, – შენიშნავს გროფი, – როცა წინარე სიცოცხლის ეპიზოდები სპონტანურად იჩენდნენ თავს იმ ფსიქოთერაპევტთა განსებში, რომლებსაც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი კონსერვატიული თეორიული სქემები და არამცთუ სწამდათ სულის გარდასხეულება, არამედ მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდნენ ამ იდეას“.

პირადად ჩემთვის საეჭვოა, რამდენად „ნორმალურად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული ჰიპნოზის, სენსორული იზოლაციისა თუ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედებას დაქვემდებარებული ფსიქიკის მდგომარეობა, მაგრამ ზემოხსენებული მეთოდებით მკურნალობის შედეგები მაინც შთამბეჭდავია: ამერიკელმა ექიმმა და მკვლევარმა ჰელენ ვამბახმა, რეგრესიული მკურნალობის დარგში აღიარებული სასპეციალისტმა, ჩაატარა გამოკითხვა, რომელშიაც მისი 26 კოლეგა მონაწილეობდა. 18463 პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის შესწავლამ ცხადყო, რომ მკურნალობის შედეგად ავადმყოფთა 63 პროცენტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ხოლო მათი საკმაოდ დიდი ნაწილი საბოლოოდ განიკურნა.

რეინკარნაციის იდეასთან დაკავშირებულ მოვლენებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა წინარე სიცოცხლეთა სპონტანური განცდა ბავშვების მიერ. მსოფლიოს



სხვადასხვა ქვეყანაში ხანგრძლივი ძიების შედეგად გამოვლენილი და თავმოყრილი ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პატარებს ახსოვთ და შეუძლიათ საკმაოდ ნათლად აღწერონ თავიანთი წინარე სიცოცხლე სხვა სხეულში, სხვა დროში, სხვა ადგილას და სხვა ადამიანთა შორის. შარლოტსვილის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორმა, ფსიქოლოგმა იან სტივენსონმა დაწვრილებით გამოიძია და გააანალიზა სამი ათასი ამნაირი შემთხვევის ყველა არსებითი დეტალი. უმკაცრესი კრიტიკით შერჩევის შედეგად მან მხოლოდ რამდენიმე ეჭვშეუვალი ფაქტი შეიტანა თავის წიგნში „რეინკარნაციის ოცი შემთხვევა“.

ახლა კი გაგაცნობთ სტანისლავ გროფის მოწიფულ პაციენტთა რეგრესიული მკურნალობის პროცესს, რომელსაც თვით თერაპევტი ასე აღგვინებს: „წინარე სიცოცხლეთა განცდა მთელი რიგი უჩვეულო თავისებურებებით ხასიათდება, რომლებიც მკვლევართა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებენ... გარდასულ სიცოცხლეთა განცდა იმავე კონტინუუმში მიმდინარეობს, რომელშიაც მიმდინარეობენ სიჭაბუკის, ბავშვობის, ყრმობის მოგონებები, რომლებიც, არცთუ იშვიათად, შეიძლება ძალზე დიდი სიზუსტით იქნენ შემონმებული. ზოგჯერ ისინი ახლანდელ ბიოგრაფიულ მასალასთან ერთად ვლინდებიან, ან რიგრიგობით ენაცვლეებიან მას.“

წინარე სიცოცხლეთა განცდის კიდევ ერთი ნიშანდობილი თავისებურება ის გახლავთ, რომ ხშირად ეს განცდა ჩვენი აწინდელი სიცოცხლის არსებით მომენტებს თუ გარემოებებს უკავშირდება. როცა ეს კარმული ეპიზოდები, სპონტანურად თუ ემპირიული სიღრმისეული თერაპიის წყალობით, მთლიანად ამოდიან ცნობიერ დონემდე, მათ შეუძლიათ ნათელი მოჭვინონ ახლანდელი სიცოცხლის სხვადასხვა ასპექტს, რაც მანამდე გონებაშიუნვდომელი და ენიგმური ჩანდა... წინარე სიცოცხლესთან დაკავშირებულ მოვლენათა განმცდელ ადამიანებს ხშირად უჩვეულო ძალით უნათლებათ გონება, რაც ნათელს ჰფენს გარდასულ ეპოქათა სოციალურ სტრუქტურას, სარწმუნოებებს, რიტუალებს, ზნე-ჩვეულებებს, არქიტექტურას, ჩაცმულობას, იარაღს და სხვა მისთანათ. ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის ბუნება და ხარისხი გვიჩვენებს, რომ ეს ადამიანები საყოველთაოდ აღიარებული არსების მეშვეობით ნამდვილად ვერ შეძლებდნენ ამას. ზოგჯერ გარდასულ სიცოცხლეთა ხელახალი განცდა კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ გვანვდის ინფორმაციას“.

ამ მხრივ, უთუოდ საგულისხმოა ერთი მაგალითი გროფის სამედიცინო პრაქტიკიდან: ფსიქოთერაპევტის პაციენტის – ნევრასთენიული მამაკაცის მესხიერებაში ერთ-ერთი სამკურნალო სეანსის დროს თავი იჩინეს კომმარულ-მახილვებმა, რომლებიც აღადგენდნენ XVI ს. ინგლის-ესპანეთის ომის ცალკეულ ეპიზოდებს, კერძოდ, ირლანდიის დასავლეთ სანაპიროზე, დუნანორის ციხე-სიმაგრეში ესპანელ ჯარისკაცთა უწყალო ხოცვა-ჟლეტას ბრიტანელების მიერ. სეანსის მიმდინარეობისას ამ კაცმა თავი აღიქვა მღვდლად, რომელიც თან ახლდა ესპანელებს და მათთან ერთად დაიღუპა. კულმინაციურ მომენტში მან ისე ცხადად დაინახა თავის თითზე ნამოცმული ბეჭედი, რომელზედაც ინიციალები იყო ამოტვიფრული, რომ შემდეგ შეძლო ნატურალური სიზუსტით დაეხატა იგი. ისტორიული არქივე-

ბის ჩხრეკამ, მკვლევართა გასაოცრად, გამოავლინა ერთი მღვდლის სახელი და გვარი, რომელიც დუნანორის ციხე-სიმაგრეში თან ახლდა ესპანელ ჯარისკაცებს და რომლის სახელისა და გვარის სანყისი ასოები ზუსტად დაემთხვა პაციენტის მიერ სიზმარში ნანახ ბეჭედზე ამოტვიფრულ ინიციალებს. გარდასულ საუკუნეთა სიღრმეში „მოგზაურობის“ შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა...

მომიტვეთ, დაპირების მიუხედავად, სიტყვა გამიგრძელდა. მე არც რეინკარნაციის მისტიური თეორიის ადეპტი ვარ და, მით უმეტეს, არც აპოლოგეტი. მხოლოდ ერთი მიზანი მამომრავებდა: მიხდოდა მეჩვენებინა, რომ მას არასოდეს გაუზიარებია „ნამარხ“ ინტელექტუალურ ფასეულობათა ხვედრი, ათასწლეულების მანძილზე რჩებოდა ევროპული კულტურის კორიფეთა ცხოველი ინტერესის საგნად და საკვირველიც არა არის რა იმაში, რომ უჩვეულო სიცოცხლისუნარიანობის წყალობით შეძლო თავისი მოკრძალებული ადგილი დაემკვიდრებინა ჩვენი უდიდესი ეროვნული პოეტის ნაზრევეში.

**რეკაზ სირაძე: ალბათ ნიშანდობილია, რომ რუსთველი ერთი არაბული ტერმინით – „მიჯნურობა“ აერთიანებს სიყვარულის ორ სახეს: საზეოსა და ამქვეყნიურს; ამის მსგავსად „შირობა“ საღვთო პოეზიასაც გულისხმობს და საამქვეყნოსაც. ადრე ალბათ პოეზია შექონდათ „ტექნეში“, რუსთველს იგი შეაქვს „სოფიაში“ („შირობა სიბრძნის დარგაო“). საინტერესოა ამ საკითხზე თქვენი აზრი.**

ბაჩანა ბრეპეძე: მართალს ბრძანებთ. რუსთველისთვის სიბრძნე (σοφία) და პოეზია განუყოფელი არიან ერთმანეთისგან („შირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“). ამ მხრივ, ის დიამეტრალურად უპირისპირდება პლატონს, რომელიც თავის ბრწყინვალე დიალოგში „სოკრატეს აპოლოგია“ (22 a-c) სრულიად სანინააღმდეგო აზრს გამოთქვამს: „სახელმწიფო მოღვაწეების შემდეგ მე მივადექი პოეტებს – ტრაგიკოსებს, დითირამისტებს და სხვა დანარჩენთაც, რათა აქ მაინც მემხილებინა ჩემი თავი და დავრწმუნებუიყავი, რომ მათზე უფიცი ვარ. მე ... ვიღებდი იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მათ, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ დახვეწილი და დამუშავებული ჰქონდათ, და, ამასთანავე, ვცდილობდი გამეგო, რისი თქმა სურდათ ამ ქმნილებებით, რათა ამრიგად ცოტა რამ მაინც მესწავლა მათგან. მე მრცხვენია, კაცნო, სიმართლის თქმისა, მაგრამ მეტი გზა არ არის, სათქმელი უნდა ითქვას: ერთის სიტყვით, თითქმის ყველა იქ მყოფი უკეთ ახსნიდა ამ პოეტების ქმნილებებს, ვიდრე თვით მათი შემოქმედნი, და მე მოკლე ხანში დავრწმუნდი, რომ პოეტები სიბრძნით კი არ ქმნიან მას, რასაც ქმნიან (ὅτι οὐ σοφία ποιεῖν ἂ ποιεῖν), არამედ ერთგვარი ბუნებრივი უნარისა და ღვთიური სიმამის წყალობით, როგორც ღმრთივშთაგონებული მისნები და წინასწარმეტყველნი, რომელნიც ბევრ მშვენიერ რასმე გვიცხადებენ სიტყვით, მაგრამ თვითონ კი არ იციან, რას გვიცხადებენ“...

თუმცა პოეზიას „სიბრძნის ერთ დარგად“ რომ სახავს, რუსთველი იმავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხატვრული შთანაფიქრის სრულყოფილი რეალიზაციისათვის

აუცილებელია პოეტური ხელოვნებაც (τέχνη ποιητική; – სხვათა შორის, სწორედ ესაა არისტოტელეს „პოეტიკის“ სრული სათაური): „ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება“, რითაც კვლავ მკვეთრად უპირისპირდება პოეტური შემოქმედების, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შემოქმედებითი აქტის პლატონისეულ ინტერპრეტაციას, გადმოცემულს მის ერთ-ერთ ადრინდელ დიალოგში „იონი“, რომლის ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი კონცეფცია ღვთაებრივი (მუზებისმიერი) ზემოთაგონების კონცეფციაა, რასაც პლატონი უშუალოდ დიდი ბრძენი პოეტებისგან (ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდარე და სხვ.) სესხულობს. მხოლოდ ეგაა, პლატონის აზრი უჩვეულო მასშტაბურობას ანიჭებს თავდაპირველად ბერძნული პოეზიის წიაღში ჩასახულ ამ პრიმიტიულ იდეას, რომლის მიხედვითაც პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა, თანამედროვე ტექნიკური ტერმინით რომ ვთქვათ, ღვთაების უბრალო „რუპორი“: „დიდი ეპიკოსი პოეტები საკუთარი ხელოვნების კი არა (οὐκ ἐκ τέχνης), ზემოთაგონებისა და ღვთიური სიმშაგის ნყალობით თხზავენ თავიანთ მშვენიერ პოემებს. იგივე ითქმის ლირიკოს პოეტთა მიმართ: ღვთიური სიმშაგით ცნობამიხდელი და აღტკინებით მროკავი კორიბანტების მსგავსად, ისინიც ცნობამიხდლობის უამს ქმნიან თავიანთ მომხიბლავ ლექსებს... ამიტომაც ართმევთ ღმერთი გონებას და თავის მსახურებად, ქურუმებად და მისნებად აქცევს მათ, რათა ჩვენ – მათმა მსმენელებმა – ვიცოდეთ, რომ ისინი, უცნობონი და უგონონი, კი არ ქმნიან ამ დიდებულ ქმნილებებს, არამედ თვით ღმერთი მეტყველებს მათი პირით, და, ამრიგად, თავის ხმას გვანვდენს ჩვენ“...

დანარჩენს, თუ მოისურვებს, მკითხველი თვითონ გაცნობა ჩემს გამოკვლევაში (გვ. 354-358). დიდი პოეტისა და დიდი ფილოსოფოსის „დავაში“ პოეტური ხელოვნების შესახებ მართალი, რა თქმა უნდა, პოეტია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საუკუნეები ტყუილად როდი გადაინ: გაიან და დრომოჭმული წარმოდგენების, ცნებების, იდეებისა თუ იდეალების მიმე ტვირთიც გადააქვთ დავიწყების მდინარის – ლეთეს გადაღმა, საიდანაც, თუ რეინკარნაციის თეორიას ვერწმუნებით, მხოლოდ სულები ბრუნდებიან უკან.

**რეპაზ სირაძე: მოგეხსენებათ, რომ „გამორიცხული მესამის კანონი“, რომელსაც განსაკუთრებით აფუძნებდა არისტოტელე (S=P ან S'P, მესამე შესაძლებლობა გამორიცხულიაო) უარყო ახლო და უახლესი დროის ფილოსოფიამ (ადორნო, დერიდა) და შემოიღო S=P და S'P. დერიდა წერს: „S არის, მაგრამ უფრო მეტად, არ არის P“. იმასაც აღნიშნავენ: ადორნოს ამითო („ნეგატიური დიალექტიკით“) „ფილოსოფია ესთეტიკაში გადაჰყავდა“. მგონი, შეიძლება მსგავსი რამ დავინახოთ რუსთველთანაც: მზიანი – ღამე, უჟამო – ჟამი და სხვა; ეს შეიძლება დაყრდნობოდა არეოპაგიტიკას თუ პლატონს? საინტერესოა თქვენი აზრი.**

**ბაჩანა ბრეხვაძე:** „გამორიცხული მესამის კანონი“ არისტოტელეზე (384-322 ძვ.წ.ა.) უფრო ადრე ჩამოაყალიბა სოკრატეს მონაფემ, მეგარელთა ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელმა ევკლიდე მეგარელმა (450-380

ძვ.წ.ა.). ევკლიდეს მტკიცებით, ლოგიკური მსჯელობა მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტი, როცა ის ტავტოლოგიურია. დაუშვებელია სუბიექტს მისგან განსხვავებული პრედიკატი მიენეროს. კოპულა სხვა არა არის რა, თუ არა იგივეობის სიმბოლური ნიშანი. ასევე დაუშვებელია ერთი სუბიექტისათვის მრავალი პრედიკატის მიწერა, ანდა, პირიქით, ერთი პრედიკატის მრავალ სუბიექტთან დაკავშირება. არა, ტავტოლოგია აბსოლუტურია: A=A: „არსი არის არსი“, „ადამიანი არის ადამიანი“, „ცა არის ცა“... სწორედ ამიტომ, მეგარელებს უნდა გულისხმობდეს პლატონი, როცა „სოფისტში“ უცხო სტუმარს თეეტეტესათვის ათქმევინებს:

„...მე მგონია, საზეიმო სუფრა გავუწყვეთ ჭაბუკებსა და გვიან განსწავლულ (ἄψυχοι) ბერიკაცებს. აკი ყველას ხელთა აქვს საპირისპირო პასუხი, რომ შეუძლებელია მრავალი – ერთი იყოს, ხოლო ერთი – მრავალი (ἄδύνατον τὰ τε πολλὰ εἶναι καὶ τὸ εἶναι πολλὰ εἶναι); აკი ყოველი მათგანი ნასიამოვნები რჩება, თუკი არ დაგვრთავს იმის თქმის ნებას, რომ ადამიანი არის კეთილი; არა, უნდა ითქვას: კეთილი არის კეთილი, ადამიანი არის ადამიანი (τὸ μὲν ἀγαθὸν ἀγαθόν, τὸν δὲ ἀνθρώπου ἀνθρώπου). მე მგონია, თეეტეტე, ხშირად შეხვედრიხარ ამნაირ ხალხს, მათ შორის, ხანდაზმულებსაც, თვითონვე რომ უკვირთ ყოველივე ეს და ჰგონიან, თითქოს ყოველად ბრძნული რამ (πάσσιθεν) აღმოაჩინეს“ (215 b)...

რაც შეეხება არისტოტელეს, მისი ფორმალური ლოგიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონი – გამორიცხული მესამის კანონი უახლეს ფილოსოფიამდე ათასწლეულებით უფრო ადრე გარკვეულწილად უარყო პლატონმა თავისი დიადი დიალოგით „პარმენიდე“. არისტოტელეს ფორმალური ლოგიკისა და პლატონის დიალექტიკური ლოგიკის ურთიერთმიმართების პრობლემა ვრცლად და საფუძვლიანად განხილულია ჩემს გამოკვლევაში „პლატონური დიალექტიკის შედევი“, რომელიც ჩემს მეორე გამოკვლევასთან ერთად – „პლატონი და რუსთველი“, – წინ უძღვის „პარმენიდე“ ქართულ თარგმანს, აქ კი მხოლოდ ზოგადად შეეხები თქვენს მიერ დასმულ საკითხს, რამდენადაც ჩვენი საუბარი იძლევა ამის საშუალებას.

ფორმალური ლოგიკა იმის ფორმალური ლოგიკაა, რომ უპირატესად დასკვნის ფორმალურ ასპექტს უწევს ანგარიშს (მსჯელობათა მართებული თანმიმდევრობა, წანამძღვრებისა და დანასკვის სწორი კავშირი). ამ მხრივ, ის გრამატიკას მოგვაგონებს, რომელიც სწავლობს სიტყვათა ცვალებადობისა და წინადადებათა აგების წესებს, ამ სიტყვებისა და წინადადებების კონკრეტული შინაარსის გარეშე. მაგრამ ლოგიკა, თავისი დანიშნულებით, ჭეშმარიტების წვდომის, სინამდვილის შემეცნების იარაღია (ბიზანტიელტელეს ლოგიკური ტრაქტატები საერთო სათაურით – „ორგანონი“, რაც სწორედ „იარაღს“, „ინსტრუმენტს“ ნიშნავს ბერძნულად). ამიტომ თუ დასკვნაში დარღვეულია ერთი აუცილებელი პირობა, თუ რომელიმე წანამძღვრის შინაარსი არ შეესაბამება ობიექტურ რეალობას, სილოგიზმის სწორი ფორმის მიუხედავად, ჭეშმარიტება მიუღწეველი დარჩება (თუ ზომის ერთეული არაზუსტია, მაშინ თვით ყველაზე ზუსტი გაზომვის შედეგიც კი არაზუსტი იქნება). ასე რომ, ფორმალური ლოგიკა შემეცნების იარაღად არ გა-

მოდგება, თუკი დაცული არ არის წინამძღვრების შინაარსისა და ობიექტური რეალობის შესატყვისობა...

დიალექტიკურ ლოგიკას კი შინაგანი წინააღმდეგობებით განწონილ, გამუდმებით ქმნადსა და ცვალებად სინამდვილეზე გადააქვს აქცენტი, რამდენადაც ცდილობს თავისი სილოგისტიკით „მოიხელთოს“ სწორედ ეს შინაგანი წინააღმდეგობანი და შეძლებისდაგვარად გამოხატოს ცნებებით უნივერსალური დინამიზმის უწყვეტი პროცესი. აქვე უნდა ითქვას, რომ ორივე ლოგიკის, როგორც ფორმალურის, ისე დიალექტიკურის საგანი ერთია, ორივე აზროვნების ფორმებს, წესებსა და კანონებს სწავლობს, ასე რომ, ეს ორი სხვადასხვა მეცნიერება კი არ არის, არამედ ერთი და იმავე მეცნიერების ორი სხვადასხვა განმტკიცება, რომელთა შესადარებლადაც ხშირად იშველიებენ ისეთ მაგალითებს, როგორიცაა ელემენტარული მათემატიკა და უმაღლესი მათემატიკა, ევკლიდური გეომეტრია და არაევკლიდური გეომეტრია, ნიუტონის მექანიკა და აინშტაინის მექანიკა და ა.შ. პირადად მე კი ტექნიკის სფეროდან აღებულ მაგალითს ვამჯობინებდი: კინოკამერა ცოტა უფრო სრულყოფილი ინსტრუმენტია, ვიდრე ფოტოაპარატი...

ურთგო არ იქნებოდა, აქვე, კონკრეტულ მაგალითზე გვეჩვენებინა, როგორ აქარწყლებს გარკვეულწილად დიალექტიკური ლოგიკა გამოორიცხული მესამის კანონს „პარმენიდემი“, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ, პლატონის მეტაფიზიკური სინამდვილიდან ფიზიკურ სამყაროში გადმოვინაცვლოთ და ვნახოთ, თუ როგორ შეიზღუდა ფორმალური ლოგიკის ამ ერთ-ერთი ძირითადი კანონის მოქმედების არეალი თანამედროვე ფიზიკური მეცნიერების განვითარების შედეგად, მას შემდეგ, რაც ადამიანის მაძიებელი აზრი პირველად გაცდა უშუალო გრძნობადი აღქმის ფარგლებს და მიკრონაწილაკთა იდუმალებით მოცულ სამყაროში შეღწევა შესძლო, სადაც თავი იჩინა ჩვეულ ცნებათა „სიცხადისა“ და „სიაშკარავის“, დღემდე ურყევად მიჩნეულ კანონზომიერებათა წარმოუდგენელმა რღვევამ და ჩვეს წინაშე გამოაგნებელი, პარადოქსებით სავსე სინამდვილე „გადაიშალა“, რომლის წინაშეც სრულიად უმწეოა ჩვენი სამეტყველო ენაც, ცხოვრებისეული გამოცდილებაც და „საყოველღიურო ლოგიკაც“:

„ეგრეთსოდებული კვანტური ლოგიკა – წერს დიდი გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ვერნერ ფონ ჰაიზენბერგი, – ჯერ კიდევ 30-იან წლებში გააანალიზეს გ. ბირკჰოფმა და ი. ფონ ნეიმანმა, ამ რამდენიმე ხნის წინათ კი დანვრისებით იქნა გამოკვლეული კ. ფონ ვიცზეკერის მიერ. უწინარეს ყოვლისა, აქ ძალას კარგავს არისტოტელეს, ანუ საყოველღიურო ლოგიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური აქსიომა. საქმე ეხება პრინციპს, რომლის თანახმადაც გარკვეული გამონათქვამის მნიშვნელობა ან ჭეშმარიტი უნდა იყოს, ან მცდარი. ორი გამონათქვამიდან, როგორცაა, მაგალითად, „აქ არის მაგიდა“ და „აქ არ არის მაგიდა“ ერთი აუცილებლად სწორია, მეორე კი მცდარი, მესამე შეუძლებელია: *tertium non datur*. კვანტურ ლოგიკაში ამ აქსიომის ნაცვლად, ვიცზეკერის მიხედვით, წამოყენებულია შემდეგი პოსტულატი: ზემოაღნიშნული ტიპის მარტივი ალტერნატივის შემთხვევაში გამონათქვამს მიენერება გარკვეული ჭეშმარიტება, რომელიც შეიძლება დახა-

სიათებული იქნეს ორი კომპლექსური რიცხვით. აქ, რა თქმა უნდა, დეტალებში ჩაღრმავების დრო არ არის; ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს რიცხვები საშუალებას გვაძლევენ ჩამოვაცალიბოთ ჭეშმარიტების მნიშვნელობად სახელდებული მესამე: ის უდრის 1-ს, თუ გამონათქვამი სწორია, და 0-ს, თუ გამონათქვამი მცდარია. მაგრამ დასაშვებია შუალედური მნიშვნელობებიც, მაგალითად, მნიშვნელობა 1/2, როცა გამონათქვამი თანაბარი ალბათობით შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს და მცდარიც. მაშასადამე, არსებობენ შუალედური სიტუაციები, რომელთათვისაც განუსაზღვრელი რჩება, ჭეშმარიტია გამონათქვამი თუ მცდარი; თანაც სიტყვები – „განუსაზღვრელი რჩება“ არამც და არამც არ შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ საქმის ნამდვილი ვითარების არცოდნის აზრით. ამრიგად, გამონათქვამი, ჭეშმარიტების შუალედური მნიშვნელობის თვალსაზრისით, არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს „სინამდვილეში“ ჭეშმარიტია ან ერთი ან მეორე ალტერნატიული გამონათქვამი, და მხოლოდ ისაა უცნობი, თუ რომელი მათგანი უნდა მიგვარჩნდეს ჭეშმარიტად. გამონათქვამი ჭეშმარიტების შუალედური მნიშვნელობით, უმალ, საერთოდ არ ექვემდებარება გამოხატულებას საყოველღიურო ენის ფარგლებში. ვიცზეკერი ამნაირ გამონათქვამს უწოდებს დამატებითს მარტივ ალტერნატიულ გამონათქვამთან მიმართებით... როდესაც აზრით გადავდივართ ატომთა სამყაროში, ჩვენ ისევე ნაკლებად შეგვიძლია მასში ორიენტირება არისტოტელეს კლასიკური ლოგიკის მეშვეობით, როგორც კოსმონავტს ისეთი ცნებების საშუალებით, როგორცაა „ზემოთ“ და „ქვემოთ“...

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს – „მზიანი ღამის“ შესახებ, მე მას უკვე ვუპასუხე ზემოთ; „უუაჰო ჟამთან“ დაკავშირებით კი მოგახსენებთ, რომ ეს სინტაგმა არეოპაგიტული კი არ არის, არამედ პლატონის მეტაფიზიკისა და ფიზიკის ისეთი ცნებების ურთიერთმიმართებისაგან იღებს დასაბამს, როგორცაა „მარადისობა“ (*αἰών*) და „დრო“ (*χρόνος*). „მარადისობა“ პლატონისათვის ძირეულად განსხვავდება ამ სიტყვის ჩვენი თანადროული გაგებისაგან. ამ ტერმინით „ტიმეოსში“ აღინიშნება სრულიად განსაკუთრებული ტემპორალური რეალობა: თუ დღევანდელი თვალსაზრისით მარადისობა მხოლოდ დროის უსასრულო ოდენობას გულისხმობს, პლატონის აზრით, ამ ორ ცნებას – წარსულად, აწმყოდ და მომავლად განწილულ „დროსა“ და „მარადისობას“ შორის რაოდენობრივი (კვანტიტატიური) კი არა, თვისობრივი (კვალიტატიური) სხვაობა არსებობს. „ტიმეოსის“ მარადისობა ცალკეულ მომენტებად (წარსულად, აწმყოდ და მომავლად) განუწილველი დროა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიული, წარუვალაი აწმყო, რომელიც ხასიათდება ერთადერთი პრედეკატი – „არის“. დრო მატერიალური, გრძნობად-კონკრეტული, გამუდმებით ცვლადი და ხრწნადი სამყაროს ტემპორალური რეალობაა, მარადისობა კი იდეალური, ღვთაებრივი, მარად უცვლელი და უხრწნელი სინამდვილისა. დრო დინამიურია, დენადი, სტატიური მარადისობისათვის კი სრულიად უცხოა დენადობა.

ახლა კი ნება მიბოძეთ, ბოდიშის მოხდით მოვიტანო საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტი ჩემი გამოკვლევებიდან „პლატონი და რუსთველი“: „მარადისობა“ შეუქმნელია და დაუსაბამო, დრო კი (ისევე, როგორც სამყარო) – შექმნილი და

დასაბამიერი. დრო სამყაროს თანამოასაკეა, მარადისობა კი – ღმერთის თანამარადისი; მარადისობა იდეალური პირველნიშუა (παρὰδေးμα), დრო კი – მისი ამქვეყნიური ხატი (εἶκας). ერთი სიტყვით, დრო და მარადისობა ორი სრულიად სხვადასხვა ტემპორალური რეალობაა, ასე რომ, შეუძლებელია მათი გაიგივება; დროს ისევე ვერ მივიჩნევთ მარადისობად, როგორც მარადისობას – დროდ. დაპირისპირებულობა აშკარაა თვით „ანმყო“ თვალსაზრისითაც: მარადისობა წარუვალი ანმყოა, მაგრამ რად იქცევა იგივე ანმყო როგორც დროის მომენტი? – თითქმის არარად, რაკილა თითქოს არსებობს და არც არსებობს, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ წარსულისა და მომავლის ერთმანეთისაგან გამმიჯნავ ზღვრად, მსწრაფლწარმავალ წამად თუ დროული ნაკადის ერთგვარ „ატომად“ გვევლინება. აქ პლატონს კვერს უკრავს არისტოტელეც: „...რამდენადაც „ახლა“ (არისტოტელეს „ახლა“ იგივეა, რაც პლატონის „არის“, ე.ი. „ანმყო“ – ბ.ბ.) სხვა არა არის რა, თუ არა ზღვარი, ის არ არის დრო და მარტოოდენ თანხვდომითაა ნიშნული დროისათვის, ვინაიდან ზღვარი ეკუთვნის იმას, რის ზღვრადაც ის გვევლინება“.

დროული ანმყო მარადიული ანმყოს მხოლოდ უდიდამო ათინათია, და მანაც ისინი ერთი არიან. მთელი თავიანთი დაპირისპირებულობის მიუხედავად, ისინი კი არ გამოიციხავენ, პირიქით, ავსებენ ერთმანეთს: დრო ისევე წარმოუდგენელია მარადისობის გარეშე, როგორც გრძნობად-კონკრეტული საგანი – იდეის, ანდა სამყარო ღმერთის გარეშე, ხოლო თვით დრო და სამყარო, თვით მთელი კოსმიური სინამდვილე ღმერთისა და მისი მარადიული სიცოცხლის, უშრეტი ქმედითობისა და უსასრულო ძალმოსილების გამოვლენად თუ გამოცხადებად (თეოფანია) ესახება პლატონს. განა შეიძლება მზე სითბოს და სინათლეს არ ასხივებდეს, ან ია თუ ვარდი არ აფრქვევდეს სურნელებასო? – იტყოდა დიდი პლატონი. ეს იქნებოდა მკვდარი მზე და მჭკნარი ყვავილი. შერაკლიტე ეფესელი კი დასძენდა: „დაპირისპირებული ერთდებიან და ერთმანეთს ეთანხმებიან წმინდა ლოგოსში“. ღვთაებრივი ბუნებაც, უსასრულობაც და მარადისობაც სხვა არა არის რა, თუ არა პარადოქსის რეალიზაცია, დაპირისპირებულთა უზენაესი სინთეზი, ამბობს პლატონი. სწორედ ამიტომაც შესაძლებელი ფსევდო-დიონისეს კატაფატიკაც და აპოფატიკაც. არეოპაგიტულ თეოლოგიას პლატონის დიალექტიკაში აქვს ფესვი გადგმული.

რაც შეეხება საკუთრივ „უჟამო ჟამს“, ის „მზიანი ღამის“ ზუსტი სიტყვიერი ადექვატი კი არ არის, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას „ულამო ღამისა“, ხოლო თვით „უჟამო ჟამი“, დღევანდელი გაგებით, „უდროო დროს“ ნიშნავს. რა არის „ულამო ღამე“? – ღამე, რომელიც არ არის ღამე, ღამის უარყოფა თუ თვითუარყოფა. ზუსტად ასევე, „უდროო დროც“ („უჟამო ჟამიც“) სხვა არა არის რა, თუ არა დროის უარყოფა, დრო, რომელიც არ არის დრო. ერთი შეხედვით, ეს აბსურდია, უაზრო ოქსიმორონი (ὀξυμορον<sup>12</sup>), თუ არ გავითვალისწინებთ დროისა (χρόνος) და მარადისობის (αἰών) პლატონურ დიალექტიკას, რომლის თანახმადაც, მარადისობის გადასვლა დროში, არსებითად, მარადისობის „თვითუარყოფაა“, ამ სიტყვის აბსოლუტური თუ არა, ფარდობითი გაგებით მანაც. მართებულად შენიშნავს ფრანგი სწავლული ჟოზეფ მორო: მარადისობას, ისევე, როგორც გონით

სანვლომ იდეებს, „ვერ მივუსადაგებთ გამოთქმებს – „ის იყო“, ან „ის იქნება“, რადგანაც ის მხოლოდ „არის“. ეს ტემპორალური გამოთქმები მარტოოდენ ქმნად საგნებს და თვით გრძნობად სამყაროს თუ ესადაგება, რომლისთვისაც შეუძლებელი იყო შეეძინა თავისი პირველნიშუის აბსოლუტური არსებობა. აი, რატომ გვაუწყებს „ტიმეოსი“, რომ სამყაროს შემოქმედმა განიზრახა შეექმნა მარადისობის (αἰών) ერთგვარი მოძრავი ხატი (εἶκας) და ამ ხატს „დრო“ უწოდა. ამ სახელგანთქმული ფორმულის აზრი, ჩვეულებრივ, მცდარად ესმით: ასე ჰგონიათ, თითქოს დროის მონაცვლეობა (succession) უცვლელი მარადისობის ერთგვარი შემცვლელი (succédané) იყოს. მაგრამ მონაცვლეობა მარადისობის მიბაძვა როდია. პირიქით, ის მისი უარყოფაა, მისი დისპერსია (elle en est au contraire, la négation, la dispersion)“.

ამრიგად, თუ დრო მარადისობის თვითუარყოფის შედეგია, მარადისობა, თავის მხრივ, შეიძლება დროის თვითუარყოფად იქნეს აღქმული, ასე რომ, „უდროო დრო“, ანუ „უჟამო ჟამი“, გარკვეული აზრით, „მარადისობის“ სინონიმად წარმოგვიჩნდება. ამ შემთხვევაში, „უჟამო ჟამად“ სახელდებული ღმერთი მისი ერთ-ერთი ატრიბუტით – „მარადიულობით“ იქნება განსაზღვრული, რაც საკვებით ბუნებრივია, ვინაიდან ღმერთში არა არის რა ისეთი, თვით ღმერთი რომ არ იყოს. უზენაესი არსების აბსოლუტური სიმარტივე აუცილებლად გულისხმობს მისი ყოველგვარი სრულქმნილებისა (მათ შორის, მარადიულობის) და მისივე სუბსტანციის იგივეობას, როგორც ფიზიკური, ისე მეტაფიზიკური თვალსაზრისითაც. ალბერტ დიდის თანახმად, „ფიზიკური გაგებით, ღმერთი მარტივია იმიტომ, რომ თუკი ნაწილებისაგან შედგენილად ვიგულებთ, მაშინ ეს უკანასკნელი მასზე უწინარესნი იქნებოდნენ და ღმერთს ვეღარ მივიჩნევდით აბსოლუტურ პირველსაწყისად. მეტაფიზიკური გაგებით, ღმერთი მარტივია იმიტომ, რომ თუკი მისი სრულქმნილება რეალურად განსხვავებული იქნებოდა მისივე არსისაგან, მაშინ ეს სრულქმნილება ისე მიემართებოდა ღვთაებრივ არსს, როგორც superaditum (ზედსართი), და იმავე სრულქმნილების მიზეზად ან ღმერთი უნდა დაგვესახა, ან ღმერთისგან განსხვავებული რადაც. პირველ შემთხვევაში გამოირიცხებოდა ღმერთის თვითმყოფობა, მეორე შემთხვევაში კი ღმერთი ქმედით და, იმავდროულად, ვნებით საწყისადაც მოგვევლინებოდა, რაც მხოლოდ ფიზიკურად რთულ არსებებშია შესაძლებელი. ამრიგად, ყველაფერი, რაც არის ღმერთში, თვითონ ღმერთია. ყოველგვარი სრულქმნილება მთელს მის არსებას გამოხატავს“. ამასვე ამტკიცებს თომა აქვინელის თეოლოგიაც. ხოლო ნეტარი ავგუსტინე წერს: „წლები ღმერთისა, მისი მარადისობაა, ხოლო მარადისობა ღმერთის სუბსტანციად გვევლინება, ღმერთისა, რომელშიაც არა არის რა ცვალებადი. არ არის მასში არანაირი წარსული, რაც უკვე იყო; არც მომავალი, რაც ჯერ კიდევ არ დამდგარა. არ არის მასში არაფერი, გარდა იმისა, რასაც ჰქვია „არის“. არ არის მასში „იყო“ და „იქნება“, რადგან რაც იყო, უკვე აღარ არის, ხოლო რაც იქნება, ჯერ კიდევ არ არის; არა, მასში არა არის რა, გარდა იმისა, რაც „არის“. როგორც ვხედავთ, პლატონის გაკლენა დიდი ქრისტიანი მოაზროვნის თეოლოგიურ კონცეფციაზე თვით სპეციფიკურ ტერმინთა („იყო“, „არის“, „იქნება“ = „წარსული“, „ანმყო“, „მომავალი“) დონემდეც კი ვრცელდება.

დასკვნის სახით ერთს ვიტყვით მხოლოდ: მიუხედავად იმისა, ურთიერთსაპირისპირო ტემპორალურ რეალობებად აღვიქვამთ დროსა და მარადისობას, თუ დაპირისპირებულია ერთობის სახით, გაცილებით მეტი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ რუსთველის შთავაგონების წყარო თუ შემოქმედებითი იმპულსი, როცა ის ღმერთის სახელად „უჟამო ჟამს“ ქმნიდა, პლატონის დიალექტიკური მოძღვრება უფრო იყო, ვიდრე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის კატაფატიკა-აპოფატიკა, რომელსაც, ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, პლატონის დიალექტიკაში აქვს ფესვი გადგმული“.

**რეპეზ სირაძე: რუსთველი პოემაში შემოდის როგორც არისტოკრატი. ხელს შეუწყობდა თუ არა მისი ინტელექტუალური და ესთეტიკური არისტოკრატიზმი პლატონთან სიახლოვეს?**

ბაჩანა ბრემბაძე: ცამდე მართალი ბრძანდებით. რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა. უზარმაზარი დროული დისტანციით ერთმანეთისაგან დაშორებული ორი დიადი კულტურა, ანტიკურიც და რენესანსულიც, მთელი მათი სხვაობის მიუხედავად, ჭეშმარიტად არისტოკრატიული იყო. ორივე ჩვენგანისათვის საინტერესო პრობლემაზე მოკლე პასუხის პარალელურად, დღევანდელი პირქუშა და უსიხარულო ფონზე მაღალი კულტურის სულთათანასა თუ რეკვიმით იმის ბოლშევიკური ტირანიის რეპრესიებს გარიდებული და უცხოეთში გადახვეწილი დიდი რუსი მოაზროვნის ნიკოლოზ ბერდიაევის (1874-1948) სიტყვები (იხ. მისი ბრწყინვალე ესესე – „ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში“ დასკვნითი, IV თავი):

„დღეს ყველა კულტურის კრიზისზე ლაპარაკობს და შიშით შეჰყურებს მომავალს. ეს მოარულ თემად იქცა. კულტურის კრიზისი იმასთანაა დაკავშირებული, რომ ნებისმიერი მაღალი კულტურისათვის ნიშნულია არისტოკრატიული თვისობრივი საწყისი, რომელსაც უდიდესი საფრთხე ემუქრება დემოკრატიზაციისა და გათანაბრების პროცესის, მასების მბრძანებლობის მხრივ. ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის არისტოკრატიული საწყისის წინააღმდეგ პლებეური ჯანყის ეპოქაში. ახალი ავტორიტარული სახელმწიფოები კულტურის მიმართ აშკარად პლებეურ დამოკიდებულებას იჩენენ, რაც რაოდენობის თვისებაზე მბრძანებლობას ნიშნავს. ანტიკური ბერძნულ-რომაული კულტურა თავისი პრინციპით თვისობრიობის დამცველი და ხელშემწყობი კულტურა იყო. არისტოკრატიული იყო რენესანსის კულტურაც. კულტურა მოცილილობისა და იმის წყალობით ვითარდებოდა, რომ შესაძლებელი იყო შემოქმედებით ძალთა სიჭაბრბის გამოვლენა; ის გულისხმობდა არათანასწორობას. კულტურა არასოდეს არ არსებობდა კაცობრიობის მთელი მასისთვის, არასოდეს არ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს თუ მოთხოვნილებებს. კულტურის ხალხურობა არასოდეს არ ნიშნავდა იმას, რომ ხალხის მასების დონე შეესაბამებოდა მათი დაკვეთის შესრულების დონეს. ხალხურობა ხალხის სულის გამოხატულება იყო, გენიოსს შეეძლო უკეთ გამოეხატა იგი, ვიდრე მასას. მაგრამ დღეს კულტურისაგან სულ უფრო და უფრო მეტად მოითხოვენ ხალხურობას, ხალხის მასების მოთხოვნებსა თუ მოთხოვნილებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ეს

ინვეს კულტურის გადაგვარებას და მას სხვა რიგის ფენომენად აქცევს, რომელსაც სხვა სახელი უნდა ვუწოდოთ. ზოგჯერ ამ ფენომენს ცივილიზაციის სახელს არქმევენ, მაგრამ ეს ტერმინოლოგია, რა თქმა უნდა, პირობითია. მასებისა და უპიროვნო სიმრავლეთა მბრძანებლობა, რომელიც ხან ბურჟუაზიული დემოკრატიისა და ფულის დიქტატურის – ყოველთვის ფარული და შენიღბული დიქტატურის, ხან კი ავტორიტარული სახელმწიფოებისა და ბელადების აშკარა დიქტატურის სახეს იღებს, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს კულტურის შემოქმედთა ფენას, კულტურულ ელიტას. ეს კულტურული ელიტა სასიკვდილო აგონიას განიცდის, მისი მორალური და მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება. ლიბერალურ დემოკრატიაში ის კაპიტალისა და ბრბოს ვულგარულ გემოვნებაზე დამოკიდებული, ავტორიტარულ, ანუ კომუნისტურ დემოკრატიაში კი – სულის დამთრგუნველ მსოფლმხედველობრივ დიქტატურაზე, სულის ორგანიზების პრეტენზიას რომ აცხადებს. ჩვენ „სოციალური დაკვეთის“ ეპოქაში ვცხოვრობთ. მასების სოციალური დაკვეთა განსაზღვრავს, რა უნდა იყოს კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია, მეცნიერება და თვით რელიგია. მაგრამ არ არსებობს დაკვეთა, უმაღლესი ხარისხის კულტურას, სულიერ კულტურას, ნამდვილ ფილოსოფიასა და ნამდვილ ხელოვნებას რომ მოითხოვდეს“.

**რეპეზ სირაძე: დიდ მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის.**

ბაჩანა ბრემბაძე: მე კი საინტერესო კითხვებისთვის გიხდით მადლობას.

- 1 იგულისხმება იდეალური სინამდვილე, იდეათა ინტელიგიბილური სამყარო.
- 2 იგულისხმება კოსმიური გონება.
- 3 აქ პლატონი იდეებს გულისხმობს.
- 4 იგულისხმება მატერიალური სინამდვილე, გრძნობად-კონკრეტულ საგანთა სამყარო.
- 5 იგულისხმებიან მატერიალური საგნები.
- 6 აქ პერსონიფიცირებული „იდეები“ იგულისხმებიან.
- 7 ამის შესახებ იხ. ჩემი გამოკვლევა „წარმართული სამება (პლოტინის ფილოსოფიის ესკიზი)“, ჟურნ. „მნათობი“, 2003, №7-8, გვ. 86-88; 90-91.
- 8 „დემონი“ (δαίμων) ძველი ბერძენისათვის „ღმერთს“, „ღვთაებას“ ნიშნავდა და არა იმას, რასაც დღეს ნიშნავს (მნიშვნელობა ქრისტიანობამ უცვალა).
- 9 „ილიადა“, XVI, 805-815.
- 10 „ილიადა“, XVII, 15-61.
- 11 დიოგენე ლაერტელი, გამოჩენილ ფილოსოფოსთა ცხოვრება“, VIII, 4-5.
- 12 ὄψινος (ὄψιν – „მკვეთრი“, „ბასრი“ + ὄψινος „სიბრიყვე“, „სისულლე“) – „მკვეთრი სიბრიყვე“, ურთიერთსაპირისპირო ცნებათა ხატოვანი შერწყმა: „მრგვალი კვადრატი“, „მჭევრმეტყველური დუმილი“, „სულელი ბრძენი“, „ცივი ცეცხლი“, „ურჩი მორჩილი“, „ღარიბი მილიონერი“ და სხვ.

იუკიო მისიმა

# ნინძას ხელოვნება

იაპონელი მწერალი იუკიო მისიმა (1925-1970) მრავალი ნოველის, მოთხრობის, ესეის, დრამისა და რომანის ავტორი გახლავთ. მისიმა ყველაზე ცნობილი რომანებია: „აღსარება ნიღბისა“ (1949), „სიყვარულის წყურვილი“ (1950), „ტალღების ხმაური“ (1954), „ოქროს ტაძარი“ (1956).

მისიმა ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე; სამურაების ტრადიციისამებრ, ხარაკირი გაიკეთა – იაპონიის ხელისუფლები-სადმი პროტესტის ნიშნად. მისიმა პროტესტი გამოხატავდა იყო იმით, რომ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ იაპონიაში, გამარჯვებულთა ვერდიქტით, განხორციელდა დემილი-ტარიზაცია, ქვეყნის ხელისუფლება კი, მისიმა აზრით, ამ უსამართლობის გაუქმებას არა ცდილობდა.

მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ერთი უჩვეულო ეპიზოდი მისიმა ბიოგრაფიიდან.

მისი ახლო მეგობარი ყოფილა მწერალი კობო აბე, ვისი სახელიც და შემოქმედებაც უფრო პოპულარულია ჩვენში, ვიდრე მისიმა. მათ მეგობრობას ხელს არ უშლიდა ის გარემოება, რომ აბე იყო კომუნისტი, ხოლო მისიმა – მონარქისტი.

მისიმა თურმე ეუბნებოდა აბეს: როცა იაპონიის ოდინდელ ძლიერებას ავადორძინებთ, ყველა კომუნისტს მუსრს გაავალებთ, მხოლოდ შენ დაგინდობთ.

აბე, თავის მხრივ, ასე მიმართავდა მეგობარს: როცა კომუნისტები დაეპატრონებით იაპონიას, ყველა რეაქციონერს – მონარქისტი იქნება თუ მილიტარისტი, ლიბერალი თუ დემოკრატი – ერთიანად ამოვხრცავთ და მხოლოდ შენ გადაგვირჩებო.

დახვთ, თანამედროვე იაპონიაში ისიც ხდება ხოლმე, რომ თხა და მგელი ერთად სძოვენ!

მთარგმნელი

როგორც კი კიუდოს ლულიდან ნასროლი ნემსი ზედ კეხში შეერჭო გენძო ისიბასის, მაშინვე ცხადი გახდა, რომ ტოი ფუმინორის განგსტერული კლანის მესვეურთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღებოდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

ეს უკვე მეორე მკვლელობა იყო და მოხდა მსგავსად პირველი მკვლელობისა, რომელსაც ემსხვერპლა ორმოცდაათი წლის ტარო სუვა, ასაკით ყველაზე უმცროსი საბჭოს წევრთაგან. ის მოკლულ იქნა ტოი ფუმინორის საამო ბაღში. ნემსი ისროლა იმ ხელმა, მართლაც მარჯვედ რომ ფლობდა კიუდოს, და ზუსტად საფეთქელში მოახვედრა მსხვერპლს. სუვამ სული განუტევა კლანის ხუთივე მეთაურის თვალწინ.



ახლა ბებერი ფუმინორი დაჰყურებდა მიწაზე გართხმულ გენძო ისიბასის ცხედარს, მუშტები მაგრად მოკუმბა და თავზარდაცემული ფიქრობდა: „ეს ყველაფერი ჩვენს აღსასრულს მოასწავებს...“

– ნინძა!\* – სუსხიანი ხმით წარმოთქვა ვილაცამ.

ისიბასის გაქვავებული გუგები ზეცისკენ აღეპყრო.

ტოი ფუმინორი საწოლში იწვა და სანახევროდ დახრილი წამწამებიდან უმზერდა პატარა და ჩამოსხმულ კუმიკოს, რომელმაც ჩაი მოართვა. უკვე რამდენიმე წელია იგი სატრფო იყო მისი, მაგრამ ტოის ჯერაც არ მოყირჭებოდა ტკბობა ქალის მშვენიერებით. ამასთან, კუმიკო ძალზე ჭკვიანი იყო. თავისი რჩევებით არაერთგზის დახმარებია ფუმინორის, როცა კაცი იფიქრებდა, გამოსავალი არსად ჩანსო! ამიტომაც გაესაუბრა სატრფოს ისიბასისა და სუვას მკვლელობაზე.

კუმიკო გულისყურით უსმენდა ფუმინორის და დაასკვნა:

– ჩემო ბატონო, ის, ვინც ქირაობს ნინძას, სერიოზულად აპირებს ბრძოლას ბოლომდე.

– მაგრამ თუკი ძალაუფლებას ეპოტინება, თავიდანვე ჩემი მოკვლა არ უჯობს?

– ეტყობა, შიშობს, რომ თქვენი მეგობრები შურს იძიებენ, ანდა აფრთხობს საბჭოს დანარჩენ წევრთა ძალ-ლო-ნე. ეს კაცი მიისწრაფის, რომ ჩამოიშოროს მეტოქენი და, იმავდროულად, არავის დაუთმოს ძალაუფლება.

– საბჭოში სამილა დარჩა: ტავარა, კოგა და კიტანი. მაშასადამე, ერთ-ერთი მათგანი...

– დაისვენეთ, ჩემო ბატონო. – კუმიკომ ნაზად მოუთათუნა ხელი ლოყაზე. – და არც კი იფიქროთ, ნინძას დავემალეებით. ეს შეუძლებელია.

– შენ მართალი ხარ. შემდეგი თათბირიც ჩვეულებრივად ჩატარდება.

ფუმინორი ესაუბრებოდა თავის სამ თანაშემწეს და დაძაბული ფიქრი უტრიალებდა თავში: ნეტავი რომელმა მათგანმა დაიქირავა მკვლელი. სამეულის წადილს ანგარიში არ გაუწია და ვერანდის კარი ღიად დატოვა, ხოლო კოგა, კიტანი და ტავარა კარის პირდაპირ, ხის კედელთან გაამწესა. საუცხოო სამიზნეები იყვნენ.

შემოვიდა კუმიკო და ჩაი შემოიტანა.

წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ყრუდ გაისმა სისინი. ტავარამ დაიგმინა, მაგრამ არ განძრეულა, სახეზე კი შეძრწუნება გამოეხატა. ნემსმა ყურის ნიჟარა გაუგლიჯა და კედელში ჩაერჭო.

და პირველი, რაც ფუმინორის მოესმა, იყო პატარა კუმიკოს ნათქვამი:

– ნინძას ხელოვნება უზადაო.

\* ნინძა – ჰონსიუს კუნძულზე არსებული საიდუმლო თემის წევრები, რომელთაც ყრმობიდანვე ასწავლიან „ნინძიუცუს“ („უჩინმა-ჩინად გადაქცევის ხელოვნებას“). მათ მიერ დამუშავებული ილეთები ბრძოლისა საიდუმლოდ ინახება და თაობიდან თაობას გადაეცემა – მხოლოდ თემის წიაღში.

## დეტაქტივი

მეორე დილით კუმეიკო მკვდარი ნახეს.

ბებერმა ფუმინორიმ ნელ-ნელა და ნაზად, რამდენადაც კი შეეძლო, ამოიღო ნემსი ქალის სხეულიდან. მას შიგ გულში გაეცვლო.

ფუმინორი ბაღში იჯდა და მარჩიელობდა: კოგა თუ კიტანი? ტავარა სათვალავში აღარ იყო ჩასაგდები. ნინძამ ერთხელ ააცდინა მიზანს, მაგრამ მეორედ ეს აღარ მოხდება. ტავარა უკვე მკვდრებს მიეთვლებოდა.

და უეცრად გონება გაუნათდა. ფუმინორის გაახსენდა კუმეიკოს სიტყვები: „ნინძას ხელოვნება უზადოა“. ქალი

ამჯერადაც შეენია თავის პატრონს: ფუმინორიმ მკვლელო ამოიცნო!

ნინძას მიზანში არ აუცდენია. ნინძა მიზანში არასოდეს არ აცდენს. მან ზუსტად იქ მოახვედრა, სადაც უმიზნებდა, ხოლო გასისხლიანებულ ყურს ტავარასგან უნდა აეცდინა კლანის თავკაცის ეჭვი.

კუმეიკო მყისვე მიხვდა ამას. და ამიტომაც უნდა მომკვდარიყო.

თარგმნა  
ზურაბ ცაიცივაძე

## ბამონხაურება

# ელინიზმი გვიმორღება ბაორმაგებული ღრამატიზმით

მაინც რა აზრი აქვს ამგვარი ანალოგიების ძიებას? – ეს შეკითხვა თვითონვე წამოეჭრება ნუგზარ მუზაშვილს, ვინც ლიტერატურულ ნარკვევში „ანალოგიები“ („სჯანი“, 2005, №6) საკმაოდ დამაჯერებელ მსგავსებას წარმოსახავს ორი ათასი წლის წინათ გადავლილ ელინისტურ ხანასა და დღევანდელ პოსტმოდერნისტულ ერას შორის.

თავისთავად მსგავსების პოვნა იქნებ საძნელოც არ იყოს ღრმად ერუდირებული პიროვნებისათვის, ისე ხელისგულზეა გადაშლილი ყოველივე, მაგრამ ნარკვევის მთავარი ღირსება მაინც ისაა, რომ ნიუანსობრივ ჩაღრმავებასთან ერთად გაბედული და მასშტაბური მსჯელობა განმსჭვალულია სიახლის დიდი მოლოდინით, კრიზისის გარდუვალი დასრულების შემდგომი, ბუნდოვანებაში განოლილი სივრცის კარიბჭეში შეღწევის წადილით და ძიების ეს გზა ფასეულია არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ ზოგადკულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ერთმანეთსაა შედარებულ-შეპირისპირებული საბერძნეთისა და რომის შეურიგებელი ურთიერთობა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ევროპისა და ამერიკის შეუპოვარი ჭიდილი. რომი ბერძნული კულტურიდან ამოიზრდებოდა და ისევე შეეცდებოდა მის სრულ შთანთქმასა და გაქარწყლებას, როგორც ამერიკული კულტურა აღმოცენდებოდა ევროპიდან და... მის დასამხოვად შეიმართებოდა, ობლისა და გამზრდელის ანდაზისა არ იყოს.

სტენდალიდან მოყოლებული ევროპელ ინტელექტუალებს ამერიკული ვულგარულობა, გონებრივი სიხისტე და სწორხაზოვნება მუდამ დაცინვის გუნებაზე აყენებდათ?

აღმოჩნდებოდა, რომ რეალობა გაცილებით უფრო მკაცრი ყოფილა, ვიდრე ჩვენი იდეალური წარმოდგენა მასზე, და ხიფათის წინაშე დამდგარი დასავლეთი გამალებული შეუდგებოდა თავშესაფრის აგებას ევროპის შეერთებული შტატების სახით.

ხოლო ელინიზმი და პოსტმოდერნიზმი ერთნაირად ჩავარდნილიყვნენ ქაოსში და მათ თავს დამტყდარი კრიზისული ცნობიერება კი ქმნიდა ახალ კულტურას, „რომელიც უფრო ეკლექტურადაა მრავალფეროვანი, ვიდრე ძლიერი; უფრო მანერულია და ზედაპირული, ვიდრე გენიალურად ღრმა და უცერემონიო; იგი გაცილებით მეტს ზრუნავდა წინა კულტურული მიღწევების სისტემატიზაციასა და გადაფასებაზე, ვიდრე ახალ აღმოჩენებსა და გაბედულ გარღვევებზე“.

ამიტომაც იკარგება ინტერესი სერიოზული თემების მიმართ.

ამიტომაც უყურებენ ათვალწუნებით ტრაგედიას.

ამიტომაც აღიზიანებს ან მთქნარების გუნებაზე აყენებს საზოგადოებას ყველაფერი გამირული და, სამაგიეროდ, მსუბუქი, გასართობი ჟანრებისაკენ უჭირავს თვალი, და ელინიზმის ეპოქაშიც ამიტომ იქმნება პირველი იდილიები და პასტორალები – თანამედროვე მასკულტურის პროტოტიპები.

ამიტომაც მეორდება კრიზისის მიმართ ელინისტური რეაქციები ანუ პოსტმოდერნისტულ ცნობიერებაშიც გამოიყოფა ისეთი შრეები, საგრძნობს რომ ხდის კინიზმის, სტოიციზმისა თუ სკეპტიციზმის კვალის არსებობას.

ანალიტიკური განსჯა იმასაც ათვალსაჩინოებს, რომ გამეორებით კი მეორდება ეს ყველაფერი, მაგრამ გაორმაგებული ღრამატიზმით, და თანამედროვე ინტელექტუალს, რომელიც საკუთარი ხელით ანგრევს ტრადიციულ ფასეულობებს, ხშირად ერთადერთ გამოსავლად სტოიკური ელფერის „გაძლებება“ რჩება.

მახვილგონივრულად წარმოჩენილი ანალოგიები ანალოგიებად, მაგრამ რა აზრი აქვს ამგვარ ძიებას?

ნუგზარ მუზაშვილი წინასწარვე ვარაუდობს ასეთ სკეპსის კრიზისული ცნობიერების მკითხველის მხრივ და ამიტომაც მკაფიო დებულებით გამოთქვამს იმ შეხედულებას, რაც სხვა შემთხვევაში სავსებით კმაროდა, რომ მხოლოდ მინიმუმებული ყოფილიყო:

– ისევე, როგორც თავის დროზე ელინისტური ხანა, ასევე დღეს პოსტმოდერნიზმის ერა რალაცის გარდაუვალი დასასრულის წინათგრძნობით განმსჭვალული ეპოქებია.

ელინიზმი ძველ ბერძნულ კლასიკურ კულტურას დაასრულებდა, ევროპული ცივილიზაციის განმსაზღვრავს.

პოსტმოდერნიზმი?

– უნდა ვიფიქროთ, რომ ალბათ ორიათასწლოვან დასავლურ ქრისტიანულ კულტურას. როგორც ჩანს, ჩვენს თვალწინ მისი უკანასკნელი გვერდები იფურცლება და მალე ალბათ ეს უზარმაზარი და უმნიშვნელოვანესი წიგნიც დაიხურება.



## გამოხმაურება

და ნარკვევის ავტორს ძალდაუტანებლად უჩნდება ეს შეკითხვა: ყველაფერი ოცი საუკუნის წინათ კუნძულ პატმოსზე მისტიკურ ვიზიონებში ნანახი კატასტროფით დასრულდება თუ დასავლური ცივილიზაცია არსებობის სრულიად ახალ სიბრტყეზე გადასასვლელად ემზადება?

ამ პასაჟში მინიშნებულია ის ახალი სინამდვილე, რაც ათწლეულების წინათ ერეკლე ტატიშვილმა ნიცშესებური გაბედულებითა და მისეული მეტაფორების მოშველიებით ასეთ ფილოსოფიურ ფორმულაში მოაქცია:

მამა-ღმერთი რომ დაბერდა, იესო ქრისტეში განახლდა, ახლა კი იესო ქრისტეც რომ დაბერდა, მისი განახლებაც გარდუვალიაო.

ფრიდრიხ ნიცშეს ამ ნარკვევის ავტორი საგანგებოდ იმონებს რამდენჯერმე და მსჯელობისა და ანალიზის ფინალური მონაკვეთი სწორედ „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შემოქმედის გავლენითაა აღბეჭდილი, მოაზროვნისა, ვინც ევროპულ კულტურას წარმოდგენა შეუცვალა საკუთარ თავზე, ანუ: გააშიშვლა ფარისევლური მორალი, გაფანტა ილუზია და ადამიანი პირისპირ წაუყენა უღმობელ სამყაროს.

„ანალოგიების“ მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ ნიცშე აღმოჩნდეს წინასწარმეტყველი იმ პოსტპოსტმოდერნიზმისა, რომელიც შესაძლოა მალეც დაგვიდგეს, როგორც დასავლელი კულტუროლოგები და ფილოსოფოსები ვარაუდობენ.

ნარკვევაში მიმოფანტულია არაერთი ორიგინალური, მახვილგონივრული, სასიამოვნოდ გამაოგნებელი მოსაზრება თუ ფორმულირება. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ნუგზარ მუზაშვილი ცდილობს დაიცვას ეპიკურიზმი დამახინჯებისაგან და დაუბრუნოს ის სახე, რაც მისთვის მიენიჭებინა თვითონ ეპიკურეს, ვიდრე მსოფლმხედველობას სრულიად ამოუტრიალებდნენ და ნაცვლად ტკივილისა და შიშისაგან გათავისუფლებისა, როგორც თვითონ ესმოდა თავისი მოძღვრების არსი, დასახავდნენ უზომო სმა-ჭამისა და განცხრომის მოქადაგედ.

ანდა:

– ლენინიზმი, როგორც პლატონიზმის მოდერნისტული ვარიანტი.

ისე საგულისხმო კი იქნება, ეს ეფექტურად გადმოსროლილი გაიგივება არ იკმაროს და მისეური მახვილგონიერებით ჩაუღრმავდეს ამ თემასაც.

„ანალოგიები“ გაგრძელებას ისედაც ითხოვს.

ნარკვევი ვრცელ ნაშრომად უნდა გადაიზარდოს და საკმაოდ შეივსოს საილუსტრაციო მასალით, თუკი ავტორს სურს ის ზეგავლენა იქონიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რასაც კიდევ ერთი ახალი ეპოქისაკენ მზადება გვაავალებს.

საბა სულხანიშვილი

## კრიტიკა

მზია ძაძამია

# ორი სამზერი

\*

**რუსუდან ნიშნიანიძის  
ორტომეული  
ორად გახლჩილ  
საქართველოზე**

ჟენევაში გრიგოლ რობაქიძე ივანე ზურაბიშვილის მიერ ნამბობო ერთ ამბავს გაიხსენებს და, მოხიბლული, მონათხრობს „გასაოცარს“ დაარქმევს.

1888 წელი. ალექსანდრე III ჩამოდის საქართველოში. ქუთაისსაც ესტუმრება. ამაღის თანხლებით შედის იმ ტაძარში, „სობოროს“ რომ ეძახდნენ. „შესდექ, რუსეთის ხელმწიფე! – გაისმა ხმა გაბრეილისა. ირგვლივ გაცეცებაა. – ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში და, როგორც ასეთი, სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობას მოითხოვს, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი აქვს“.

„შესდექ, რუსეთის ხელმწიფე!“ არა მგონია – იტყვის ალტაცებული ქართველი მწერალი – მსოფლიოს ისტორიაში მოვნახოთ ასეთი გაბედული მიმართვა თვითმპყრობელისადმი. ამ სამ სიტყვაში მოცემულია მთელი საქართველო“, – დანერს რუსუდან ნიშნიანიძე წიგნში „საქართველო – სამანს აქეთ და სამანს იქით“; და ამ ქვეყნებში (აქეთ-იქით) მომხდარ მოვლენებსა და ლიტერატურაზე გვესაუბრება. მისთვის მნიშ-

ვნელოვანი არა მხოლოდ ის საბედისწერო დღეები გახდება, რომელზეც საგანგებოდ ცალკე თავში „პოლიტიკური კალენდარი“ გვიამბობს (ოფიციალური დოკუმენტებით, მემორანდუმებით გაჯერებული), არამედ თუნდაც 1924 წელს საქართველოში გამოცემული პოეტური კრებულები.

ავტორი სათაურს ოქროს ასოებით ამოაბეჭდვინებს. ამით ხაზს გაუსვამს იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რომელიც მას, როგორც ავტორს, და იმ ადამიანებს, რომელთა შესახებაც წერს, აქვთ – ნათელი, ლამაზი, მკვეთრი, დასამახსოვრებელი.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე 1918-21 წლები ხანმოკლე ბედნიერება იყო საქართველოსთვის. შავბნელი დღე გაუთენდა ქვეყანას 1921 წლის 25 თებერვალს. ნოველაში „დიდი იოსები“ კონსტანტინე გამსახურდია დანერს: „იჯდა და სტიროდა ჩუმად, ადგილის დედას მიაგავდა საქართველოსას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილს“.

რუსმა კვლავ დაიპყრო საქართველო, ამჯერად ნითელმა რუსეთმა.

„სამანს იქით ნასული ერთი ემიგრანტი იტყვის: „ყველაფერი დაეკარგეთ: სამშობლო-ცა-ფიროზ, ხმელეთ ზურმუხტი, მოდედუნე მტკვრის ნაპირი... აღარ გვესმის ქართველი გულგაღვლილი გლეხის ურმული, აღზევანს მავალი, მაგრამ სული ხომ შეგვრჩა, ქართული სული და მისი მშვენება ქართული ენა“, – დაიმონებს რუსუდან ნიშნიანიძე მინდია ლამაზურის თქმულს.

ორად გახლჩილი საქართველო, გეოგრაფიულად და არა სულიერად, იძულებით ემიგრაციაში წასულები, რომლებმაც საქართველოდან ერთი მუჭა მიწა წაიღეს. მათი სამშობლო მათი გული იყო. ეზმანებოდათ ცხადში და სიზმარში თავისი ქვეყანა. წერდნენ და გულს იხებდნენ, წიგნებს გამოსცემდნენ, ჟურნალებს აარსებდნენ, ქართულ კულტურას იკვლევდნენ და იყო იმედი, რომ მათი კალმის ნალვანი ოდესმე სამშობლოში მოხვდებოდა.

სამანს აქეთ დარჩენილები დიდი წნეხის ქვეშ გამჭვირვალე ალეგორიებითა და სიმბოლოებით წერდნენ მომავლისათვის, თანამედროვეთათვის და ჭეშმარიტი მამულიშვილებისათვის. მათაც სწამდათ, რომ მომავალი თაობა ახლებურად წაიკითხავდა მათ შემოქმედებას.

შესანიშნავად წერია ანოტაციაში: „საქართველო – სამანს „აქეთ“ და სამანს „იქით“. სხვადასხვა სამხერი: თუმცა ერთიანი ნაციონალური განცდა და ეროვნული მწერლობის საზიარო საფიქრალი. კულტურაში გააზრებული სინამდვილე სხვა დატვირთვას იძენს. ამ ადამიანებმა ერთი სიყვარულით (სამშობლოსადმი), ოღონდ სხვადასხვა იდეით იცხოვეს“.

კიდევ – რომ არაერთი პრობლემა ახლებურად არის წამოჭრილი და გააზრებული.

კრიტიკა შემოქმედებაა და ის ლიტერატურის სრულყოფილებიანი ნაწილია. როგორც მხატვრული ლიტერატურა ეპოქალურ მოვლენებს გამოხატავს, ასევე კრიტიკული წერილისა თუ წიგნის ავტორი იმ დროის ნაყოფია, აქაც ავტორი თავის დამოკიდებულებას გვიმჟღავნებს. რუსუდან ნიშნიანძის წიგნი იმითაა განსაკუთრებული, რომ აქ მრავლადაა უაღრესად ფასეული დაკვირვებანი და შეხედულებანი გამოთქმული. სწორედ ეს არის მთავარი ღირებება ამ წიგნისა, რომ ავტორი წარმოგვიდგება არა კომპილატორად, არამედ განათლებულ, ღრმად ჩაფიქრებულ მოაზროვნე შემოქმედად.

ნაშრომი წარმოდგენილია ორ წიგნად. მართალია საქართველოსთან დამოკიდებულება ერთ მთლიანობაშია გააზრებული და წარმოდგენილი, მაგრამ არაერთი თემა გარკვეულ რეალშია მოქცეული. ერთ მთავალითადაც თუნდაც სიკვდილის თემა შეიძლება მოვიტანოთ: „ბედისწერა, დაკრძალვა“ და ის ქვეთავები, რომლებიც ამ რეალში შედის.

განხილავს კონსტანტინე გამსახურდიასა თუ გრიგოლ რობაქიძის, სიმონ ბერეჟიანისა თუ სხვათა შემოქმედებას, ეს მხატვრული ნააზრევი ფილოსოფიური განსჯის საგანიც ხდება.

ჩვენ ვიცნობთ სამანს „აქეთ“ დარჩენილი მწერლების შემოქმედებას, მაგრამ სრულიად უცხოა ქართველი მკითხველისათვის სამანს „იქით“ მყოფთა კალმის ნაყოფი. რაოდენ დიდი შრომა იყო საჭირო ამ მასალის მოსაძიებლად, დასალაგებლად და, ბოლოს, გასაანალიზებლად. რა დიდი მუხტია ჩადებული ამ წიგნებში, რომ გეოგრაფიულად გაყოფილ ადამიანთა სულიერი სამყარო ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება, ერთი ტკივილით დაკავშირებულ სივრცედ. ქართველი, თავის მიწას მოწყვეტილი, უცხოეთში ვერ ძლებს. ჩვენ ყოველთვის ჩვენი მიწა გვეძახის. ახლა წარმოვიდგინოთ იმ ადამიანთა ყოფა, ვინც იძულებით მოწყვეტიტეს სამშობლოს...

გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ვზივარ აივანზე და ვერთვი ნელნელ მდინარის ხმაურს, ჩაფიქრებული. „არავს“ უხმობენ. ხანდახან მგონია: რიონი თუა იგი ანდა მტკვარი. ხოლო ვამჩნევ, რომ მას აკლია ძალაყრდელი რიხი პირველის და ძლევაძევის სიმღოვრე მეორის: მზე უხვად ეფინება ჩემს ბინაში, მაგრამ იგი არაა „ცხრათავლა“, როგორც ჩვენში, მყუდრო თალარში აციალებული. ვიხილავ კვლავ შენს სამფლობელოს, დიდო კარდუ: საქართველოს ან საკარდუელოს“.

სომ წერდა კონსტანტინე გამსახურდია, რომ ფილოსოფიის გარეშე არ იქმნება მხატვრული ნაწარმოები, მითუმეტეს, კრიტიკული ლიტერატურა. აი, ჩვენს წინაშეა დიდი ცოდნითა



და გემოვნებით მოძიებული მასალები, რომელშიც მკვლევარმა ისეთი მარგალიტები აღმოაჩინა, რომ ისინი აუცილებლად გახდებიან ქართველთა საყვარელ ქმნილებებად, რისი იმედიც აქვს მონოგრაფიის ავტორს, რომ ეს ნაწარმოებები თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერენ ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

წიგნი იხსნება კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების კრებულით – „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“, რომელშიც შედის ბრწყინვალე ნოველა „ფოტოგრაფი“. ეს კონკრეტული ქვეყანაა, ხილვაც მისეული, ქართველი მწერლისა. ქვეყანა სურათის გადაღებად არ ღირსო“, რომ ასკვნის მწერალი, რუსუდან ნიშნიანძე დასძენს: ამ ნოველას მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წიგნის ერთ-ერთი თავი – „სიზმრის სიმბოლიკა“. იგი ორგანულად უკავშირდება ემიგრანტულ ლიტერატურას.

„სამანს იქით“ წასულები მხოლოდ სიზმარში ბრუნდებიან სამშობლოში, საკუთარ სახლში. სიზმრის სიმბოლიკას დიდი ადგილი აქვს დათმობილი წიგნში. აღსანიშნავია სიზმრის მეცნიერული ახსნა ზოგადად და კერძოდ კი რა ადგილი უჭირავს სიზმარს ემიგრანტთა შემოქმედებაში. საგულისხმოა არამარტო მეცნიერთა მიერ ამ ფენომენის განმარტებანი, არამედ წიგნის ავტორის მიერ მართლაც მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა.

ავტორი ჩამოთვლის იმ ქართველ მწერლებს, რომელთა შემოქმედებაში სიზმრის სიმბოლიკა გამოკვეთილია. XIX საუკუნის მწერლებიდან: გრიგოლ ვოლსკი, კონსტანტინე ერისთავი, იროდიონ ევდოშვილი, გრიგოლ მეგრელიშვილი (მთის ნიავი), მელიტონ კელენჯერიძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა...

რუსუდან ნიშნიანძე იმონმებს დიმიტრი უზნაძეს, რომელსაც გამოთქმული აქვს შემდეგი მოსაზრება (ოცნებისა და სიზმრის ურთიერთობის შესახებ):

„როდესაც ადამიანი საზოგადოდ ზურგს უქცევს სინამდვილეს, როდესაც მას ამ უკანასკნელთან ურთიერთობა აღარ აინტერესებს, მაშინ, რასაკვირველია, ფანტაზიას აღარაფერი უშლის ხელს სრულიად თავისუფლად გაიშალოს. ეს განსაკუთრებული სისრულით ძილში ხორციელდება და მაშინ მართლაც ფანტაზიის დასრულებულ სახესთან გვაქვს საქმე. სიზმარი თავიდან ბოლომდე ფანტაზიის შეუფერხებელ გამოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ფანტაზიის თავისუფალი მუშაობა, რომელიც არსებითად თითქმის არაფრით განსხვავდება სიზმრისაგან, ზოგჯერ ცხადშიც იჩენს თავს. მე მხედველობაში მაქვს ოცნება, – წერს მეცნიერი, – ის სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც ადამიანის ფსიქიკის ფხიზელ მუშაობას თითქმის კვალდაკვალ სდევს თან და მუდამ მზადაა მისი ადგილი დაიკავოს“.

მკვლევარი XX საუკუნის ქართველ მწერალთა სიზმრის სიმბოლიკასთან დაკავშირებით განიხილავს ეგნატე ნინოშვილის („ქრისტინე“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“), დავით კლდიაშვილის („სამანიშვილის დედინაცვალი“), ლეო ქიჩიშვილის („ჰაკი აძბა“), კონსტანტინე გამსახურდიას („დიდი იოსები“, „დიონისოს ლიმილი“, „მთვარის მოტაცება“) ნაწარმოებებს.

ავტორი სიზმართან დაკავშირებით იმონმებს ფროიდსაც: „სიზმარი ღრმა ფსიქოლოგიური მოვლენაა, მუდამ პირობითი შიფრის შემცველი. მასში ვლინდება არაცნობიერი მოტივები, ფარული და რეპრესირებული სურვილები, რად-

გან თავისუფლად მოძრაობს ცნობიერება და ყოველგვარი ბარიერი მოხსნილია“.

სიზმრის სიმბოლიკაში განხილულია სამშობლოში დაბრუნების ცდა, რომელიც მხოლოდ სიზმარში ხდება: გიორგი ყიფიანის, შორელის (გივი კობახიძე), სიმონ ბერეჟიანის, მინდია ლაშაურისა და სხვათა ლექსები.

ავტორი მსჯელობას ასე დააბოლოოვებს: „სიზმარში ცხოვრობენ... ლექსებით ცხოვრობენ, თუმცა თავის ყოფნას მხოლოდ არსებობას ეძახიან... და ვინ იცის, ამ მზისქვეშეთში ასეთი ტკივილებით სიცოცხლეს ეგებ მართლაც გაძლება-ლა ჰქვია“.

უკიდევანო სევდაა ჩაქსოვილი ამ ლექსებში და რა დიდი ის ტანჯვა, რომელსაც სამშობლოს მონატრება ჰქვია. ავტორმა თანამედროვე საზოგადოებას გაუცოცხლა იმ ემიგრანტ პოეტთა სახელები, რომელთა შემოქმედების გაცნობა თანამედროვე ქართველს ჟრუანტელს მოგვრის, ცრემლებს დააღვრევენებს. არ არსებობს საქართველოში ოჯახი, რომლის რომელიმე წევრი ემიგრანტი არ გამხდარიყო. კიდევ უფრო ტკივილისმომგვრელია ის გრძობა, რომელიც თან ახლდა ამ ლექსებს – სამშობლოში დაბრუნების უიმედობა. საინტერესოა ნიგნის ის თავიცი, რომელსაც „მინა“ ჰქვია. მას წინ უძღვის – სიკვდილი სამშობლოში და სიკვდილი უცხოეთში. ქართველი ემიგრანტების ოცნება, სურვილი, ტკივილი, შიში არა სიკვდილისა, არამედ უცხო მინაში დამარხვისა, რომ სიკვდილის შემდეგ უცხო მინას უნდა შეუერთდნენ. ემიგრანტებს სამშობლოდან მხოლოდ ერთი მუჭა ქართული მინა მიჰქონდათ:

**ეს ქართველთა უწმინდესი მინა  
ამ ჩემს ქართულ გულზე დამაყარეთ.**

*სოსო ჟორჟოლიანი*

სამშობლო მინასთან დაბრუნება, თხოვნა, რომ სიკვდილის შემდეგ მშობლიურ მინას მიებარო. ეს ნატვრა ემიგრანტებს საზიარო აქვთ.

გიორგი გამყრელიძეს ლექსში „მგზავრის ოცნება“, რომელიც სანტ-იაგოშია დაბეჭდილი, იმედი აქვს, რომ მშობლიური სიო გადალახავს ოკეანეს.

რუსუდან ნიშნიანიძე ერთ საინტერესო ჩანართს აკეთებს:

„დედამინას“ ხომ საკრალური და მისტიკური მნიშვნელობა აქვს. და იმონებს ივანე ჯავახიშვილს: „მეტი ყურადღების ღირსია საზოგადო ქართული სიტყვა „დედამინა“, რომელსაც ჩვენ ეხლა ჩვეულებრივ მინის აღსანიშნავად ვხმარობთ. ძველ დროს, ძველ ქართულ მწერლობაში ამ სიტყვას ამ მნიშვნელობით არა ჰხმარობდნენ, არამედ მართოდენ სიტყვას, „ქვეყანას“, ალბათ ამიტომ, რომ მაშინ სიტყვა „დედამინას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მთელ „მინის დედას“, მინის ღვთაების „დედას“ ეძახდნენ.

აქვე მკვლევარი მოიხმობს გრიგოლ რობაქიძის განმარტებას „ადგილის დედის“ შესახებ, რომელსაც მწერალი „დიდი დედის“ სახელით მოიხსენიებს. საინტერესოა რობაქიძისეული დახასიათება ფიროსმანისა. „მთავარი მოტივი ფიროსმანის არის ქართული „მინა“. მე არ შემიძლია მეორე სახელი დავასახელო გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასეთი სიძლიერით ეგრძნოს მინის „დედა“.

საინტერესოა დაწერილი მონაკვეთები „გლოვის ნიშანი-შავი“, „სამარე“, „მოსაგონარი ლექსები“.

ამ თავში ლაპარაკია იმ დროზე, როცა სუსხიანი თებერვლის დღეებში დგებოდა დიღემა საზღვარგარეთ წასვლასა თუ შინ დარჩენაზე. ყველამ არ ინდობა სამშობლოს დატოვება. საუბარია კონდრატე მხეიძეზე – ექიმზე, უკეთილშობილეს

ადამიანზე, რომელსაც უთქვამს: „– მონამულ ცხოვრებას, თავის მონამვლა სჯობია“.

ამგვარი იყო საკუთარი თავისადმი გამოტანილი უკანასკნელი განაჩენი.

საქართველოს დამოუკიდებლობა ყველა ქართველს ერთნაირად გახარებია, მიუხედავად პარტიული განსხვავებისა. მკვლევარი დანერს: „სამშობლო – ბევრის დამტევი, თუმცა ამავე დროს ძალიან კონკრეტული სიტყვა ზეპარტიული განზომილება“.

მინდია ლაშაურის ნიგნში „ქართული სული“ მოთხრობილია ძველ რევოლუციონერზე, მესამე დასელზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრზე ვლასა მგელაძეზე, რომელიც 1918 წლის 26 მაისს მთანმინდაზე აჭრილა და მამა-დავითის ეკლესიის ზარები დაურეკავს: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს თავისუფლება მივულოცო.

იმ თავში, რომელსაც ჰქვია „მოსაგონარი“, საგულსხმომასალება მოძიებული: ნოე რამიშვილის, ნოე ჟორდანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიტყვები, ლექსები, მოგონებანი. აღწერილია ის დიდი მწუხარება, ემიგრანტები რომ მოუცავს. საგულსხმომასა იმ ადგილიც ნიგნში, რომელშიც გახსენებულია კალისტრატე სალიას ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან: „ბატონო გრიგოლ, თქვენ თითონ იცით თუ რა დიდი დანაკლისია ჩვენთვის გარდაცვალება საქართველოს პრეზიდენტისა ნოე ჟორდანიასი. საინტერესოა თქვენი აზრი განსვენებულის შესახებ“.

პასუხად გრიგოლ რობაქიძე: „ნოე ჟორდანიას საქართველოს თავგადასავალში ფრიად მნიშვნელოვანი და ამდენადვე, რთული მოვლენაა“.

დიდი სიყვარულითაა ნარმოსახული ვიკტორ ნოზაძეც.

რუსუდან ნიშნიანიძე წერს: „პარიზი, ბუენოს-აირესი, ბერლინი, სანტიაგო დე ჩილე – როგორი მასშტაბებია: გეოგრაფიული სივრცე, სადაც ვიკტორ ნოზაძის ნაფიქრი და ნააზრევი აინტერესებთ, ბეჭდავენ. მაინც რაზე წერს? უპირველესად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, მერე – ათასგვარ მომოხილვას (სამინაო თუ საგარეო პოლიტიკის თაობაზე). წერილებს ქართულ თეატრზე, არგონავტებზე, სტალინზეც, რასაკვირველია, თანამოაზრეებზე... თხრობის საოცარი კულტურა, ენციკლოპედიური ცოდნა, განათლების დიდი თვალსაწიერი. ვიკტორ ნოზაძის დიდ პატრიოტიზმზე ლაპარაკობს ერთი ფაქტი. 1966 წელს საქართველოში რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე ტარდებოდა. ვიკტორ ნოზაძეს მოუვიდა მოწვევა, დეპუტა რუსულ ენაზე იყო დანერვილი. „მარტო ეს რუსული დეპუტა იყო საკმარისი, რომ უარი მეუთქვა – უთქვამს ვიკტორ ნოზაძეს და კიდევ: რუსთაველის იუბილეს მართავენ და რუსულად მწერენო“.

შემდეგ განხილულია მიხაკო წერეთლის, სიმონ ბერეჟიანის, შალვა ამირჯიბისადმი მიძღვნილი ლექსები.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ტრაგიკულ ბედისწერას. ქაქუცას „ძარღვებში შორეული წინაპრის ბიძინას სისხლმა იფეთქა და მთის არწივით ჩამოუქროლა გალალბულ და ქართველთა სისხლით დამთვრალ რუსის ჯარს“, – დანერს სიმონ ბერეჟიანი.

დღეს ხელმეორედ გაგვიახლდა 1924 წლის ტრაგედიის ტკივილები, ამ დღეთა გახსენება და ეროვნული გმირის გადმოსვენება, რამაც მთელი საქართველო აატირა.

ეს შესანიშნავი ორტომეული კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ჩვენს ვინაობას და გვიდასტურებს, რომ მძაფრი პოლიტიკური ქართველებისა და ტრაგიზმის მიუხედავად კვლავაც შენარჩუნებულია ეროვნული სული, ინტელექტი, ცნობიერება.

რუსუდან ნიშნიანიძის ვრცელი ინტელექტუალური თვალსაწიერი და მხატვრული ესთეტიკა ამგვარად გამოთიანებული საქართველოს აღდგენასა და დანახვას გულისხმობს.

ოთარ ჩხეიძე

# ქართული სტილის ქიჯაში

\*

გაიოზ იმედაშვილის  
დაბადების  
100 წლისთავისათვისა

აკადემიის წინ მოვკრავდი ხოლმე თვალსა.  
ხანდახანა.

ქვეშგასაძრომთანა.

გაიოზ იმედაშვილსა.

შემდგარიყო. აქეთიქით იცქირებოდა. აყოვნებდა. გაძვრებოდა ქუჩის ქვეშა. გადასჭრიდა დაღმართის თავსა. ვერისა. იქვე გახლდა ლიტერატურის ინსტიტუტიცა. ჯერაც ის იქვეა. აკადემია შერყეულა. ქუჩის ქვეშ გასაძრომს არ ემუქრება ჯერ არაფერი. ის იდგა. ყოვნობდა. გაიოზი. ყოვნობდა. ყოვნობდა. მინაში ჩასვლა არ უნდოდა. სული იქ გახლდა. სხეულს აღარ მიეჩქარებოდა. თვალს მომკრავდა. მე ვიქნებოდი თუ ვინც იქნებოდა. მე ჩემსას ვამბობ. იშვიათად თუ შევხვდებოდი. მივესალმებოდი. მოვიკითხავდით ერთმანეთსა. დიდხანს მუსაიფსაც არ გავაზამდით. ერთხელ შემაყოვნა. იქ ჟურნალი გამოგიცაიათო. იქაო. გორშიო. კარგიაო. კარგიაო. სხვაგანაც უნდა გამოვიდესო. ჟურნალი მხოლოდ ნატვრა არის. აღმანახსა ვცდილობთ. ძლივას კრებული გამოგვდის ხანდახანამეთქი. ეგეც კარგია ამათ ხელშიო. მეორედაც შემაჩრა. კარგახანის შემდგომა. რამდენხანში ერთხელა ხერხდება. ლოღინით ჰო არ დაიღვევა ადამიანო. არც დაიღვევა და არც უიმისობაა. თუ რამეს მომცემ – გამზადებულ კრებულში დება გერჩინოს უჯრებში მივინყებასამეთქი. და იქვე დაეთქვით შეხვედრათ. აღარც დავუცადე. შინ გავუარე მეორე დღესვე. თითქოს რო ვინმე მაჩქარებდა. თითქოს სტამბაში მივეშურებოდი.

„სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“ გადმოცა. აქ რა გითხრესმეთქი.

ვინ რა და ვინ რაო. არჩილი მაინც გამომიტყდა – შემეჭამენო.

არჩილი.

სულაკაური.

„მნათობსა“ რედაქტორობდა.

არჩილმავე არ გამოსცა – თამაზ ჩხენკელთან ერთადა – სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი?.. უკვე ესენი – ამათი თაობა არ დაუფლებოდა რედაქციებსა და გამომცემლობებსა?.. უკვე ესენი არ განაგებდნენ აქტივსა და პასივსა მწერალთა კავშირისა?.. ვილა შესჭამდა?.. ვილა

გადაუდგებოდა წინა?.. ესენი!.. ესენივე!.. მომძლავრებულნი. მოთამამებულნი. მოკვიჟინებულნი. ადრე რო იარაღად ენებათ წინა თაობასთან დასაპირისპირებლად. ვისაც ენება. სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი. მივინყებულნი. მიკარგულნი. ხელს არ უშლიდათ. და აი უცებ გამოიკვეთა. გამოიკვეთა და ეზედმეტათ. ეუხერხულათ. დროც რო ისეთივე დამდგარიყო. დროი და ჟამი. მალევე. მალევე. – დროი სამოქალაქო პოეზიისა. პროლეტარული პოეზიისა. სოციალისტური რეალიზმის აყვავებისა. ესენი შესჭამდნენ და ამათი ერიდებოდა. არც წინა თაობა არ დააყოვნებდა. აქ ერთნი გახლდნენ და ერთიანობასაცა ქადაგებდა სოცრეალიზმი. იდეურსა და მხატვრულ-ესთეტიურ ერთიანობასა. ნუ გაიკვირვებ და ასაკობრივ ერთიანობასაცა. ტოლნი უნდა ყოფილიყვნენ მარად და მარად – სიკვდილიც რო ვერ გადაუჭრიდა გზასა. იმ ერთს დაჰლამებოდა და დაჰლამებოდა – ნიკო სამადაშვილსა. სიცოცხლეში წიგნში ვერთუ გამოეცა – აგერ ჰო გამოეცა „ბეთანია“!.. პატარა წიგნი. თამაზ ჩხენკელისა და არჩილ სულაკაურის წყალობითა. ეგეც ეპატიოთ. მეტს ნულარ ინებებენ. ნუ შეაშფოთებენ. ნუ შეუშლიან წესსა და რიგსა – როგორადაც რო ჩარიგებულან ჟღენტის სიებში. ნუ შეუშლიან. ნულარავის ჩაუმატებენ. ნუშო და ნუშო. და შემოეტარებინა ამაოდა ეს თავისი წერილი გაიოზ იმედაშვილსა. თბილისში – მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო. და მხოლოდ არჩილი გამოსტყდომოდა – შემეჭამენო.

და მეც გამაფრთხილა. გაიოზმა: ასეთია ვითარებაო.

ვითარებაში იყო და ვითარებანი სცვლიდნენ. სცვლიდნენ და სცვლიდნენ. მე არვიოს არ შეეუჭამივარ. ამისთვის მაინც – არა!.. „ლიახეში“. გორში: დაიბეჭდა „სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“.

არაჩვეულებრივი კრიტიკული წერილი დაიწერა ქემარიტი პოეტის შესახება. არაჩვეულებრივი ჟამიანობის დროს. ჟამიანობისა. ჟამიანობისა. ჯერკიდევ ისევ ჟამიანობისა. ამას რო ერთვოდა შინაგანი ჭიდილი სალიტერატურო ასპარეზზედა. თაობათა ჭიდილი. თუმცა უარჰყოფდა სოციალისტური რეალიზმი რაიმე დაპირისპირებასა. შინაგანსა – განა რა წინააღმდეგობა შეიძლება იყოს ერთი იდეისა და ერთიანი მხატვრული მეთოდის შიგნითაო. უარჰყოფდა და უკვირდა. მაგრამ იყო. და ისიც იმის სიფრთხილასაგან გახლდა: შემეჭამენო. ხელისუფლება გალიზიანდებოდა ადვილად და სწორედაც რო მწერლები გაალიზიანდნენ. სწორედაც რო!.. „ბეთანია“ რო გამოსცა იმ თაობამა – ისაა რო მომძლავრებულიყო – წინა თაობისადმი შურისძიებით გამოსცა, ხოლო ახლა რო მოძლიერებულიყო თვითონა – თავისავე თავსაც უპირისპირდებოდა. არც ამათ უნდოდათ რო არეულიყო თანმიმდევრობა ჟღენტური სიებისა. უკვე გადახალისებული სიებისა. ნაკარნახევი სიებისა. რალა თქმა უნდა. ჟღენტი თვითონ არაფერს არ ადგენდა. დროის ალლო ჰქონდა. ალლოი მახვილი და გაფაციცებული. მხოლოდ ესაა – ენის საკითხმა ისიც დააბნია და ისიც გასწირა და ადვილად გასწირა ხელისუფლებამვე იმა დროისა. გაიოზი არ იზნეოდა – შეიძლება გაგკვირებოდა „სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“ იმისგანა თუ არ იცნობდი. კრიტიკას განდგომოდა. განდგომოდა თანადროულ ლიტერატურასა. რუსთაველის ბიბლიოგრაფიას ადგენდა. დიდ შრომას შესდგო-

მოდა. დიდსა და საფუძვლიანსა მთელის თავისი სისავსითა. მეცნიერული სისავსითა. პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომებიდან თანადროულობამდისა, მაგრამ და მაინც ბიბლიოგრაფობა ბიბლიოგრაფობა გახლდა, ხოლო ეს – გაიოზ იმედაშვილი – თანამედროვე ლიტერატურის შემოქმედი გახლდა. დროის მოღვაწე. დროის მოაზროვნე. თანამედროვე და თანამდგომელი ბედისაგან განწირული მწერლობისა. ზოგი რო დაიღუპა. ზოგი რო ჩაიკეტა, ხოლო თვითონ ჩაუჯდა ბიბლიოგრაფიასა...

„სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“ უბრუნდებოდა ცხოვრებასა.

თამამ ცხოვრებას უბრუნდებოდა.

გაიოზ იმედაშვილი.

თანატოლი გახლდა და თანაზიარი ნიკო სამადაშვილისა.

ერთიდაიგივე გავლენასა ვგულისხმობ – ერეკლე ტატიშვილის გავლენასა. სამადაშვილს პოეზიაში გამოჰყვა. იმედაშვილს – იმა პოეზიის ახსნაგაგებაში. – გაიოზ იმედაშვილსა. გაიოზსა. მხოლოდ გვართ რო არც მოიხსენიება – უკვე იმდენი იმედაშვილია ჩვენს ლიტერატურაში. სამადაშვილი ერეკლესთან დავაში ინართობოდა, იმედაშვილი – დაშოშმინებაში მგზნებარე პოეტისა. მგზნებარესამეთქი. თითქოს რო გასაკვირია თუ როგორ დაითმინნა გამოუქვეყნებლობა თავისი ლექსებისა. როგორ?! რანაირადა?! ისე და იმნაირადა – არავინ რო არ უბეჭდავდა. კეთილისმყოფელები აფრთხილებდნენ კიდევაცა. ასე იგავურადა: სად ბულატერ-რევიზორი და სად პოეზიაო. თუმცა გალაკტიონმა წააქეზა კიდევაცა. მაგრამ ვილა უბეჭდავდა ამგვარ ლექსებსა თვით გალაკტიონსა ანთუ წაქეზებია იმისი რა ბედენა გახლდა!.. მხოლოდ იქლა იკვავდა წყურვილსა პოეზიისა – სამადაშვილი – სენაკში ერეკლე ტატიშვილისა. იმასვე ეკამათებოდა იქვე. თანვე რო უხვად შეჰქონდა იმისივე ნააზრევი თავის ლექსებში. ლოგიკური მტკიცებანი გარდაესახა მეტაფორებში. უხვსა და სახიერ მეტაფორებში – აზრს რო ჰხედავდი და გულს რო გეჭიდებდა. ლექსები იმისი – სამადაშვილისა – უცნაური და გამორჩეული თვით უბადლო პოეზიაში. ქართულ პოეზიაში. დრო უკვე შემოიღო – უბრალოდ ითქვას: გარდაქმნილიყო – და არცთუ ადვილი გასააზრებელი გამხდარიყო პოეტური გარდასახვანი უკანასკნელი ქრისტიანობისა და უკანასკნელი ნიცმეანელობისა. შეჭიდებულიყო ორი სამყარო. ორივე წარმავალი ძალდატანებითა. რევოლუციური ძალდატანებითა. გამანადგურებელი ძალდატანებითა. ამისი ასახვა არ ენება ხელისუფლებასა. მკითხველიც დაებნია, ანთუ თვითონვეც აჰყოლოდა მკითხველი. გახლართულიყო ქაოსებში პროლეტკულტურისა – მასკულტურის სახელწოდება რო მიიღო თანდათანობითა. მოქმედებდა შიშიცა. დაბნეულობაცა. თუ ვრცელდებოდა – ფარულადა. ხელნაწერებადა. რალა თქმა უნდა. თვით იმავე წრეში. ერეკლეს წრეში. ლექსნი იგინი. სამადაშვილისანი ერთხანსა და კარგახანსაცა. ვეღარ დაიხანა მერედამერე. იქვე აღმოითქვა მცირე სერობაზედა. იქვე. იმავე პატარა სენაკში. ნიცმეს სურათს რო



გაიოზ იმედაშვილი

ლამის დაეფარა, ხოლო ვინც იხდნენ თუ როგორ იხდნენ. როგორ ეტეოდნენ, აღსანერად არცთუ ადვილია. იხდნენ თუ იდგნენ ეტეოდნენ როგორც რო იყო. მაინც მცირედნი. რალა თქმა უნდა. უკანასკნელი ქრისტიანები ანუ უკანასკნელი ნიცმეანელები საქართველოში. ნიცმე რო არავის არ გაჰყოლია იმათგანა. იმ ორის გარდა. ორი მოდავისა და ერთ აზრისანისა. იმედაშვილი აღწერს იმ სერობასაცა. ლექსის კითხვასაც აღწერს სამადაშვილისა. თავისებურ კითხვასა. სწორუპოვარ კითხვასა. სხვა რო ისე ვერც წაიკითხავდა. მიწელებოდა და ამოვარდებოდა. ამოვარდებოდა და ჰქუხდა. იფერფლებოდა და ინავლებოდა. ქაოსებს ებრძოდა და ისრისებოდა ყოფით წვრილმანებში.

ღმერთს ეთამამებოდა და ეღაბუცებოდა ძესა ღმრთისა. საფლავს მდებარებდა და ზედვე დადიოდა თავის საფლავზედა; აღწერს და ასკვნის – ისე ვერავინ წაიკითხავდაო. არა. რა თქმა უნდა. პოეტია თავისსავე დეკლამატორი. შეუდარებელი დეკლამატორი. ყოფილა საოცარი მიმბაძველი. მამია გურიელი. თვით აკაკიც რო შეუფიქრიანებია ლამისა. თვით აკაკი. მისივე მიზაძვითა. ლამისა. ლამისა. მხოლოდ ლამისა. მსმენელი მაინც არ მოტყუებულა. მიზაძვაც დიდი ხელოვნებაა. ჭეშმარიტი მაინც რო არ არის.

ახალი წერილიც გადმომცა „ლიახვისათვისა“.

გაიოზ იმედაშვილმა. რალა თქმა უნდა.

არც მიკითხავს და თითონაც არ უთქვამს – ატარა თუ არა ისიცა თბილისურ რედაქციებში:

„პოეტი ქარის და ღამეების –“

არც რო მგონია. აღარ ჩამოუვლიდა. ითაკილებდა. აღარც რო ისინი აღარ მოერიდებოდნენ. ამშემთხვევაშია. წერილი – ვრცელი საკმაოდა – ტერენტი გრანელს შეეხებოდა. და იგი – გრანელი – დროის ტერმინოლოგიის მიხედვით რო ითქვას: რეაბილიტირებული გახლდა. უკვე. უკვე ცნობილი თავის დროზედა. 20-იან წლებში. ლექსებიცა. კადნიერებითაცა. უთავბოლოებითაცა. ცნობილი და მივიწყებული. მიკარგული. მიყურებული. როგორც რო შეუსაბამო პოეტი სოციალისტური რეალიზმისათვისა. გალაკტიონის ფრთებქვეშ გაზრდილი. უკიდურესი რამ. უკიდურესი პესიმისტი. ავტორი გახმინებული ლექსების კრებულისა „მემენტო მორი“. გათამამებული და გაყოყოკრებული ერთხანს ისე რო ამტკიცებდა: გალაკტიონი მე მბაძავსო. აღარაფერი აღარ შემარჩინა გალაკტიონმაო. რეაბილიტირებული რო ითქმის, იმიტომაც ითქმის, გამოცემულიყო უფრო ვრცელი კრებული ტერენტი გრანელისა; გამომცემელი რო ამტკიცებდა გულმოდგინდა: მივიდოდა პოეტი სინამდვილესთანა ანუ – ტერენტიო. ახალ ცხოვრებასაც აღიარებდა ანუ განვითარებულ სოციალიზმსაო. თუნდაცა. თავს არ იტყუებდა ის ახალი გამომცემელი (ელიზბარ უბილავა). არც არავის არ ატყუებდა. აუცილებელი გახლდა ამგვარი დათმობანი. აბა ვინ აღირსებდა „რეაბილიტაციასა“. ტერენტი გრანელსა. რალა თქმა უნდა.

არც გაიოზი არა ტყუევდებოდა. არც ეცდებოდა თავის მოკატუნებასა. არც არავის დაბნევას არ ეცდებოდა. კრიტიკას იმიტომ არ უბრუნდებოდა, დროის დუდუკზე დაენყო თამაში. დროის დუდუკზედამეთქი. უბრუნდებოდაო. ამასაც რო გამოვთქვამ – ძალმიძს რო გამოვთქვა გაბედულადა – ბიბლიოგრაფობაი რუსთველოლოგიისა 1956 წლამდის მიეტანა და აღარც გაუგრძელებია. მიატოვა თუ მხოლოდ დაახანა – ამის გარჩევაში აღარ შეედივარ. ზედიზედ რო გამოაქვეყნა: „სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“. „პოეტი ქარის და ღამეების“. და „ეროვნული სტილისა და სინამდვილის პარადოქსები“ – ამიტომ ვამბობ; ხოლო მიბრუნებასაც იმიტომ – კრიტიკით რო დაიწყო ახალგაზრდობაში. ტერენტი გრანელისა და გალაკტიონისადმი მიძღვნილი წერილებითა. სხვა კრიტიკულ-მიმოხილვითი წერილებითაცა. ჩანახატებითაცა. უცებ მიატოვა და ბიბლიოგრაფობასაც მოჰკიდა ხელი. არ იკადრებდა შეუფერებელ კრიტიკოსობასა. შესაფერისს არ დაანებებდნენ.

დრო გასულიყო.

რალაც იცვლებოდა. ოდნავა. მცირედა. მაინც თითქოსაო. მაინც ჰო არ დაანებეს „სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“!..

არ დაანებებდნენ არც ამასა – „პოეტი ქარის და ღამეების“. – არა. რა თქმა უნდა. 20-იანი წლებიც გამოველო. გადაეტანა 30-ანიცა. 40-ანიცა. 50-ანიცა. ბიბლიოგრაფობა ტყუილად ჰო არ აერჩია!..

„პოეტი ქარის და ღამეების“...

არ მიკითხავს – ატარა თუ არა ესეცა თბილისურ რედაქციებშიმეთქი. ითაკილებდა. ამას ჩემთვისა ვვარაუდობდი. ითაკილებდა. აღარც გაიხედებოდა იმათკენა. იმიტომაცა – არც რო არაფრის დათმობა რო არ შეეძლო. არც ავისა და არც კარვისა. ეს ჰო საერთოდა. ხოლო ტერენტისაცა მეგობრობდა. მახლობელად მიაჩნდა. თავისებურად აჰსხნიდა იმისი სევდისა და უიმედობის, ცხოვრების უარჰყოფის, თვითმკვლელობისადმი სწრაფვის, უნესრიგობისა და სრული თავისუფლებისადმი სწრაფვის – სრული, სრული, უპასუხისმგებლობამდი სრული – პოეტურ შემოქმედებასა. თავისებურადა და დაუთმობლადა. არც იმის აგდებულ დამოკიდებულებას მოერიდებოდა არსებობისადმი. სიცოცხლისადმი. არც ადამიანთადმი აგდებულ დამოკიდებულებასა. ცალკეულ პიროვნებათადმი უსულგლოზობასაც არა. აბუჩად აგდებაცა არა. თვით იმათადმი – ვინც რო ზრუნავდა მასზე. ვისაც რო შესტკიოდა გული. სწორედაც იმათადმი. უფრო იმათადმი. გაიოზი თითქოს შურსაც იძიებდა, რადგან რო მეგობრობდა, დაახლოვებოდა ისე, ისე, თითქმის ოჯახის წევრადაც რო მიაჩნდა და მაინც კარგახანს ვერ გაიგო – ბევრი რამ ანთუ თითქმის ყველაფერი საქციელში ტერენტისაი უფრო ავადური მოვლენების შედეგი გახლდა, ვიდრე რო საგანგებო უხეშობისა. ვერა. ვერ გაიგო. მხოლოდ ერთხელაო – ქალაქს რო დავცქეროდით ჩვენი აივნისადანა, უცებ გამაჩერა: მოიცა. ვარსკვლავები მელაპარაკებინან. ხელს ნუ შემოშლიო. ისეც აიზიდა. ისეც გარინდდა. ისეც აღენთო. თითქოს რო მართლაც ელაპარაკებოდა ვარსკვლავთა სამყაროო; ვარსკვლავეთი დანახული კალთებიდანა მთანმინდისაო. მე მაშინ მიხვდვი სრულს საცოდაობას იმისასა, აღარაფერი რო აღარ ეშველებოდაო; შურსიძიებდა საკუთარი დავკიანებული მიხვედრილების გამო, ხოლო ახსნით აჰსხნიდა სიმართლითა და გულითადობითა პოეზიასა ტერენტი

გრანელისა. სიკვდილ-სიცოცხლის პოეზიასა. განწირულობის პოეზიასა. დროისაგან განწირულობისა. იმა დროისა. საკუთარისა და საერთოდაცა – ამაოებასა სიცოცხლისა, წინ რო სიკვდილი გედო. სიკვდილი ყველასი და ყოველივესი: ამალღებულისა და დაცემულისაცა. ყოველივესი. ყოველივესი. და თანაც საიდან ასეთი სიამაყეო – შენიშნავდა გაიოზ იმედაშვილი – რა მინდა მე მწერალთა კონფერენციაზე. მე რა მინდა იმ უნიჭობთანაო. ზიზლით იტყოდაო. აღიარებდა რო მხოლოდ გიონ საგანელსა. აღტაცებულიყო იმისი მეხოტბეობითა თვითმკვლელობისა, მართლაც რო მოიკლა თავი, ოღონდ არა რო რომანტიკული აღმატებითა – ანთუ ტყვია რო დაიხალა, ანთუ თოკზე რო ჩამოეკიდა, ანთუ მდინარეში რო გადავარდა, ანთუ ზღვის ტალღებს რო მისცა თავი – არააა... შეუფარდა ტროლეიბუსსა და ვეება ბორბლებს შეასხა ტვინი. ტერენტი გრანელს ამდენი ძალ-ღონეც ჰო აღარ შერჩენია – ერთიანად დაეცა და განადგურდა სულიერადა და ხორციელადა. უარყოფელი ცხოვრებისა, ცხოვრებისაგან უარყოფილი. „რეაბილიტაცია“ მაინც მოხერხდა – იმისი. ტერენტი გრანელისა – განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ოღონდ ესაა: მთლად ასე დაცემულობის მომღერლად არ უნდოდათ რო წარმოედგინათ. ეს დროის მიხედვითა. ხოლო თვით პოეტურ იერარქიას თუ რაც შეეხება – ტერენტი გრანელს უკვე დაემკვიდრებინა თავისი ადგილი ქართულ პოეზიაში. მოესწრო. დაებეჭდა ძირითადი ნაწერები თავისი. სამადაშვილი სრულიად სხვა გახლდა. უცებ შემოიჭრა ვილაც უცხო და გარეგანი. ქარიშხალივით შემოიჭრა და ააფორიაქა ოლიმპიური სიმშვიდე სოციალისტური პოეზიისა. სოცრეალიზმისა. ისე უბრალოდაც არ მიუბრუნდებოდა კრიტიკასა გაიოზ იმედაშვილი. არც რო უბრალოდ აედო თავი ბიბლიოგრაფიდანა. რუსთველოლოგიის ბიბლიოგრაფიდანა.

არც რო უბრალოდ გარდმოესახა პოეტი ქარისა და ღამეებისა. არცთუ უბრალოდა. ტატიშვილის წრეს არც გაჰკარებოდა. ტერენტი გრანელი. თუმცა იცნობდა თითქმის ყველასა. მეგობრობდა ცალცალკე იმათგანთა. ცალცალკე. სათითაოდა. ერთად არ უნდოდა არც ისინი. არც არავინა. არც ერთადა და არც ერთდროულადა. ანდრიაშვილს უფრო მეტხანს დაახლოვებოდა. გვიანობამდე უსმენდა ვაგნერის მუსიკასა. უკრავდა აკაიკ. ანდრიაშვილი. რალა თქმა უნდა. ჯერ ნიცმეს უკითხავდა. აიყოლიებდა მერე ვაგნერიითა. და მერე. დილითა. რო ააფუთფუთებდა მთანმინდის უბანსა მზეი თბილისისა. მცხუნვარე მზეი. იმასაც აშლიდა. ტერენტისა. აღიმართებოდა იმავე ყუთზე. ნაგვის ყუთზე, როგორც რო ძეგლი. შებლაღული ძეგლი. აღიმართებოდა და ლივლივებდა მზეში თბილისისა. ლივლივებდა და თავს დაუკრავდა ია ეკალაძესა. იქ იდგა ყუთი. დიდი ყუთი. სანაგვისაი. სახლის პირისპირა ეკალაძისა. ქუჩების ჯვარედინზე. ყუთი იქ იდგა მზეშიცა. თოვამიცა. თოვამიც ისევე აღიმართებოდა. არ გაურბოდა არც რო ნაგავსა. ტალახსაც არა. ატალახებულიყო დროი იგი. ატალახებულიყო თვით სულიცა რო – ცხოვრების ტალახისგან რითდა განირჩეოდა!.

სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტიც არა – უბრალოდა. ის დენდი გახლდა. ნაგავს და ნუშპეს არც რო ადვილად არ მიიკარებდა. გასპეტაკებულიყო ერთიანადა. სულიერადაცა. გარეგნობითაცა. ბოლოხანებში თუ წასძლია ბოჰემურობამა – ესეცა ისე: ეთამაშებოდა უფრო. არა ნებ-

დებოდა. პენს არ იშლიდა. საქმესა თავისას ასრულებდა ღირსეულადა. პატიოსნადა. მონღომებითა. მივლინებანი იმისი აშინებდა რაიონებსა. რევიზორის მივლინებანი. და რო ბრუნდებოდა იქიდანა – კმაყოფილი ბრუნდებოდა მითუფრო, რაც უფრო მეტი მტკიცებულებანი მოჰქონდა დანაშაულისა – მაშინდელი გამოთქმითა: მფლანგველობისა, მერე მომხვეჭელობისა, აწინდელი გამოთქმით: კორუპციისა. ორი სხვადასხვა ხასიათი გახლდა ანთუ ქცევაი ორი. განსხვავებული. ოლონდ გათანგული ერთი ტკივილითა: ერისა და ქვეყნის დაცემის ტკივილითა; გაძლებისა და გადაარჩენისა – ანთუ ძიებითა ანთუ იმედითა ამაოთი. მაინც იმედითა – თუ რო გამოესახებოდათ, ისევ პოეზიის იმედი. ხელოვნების იმედი. ერის შინაგანი ძალოვნების იმედი. თავს რო იჩენდა უკიდურესი დაცემის დროსაცა.

„ეროვნული სტილისა და სინამდვილის პარადოქსებიც“ ამ იმედოვნებით დაწერილა.

ესეც „ლიახვისათვის“ გადმომცა გაიოზმა.

„ლიახვის“ 1988 წლის კრებულში დაიბეჭდა ნაწილი პირველი. მეორე ნაწილიც მოამზადა მომდევნო კრებულისათვისა. მაგრამ მიმუხთლეს მაშინდელმა მეთაურებმა მწერალთა კავშირისა. „ლიახვის“ ჩამომამორეს. გამზადებული კრებულიც დამიკარგეს (ველარ ვაგნებთო. განმიცხადეს საწარმოო განყოფილებაში. მერანისა). თავი ვერ მოაბეს ნატრაბახევ აღმანახსა გორის მწერალთა განყოფილებისათვისა. ამასობაში მოხერხდა „კლდეკარის“ გამოცემა. გამოჩნდა დაკარგული „ლიახვიცა“ (მივაგენითო. მახარეს საწარმოო განყოფილებაში მერანისა) და გადარჩა „ეროვნული სტილისა და სინამდვილის პარადოქსების“ მეორე ნაწილიცა (დაიბეჭდა „კლდეკარის“ 2000 წლის 1 კრებულში). მესამე წერილსაც რო ამზადებდა ავტორი – ეს ვიცოდე. თუ რა მოცულობისად განზრახულიყო – ეს არ უთქვამს. მეორე ნაწილის დაბეჭდვაც დაგვიანდა. ხოლო ამასობაში ცოცხალთა შორის აღარც იყო გაიოზ იმედაშვილი. რაც დარჩა ესაა – ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე. მეორეც ალბათ ბოლომდის რო არც მიტანილა. ქართული რომანის კვლევა დაწყებულია, რომანისა როგორც რო ერთერთი შემადგენელი ნაწილისა ეროვნული სტილის, ეროვნული კულტურის, ეროვნული თავისებურების ისტორიული განვითარების პროცესში.

ორივე წერილი ანუ განზრახული ნაშრომი დაწერილია იმ თვალსაზრისით რო: სტილი შინაგანი ვითარებაა ერისა. განსაკუთრებულობაა. ძლიერდება და ძლიერდება ერის სახელმწიფოებრივ სიმტკიცესთან ერთადა; ეცემა სახელმწიფოებრივ დაცემასთან ერთადა; ეცემა, ოლონდ არცთუ ერთობლივა, არცთუ სრულიადა. საკმარისია ხელახალი აღმავლობა ერისა, სახელმწიფოსი, სტილმა იმავემა, თვისობრივობამა იმავემა, განსაკუთრებულობამა იმავემა, მაშინვე რო იჩინოს თავი თავისი სიკეთითა, სისრულითა სიკეთისა და თავისუფლებისა, ჭეშმარიტი ეროვნული თავისუფლებისა. ქართულ ხასიათში ამგვარ სტილს ეძიებს ავტორი. ეძიებს და ჰპოვებს. საპირისპიროსაც რო ჰპოვებს ზოგ ერთა ხასიათში – მპყრობელობისა და დამორჩილების მიდრეკილებასა, ცრუ მოკეთობასა და ცრუ მოქცევასა, ცრუ რჩევასა, ცრუ ნაქეზებასა, ცრუ დამოკიდებულებასა სინამდვილისადმი. გაჰყურებს გზასა. ისტორიულსა. ქართველი ხალხისა. გაჰყურებს სტილის შინაგან თავისებურებასაცა და შემდგომ და შემდგომ სრულყოფასაცა ლიტერატურისა და ხელოვნების, სოციალურისა და პოლიტიკური ვითარე-

ბის შედეგადა. ცივილიზაციის შედეგადაცა. ყალბ ზემოქმედებას რო იშორებს ცივილიზაციისა და რო მიიღებს მხოლოდ უკეთესსა. უკეთესსა და უკეთესსა. სტილისა საკუთარის შესაბამისსა. სტილს ჰქმნის პიროვნება. პიროვნებანი ჰქმნიან ცალცალკე. დიდი პიროვნებანი ჰქმნიან ეროვნული თვისობრივობის შესაბამისადა და იმასვე ავსებენ – ეროვნულ თვისობრივობასა – ავსებენ. აძლიერებენ. ამტკიცებენ. ერისა და სახელმწიფოს ძლევაშედეგადმდე. ასეთი სრულყოფის გამოხატულებად ვეფხისტყაოსანს მიიჩნევს ავტორი. ამით დადასტურდა იგი ყოველი, რასაც რო მიაღწია ქართველმა ერმა შუასაუკუნეებში, დასავლეთ ევროპისათვის სისხლიანი და დაუდგომლობის შუასაუკუნეებში, დაუდგომლობისა და დაუდგომლობისა; მიაღწია და რას მიაღწია – თხა და მგელი ერთად სძოვდესო. და სძოვდა. არა არ გახლავთ ეს უბრალო მონაპოვარი იმ ვითარებაში. ადამიანის განწირულობის, ერებისა და ქვეყნების იმა ულმობელი განწირულობის ვითარებაში. იმ ვითარებაში. ადვილი ნათქვამია. საოცნებო რო გამხდარა აწინდელი ცივილიზებული მსოფლიოსათვისა. ცივილიზებულიო – როგორც რო ბრძანებენ – და რატომღაც სუროგატსა გვთავაზობენ ჩვენა. გვთავაზობენ და გვთავაზობენ შინაურნი თუ გარეულები ან უფრო მეტად შინაურნიო – ხის მოთქმისა არ იყოს: ცული მე იმდენს რას დამაყრიდა, შიგ ჩემი ჯიში რო არ ერიოსო. თუმცა ეს ისე. სიტყვამ მოიტანა. აქ მთავარი მაინც ისაა – ვეფხისტყაოსანი რო იქცა სრულყოფადა ქართული სტილისა, ეროვნული კულტურისა, ეროვნული სახელმწიფოებრიობისა. ძლიერი, მტკიცე სახელმწიფოებრიობისა შუასაუკუნეებშივე; იქცა და იქცა ძალოვანებადა ისეთადა, მერედამერე ფამსაცა ქვეყნის დაცემულობისაცა, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფამსაცა, სტილმავე შეინახა საკუთარმა, ძალოვანებადა შინაგანმა, ვეფხისტყაოსნის გაუნელებელმა ზემოქმედებამა; რო აქეზებდა და ამხნევებდა შინაგან თვისებასა, რო ჩამოყალიბებულიყო სტილადა უმაღლესი კულტურის, ჭეშმარიტი კულტურის, ადამიანის თავისუფლების, ჭეშმარიტი თავისუფლების სახეობადა.

კიდევ ერთი კონცეფციის დასაყრდენად იქცა ვეფხისტყაოსანი.

XX საუკუნის შუახანებშივე.

ნუცუბიდის კონცეფციისა.

ქართული რენესანსის კონცეფციისა. აღმოსავლეთის რენესანსად რო გადაიქცა და ლამის რო ნაჰკლეფა ევროპასა თანამედროვე ცივილიზაციის პრიორიტეტი. ლამისა. ლამისა. გაადვილებულიყო რო კიდევაცა. ხელისუფლება რო ხელს უწყობდა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ხელისუფლებაი. საბჭოთა ხელისუფლებაი. საბჭოთა რუსეთი. საჭირო პირობებიც რო მოამზადა!.. დიდი სპარსი პოეტები ჩამოურიგა აზერბაიჯანისა და შუაზიის რესპუბლიკებს. თავი გამოიღო და იქადაგა იმითი სახელითა სულიერის სწრაფვა, პოეტური სწრაფვა – პოეტური, მხოლოდ პოეტური – თავისუფლებისადმი. ღვინის სიყვარულითა და ქალის სიყვარულითა. არცთუ მაინცდამაინც გაბედულადა. მაგრამ კმაროდა, ესეც კმაროდა შუასაუკუნეებით არეული ევროპისათვისა ჯერ რო გერმანიამ მოითარემა. მერე რუსეთმა გადაუარა. გადაუარა და გადმოუარა. და სულაც ჩაჯდა და ჩამკვიდრდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, გზას რო შეუყენა სოციალიზმისა. შეუყენა და ველარ გაუყენა. ველარც რენესანსი რო ველარ ნა-



ართვა, ველარც რო ერები ველარ აურია კომუნისტური ინტერნაციონალითა – ერები!.. ერები. მტკიცედ ჩამოყალიბებული ეროვნულობითა, მტკიცედ შექმნილი სახელმწიფოებრივი წყობილებითა. კონცეფცია დარჩა კონცეფციად. ერებმა დაშალა გლობალური კომუნისტური ინტერნაციონალი და ახლა თვითონ რუსეთიც ეძებს თავის ადგილსა მსოფლიოს მოწყობის უახლეს პროექტებშია. ვგრე ადვილად მოსარევიც რო არა ყოფილა ერი, ეროვნული, თავისებური, თვითმყოფადი, განსხვავებული და მიუმსგავსებელი, რალაც იდუმალი, მიუვალი და ხილული, მახლობელი და მიუღწეველი, გასაგნებული და ვერდასანახი. იდუმალი. ერთისიტყვითა. უმაღლესი და ჭეშმარიტი. მართლაც ჭეშმარიტი. ხოლო ის ნათქვამი – თავსომხვეული, დამაბნეველი: ჭეშმარიტება დგას უფრო მაღლა, ვიდრე ქართველი ერიო – ჭეშმარიტებასაც უკარგავს აზრსა. თვით ჭეშმარიტებასა. რადგან როო და აუცილებლადაცა: ჭეშმარიტებაი თუნდაც მაღლა იყოს, თუნდაც გარემომ – არც გარკვეულა. თუ არის – სიკვდილია ან ქაოსი. საგანი რაიმ გარკვეული არ უნდა იყოს. ჭეშმარიტი – ჭეშმარიტება მსაზღვრელია და არა საზღვრული. ფილოსოფოსნი შემოკრბენ. ამაზე ჭეშმარიტი ცილობა... არა. ეს მაინც არ უნდა იყოს საცილობელი. ფილოსოფია არც რო სჭირდება ყველაფერსა. ერთი უბრალო გრამატიკული წესიც დავიდგენს სულ ადვილად. ადვილად!..

უმიზნოდ არა თქმულა არაფერი. არც არაფერი არ წამოწყებულა ჰაიპარადა და ალალებდა. ქართველი ერის დამცირების თეორია გამიზნულად მოჰყვა ეროვნულ მოძრაობასა დამოკიდებულობის აღდგენისათვის ბრძოლასა. ატისამმეტი მამისა არ იყოს – გამოიგზავნენ დროულად სამისო მქადაგებელი. ისინი ჰქმნიდნენ საჭირო ნიადაგსა, ვიდრე შეიქმნებოდა სათანადო ეგრეთწოდებული არასამთავრობო ინსტიტუტები. ერთი მაინც გამოიჩინა განსაკუთრებითა იმა უახლეს ატისამმეტიზმან. ლიტერატურულ-ფილოსოფიური განათლებითა. მჭევრმეტყველებითა. სოკრატული მჭევრმეტყველებითა. წერაც არ იცოდა – სოკრატესი არიყოს. ქადაგებდა და ქადაგებდა. ერთი პლატონი არცა ჰყოლია. გამოარჩევნ წინააღმდეგობებსაცა. სხვათა და სხვათა ჩანაწერებში. რალა თქმა უნდა. ის მაინც ისე მკაფიოდ გამოსთქვა: ერი არ არის არაფერი. ჭეშმარიტება გახლავთ ყველაფერი. საგრძნობი ძალა გამოაკლდა ქართულ გლობალიზმსა. დიდად საგრძნობი. დიდადაც დაიტირეს. ორი ძეგლიც დაუდგეს მარადიული ხსოვნისათვისა. ერთი თბილისში. მეორე გორშია. ძეგლი გორისა ჩააშენეს მეზერიშვილის კედელშია. გორის შესასვლელში. სხვა ძეგლი დადგეს გორის უნივერსიტეტთანა. მანამდისა. სხვაი. სხვაი. სრულიად სხვაი. ძეგლი მამულისათვის თავდადებულისა. ჭეშმარიტი მამულიშვილისა. ჭეშმარიტი!.. ავტორი ერთია ორივესი. სახებაც ერთია. იერიც ერთია. არცთუ დიდად არ შეუნუხებია ავტორი იდეებსა... გორიც რო არა?! ეს შენიშვნაც ამან მათქმევინა...

სტილის საკითხი უფრო რთული გახლდა. რალა თქმა უნდა. მოაზრებული გაიოზ იმედაშვილისაგანა. ისიც რო შთაგონებულიყო ვიწხისტყაონისითა. ვიწხისტყაონსანს რო უკავშირდებოდა.

ამას მხარდაჭერა არ ელოდა. არც ხელისუფლებისაგანა. არც მოაზროვნეთაგანა. არც რო აღარც იყვნენ ან საციმბირო თავი აღარავის აღარა ჰქონდა.

თვით გაიოზსაცა – არა და აღარა.

ერთდროულად აღედრა ვიწხისტყაონსანს ეს ორი აზრი: რენესანსისაი და სტილისაი – XX საუკუნის შუახანებში – ნუცუბიძემ რო ჩამოაყალიბა დასრულებულ კონცეფციად, ხოლო იმედაშვილმა ატარა და ატარა 80-იან წლებამდე, ატარა და ატარა, ძლივას გაჰბედა და მხოლოდ თვისური მონახაზები მოასწრო. აღარ ეყო დროი სრულყოფილი დამუშავებისათვისა, ნათქვამი როა: ხელოვნება გრძელია, სიცოცხლე ხანმოკლეო. რას იზამ ასეა!..

წინასწარ დებულებებისათვის რო რომანის ანალიზი მოედევნება. ქართული რომანისა. რალა თქმა უნდა. უფრო ადრე ორი წერილიც რო წაუმძღვარა პოეზიიდანა – ისიც საამისოდ ივარაუდება. ისიც დაუსრულებელი. რომანის კვლევაც ბოლომდის რო არმიტანილა; არც რო დანარჩენი, უფრო ფართოდ რო დაესახა კვლევაი სტილისა, ქართული სტილისა – ლიტერატურის გარდა: სიმღერისა, ცეკვისა, სუფრისა, სპორტისა, არქიტექტურისა, ორნამენტისა, დიდმოღვაწეთა, ეკლესიისა, პოლიტიკის ანთუ ყველაფრისა, რაც რო მოეპოვებინა, მოეპოვებინა და აემალეებინა შუასაუკუნეებში ქართველ ხალხსა: ძლევამოსილი სახელმწიფო და შესაფერისი ნიმუში პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზროვნებისა, ამასთან ნიმუში სწორუპოვარი რაინდული რომანისა, პოეტური ხელოვნების – უმაღლესი ხელოვნების – სწორუპოვარი ნიმუში; შედეგი სწორედაც ქართული სტილისა: გამძლეობა რო შეენარჩუნებინა დავრდომილების საუკუნეებშიცა და თვით ისეთი ტრაგიზმის პირობებშიცა – დაკარგული სახელმწიფოებრიობა რო აღიდგინა, აღიდგინა და დაჰკარგა მყისვე, უცება, უეცრადა რო ვერ განეცადა სიხარული ერთი წამისაცა. წამი რა არის – ერთი წამისაც არა. ამას გამოსთქვამდა „სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“. ამას გამოსთქვამდა „პოეტი ქარის დაღამების“. აქ უნდა გაეძვარა ქართულ სტილსა, ეს ტრაგედია უნდა გადაეტანა. როგორც რო გადიტანა გლობალიზმი კომუნისტური ინტერნაციონალისა. გავლენა დიდი იყო ქართველ ხალხზედა. ვიწხისტყაონისა. დიდი და განუზომელი. ხელყოფა იმისი ხალხის ხელყოფაა. ერის ხელყოფაა. ნებელობით იქნება თუ უნებლიედა. იციან რო რასა სჩადიან?... უცოდინრობას ვერავის დასწამებ...

და იქ – ქუჩისქვეშ გასაძრომთანა, მხატვრებს სურათები რო გამოუტანიათ გასაყიდად, განუვლავებიათ საფეხურებზე, ამფითეატრია თითქოსაო, თალევიც რო გადმოსცქერია – გასაძრომთანა. ერთისიტყვითა. ქუჩის ქვეშა. მოგჩვენება გაიოზი რო უნდა გაძვრეს, ოლონდ აყოვნებს, აყოვნებს და აყოვნებს. გაიცქირება ზევით ქვევითა – ეგება ვინმეს მოვკრა თვალისა; რაც უნდა იყოს: უნდა გაძვრეს. უნდა გაეტიოს. უნდა გაასწროს. ზევიდან რო მანქანები გადადის და გადადის. გაიჭედება რო უსაშველოდა. ზანზარებს ქუჩაი. ლამის ჩაინგრეს. ავტომანქანებიც თან ჩაიტანოს. ხალხიცაო – ქვეშ გამოტენილი. რუსთაველს ხელიც ვერ გაუნვდენია. დგას უმწეოდა. უსასოოდა. უილაჯოდა. ძეგლი. რა თქმა უნდა. ის მაინც უნდა გაძვრეს როგორმე. გაიოზი. მიწის ქვეშა. ის იქითაა – სამსახური. ინსტიტუტი ლიტერატურისა. უნდა გაძვრეს. უნდა გავიდეს. როგორც ის სხვანი. აქ ჩაცვივიან. იქ ამოცვივიან. იქ პანტომიმის თეატრია. პანტომიმია ესეცა რო – აქ ჩაცვივიან. იქ ამოცვივიან. იქნევენ ხელებსა. ფეხებსა (ილიას კრიტიკა გაგახსენდება). აწყდებიან ერთიმეორესა. გარბიან. გამორბიან. ისეც ეხლებიან. ან დგანან. ცმუკავენ... პანტომიმია. პანტომიმია... ამფითეატრზე მაყურებელი...

# ამერიკელი მწერალი – უპილთაუპილი ქართველი პოეტისა

\*

## თამაზ ნატროშვილის საჯარო ლექცია

28 სექტემბრის ლიტერატურული თავყრილობა ქართული წარმოშობის ამერიკელ მწერალს პავლე ჭავჭავაძეს მიეძღვნა.

**როსტომ ჩხეიძე:** „არსებობდა ასეთი მწერალი, პავლე ჭავჭავაძე – ემიგრანტი, მრავალმხრივ საინტერესო რომანების ავტორი, რომლის გამოჩენაც ქართულ სივრცეში გახლავთ თამაზ ნატროშვილის დამსახურება.“

ეს შემთხვევითი არ არის. თამაზმა უამრავი ახალი რამ შემოიტანა ჩვენს სინამდვილეში, გაცოცხლა, აავსო სულით და აქცია ახალ რეალობად.

ჩვენთან ხშირად საუბრობენ ისტორიის ფილოსოფიაზე, ისტორიის ფსიქოლოგიაზე, ოლონდ, ყოველთვის მკაფიო წარმოდგენა არც გააჩნიათ, თუ რას ნიშნავს ეს. თეორიულად შეიძლება იცოდნენ, მაგრამ ძალიან უძნელდებათ, თვითონ მოაბან თავი.

თამაზის თხზულებანი მიეკუთვნება სწორედ ამ ჟანრს – ეს არის ისტორიის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის გადმოცემა, და მთლიანობაში წარმოსახვა საქართველოს ბედისწერისა.

ამ ბედისწერაში ჩართულია პავლე ჭავჭავაძეც. თამაზის ნაწერებს ზოგადად ვუწოდებ თხზულებანი, რადგანაც ზუსტი განსაზღვრება ჭირს, – მათ უწოდებდნენ ისტორიულ სტატიებს, ნარკვევებს, ისტორიულ ესეისტიკასაც და, არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის დოკუმენტური პროზა, ის, რასაც ხშირად პოსტმოდერნულ ბელეტრისტიკას უწოდებენ.

ხშირად არის საუბარი, რომ დღესდღეობით, თუნდაც იმავე რუსულ მწერლობაში შეიქმნა ნაირსახეობა პროზისა – ლიტერატურისმცოდნეობის, ისტორიული კვლევისა და ბელეტრისტიკის თავისებური გაერთიანება-გამთლიანება, და რომ ეს არის პოსტმოდერნული ჟანრის ნაირსახეობა.

და ის, რაც დღეს ხდება რუსულ პროზაში, 30 წლის წინათ ხდებოდა ჩვენში, კერძოდ კი თამაზ ნატროშვილის შემოქმედებაში.

ასე რომ, რაც სიახლეა რუსულ მწერლობაში, ქართული მწერლობისთვის სულაც არ გახლავთ სიახლე!

ოდესღაც, თავის მოღვაწეობის გარიჟრაჟზე თამაზი წერდა მოთხრობებს, საკმაოდ დიდი წარმატებითაც, თუნდაც მისი პირველი ნოველა „ხვალ დიდი იქნება ხეობაში“, დიდი მოწონებით სარგებლობდა.

50-იანი წლების ბოლოს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე არაერთი საგულისხმო, მნიშვნელოვანი დებიუტი შედგა. მათ შორის ზოგი – არცთუ წარმატებული.

მაგალითად, გურამ დორანაშვილის პირველ მოთხრობებს ვინც ნაიკითხავდა, იტყოდა, ლიტერატურას თუ ჩამოცილდება, კარგს იზამსო!

მაგრამ მოგეხსენებათ, დღეს ბ-ნი გურამი ერთ-ერთი საუკეთესო ბელეტრისტიკა.

ყოველ შემთხვევაში, მაშინდელ რეალობაში და საკმაოდ წარმატებულ დებიუტთა შორის გამოირჩეოდა ორი დებიუტი – გურამ რჩეულიშვილის და თამაზ ნატროშვილისა, და არც ეს ყოფილა შემთხვევითი.

რაც შეეხება პავლე ჭავჭავაძეს. ბოლო დროს, „ჩვენს მწერლობას“ და „ომეგაში“ გამოქვეყნდა რამდენიმე ფრაგმენტი მისი რომანებიდან, ბიოგრაფიული ცნობები მასზე. ბ-ნ თამაზს მანამდეც, სხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი პუბლიკაცია, ოლონდ ყოველივე ამას სჭირდება გამთლიანება და დღევანდელი ჩვენი შეკრება სწორედ ამ გამთლიანებას და კვლევის ახალ ეტაპზე გადასვლას ისახავს მიზნად.

სხვათა შორის, როცა თამაზმა ამ წერილების გამოქვეყნება დაიწყო პავლე ჭავჭავაძეზე, არც კი სჯეროდა ბევრს, რომ ასეთი პიროვნება მართლა არსებობდა, რადგან თემატიკა იყო ისეთი, როგორც თვითონ თამაზია დაინტერესებული, და როცა ავტორის სურათი დაბეჭდა, ეს ეჭვი კიდევ უფრო გამყარდა, რადგანაც პორტრეტი გარეგნულადაც საკმაოდ მიემგავსებოდა თვითონ თამაზს!

მაკა ჯოხაძეს დღესაც ეჭვი არ ეპარება, რომ პავლე ჭავჭავაძე თვითონ თამაზ ნატროშვილია, მას უნდოდა კიდევ თამაზი მიეწვია „სილუეტში“ და „მისტიფიკაცია“ გაეხსნა თავის ლიტერატურულ გადაცემაში, მაკვერსონის ლექსებისა არ იყოს – ინგლისურ ლიტერატურაში როგორც შეითხზა ასეთი გამოგონილი პოეტი.

ასეა თუ ისე, რეალურია თუ მისტიფიცირებული, ძალიან საინტერესო ფიგურაა პავლე ჭავჭავაძე. ნეტა თამაზ ნატროშვილის დღევანდელი საუბარი თუ გააქარწყლებს ამ ეჭვებს?..“

**თამაზ ნატროშვილი:** „ცოტა შორიდან დავიწყებ, ერთგვარად დეტექტიური ელფერი რომ მივანიჭო თხრობას.“

20-25 წლის წინათ, საჯარო ბიბლიოთეკაში, ინგლისურენოვანი წიგნების კატალოგში რალაც წიგნს ვეძებდი და უცებ თვალში მომხვდა ერთი ბარათი, რომელსაც მარჯვენა ზედა კუთხეში წითელი „ჩიტუნა“ ჰქონდა – სპეცფონდის სიმბოლო.

თვალში მომხვდა ქართული გვარიც – „ჩავჭავაძე“ – ბუნებრივია, დაინტერესდი. თუმცა, დამაფრთხო ამ წითელმა ჩიტუნამა. დავიდარაბის თავი არ მქონდა და ჩიტი ბრდღვენად არ ღირს-მეთქი – ვიფიქრე.

თანაც, ეტყობა, გულმა მიგრძნო, რომ „პერესტროიკა“ დაიწყებოდა და ეს ფონდებიც გაიხსნებოდა.

მართლაც გაიხსნა ეს სპეცფონდი და გამოვიტანე წიგნი „რამეთუ იდგა შავბნელი ღამე“ – ასე ვთარგმნე სათაური. ცოტა არქაული იერი მივეცი.

აღმოჩნდა რომანი ოქტომბრის რევოლუციაზე. თავისთავად, ისტორიკოსის თვალსაზრისითაც საინტერესო იყო, იმიტომ, რომ არ ვიყავით განებივრებულნი მიუკერძოებელი ინფორმაციით ამ მოვლენებზე... და დასავლელი ემიგრანტი მწერლის თხზულებაში ეს მაინც უნდა ყოფილიყო!

დავინყე პოლიტიკური ფრაგმენტების თარგმანა – მაგალითად, ლენინის ჩამოსვლა 1917 წლის აპრილში, აპრილის თვისებში, მერე კერენსკისა და ნიკოლოზ II-ის ურთიერთობა, დამფუძნებელი კრების გარეკვა 1918 წლის იანვარში და, ბოლოს, ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების დახვრეტა ბოლშევიკების მიერ...

თავიდან ჩემთვის ავტორი მაინცდამაინც გამორჩეულ მწერლად არც აღიქმებოდა.

მაგრამ, აი, როცა ის ფრაგმენტი – ნიკოლოზ II დახვრეტის ეპიზოდი წავიკითხე და ვთარგმნე (და თარგმნის დროს, მოგეხსენებათ, უფრო საგრძნობია მხატვრული ნიუანსები), დავინახე, რომ არცთუ ურიგო მწერალთან მქონდა საქმე. ისიც ცხადია, რომ ერთგვარად დაუფასებელი მწერალიცაა.

არა იმიტომ, რომ ქართული წარმოშობისაა. ამერიკული ლიტერატურის ენციკლოპედიის ერთტომეულში 6-6 გვერდი აქვს დათმობილი ჰემინგუეისა და ფოლკნერს და ეს კაცი ნახსენებაც არ არის. ასეთი უფსკრულიც არ უნდა არსებობდეს.

ბოლოს პანანკინტელა პასაჟებს წავიკითხავთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ.

აი, ეს ეპიზოდი ნიკოლოზ II და მისი ოჯახის დახვრეტის თემაზე მომეწონა, შეიძლება ვარსკვლავებს არ ეთამაშება, მაგრამ გარკვეული დონე ნამდვილად აქვს“.

\* \* \*

ბიოგრაფიული ცნობები ძალიან მწირია. ამ ციკლს წერილებისა, რასაც ვებჭდავდი და თავი მოვუყარე, ასე დავარქვით მე და როსტომმა დიდი განსჯის შემდეგ: „ამერიკელი მწერალი – შთამომავალი ქართველი პოეტისა“.

შთამომავალი ზოგადი ცნებაა და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ – პავლე ჭავჭავაძე არის შვილიშვილის შვილიშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

ანუ: ალექსანდრე ჭავჭავაძის – პოეტისა და რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის – შვილი იყო დავით ჭავჭავაძე – პოლიკოვნიკი და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, მას ბევრი შვილი ჰყავდა, უფრო ქალები და ერთი მათგანი, მარიაში – ოთხი წლისა იყო, როცა ლეკებმა გაიტაცეს წინანდლიდან დავითის ოჯახი.

ეს მარიაში გაჰყვა ცოლად ასევე ჭავჭავაძეს, საგვარეულოს მეორე შტოს წარმომადგენელს, ალბათ, ყვარულ ჭავჭავაძეთა შთამომავალს, ცნობილ პიროვნებას, ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძეს. ეს პიროვნება ფიგურირებს რომანში „მთები ალაჰისა“.

ამათი შვილი იყო ალექსანდრე – ასევე გენერალი რუსეთის არმიისა, კორნილოვის ე.წ. „ველური დივიზიის“ ბრიგადის მეთაური. არ არის ცნობილი, მონაწილეობდა თუ არა სამოქალაქო ომში, ვიცით, რომ საქართველოში ჩამოვიდა და 1930 წელს დახვრიტეს, როგორც კონტრრევოლუციური შეთქმულების ორგანიზატორი.

დედა პავლე ჭავჭავაძისა გახლდათ მარია პავლოვნა როდიანკო.

პავლე ჭავჭავაძე დაბადებულა 1899 წელს, სანკტ-პეტერბურგში.

არ ვიცი, რამდენად ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, თავის მამულში – წინანდალში, მაგრამ ქართული ენა კი იცოდა.

1917 წელს დაამთავრა გიმნაზიის კურსი, რევოლუციას გამოექცა პეტროგრადიდან, ჩამოვიდა საქართველოში. მისი პირველი ნაწარმოები „საოჯახო ალბომი“, როგორც ჩანს, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, და იქ ერთი თავი ეძღვნება წინანდალს 1917 წელს. ე.ი. ცოტა ხანს იყო აქ. მერე წავიდა რუმინეთში ძმასთან, მოგვიანებით – ინგლისში.

ინგლისში დაამთავრა ტრინიტი-კოლეჯი. ეს კოლეჯი ჩემთვის ცნობილია იმიტაც, რომ ის დაამთავრა ვლადიმერ



პავლე ჭავჭავაძე

ნაბოკოვმა. ეტყობა, კარგი მეგობრობა ან კარგი ნაცნობობა მაინც ჰქონდათ. ეს მერე დადასტურდება, როცა ერთმანეთს ამერიკაში შეხვდებიან.

1922 წელს პავლე ჭავჭავაძემ შერთო ცოლად ნინა რომანოვა – ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი და ცოტაოდენი ვთქვათ ამ ნინა რომანოვას გენეალოგიაზე – ესეც საინტერესოა თავისებურად საქართველოსთან მიმართებით.

ნიკოლოზ I-ის უმცროსი ვაჟი მიხაილ ნიკალაევიჩი იყო კავკასიის მეფისნაცვალი 1863 წლიდან 1881 წლამდე (მისი სახელი ერქვა პლენანოვის პროსპექტს და ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოს).

ბორჯომის განაშენიანება, ლიკანი – ასევე დაკავშირებულია ამ მიხაილ ნიკალაევიჩთან.

რუსეთის არმიის მთავარსარდალი გახლდათ რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წლებში და, როგორც რუსულ პრესაშია აღნიშნული, ამ ოჯახში საქართველო უყვარდათ და პატივისცემით ეპყრობოდნენ ქართულ კულტურას.

და გასაოცარი ფაქტი: პავლე ჭავჭავაძის არშემდგარ სიმამრს (1919 წელს დახვრიტეს რუსეთში მხოლოდ და მხოლოდ გვარის გამო), გიორგი რომანოვს კინობითი, მოფერებითი სახელი ერქვა გოგი. საინტერესო ნიუანსია – არა გოგა, როგორც რუსები ამბობენ, არამედ გოგი. დაბადებული ყოფილა თეთრიწყაროში, პავლეს მეუღლე ნინა – ბორჯომში.

ეს გიორგი-გოგი რომანოვი ყოფილა ორი მეტრი სიმაღლისა, „красавец“ – როგორც წერენ, და მისი პირველი სიყვარული ყოფილა ნინო ჭავჭავაძე.

რომანოვებს მეზალიანსად ჩათვლიათ ეს ურთიერთობა – რომანოვის მიერ ჭავჭავაძის ქალის შერთვა და აუკრძალავთ.

წინანდლიდან გატაცებულთა სიაში ეს ნინო არ არის (შვიდი ქალი ჰყავდათ ჭავჭავაძეებს, ერთი გატაცებისა და ილუპა – ჩვილი).

იმის თქმა მინდა, რომ რომანოვებს არ უნდოდათ და მაინც ისტორიის ირონიით მოხდა მათი დანათესავება ჭავჭავაძეებთან...

მოგვიანებით ეს გოგი ყოფილა შეყვარებული ინგლისის დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილზე – იქაც რალაც ჩაშლილა და ბოლოს შეურთავს ბერძენი პრინცესა.

ეს ძმები, მეფისნაცვლის შვილები, თეთრი ყვავებივით ყოფილან – ნიკალაი მიხაილოვიჩი და გიორგი მიხაილოვიჩი.

უფროსი იყო ცნობილი ისტორიკოსი, უმცროსი – გოგიც ისტორიით ყოფილა გატაცებული და რუსეთში ჰქონია უნიკალური მონეტების კოლექცია. სამხედრო კარიერას გადაურჩა იმით, რომ ფეხი მოუტეხია და სანკტ-პეტერბურგში მუზეუმის დირექტორად დაუნიშნავთ.

ორივენი იყვნენ თავისუფლად მოაზროვნენი და ლამის – მეფის ხელისუფლების ოპოზიციონერებიც.

მაგრამ თავიანთი გვარის გამო ორივე დაიჭირეს და მიუსაჯეს სასიკვდილო განაჩენი.

ჩაერია მაქსიმ გოკოვი. ორი კაცის შუამდგომლობა, ჩანს, ვერ გაბედა და უფროსის, მეტსახელად ბიზოვს, გადარჩენას შეეცადა. იშუამდგომლა ლენინთან. ლენინმა ასეთი პასუხი გასცა: „Революции истории не нужны“ და დახვრიტეს ერთი და მეორეც.

მართლაც, რევოლუციას ისტორიკოსები კი არა, მეხოტბეები სჭირდება – ალბათ, ეს იგულისხმა პროლეტარიატის დიდმა ბელადმა.

კიდევ ერთი საინტერესო სიურპრიზი გველის უკვე ამერიკაში პავლე ჭავჭავაძის ოჯახთან დაკავშირებით – საერთოდ ამ ოჯახის ისტორია კარგი სათავგადასავლო რომანის თემაა...

1927 წლიდან პავლე ჭავჭავაძე დასახლდა ამერიკაში და გახდა შეერთებული შტატების მოქალაქე, შემდგომში – ამერიკული წითელი ჯვრის ორგანიზაციის თანამშრომელი და ამ ორგანიზაციის სახელით მოგზაურობდა ევროპაში, კორეაში, ჩინეთში...

50-იან წლებამდე იქ მუშაობდა. წერა დაიწყო გვიან – ნახევარი საუკუნის რომ გახდა. როგორც ვთქვი, პირველი ნაწარმოებია „საოჯახო ალბომი“.

1952 წელს გამოქვეყნდა „მთები ალაჰისა“, სადაც აღწერილია მისი წინაპრების გატაცება წინანდლიდან. და როგორც წერენ, პოპულარობა მოიხვეჭა.

1955 წელს გამოაქვეყნა „მამაო ვიკენტი“ – რომანი რუს მღვდელსა და მის ნიუ-იორკელ მრევლზე.

1966 წელს გამოჩნდა „რამეთუ იდგა შავბნელი ღამე“ – ოქტომბრის რევოლუციაზე.

ხუთი წლის შემდეგ ხელახლა გამოიცა.

გარდაიცვალა 1971 წელს.

შილი – ე.წ. ცერეუს გადამდგარი პოლკოვნიკი დავით ჭავჭავაძე დაბადებულია 1924 წელს. მისი კოორდინატები მომცა ან განსვენებულმა ნიკო ჭავჭავაძემ.

მისგან მოვიპოვე „რამეთუ იდგა შავბნელი ღამე“.

მან ერთი დღით ათხოვა 300-გვერდიანი ეს რომანი ქ-ნ ინგა პაიჭაძეს, რომელსაც ვთხოვე ამ წიგნის ჩამოტანა, და თანაც უკან დაადევნა მოთხოვნა – არ დაგავინყდეო ჩემი საავტორო უფლებებით!

ეტყობა არ იცის, სად ვცხოვრობთ და როგორ! ერთადერთი ეს აინტერესებდა შემდგომშიც, როცა პუბლიკაციები გავუგზავნე, რომ საავტორო უფლებები მისია.

ამ დავით ჭავჭავაძესთან ინტერვიუ იყო მოსკოვის ჟურნალში – „ტყვე პარკი“.

ორიგინალურად იწყებოდა ეს ინტერვიუ – რუსი არისტოკრატები ნიუ-იორკსა თუ ვაშინგტონში ხვდებიან ახალ წელს და უცებ შემოვარდება „ასასას“ ძახილით... დავით ჭავჭავაძე.

თურმე მეგობარი ყოფილა რუსი დისიდენტების – გალიჩის, აქსიონოვის, ბროდსკისა და ამ ინტერვიუში ჰყვება: ერთხელ ვერუნდებო შინ და ვხედავ, ვიღაც ქალი რეცხავს იატაკს...

ეს ყოფილა სვეტლანა ალილუევა.

მე მგონი, ცოტა არაეთიკურია მამაკაცისაგან მოგონება, ალილუევას შევუყვარდი და ხელებზე მკოცნიდაო, გიტარას რომ ვუკრავდი – ქვითინებდაო. და მეუბნებოდა: შენზე არანაკლებ მეზიზღება კრემლის მესვეურებიო და ა.შ.

მაგრამ, ეტყობა, თვითონაც რალაც გრძნობა ჰქონდა ალილუევასადმი, რადგან კოლეგები დასცინოდნენ: „ცერეუს“ დირექტორს ტვინში სისხლი ჩაექცევა, შენ რომ ცოლად ითხოვო სტალინის ქალიშვილიო...

აქვეა აღნიშნული, რომ ნაბოკოვის რეკომენდაციით, პავლე ჭავჭავაძემ რუსულიდან ინგლისურად თარგმნა ალილუევას მეორე წიგნი, რომელიც ალილუევამ იქ დაწერა – „მხოლოდ ერთი წელიწადი“ და მობოდიშებით ამბობს ეს დავით ჭავჭავაძე – მამაჩემს მატერიალურად უჭირდა და იძულებული გახდა ეთარგმნა ალილუევას წიგნიო...

სვეტლანა ალილუევას წიგნი არც კომუნისტური მანიფესტია და არც ამის მსგავსი...

რა არის აქ სამარცხვინო, არ ვიცი. ეს წიგნი შეაფასეს დადებითად ისეთმა პიროვნებებმა, როგორებიც იყვნენ ჯორჯ

კენანი – ცივი ომის იდეოლოგად რომ მიიჩნევენ სსრკ-ში, პროფესორი რობერტ ტაკერი – ავტორი წიგნისა „სტალინი – გზა ძალაუფლებისაკენ“, ცნობილი ამერიკელი მოლიბერალო ჟურნალისტი, 30-იანი წლების რუსეთში ნამყოფი ლუი ფიშერი.

სვეტლანა ალილუევა საგანგებოდ აღნიშნავს თავის ბოლოთქმასში, პავლე ჭავჭავაძემ, ვიდრე გადათარგმნიდა რუსულიდან ინგლისურად, სასარგებლო დამატებანი დაურთო. და დიდ მადლობას უხდის.

სხვა რა შეიძლება ითქვას? სამი ფრაგმენტი მაქვს დაუბეჭდავი „ალაჰის მთებისა“. ეს უნდა დაბეჭდილიყო გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ და მერე შედგებოდა ჩემი და ქ-ნ მაკა ჯოხაძის დიალოგი „სილუეტში“...

საინტერესო იქნებოდა ეს პროექტი, რადგან როგორც ხედავთ, ეს პიროვნება არა მარტო იმით გვიზიდავს, რომ ქართული წარმოშობისაა, არამედ საკმაოდ საინტერესო თავგადასავლების კაცია.

ახლა კი წავიკითხავთ ერთ ფრაგმენტს რომანიდან „რამეთუ იდგა შავბნელი ღამე“. სათაური მე თვითონ დავარქვი პირობითად, რადგან ნოველად შეიძლება აღვიქვათ: „მკვლელობა ეკატერინბურგში“.

\* \* \*

„ტროფიმმა შეათვალიერა კედელზე ნაჯღაბნი და სწრაფად მოაშორა თვალი. თავისი აზიზიანობა უკრძალავდა ამ წარწერების შესწავლას, მაგრამ ისინი ჩაეჭედა ტვინში. მერე ხელმარცხნივ აღმართულ კედელს მიღმა, სადაც პატიმართა ბინები იყო, სულ ახლოს გაისმა მსუბუქი ნაბიჯები და გოგონას ხმა. მოეჩვენა, თითქოსდა მისი წერწევა ფიგურაც გამოჩნდა ოთახში და ტროფიმმა მკვეთრად შეაბრუნა თავი იმ კედლისაკენ:

– მეფის ასულებია?

– დიახ.

– რა მხიარულად ჟღერტულებენ!

– რატომაც არა. ეჭვის ნატამალიც არ გასჩენიათ.

– ძალიან კარგი. ბიჭი როგორღა გრძნობს თავს?

– კვლავ ავად არის. უნდა გადაეყვანათ.

– ხომ არ თვალთმაქცობს?

– არა. გვერდით ვუზივარ ხოლმე, თვალს ვადევნებ. ვხედავ, რომ იტანჯება. ნაღდავ ავადმყოფია.

ტროფიმს ჯავრიანი ხრუტუნის აღმოხდა. იუროვსკიმ მხრები აიჩეჩა:

– რა მნიშვნელობა აქვს ამას? – ახლავე შეიძლება მოვარჩინოთ.

– არა. ვიდრე შუალამე არ დადგება...

– საუცხოოდ ბნელი ღამეა, მთვარის ნამცეციც კი არა ჩანს...

კედელს მიღმა ხმები წუთით მიჩუმდა. მერე ახალი ძალით აჟღერდა და თითქოსდა შემოედინა ოთახში, დაიპყრო იქაურობა, გააშეშა ზეზე ნამომდგარი ორი კაცი. ლოცვა უფლისა, წმინდა და კეთილხმოვანი, მისწვდა მათს სმენას:

– მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი.

ტროფიმმა კიდევ უფრო აუნია ხმას:

– დიახ, ამხანაგო, განაგრძეთ. არც ისე შორსაა?

– მოვიდეს სუფევა შენი.

– ერთი საათის სავალი იქნება?

– იყოს ნება შენი.

– იდეალური ადგილია. მოიცათ, თვითონვე ნახავთ.

– როგორც ცაში, ისე ქვეყანა ზედაც.

– მიტოვებული მალაროს შახტია, ტყეში მიმალული.

– პური ჩვენი არსობისა მოგვეცე ჩვენ დღეს.  
 – ორასი გირვანქა გოგირდმჟავა მაქვს გამზადებული.  
 ტროფიმს თვალის ერთი ქუთუთო აუხამხამდა:  
 – კეთილი! ეს არის, რაც დაიმსახურეს. ეშმაკმა დალახ-  
 ვროს მაგათი თავი! პური ჩვენი არსობისაო – მღერიაან. ახ,  
 თითქოსდა ოდესმე შებრალებიათ მშიერი მუშები!  
 – და მოგვიტევე ჩვენ ვალები ჩვენი, როგორც ჩვენ მივე-  
 ტევეთ ჩვენ მოვალეთა.  
 იუროვსკიმ უზრდელი ბგერა გამოსცა; და მისმა ზიზღმა  
 მყისვე ჰპოვა ანარეკლი ტროფიმის თვალებში.“

\* \* \*

**ლევან ბრეგაძე:**

„თამაზ ნატროშვილი მაძიებელი კაცია. ამიტომ ყოველ-  
 თვის სასიამოვნოა მისი მოსმენაც და მისი პუბლიკაციების  
 გაცნობაც. 60-იან წლებში იგი მშვენიერ მოთხრობებს წერ-  
 და. მიყვარდა მათი კითხვა. ახლაც სიამოვნებით წავიკით-  
 ხავდი – მახსოვს, მათში კარგად იყო გადმოცემული მაშინ-  
 დელი ახალგაზრდობის სულიერი განწყობა. მაგრამ რატომ-  
 ღაც შეეშვა მხატვრულ პროზას და ისტორიული ხასიათის  
 დოკუმენტურ პროზას მიმართა (როსტომმა ამას ისტორიუ-  
 ლი ესეისტიკა უწოდა თავის გამოსვლაში). ეს გახლავთ მეც-  
 ნიერულობისა და მხატვრულობის მომხიბლავი შერწყმა. ამ  
 მანერით ჩვენი დღევანდელი მომხსენებელი დიდი ლიტერა-  
 ტურის ნიმუშებს ქმნის. დროა მკაფიოდ ითქვას, რომ თამაზ  
 ნატროშვილის სახით ჩვენ საუცხოო მწერალი გვყავს – მისი  
 „მაშრიყით მალრიბამდე“ შედეგია.“

დღევანდელ საუბარსაც გულისყურით ვუსმენდი. როცა  
 თვითონ ცხოვრება ასეთ დაძაბულ სიუჟეტებს ქმნის, იქნებ  
 არც იყო საჭირო საკუთარი ფანტაზიის ამოქმედებით მას-  
 თან გაჯობრება.

აღუქსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალს ვინ მოსთხოვს  
 შამილის მიმართ სიმპათიის გამოვლენას, მაგრამ, საზოგა-  
 დოდ, ერთმანეთის მიმართ ჩადენილი დანაშაულობები მე-  
 ზობელმა ხალხებმა ერთხელაც უნდა დაივიწყონ. ეს სტრა-  
 ტეგია მე-19 საუკუნის საქართველოში შეიმუშავეს ჭყეშარი-  
 ტად პატრიოტმა ქართველმა მოღვაწეებმა. და ამ სტრატე-  
 გიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლენა გახლავთ  
 დიდი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა  
 ჰქმნა?“

**რუსუდან დაუშვილი:**

„უღრმესი მადლობა ბატონ თამაზს მოხსენებისა და პავ-  
 ლე ჭავჭავაძის, როგორც მწერლის ასე საინტერესოდ წარმო-  
 ჩენისათვის. ძალიან კარგი იქნება ეს მოხსენება, ან რომანის  
 თარგმანი თუ დაიბეჭდება. პავლე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის  
 შესავსებად კი შემოძლია დავამატო ის, რაც 30-იან წლების  
 ემიგრანტული პრესის ფურცლებზე შემხვდა.“

პავლე ჭავჭავაძე 1931 წ. ამერიკაში დაარსებული ქარ-  
 თველთა სათვისტომოს აქტიური წევრი იყო. იგი რამდენ-  
 ჯერმე იხსენიება სათვისტომოს მიერ გამართული ღონისძი-  
 ებების მონაწილეთა შორის. 1935 წ. ამერიკაში მცხოვრებმა  
 ქართველებმა, რომლებიც მანამდე შინაურულად, ვინრო  
 წრეში აღნიშნავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის  
 დღეს, პირველად მასშტაბურად აღნიშნეს და ზეიმს ოფიცია-  
 ლური ხასიათი მისცეს. იმ დროს მათი რიცხვი 60-ს არ აღე-  
 მატებოდა, ნიუ-იორკში – 40, თუმცა კი ერთსულოვნებას  
 იჩენდნენ საერთო საქმეში. ზეიმის მომწყობთ აფიქრებდათ  
 რუსების პოზიცია. მართალია, ქართველებისადმი ბევრი მე-  
 გობრულად იყო განწყობილი, მაგრამ საქართველოს დამოუ-  
 კიდებლობას მაინც ვერ იღებდნენ. ნიუ-იორკის საუკეთესო

ნაწილში მდებარე სვიმონ სიღამონ-ერისთავის რესტორან  
 „კავკასიის არწივში“ ბანკეტზე თავი მოიყარა 200 სტუმარმა.  
 ქართული საზოგადოების თავმჯდომარის ვასილ დუმბაძის  
 შემდეგ ქართველებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს  
 სტუმრებმა: სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, რუსებმა, ამერი-  
 კელებმა. მათ შორის მოხსენიებულია შეერთებულ რუსთა  
 ორგანიზაციების თავმჯდომარე პავლე ჭავჭავაძე და რუს  
 მხედართა საზოგადოების – გენერალი იმნაძე. ორგანიზა-  
 ტორთა შიში არ გამართლდა – საღამო საუცხოოდ ჩატარდა.  
 მეგობრულ სიტყვებთან ერთად, ზეიმს ამშვენებდა ქართუ-  
 ლი ცეკვები და სიმღერები.

პავლე ჭავჭავაძის შვილიშვილი მარიამ (მარუსია) ჭავჭა-  
 ვაძე 1994 წ. კონსტანტინე სიღამონ-ერისთავის მიერ ნიუ-  
 იორკში დაარსებული „საქართველოს მეგობართა ფონდის“  
 აღმასრულებელი დირექტორია და დიდ დახმარებას უწევს  
 გაჭირვებულ ქართველ ბავშვებსა და მოხუცებს.“

**გოჩა ჯაფარიძე** ექვსი წელიც იქნებოდა, რაც კაიროში

იმყოფებოდა საქართველოს ელჩის მოადგილედ და დიდი ხა-  
 ნი არც გასულიყო, თავის ქვეყანას რომ დაბრუნებოდა. დაბ-  
 რუნებოდა და ისე ძალდაუტანებლად ჩაერთვოდა მის საზო-  
 გადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება-  
 ში, თითქოს ფეხიც არ მოეცვალოს. გაზეთებისა და ჟურნა-  
 ლების მეოხებით გულისყურით ადევნებდა თვალს ლიტერა-  
 ტურულ ყოფასა და სიახლეებსაც და ჩვენს სალიტერატურო  
 თავყრილობებსაც რეპორტაჟების მეშვეობით გაეცნობოდა,  
 ახლა თვითონაც გახდებოდა მისი ერთ-ერთი პერსონაჟი.

მომხსენებელს თუ ვინმე იცნობდა, ერთი უპირველესთა-  
 განი სწორედ გოჩა ჯაფარიძე, ვინც იმთავითვე ეხმაურებო-  
 და თამაზ ნატროშვილის ისტორიულ ძიებებს პროფესიული  
 რეცენზიებით და ამხნევებდა ახალი ჟანრის დასამკვიდრებ-  
 ლად ქართულ კულტურულ სივრცეში. ახლაც მოკლედ, ტე-  
 ვადად გამოჰკვეთდა მომხსენებლის ლიტერატურულ პრო-  
 ფილს და სიხარულს გამოთქვამდა, რომ კიდევ ერთი მნიშ-  
 ენელოვანი სახელი და მხატვრული სამყარო გახდა ხელმი-  
 სანვდომი ქართველი მკითხველისათვის. მიიწონებდა მასა-  
 ლის გადმოცემის ხელოვნებასაც – სიუჟეტის დეტექტიური  
 განვითარების მოწმენი რომ გავმხდარიყავით, და საყვედუ-  
 რითაც უსაყვედურებდა: შენისთანა კაცი არ უნდა გაურბო-  
 დეს საჯარო ლექციებსა და გამოსვლებსო.

იმ განწყობილებასაც გამოეხმაურებოდა, შამილის მი-  
 მართ აპოლოგეტურ დამოკიდებულებას რომ გამოამჟღავ-  
 ნებდნენ შეხვედრის წამყვანი და ერთ-ერთი გამომსვლელი  
 (როსტომ ჩხეიძე და ლევან ბრეგაძე). არ გაიზიარებდა მათ  
 პათოსსა და შეხედულებებს: რატომ ივინყებთ, რამდენი გამ-  
 წარება გადაგვიტანია ლეკთა თარემისაგან და არ არის საჭი-  
 რო მათი იმამის გაიდვალებაო.

და გამოთქვა სურვილი: ნეტა ვინმემ ითავოს გამოცემა  
 ამ რომანის „მთები ალაჰისა“, ეს შეაგულიანებდა თამაზ  
 ნატროშვილს ცალკეული ფრაგმენტები ნიგნად ექციაო, შეხ-  
 ვედრის წამყვანმა კი ის რჩევა გაუზიარა მომხსენებელს: ხომ  
 არა სჯობს ეს საჯარო ლექცია აქციო ვრცელი, დეტექტიუ-  
 რი შეფერილობის ნარკვევად და ამ ნიგნს დაურთო ის ფრაგ-  
 მენტები პავლე ჭავჭავაძის სხვადასხვა რომანებიდან, რაც  
 აქამდე გადმოვიღია ქართულადო, რის პასუხადაც თამაზ  
 ნატროშვილმა მიუგო: ჯერ გამომცემელი გამომიჩნდეს და  
 მერე გადავწყვეტ მასთან ერთად, ჯერ რომელი ნიგნი ემჯო-  
 ბინება, უკეთ რომ გაეცნოს ჩვენი მკითხველი ქართველი  
 კლასიკოსი პოეტის ამერიკელი შვილთაშვილის ლიტერატუ-  
 რულ ნაღვანსო.



**ბორის პასტერნაკი**

\* \* \*

მცოდნოდა მაინც ნეტავ ადრევე,  
როდესაც ახლად ვინყებდი მხოლოდ,  
რომ სტრიქონები გკლავენ, გლადრავენ,  
გაგგუდავენ და გიღებენ ბოლოს.

სჯობდა, მაშინვე მეთქვა უარი,  
დასაწყისშივე, ფრთებს სანამ ვშლიდი,  
რასაც ვითომცდა შორით ვუარე  
მორიდებულად, კდემით და რდიით.

მაგრამ სიბერე – ეს არის რომი,  
ვინც მსახიობის თამაშის ნაცვლად  
არის ნამდვილი სიკვდილის მდომი,  
სწყურია ნაღდი სისხლისგან დაცლა.

და როცა გრძნობა ათავთავდება,  
სცენას მოდგება მონა ნადაგი.  
აქ ხელოვნება უკვე თავდება  
და სუნთქავს ბედი და ნიადაგი.

**სიზმარი**

მე დამესიზმრა შემოდგომა მინებს ნადენი,  
იქ შენ ილხენდი მეგობართა მხიარულ წრეში,  
და ჩემი გული ციდან ისე, ვით შევარდენი,  
შენს ხელისგულზე ეშვებოდა ველური გეშით.

მაგრამ დრო მაინც მიდიოდა ყრუ და ბებერი,  
და განთიადი მოავლებდა ვერცხლის მაქმანებს  
მინებს სარკმლისას, რომლებზედაც თვით სექტემბერი  
სისხლიან ცრემლებს მიმოაფრქვევს და მიაქანებს.

მაგრამ დრო მაინც მიდიოდა. მყიფე და თხელი,  
როგორც ყინული, იმსხვრეოდა სავარძლის ფარჩა.  
უცებ დადუმდი და სიზმარი, ისე ვით ძველი  
ზანზალაკის ხმა მიყურდა და სადღაც შორს დარჩა.

მე გამოვფხიზლდი. ნამოვდექ და სარკმელთან მდგარი,  
გავცქერ შორეთს და ბინდში, ვხედავ, თუ როგორ არყევს  
და ვით ურმიდან თივის ლერებს, იტაცებს ქარი  
ხეებს და ცაში მიაგეღვებს გზისპირა არყებს.

\* \* \*

დაფერდებული სურათების მძაფრ კორიანტელს,  
კედლის ლურსმნებს რომ ეწყვიტება, წყდება, ინთქმება,  
ჩამომიქროლებს შოსედან და ჩამიქრობს სანთელს,  
ვერ გადავაჩვევ ჩემს ლექსებში ცვენას რითმებად.

რა მოხდა მერე, თუ სამყარო იგუებს ნიღბებს?  
რა მოხდა, თუკი არ არსებობს ქვეყნად განედი,  
რომელიც სუსხში ღრიჭობის ქოლვას არ იღებს  
და არ იღესვის მთელი სიგრძით და სიგანეთი.

მაგრამ საგნები თავანყვევით იგლეჯენ იერს,  
კარგავენ პატივს, სინდის – ნამუსს, ქცეულს ხუნდებად,  
როცა ქარიშხლის შემოტევას იგრძნობენ ძლიერს  
და როცა უცებ სიმღერა და ცეკვა უნდებათ.

\* \* \*

შემზარავია, კარგო, როცა გეტრფის პოეტი,  
ეს იმას ნიშნავს, რომ გიყვარებს ღმერთი მზორგავი.  
კვლავ აღოლდება ქაოსი და მიეთ-მოეთი  
განათხარ დროთა, ველური და შეუბორკავი.

მას თვალთ უცრემლებს ეს სამყარო ნაბინდი ბუნდად.  
იგი ჰგავს მამონტს. უყურებ და ხვდები უეცრად,  
რომ ის მოდიდან გასულია. მასაც არ უნდა.  
გრძნობს, რომ მისი დრო ჩავლილია – თანაც უმეცრად.

ხედავს, თუ როგორ უღლდებიან დოლით, ჯირითით,  
და თრობა-ტყვრობის ძილ-ღვიძილში რალა არ ხდება,  
და მოყიყინე ბაყაყების მყაყე ქვირითი  
უდახვენილეს ხიზილალად როგორ სალდება.

მათ შეუძლიათ, რომ ცხოვრებას, ვით საბურნუთეს,  
ვატტოს ხუმრობის მარგალიტის მისცენ იერი.  
იდიონ შური, რადგან სადაც ცრუს მრუდე უტევს  
და ჭორს - ტყუილი, იქვე ბოღმა ჩნდება ძლიერი,

სადაც ნაყირჭი ფუფუნება ქირქილებს, ჰყვავის,  
მუქთახორულად ჰხურობს ვნებებს, ნაფიტს და მიმხმარს,  
და თქვენს დას ისე, ვით ამფორის მთვრალ როსკიპს  
თავის  
ჟინის საკლავად აიყვანს და უტიფრად იხმარს.

ანდებს ადნობს და ანდობს ნატიფ ამფორას ამბორს.  
ცაზე ზეობა ვარსკვლავეთის გუნდმა ინება.  
მინდვრიდან ღამე მოლოდავს და არაფერს ამბობს,  
მას პირი თეთრად ელება და ელებინება.

ხეობათაგან, ოდითგან რომ უნევთ ბოგინი  
ბოტანიკურ და უკუნეთურ საფარ-სამოსით,  
დაჰკრავს სურნელი ტიფოზური სევდის ლოგინის  
და ზეამოხეთქს უსიერად ბნელი ქაოსი.

\* \* \*

მე ვიზრდებოდი და ვით განიმედს  
მიმაქროლებდა ბედი, ილბალი.  
და ფრთები მიწას, ვით ჩემგან იმედს,  
მაშორებდა და გადავიღალე.

მე ვიზრდებოდი. სალამოს ლანდებს  
გარს მოვიხვევდი, როგორც ნაქსოვთა.  
ჩამოვანრევედი, ვით ღვინის ნალექს,  
მას, რაც სევდიან ჰანგად მახსოვდა.

მე ვიზრდებოდი. მაგრამ ახლავე  
ვხედები, რომ ვხედები კერძი არწივის.  
წარსულს ჩაბარდა ის სიახლოვე  
და სიყვარულიც ძველებზე არ წივის.

მაგრამ ეს განა არ არის ბედი?  
რასაც ვერასდროს ვერ აღწერს ენა,  
რომ შენ, ვით უკვე ნამღერი გედი,  
არწივის გვერდით შეიძლებ ფრენას.

\* \* \*

სანამ კავკასიონს ვებლატებით,  
მტკვრის სულისმხუთავი ჩარჩო  
არაგვს ნისლ-ბურუსად ეფხატება,  
სადღაც მთებს შორის რომ ჩარჩა.  
აგვისტოს ცის თაღის სისქე  
არის მარმარილოდ გაშლილი,  
კოშკებს კისრები აქვთ ცისკენ  
წაჭრილი ადამის ვაშლივით.

სანამ ტვინს ვილლი და ვილლეტ,  
ამ ძველ ციხე-კოშკთა კვლევით,  
დროის ლაჟვარდოვან მიღმეთს  
რომ ეძირებიან ქვევით,  
სანამ გავარჩევდე ტყით თუ  
ბუჩქით ხარ მოსილი, რით ხარ?  
კავკასო, შენ უნდა გკითხო,  
რა ვქნა? რა წყალს ვეცე? მითხარ!

შენს ჩახუტებათა წყებამ მუდამ  
ნუთუ მარტოოდენ ეს ინება?  
თვალს ქუთუთოებქვეშ რატომ ჭუტავ?  
ყაზბეგო, რაზე გეცინება?  
როცა მწვერვალეებზე მორეული  
სუნთქვა შემეკვრება და იმედი,  
ნუთუ შენ გგონია, შორეულო,  
რომ გული მატკინე რაიმეთი?!  
და გერმანიაშიც, ალპებში, იქით  
კლდეები ასევე რომ ცდიან ძალას  
ეჭახუნებიან, ვით ჭიქას ჭიქით,  
ნუთუ შენ გგონია, რამე შეგეშალა?  
ცხოვრების მორევში მბრუნავი ნეტავ  
ბედსა და ილბალს აქ რად ველი?  
როცა ჩემი ბედის ჭრაზე მეტად  
მიჯობს წყალში ვცვითო მაკრატელი.  
ნუ წვალობ, შენს სიზმრებს მოარგე სარკე,  
მოეშვი, მე მიყვარს და ვიცი ყოველი,  
თვით მდინარეებსაც ვერ საზრობს ცალკე  
ქვეყნად არსებობის გამჭოლი ქსოვილი.

\* \* \*

მაინც და მაინც ცნობილი იყო,  
ეს არც იმდენად არის ლამაზი,  
არქივის შექმნას ხელი რომ მიჰყო,  
სჯობს არც იფიქრო ქვეყნად ამაზე.

ხელოვნებაა სულის გამხელა  
და არა ყალბი, ფუჭი დიდება,  
სამარცხვინოა, შენი სახელი  
თუ ყველას პირზე ურცხვად იდება.

უნდა იცხოვრო სადად, უბრალოდ  
და უნდა გქონდეს სმენა მახვილი  
და რომ არ გაქრე ქვეყნად უკვალოდ,  
გესმას მომავალ დროთა ძახილი.

და სჯობს, რომ თუნდაც აჩნდეს ხარვეზი  
შენს ბედს, რომელსაც ძლივს გაუძელი,  
ვიდრე შენს ნაწერს. გქონდეს არეზე  
გადახაზული ყოფის ფურცელი.



და არცნობაში ჩაგუბდე უხმოდ,  
 არა ბაგ-ბუგით, ზარით, გუგუნით,  
 არამედ ისე, არვის რომ უხმობს,  
 არე რომელსაც შთანთქავს უკუნი.

სხვის მეკვლეობა უნდა არჩიო,  
 გზას გაიგნებენ, მათ თუ დააცდი,  
 მაგრამ შენ თავად არც გაარჩიო,  
 სად გაიმარჯვე, ან სად დამარცხდი.

მაგრამ არასდროს, თუნდ ერთი მისხლით  
 არ აირიდო ბოლო კარამდის  
 სიცოცხლის ნიჭი, გიდულდეს სისხლი,  
 იყო ცოცხალი ან და მარადის!

**MEIN LIEBCHEN,  
 WAS WILLST DU NOCH MEHR?\***

კედელზე ისრებს აუტყდათ ცოცვა,  
 ხოჭოსას მოჰგავს საათის ქცევა.  
 რა საჭიროა თავების ხოცვა,  
 თეფშების სროლა, ჭიქების მსხვრევა?!

ამ ფარლალა აგარაკს იქნებ  
 ხვალ უარესის მოუწევს ნახვა,  
 რატომ მივეცეთ ავბედით ფიქრებს,  
 წინასწარ ძრწოლას და პირჯერის სახვას?!

იქნებ დაგვატყდეს მეხი ან კოხი,  
 იქნებ ვერ შევძლოთ ვერაფრის შველა,  
 იქნება თავზე დაგვექცეს ქოხი,  
 ან გააჩუქონ ლეკვები ყველა?!

ჩვენ ხომ ეს ტყე გვაქვს მომდგარი კარად,  
 და მთვარედ გვადგას ნათელი უფლის,  
 ახლადგარეცხილ წინსაფრის დარად  
 ქათქათით შრება ნაფლეთი ღრუბლის.

და როცა ჭისკენ გზად მიმავალი  
 მონყენილობის უცები სმერჩი  
 გადაწყვეტს, ქება გიძღვნას მრავალი,  
 სხვა რაღა გინდა, ვის რაღას ერჩი?

და როგორც ჭრაქზე ფარვანა, ისე  
 ნავთს შეენირა ეს ერთი წელი,  
 როცა რუხ-ლურჯი დადგა აისი,  
 გამოიღვიძა და იყო სველი.

ის იჭვრიტება სულ ყველგან ლამის  
 და თანაგრძობის ეცემა დამბლა.

\* საყვარელო, რა გინდა მეტი? (გერმ.)

მისგან სველდება ბალიში ლამის,  
 სადაც მან ჩუმი ქვითინი დაფლა.  
 რით ვანუგეშო ეს ნაბდისძველა?  
 მას ხომ არასდროს არ აქვს ნახუმრი.  
 ვით ჩავუჩუმო დარდები ყველა  
 ამ ნაზაფხულევს შემონახული.

ტყე ჩამონვება ისე, ვით ტყვია,  
 ჭალარავდება რუხი ბურქნარი.  
 ის პირქუშია, შენ კი ხარ ღია,  
 დღე - მოუთმენლად გასაფურჩქნავი.

რაღა ატირებს ამ ბებერ სულელს?  
 სხვა ვინ უნახავს უფრო ნეტარი?  
 მზესუმზირების ამ მზეებს ულევს  
 რატომ აქრობენ სოფლად ნეტავი?

\* \* \*

*მეგობარო, შენ მკითხავ, ვისი პრძანებით  
 გიზგიზებს ვიყის მეტყველება?*

მოდის სიტყვები ვფანტოთ,  
 თითქოს ბალს ქარვა მოდნა  
 და ნიავს ჩუმად ვანდოთ  
 ოდნავ, სულ ოდნავ, ოდნავ.

და რაღა კვლევა უნდა,  
 დილით ფოთლებზე მდგარი  
 რატომ ციმციმებს მუდამ  
 ლიმნის და ენდროს ცვარი.

ვინ აქცევს ხოლმე ნემსად  
 ცრემლს და ჟალუზებს მოდებს,  
 ყუნწში ძვრება და კემსავს  
 თაროზე გაშლილ ნოტებს.

კარსუკან ნაგდებ ფარდაგს,  
 დაჩაგრულს ფეხების გასმით,  
 ვინ კაზმავს ნაჯაფს და ნადაგს,  
 ვინ ფერავს სურმით და ბასმით?

შენ მკითხავ, აგვისტოს ვინ  
 მიიჩნევს უავგუსტესად,  
 ვისაც ფონი არ აქვს წინ  
 და მაინც წინსვლა აქვს წესად.

ვინ ავლებს ნეკერჩხალს ხაზებს,  
 ან ეკლესიასტეს შემდეგ  
 ყალიბს თაბაშირით ავსებს  
 და იღებს საოცარ შედეგს.

შენ მკითხავ, ეს ვიღამ ბრძანა, რომ ამ ნაგვიანე ასტრებს სექტემბრის სუსხები ასწრებს? და წნორის წვრილ ფოთლებს თანაც, ცის თალი რომ ველარ იტევს, დააფენს ჰოსპიტლის პლიტებს ჩუმი შემოდგომის ხანა.

შენ მკითხავ, ეს ვიღამ ბრძანა? გეტყვი: - სიყვარულის ღმერთმა, ყოვლისმძლემ და ერთადერთმა, იაგაილოთ და იადვიგთა უმცირეს დეტალთა ღმერთმა.

ეს ჩვენი ფიცი თუ მტკიცე სიკვდილის ახსნისა სუსტია, მაგრამ სიცოცხლე კი ვიცი, ჩუმ შემოდგომისებრ ზუსტია.

*ბორის პასტერნაკის ლექსები ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში ნაკვირვალ პირველად. ბუნებრივია, ბევრს ვერაფერს გავიგებდი ამ ურთულესი პოეტური აზროვნების ხლართებში, მაგრამ მათში სწორედ ეს გაურკვეველი სირთულე მიზიდავდა, აზრის იდუმალი უფსკრულები და ვცდილობდი გავრკვეულიყავ ამ უსიერი ტყის მხვიარებში. დრო გადიოდა და რაც უფრო მეტად შევდიოდი მის სიღრმეებში, მით უფრო მეტად მაჯადოვებდა ამ ლექსების ხიბლი.*

*გამოხდა ხანი. ჩემს ერთ-ერთ უმთავრეს მოწოდებად პოეტური თარგმანი იქცა. ამ მუზას ვემსახურები ქედუხრელად თუ ქედმობრილად ავერ უკვე ნახევარი საუკუნეა. ბევრი ქვეყნის ძველსა თუ ახალ პოეტს კეთილი ვანებებიან და ავად თუ კარგად ქართულად ავამეტყველე. ერთადერთი ბორის პასტერნაკი მეჯიუტებოდა, გაანათლოს მისი სული ღმერთმა. რამდენჯერაც დამაწყებინა ამათუიმ ლექსის თარგმანი, იმდენჯერვე დამახვივინა. რალას ვიზამდი? შევეპვი. ჩაიარა წლების ქარავანმა. და აი, მოხდა სასწაული. ერთ, მართლაც, მშვენიერ დღეს არა, ღამეს, სამოცდაათ წელს მიღწეულმა, ყელგამოლადრულმა და სასუნთქ აპარატს მიერთებულმა, დავრდო-*

**მთარგმნელისაგან**

**სიცოცხლის განცდა**

იგრძენ, რომ ქვეყნად არსებობა არ არის რთული. და რომ ცოცხლობდე, ეს ხომ სულაც არ არის ძნელი. მზე აენთო და აზეურდა, გაგიღლო გული, მოგიგურგურა და გაგიტობო სხეული მთელი.

დღეს ჩემში არის შენივთული მარადისობა. და გულგაღებულ ათასწლეულთ მე წამებს ვადრი, საუფლო ღვთისა, რითიც ასე მარად ვივსები, არ არსებულა არასოდეს ჩემამდე, ადრე.

არსებობა და უკვდავება ერთია მანაც. უმაღლეს ძალთა მადლი ქვეყნად დიდზე დიდია. შენც მათ უმაღლე იმ ჯადოსნურ ღვინისთვის, რაიც ძარღვებში გიდულს, გილუის და ცეცხლად გინთია.

**თარგმნა  
პასუხი კომუნიკაციისა**

*მიღმა და უკვე ველარაფრის მომლოდინე სწულმა უცებ დავინწყე და თითქმის შეუჩერებლივ რამდენიმე ღამეში ვთარგმნე პასტერნაკის ოცი ლექსი. მათგან ნახევარი ლიტერატურულ აღმანახ „ახალ თარგმანებში“ (2005 წ.) გამოვაქვეყნე, მეორე ნახევარს კი წინამდებარე ყურნალის მკითხველებს ვთავაზობ.*

*არ მინდა ვინმემ ბებრულ წუნუნად აღიქვას, რაც ზემოთ მოგახსენეთ. მე ხომ, ამასთანავე, ძველი პედაგოგი გახლავართ და ვიფიქრე, იქნებ ჩემს უმძიმეს მდგომარეობაში ასეთი ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობა, ახალგაზრდობისათვის მაგალითად გამოდგეს – მეთქი.*

*ჩვენს ახალგაზრდებს ერთ საიდუმლოსაც გაეუფხელ: მერნამუნეთ, შვილებო, არ არსებობს ქვეყნად ისეთი სიღრმე თუ სიმაღლე ჩაუღწეველი ან აუღწეველი რომ დარჩეს ქართული სიტყვისთვის. გამოიყვანეთ აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან ნებისმიერი „ფალავანი“ და ვისი აჯობებს, ვნახოთ!*

*დაბოლოს, ვულოცავ ახალ ყურნალს როსტომ ჩხეიძეს და მთელ რედაქციას. ბედნიერი ყოფილიყოს ჩემი ფეხი ქართული სიტყვის ამ საუფლოში. ამინ!*

**კულუარები**

გამოჩენილი უკრაინელი კინორეჟისორის ალექსანდრე დოვჟენკოს გამოქვეყნებულ დღიურში ვკითხულობთ, რომ 1952 წელს, როდესაც კინოფილმ „დაუვიწყარი 1919“-ის გადაღება დამთავრდა, მისი დამდგმელი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი სტუმრად ეწვია ამავე ფილმის სცენარისტს ვსევოლოდ ვიშნევსკის (იმხანად პოპულარული პიესის „ოპტიმისტური ტრაგედიის“ ავტორს).

და აი, ვიშნევსკის ცოლი სონია ვიშნევეცკაია (დამთხვევაა, კორექტურა არ გეგონოთ!) გამყინავი ხმით ეკითხება სა-

**ეგენი სწორედ  
ეკეთები არიან**

ხელგანთქმულსა და ყოვლისშემძლე მიხეილ ჭიაურელს:

– მიხეილ ედიშეროვიჩ, რატომაა, რომ თქვენს ფილმში „ბერლინის დაცემა“ პოლიტიკურის ნევრები, ყველანი ერთიანად, გამოსახუ-

ლი გყავთ უტყვ მანეკენებად?

– ეგენი სწორედ ეგეთები არიან, – აუღელვებლად, თითქოსდა სანქცირებულ ჭეშმარიტებას ღაღადებდსო, პასუხობს მიხეილ ედიშეროვიჩი, ფავორიტი სტალინისა.

დოვჟენკო და ვიშნევსკი გაოცებისგან პირს დააღებენ.

ლელა ოჩიაური

# ღალატის ნაკერძალი უკვე გალვივდა

\*

სამეფო უზნის თეატრის  
საკეცაკალი „გიულიჰ-ჰ!..“

მას შემდეგ, რაც გიორგი ერისთავმა (პირველმა ქართველმა დრამატურგმა, რომელსაც ილია ქართული თეატრის მამამთავარს უწოდებდა) ქართველი არისტოკრატიის მხარდაჭერით, მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით, №1 გიმნაზიის შენობაში დადგა პირველი სპექტაკლი – „გაყრა“ (სადაც პიესის ავტორიც თვითონ იყო, რეჟისორიც და ერთერთ, სომხის ვაჭრის, როლსაც ასრულებდა) ქართული თეატრი გახდა არა წმინდა ესთეტიკურ-გართობითი სანახაობა, არამედ საგანმანათლებლო, ქართული ენის შენახვისა და გადარჩენის, ეროვნული ცნობიერების გალვივების ასპარეზი; შემოქმედებითი გზით ერის თავისთავადობის, სულიერი ავტონომიის შენარჩუნების, ცივილიზებული ფორმით ხალხთან ურთიერთობის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის საშუალება.

დღეს, როდესაც ქართული სინამდვილიდან, ქართული ცნობიერებიდან, სახელმწიფო იდეოლოგიიდან ეროვნულობის განდევნა ხდება; მაშინ, როდესაც ყველაფერი ის, რაც ეროვნულია, „დრომოჭმულად“, „ყავლგასულად“, „დახვესებული და არათანამედროვე, კონსერვატორული აზროვნების“ გამომხატველად იქცევა, ალბათ შემთხვევითი არაა, რომ ქართული თეატრი ქართულ კლასიკას, ქართულ მწერლობას, საქართველოს ისტორიას უბრუნდება და მიიწვევს ამბებს, მიიწვევს გმირებს სცენაზე აცოცხლებს. სცენაზე ცოცხლდება ის, რაც ერს ნაციონალურ წარსულს აგონებს, რაც ყოველთვის პირველადი იყო, მაგრამ, რაც, გარკვეულ ეტაპზე, სხვა ფასეულობებმა, სხვა მიზნებმა თუ ინტერესებმა ჩაანაცვლა.

რა თქმა უნდა, თეატრი არაა ერთგვაროვანი და მასში მოღვაწე ადამიანების მრავალს, მსოფლმხედველობა (ცხადია, უნარებიც) ერთგვაროვანი არაა და ვერც იქნება. მრავალფეროვნებას ქართული თეატრის თვისებაა, მაგრამ ეროვნული თემატიკის, ეროვნული ლიტერატურისკენ მიმართული დაჟინებული მზერა იმის შედეგია, თუ როგორ რეაგირებს ხელოვნება თანამედროვე სამყაროში, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რა მიაჩნია მას თეატრის ფუნქციად, რა და რა ენაზე უნდა უთხრას საზოგადოებას, რა ღირებულებებზე მიუთითოს, რასაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის ქართულ თეატრს საყვედურობდნენ და რისი აუცილებლობის დროც დღეს დადგა.

მაყურებელიც მზადაა ასეთ პიესებთან, ინსცენირებებთან სპექტაკლებთან, თემებთან, პრობლემებთან შესახვედრად. ვერანაირი ახალი „წესრიგი“ ვერ აქრობს ადამიანებში სურვილსა და სწრაფვას – კიდევ ერთხელ გააცნობიეროს ქვეყნის ეროვნული მისიის, თავისთავადობის, სულიერი ავტონომიის შენარჩუნების ფორმა, ქართული ენის გადარჩენის ასპარეზს ეზიაროს და საკუთარ პრობლემებზე, კითხვებზე, რომლებიც აღელვებს, პასუხი მიიღოს.

ამავე დროს, ეს „პასუხი“ მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს და სასურველი შედეგით სრულდება, თუ ხელოვნების ნაწარმოები – სპექტაკლი მაღალმხატვრულია, თუ სარეჟისორო გადაწყვეტა, გამომსახველი ხერხები, აქტიორული ანსამბლი და ლიტერატურული პირველწყაროს ხარისხი შემოქმედებით სისრულეშია მოყვანილი და არ რჩება მხოლოდ დეკლარირების შრეზე.

ქართული თეატრის „ახალი ტალღის“ (რომლის საფუძველი თანამედროვეობასთან დაკავშირებულ ქართული კლასიკის ნიმუშებსა თუ ეროვნულ თემატიკაზე შექმნილ სპექტაკლებს ემყარება) დინებაში რამდენიმე ქართული თეატრი და შემოქმედი მონაწილეობს.

ბოლო ხანებში რამდენიმე ასეთი სპექტაკლი შეიქმნა და საზოგადოებაც სწორედ ამგვარმა დადგმებმა მიიზიდა და ააღაპრა. მათ მაყურებლის ყურადღება არა იაფფასიანი ილეთებით თუ ხელოვნური სკანდალურობით მიიპყრეს, არამედ იმ მთავარი თვისებებით, რითაც ხელოვნების ნებისმიერი ქმნილებაა ფასეული და იმითაც, რომ ქართულ დრამატურგიას ემყარება.

ეს სპექტაკლებია: ოთარ ეგაძის „ქრონიკა“ (ვაკის თეატრალურ სარდაფში), პალიკო ნოზაძის მიერ „ქართული ნოველის თეატრში“ განხორციელებული და მთელი საქართველოს მასშტაბით (ეს მოძრავი თეატრია და ქვეყნის უკვე თითქმის ყველა რეგიონშია ნამყოფი), თბილისში კი „გოლბუსში“ წარმოდგენილი – „ჩემი გოლგოთა“; აქვე, იოსებ ნემსაძის მიერ შექმნილი – „ვინ არის დამნაშავე?“; რობერტ სტურუას – „კაცია-ადამიანი?"; თემურ ჩხეიძის – „ზღვა, რომელიც შორია“ და გიორგი თავაძის – „გიულიჰ-ჰ!..“ – „სამეფო უზნის თეატრში“. აქ მიმდინარეობს თანადროულ პრობლემატიკაზე საუბარი და ქართული სინამდვილის უახლესი თუ წარსულის ისტორიის, დღევანდლობისა თუ სხვა ეპოქების ჭრილში განალიზება.

ახალგაზრდა მასახობმა და რეჟისორმა, გიორგი თავაძემ „გიულიჰ-ჰ!..“ საკუთარი ინსცენირებით, შიო არაგვისპირელის მოთხრობის მიხედვით, დადგა. ნაწარმოები მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, სრულიად ახალი კუთხით, ახალ რაკურსშია წარმოდგენილი და მთლიანადაა „მორგებული“ ავტორის (რეჟისორის) მხატვრულ აზროვნებას, მის შემოქმედებით ხელწერას.

ამგვარ მიდგომაში მასალის, ლიტერატურული პირველწყაროს მიმართ, არსებულში სიხლის ამოჩენის უნარისა და მისი ახალ (თეატრალურ) სინამდვილედ გადაქცევის პროცესში თავიდანვე გამოიკვეთა, თუ როგორ აზროვნებს რეჟისორი, როგორ ხედავს სამყაროს, ადამიანებს, როგორ მრავალფეროვნად და არასტანდარტულად აღიქვამს ყოველივეს და როგორ ქმნის ამ სამყაროს სცენიურ ხატს უცნაური და მოულოდნელი სარეჟისორო სვლებით, თავისთავადი გამომსახველი ხერხებით აღსავსეს.

„გიულიჰ-ჰ!..“ თითქოს ლეგენდაა, რომელსაც ადამიანები თაობებს გადასცემენ, შორეულ წარსულში (შეიძლება არც შორეულში) რომ მოხდა და შემდეგ თქმულებად იქცა. ლეგენდასაც თავისი კანონი აქვს და ის ჩვენს თვალწინ იწყებს განვითარებას, ოდნავ განტყვევებული, მაყურებლისგან თითქოს

უხილავი კედლით გამიჯნული. მოქმედება პირობით შრეზეა გადატანილი, ამავე დროს, რეალობა თითქოს ხელშესახები ხდება, იქმნება სრული შეგრძნება, რომ მაყურებელი ამ სოფლის – მოქმედების ადგილის, „რისხვისა და მარგალიტების“ აღმოსავლეთის გარემოში ექცევა, სპექტაკლის გმირებივით გარემოებათა ტყვეობაში.

რეალობასა და პირობითობას შორის მოქცეულ სივრცეში, ამ მთებზეა თუ თუ საძოვრების გარემოცვაში მუსლიმთა სოფელი (რომლის მახლობლად გამოქვაბულები და მათში განთავსებული ქრისტიანული სამლოცველოა) არსებობს, რომლის ჩვეული ცხოვრება ქრისტიანი სტუმრის მოსვლის შემდეგ ირღვევა.

მაყურებელი თითქოს ხედავს და ცხადად წარმოიდგენს სპექტაკლის განმავლობაში არაერთხელ ნახსენებ ამ გამოქვებულებს, სადაც, სპექტაკლის ფინალში „მსხვერპლშენიერვის“ თუ შელახული ღირსების გამომსყიდი შურისძიების გაუცნობიერებელი აქტი ხორციელდება; რომლებიც ორი სამყაროს ერთიანობისა და დაპირისპირების თანაარსებობის მეტაფორადაა წარმოდგენილი და რეჟისორის მიერ შექმნილი ხილული სამყაროს განუყრელი ნაწილია.

როგორი უცნაურია ეს სამყარო – უცხო ხმებით, საიდანაც გამომკრთალი ცხვრის ბლავილით, ჩიტების ჭიკჭიკითა თუ წყლის ჩხრიალით, ბაიათებითა თუ მუსიკალური ყუთის ლამაზი, მაგრამ უსიცოცხლო მელოდით გაჟღერებული.

ის, რასაც ცხადად ვხედავთ, თითქოს მირაჟია, ლეგენდის მსუბუქ ნისლში გახვეული, ოდნავ გაბუნდოვანებული იდუმალი განათებით. ამ სამყაროს, ამავე დროს, ფარდები ფარავს და ძველი, ოდნავ გახუნებული, ფერდაკარგული სურათებივით ცოცხლდება.

„გიულიპ-ჰი!“ ცხოვრებაა ფარდის მიღმა, რომელიც რეჟისორმა (სპექტაკლის მსვლელობისას ამა თუ იმ მსახიობმა) ჩვენს თვალწინ მოულოდნელად გადაწია, იქ კი, ფარდებს მიღმა განლაგებულ ტახტებზე (რომლებიც ამავე დროს დამატებითი, პატარა სცენების ფუნქციასაც ასრულებს), ახალი სამყარო, სივრცის ახალი შრე იშლება და ახალი ეპიზოდი, ახალი ამბავი იწყებს განვითარებას.


სურათები იცვლება. მოვლენა მოვლენას ცვლის, სცენა – სცენას, ქმედება, ამბავი თანდათან „ძალაში შედის“, ატმოსფერო ავისმომასწავლებელი შეგრძნებით იმუხტება, შინაგანი დაძაბულობა მატულობს. სამყარო, რომელსაც რომანტიკული საბურველი ყოველ მომდევნო ეპიზოდში ეძარცვება, აღარავისთვისაა ისეთი ლამაზი და მომხიბვლელი, როგორც თავიდან იყო. ოცნებებისთვის, ილუზიებისთვის, ახალი ადგილების აღმოჩენის იმედებისთვის, თუნდაც ისინი თავიდანვე ფუჭი ყოფილიყო, ადგილი აღარ რჩება.

სივრცე ცალკეული ეპიზოდებითაა დანაწევრებული და, ამავე დროს, მეტად მთლიანია. ის მხატვრული გამომსახველი ფორმები, რომელსაც რეჟისორი იყენებს, ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან, ურთიერთგამომდინარე და ურთიერთგადაძვეთი. პირობითობის, მხატვრული გამონაგონის ხარისხი მეტად მაღალია, გაუცხოების ატმოსფეროს არაერთი ელემენტი ქმნის. განმსაზღვრელი - მეტაფორებით აზროვნება,

ზომიერი და განონასწორებული, შინაგანი ენერგეტიკის მატარებელი და ფარული ემოციით მდიდარი.

არც ერთი დეტალი, სცენიური სამყაროს აგებისა თუ მსახიობთა ქმედებაში, მათ მიერ სახეების შესაქმნელად გამოყენებულ შტრიხებში, ზედმეტი, უსაფუძვლო თუ გადაჭარბებული არაა. „თამაშის წესები“ ყველას კარგად ესმის. ეს კი მოცულობითობის, მონოლითურობის შთაბეჭდილებას ბადებს. აქედან და, შესაბამისად იდეურ-პრობლემური განზოგადებიდან გამომდინარე, სცენიური სივრცისა თუ კონკრეტული ისტორიის საზღვრები, მასშტაბი ფართოვდება და რეჟისორის მიერ შექმნილი მიკროსამყარო გარემომცველი, ვრცელი სამყაროს მიკრომოდელად იქცევა.

სპექტაკლის ემოციური საფუძვლის, საერთო განწყობისა და ატმოსფეროს, მხატვრული სტრუქტურის შექმნა მნიშვნელოვნადაა განპირობებული ანკა კალატოზიშვილის სცენოგრაფიითა და კოსტუმებით. ესაა მომაჯადოებელი სილამაზის სანახაობა, მაგრამ არა თვითმიზნური, არა „სურათოვანი“, ზედაპირული, არამედ ღრმა აზრის მატარებელი. ფერადოვანი, აღმოსავლური ორნამენტით, ელემენტებით განწყობილი, დახვეწილი, გემოვნებით შერჩეული და თითოეული პერსონაჟის ბუნების გამომხატველი სამოსი ისეთივე მეტყველია, როგორც ავანსცენაზე გაშლილი „ნატურმოტი“, როგორც ჰამაკები, ფარდაები, ფარდები, აღმოსავლურ ხალიჩასავით რომ ავსებს სივრცეს და გარემოს ორგანულ ნაწილად იქცევა. მხატვარი მნიშვნელობას ანიჭებს თითოეულ დეტალს, ფერისა და მისი ტონების სისადავეს, უმცირეს ნიუნსსაც კი - ქსოვილის ფაქტურა იქნება თუ ლითონის სინი, ნაქარგობა თუ



მარლენ გუტია (ალი)

ბრონეულები.

სპექტაკლის ფორმა ერთდროულად თხრობაცაა და ქმედებაც, რომელშიც ეს მონათხრობი ჩანართების სახითაა წარმოდგენილი, მიტროს (გიორგი ზანგური) მიერ პატარ-პატარა აპარტეების, მოგონებების, „კომენტარების“ ფორმით გადმოცემული. მსახიობი ორგანულად გადადის ერთი მდგომარეობიდან (მთხრობელის როლიდან ქმედების უშუალო მონაწილედე) მეორეში, ოსტატურად იცვლის სახეს, განწყენებულიცაა და მოვლენათა აქტიური წარმმართველიც, დამკვირვებელიც და შიდა კონფლიქტის მთავარი მიზეზიც.

მსახიობები ზუსტად გრძნობენ რეჟისორულ ამოცანას, დადგმის საერთო ხასიათს, განწყობას, და სახეებს არაერთგვაროვანი ხერხებით ქმნიან. მათ მიერ განსახიერებული პერსონაჟები, ერთი მხრივ, მკვეთრად დამახასიათებელი პიროვნული თვისებებით გამოირჩევიან და, მეორე მხრივ, როგორც მთლიანად სპექტაკლი, განზოგადებული, საერთო თვისებების მატარებელი არიან, ფსიქოლოგიური დახასიათებისა და ტიპაჟური ნიშნების გამაერთიანებელ ზღვარზე, რეალური და განწყენებული, მკვეთრი შტრიხებითა და რბილი გადასვლებით შემკული, ცხოვრებისეული და წარსულიდან მოღწეული თქმულების პირობითი ხატები.

მათ (ისევე, როგორც, საერთოდ, ადამიანების) ცხოვრებაში ერთგულეობაცაა და ღალატიც, სიყვარულიც და ტრადიციების დაცვისა თუ მათი უგულვებლყოფისკენ „სწრაფვაც“.

მაგრამ ერთგულედაც შეიძლება ბოროტებად იქცეს, რადგან ღალატის ნაპერწკალი უკვე გაღვივდა და გაძლიერდა. ადამიანს ცოდვა სიყვარულმაც შეიძლება ჩაადენინოს, ერთ ცოდვას მეორე მოსდევს, მეორეს მესამე, ისინი კარგავენ წონასწორობას და ნიადაგი ეცლებათ. სპექტაკლის საექსპოზიციო ნაწილში მოვლენათა ტრაგიკული განვითარების მაუწყებელი თითქოს არაფერია.

ძველი ნაცნობისა და საქმიანი პარტნიორის მიტროს მორიგ, საბედისწერო სტუმრობამდე, ალის (მარლენ ეგუტია) და მისი ოჯახის – ცოლების: იეთარის (ბერტა ხაფავა), ლეილას (ნინო წეროძე), შვილის – ჰერბალის (რამაზ გემიაშვილი) ცხოვრებაში ყველაფერი ჩვეულებრივად იქცევა. ადამიანები კვდებიან, უყვართ და არ უყვართ ერთმანეთი, ექიმებიან და ეხმარებიან ერთმანეთს, შრომობენ, ბავშვებს ზრდებიან, ზამთარში გაზაფხულს ელიან, ზაფხულში ზამთრისთვის ემზადებიან, იღებენ და აცილებენ სტუმრებს... მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი იცვლება.

სისტემაში, რომელსაც მყარი ნიადაგი აქვს, სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს. ალის სახლი მისი ციხე-სიმაგრეა, სადაც განუყოფლად ბატონობს, სადაც მის მიერ დანებებული კანონები მოქმედებს, შეუზღუდავი ძალა-უფლებით სარგებლობს და არ აინტერესებს, რას გრძობენ, რას ფიქრობენ, რას სურვილები და სწავლებები ამოძრავებს სხვებს.

ორი უფროსი ვაჟი – ალავერდა (გიორგი დევაძე) და ისმაილა (ლევან ყოჩიაშვილი) – მათ მოგვიანებით, კრიტიკულ მომენტში, სპექტაკლის ფინალისკენ შეუერთდება, როდესაც მამა დაიბარებს და დამნაშავეს – მოღალატის დასჯას უბრძანებს. ორი მწყემსი ძმა (ვისაც ოჯახური ღირსების დაცვა ალის ახირებად, უფრო მნიშვნელოვნად კი – ცხვრის მწყემსება მიაჩნია) ცხოვრების საერთო, მდორე და ერთფეროვანი დინებიდან „ამოვარდნილი“ პერსონაჟია. ეს სიმბოლური ფიგურები მცირე ხნით ჩნდებიან სცენაზე, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობები მაინც ახერხებენ მათი თვისებებისა და მეტაფორული განყენებულობის ასახვას.

ბერტა ხაფავა იეთარის – ალის უფროსი ცოლის – სახის შექმნისას იუმორსა და დრამატულ შტრიხებს იყენებს. იეთარი სახასიათო სახეა, ჭკვიანი და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ქალის, რომელსაც მსახიობი მისთვის ჩვეული ოსტატობით, თავისებური მანერითა ქმნის.

ნინო წეროძის ლეილა თამამი, გახსნილი და, ამავე დროს, დათრგუნული ადამიანია, მის განსასახიერებლად ახალგაზრდა მსახიობი არაერთგვაროვან ხერხებს იყენებს. ლეილა ისევე იბრძვის საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად, საკუთარი ბედნიერებისთვის, როგორც სპექტაკლის თითოეული გმირი, და რეალობასთან შეტაკებისას, გარემოების კარნახით, ბერტა ხაფავას პერსონაჟივით, სახეს იცვლის.

თავისუფლების, სიბოროტისა და ღალი ცხოვრებისკენ ღალატის, რაც გიულიშის პიროვნების დამახასიათებელი თვისებაა (და რაზეც აგებულია სპექტაკლის ძირითადი კონფლიქტი) ახალგაზრდა მსახიობის – ლეილა მეფურიშვილის მიერ სახიერი ხერხებითაა შექმნილი. განწყობათა ცვალებადობა, მის პიროვნებაში მომხდარი გარდატეხა, სიხალასე და ტრაგიზმი, სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთს ერწყმის. მასში შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს და ახალგაზრდა ქალისთვის ტრაგიკულად სრულდება.

მარლენ ეგუტია ზუსტი, მრავალფეროვანი შტრიხებით ქმნის ალის, ძლიერი და სუსტი, სასტიკი და მოყვარული პიროვნების სახეს. იგი ერთადერთი ადამიანია, ვისაც გიულიშ უყვარს, მაგრამ გრძობა იქამდე გრძელდება, სადამდეც მოხუცის ძალა-უფლება ვრცელდება და სიბოროტის სხვა ემოციით შეცვლის. სიყვარულის მსხვერპლი ხდება თვითონაც და ყველა სხვაც, მის გარშემო.

ალი კეთილი და გულგრილია, ვიდრე თვითონ მართავს ცხოვრებას, ადამიანების ბედს განაგებს, მაგრამ უღმობელი, საშიში ხდება, როდესაც ღალატობენ, როდესაც გზად წინააღმდეგობები ელოდება, როდესაც „სათამაშოს“ – გიულიშს, რაც, როგორც მიტროს ამბობს, „ვარდსა ნიშნავს“, ართმევენ.

ეს ადამიანები – პერსონაჟი-სახეები სახლობენ სამყაროში, სადაც ყველაფერი, ნებისმიერი სარეჟისორო სვლა (რითაც სპექტაკლი მეტად მდიდარია), განტეხების თითოეული ელემენტი მისაღები და ბუნებრივი ხდება. ყოფითი დეტალები თუ რიტუალური ქმედებები (მუსლიმთა ლოცვა, შახსეი-ვახსეი თუ სტუმრის ფლავით დაპურება) ჩვეულებრივ ადამიანურ გრძობებსა და გაუცხოებულ სისტემებს ერთიან ნაკადად წარმოადგენს.

მოქმედების განვითარების პარალელურად, სპექტაკლის გმირებთან ერთად, უკვე გარკვეულ გამოცდილებამიღებულ მაცურებელი თითქოს მათთან ერთად აგრძელებს არსებობას. სცენიურ სივრცეში უფრო და უფრო ღრმად ინაცვლებს. ქმედების ყოველი ახალი ელემენტი ბუნებრივი და ორგანული ხდება.

ავანსცენის კუთხეში ნიშასთან გადებული ჩვეულებრივი ფიცარი მანამდე წარმოსახვაში გაცოცხლებულ გამოქვაბულად „იქცევა“ და მაცურებელიც (გაბრუებული და დაბანგებული) იჯერებს, რომ ეს მართლაც ასეა. სწორედ აქ, ლამის სიჩუმეში, სახლიდან გაქცეულ და მიტროს მომოდინე გიულიშთან მისული ჰერბალი (რომელიც უნებურად ამჟღავნებს თავის ჭეშმარიტ გრძობებს დედინაცვლის მიმართ), მამის ნაცვლად, ოჯახის შელახული ღირსების დასაცავად შურისძიების აქტს აღასრულებს.

ამ, ფინალურ, ეპიზოდში სპექტაკლი ტრაგედიის რანგში ადის და რამაზ გემიაშვილის გმირის (მოსულელო, კეთილი,



გიორგი ზანგური (მიტრო) და ლეილა მეფურიშვილი (გიულიშ)

გულუბრყვილო და მოსიყვარულე, რასაც მსახიობი მთელი სპექტაკლის განმავლობაში მდიდრული გამომსახველი ხერხებით ქმნიდა) სრული გარდასახვა(, მის მიერ (შექმნილი გარემოებების ზემოქმედებიდან გამომდინარე) ჩადენილი საქციელი(ც განსაკუთრებით შემაძრწუნებელი ხდება.

იქნებ ტრაგედია მაშინ დაიწყო, როდესაც მოხუცმა ალიმ გიულიძე, თითქმის ბავშვი, იყიდა და მესამე ცოლად მოიყვანა, მისმა ორმა სხვა ცოლმა და შვილებმა ოჯახის ახალი წევრი თავისიანად არ მიიღეს და გოგონას სითბო არ უნილადეს?! იქნებ მაშინ, როდესაც მიტრომ მას ყურადღება დაგვიანებით, როდესაც უკვე ალის ცოლი გახდა, მიაქცია და არა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ თავისუფალი იყო?! იქნებ მაშინ, როდესაც მათი რომანი დაიწყო, ზაფხულის ცხელი ღამეებით მხურვალე და გიჟური ვნებებით აღსავსე და როდესაც ის, თავიდანვე განწირული, შეცრად ყველაზე კრიტიკულ ფაზაში დასრულდა?!

ადამიანში იმდენად დიდია თავისუფლების სურვილი, რომ იგი მზადაა ყველაზე უკიდურეს გადაწყვეტილებამდე მივიდეს და, როდესაც მთელი ქვეყანა მის წინააღმდეგაა ამხედრებული, საბედისწერო ნაბიჯი გადადგას. გიულიძის სწრაფვა, მისი გაქცევა მოჯადოებული წრიდან, მისთვის უღიმღამო, ერთფეროვანი ყოფიდან, იძულებითი თანაცხოვრებიდან, ხელოვნური სიმყუდროვიდან მარცხით მთავრდება.

მოულოდნელად სამყარო სიბნელეში იძირება და ქრება. ღამის სიჩუმეს, სიმყუდროვეს თითქოს არაფერი არღვევს. ღამე ფარავს დანაშაულს და იმ ფარდის, იმ წიხლის ფუნქციასაც ასრულებს, რომლის გარემოცვაშიც მოვლენები განვითარდა. ყველაფერი ქრება და კვლავ სანაყის უბრუნდება, მოგონებად იქცევა იმ ადამიანების შესახებ, ვისი ცხოვრებაც თუ ცხოვრების ხანმოკლე მონაკვეთი (რომელმაც მაყურებლის წინაშე ზმანებასავით ჩაიარა) დასრულდა, მაგრამ რომელზე ფიქრიც დიდხანს მიგვეყვება და გალელვებს.

სად გადის ზღვარი ზნეობასა და უზნეობას, სიყვარულსა და სიძულვილს, ერთგულებასა და ღალატს, სიკეთესა და ბოროტებას შორის? ამ მარადიულ ცნებათა შორის გამავალ ხაზზე მერყეობს გიორგი თავაძის „გიულიძე-ჰი...“, სპექტაკლი, რომელიც ალბათ, თავისთავადი, არაორდინარული გადაწყვეტიდან გამომდინარე ამ სეზონის თეატრალურ მოვლენად იქცევა.

ეს არაა ორი კულტურის, ორი რელიგიის დაპირისპირების იდეის გამტარებელი სპექტაკლი, არც მორალისტურ ცნებებს ქადაგებს. რეჟისორი სათქმელს უფრო მასშტაბურ და არსებით დატვირთვას ანიჭებს. იგი ქმნის სახელმწიფოს მიკრომოდელს, რომელსაც ნაცნობ სიტუაციათა მხატვრულად გამოსახველობითი სტრუქტურისა და მარადიულ ცნებათა ერთიანობაზე აწყობს.

გიორგი თავაძე პერსონაჟებთან ერთად მაყურებელსაც არჩევანის წინაშე აყენებს და სათქმელის, ნამოჭრილი პრობლემების განზოგადებით, სცენიდან „გარეთ“, გარემომცველ სივრცეში გამოტანით ადამიანისა და საზოგადოების, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემებს გამოჰკვეთს.

როგორც თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე ამბობს: „სახელმწიფომ უნდა მონახოს თავისი ადგილი კულტურაში, უნდა განსაზღვროს, რა უნდა, რას თხოულობს თეატრისგან. ჩვენმა სახელმწიფომ, რომელიც ჯერ ვერ შეიქმნა (ჩვენ ტოტალური ნგრევის ოსტატები აღმოვჩნდით, ეროვნულზე მაღლა პარტიული ინტერესები დავაყენეთ), თეატრზე – ანუ მის ეროვნულ, ისტორიულ ფუნქციაზე უნდა იფიქროს. სახელმწიფოს შენებას ძლიერი იდეოლოგია სჭირდება. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მე არაფერს ვაძლევ, მხოლოდ მან უნდა მომიცესო. ასე სახელმწიფო არ აშენდება.

თეატრმა თავის ფუნქციონალური ადგილი უნდა იპოვოს, პატარა ერებისთვის ეს აუცილებელია, სხვაგვარად ვერ გადავრჩებით. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, რას გაუკეთებს სახელმწიფო თეატრს, არამედ იმაზეც, თუ რას გაუკეთებს თეატრი ქვეყანას“.

ღღეს ქართულმა თეატრმა (თუ მთლიანად არა, მისმა ზოგიერთმა წარმომადგენელმა) არსებობის ახალ ეტაპზე, 21-ე სა-

უკუნეში, დაარსებიდან 15 წლისთავზე კვლავ სერიოზულად დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რა ჭირდება ქართველ მაყურებელს, რა არის ამჟამად თეატრის ფუნქცია, რა მიმართულებით უნდა წავიდეს ის და რას გაუკეთებს ქვეყანას.

ამის ერთ-ერთი მაგალითი გიორგი თავაძის სპექტაკლია, რომელსაც საგანმანათლებლო მნიშვნელობაც აქვს, თეატრის ისტორიული ფუნქციის პოვნასაც ცდილობს, ქართული ენის შენახვა-გადარჩენასაც, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაბრუნებასაც და შემოქმედებითი გზით ერის თავისთავადობის, სულიერი ავტონომიის შენარჩუნებასაც.

**ოდისეის კუნძული ნაოჰნია**

სად მდებარეობს ჰომეროსის „ოდისეას“ მთავარი გმირის სამშობლო ითაკა? ასეთი სახელწოდების კუნძული იონიის ზღვაშია, მაგრამ მისი აღწერა სახელოვანი ბასილევსის მარშრუტს არ ემთხვევა. ათ წელიწადს დაეხეტებოდა ზღვაზე და თავისი სამკვიდროს პოვნას ცდილობდა. ითაკას უამრავი მკვლევარიც ეძებდა და მხოლოდ ახლახან აღმოაჩინეს ოდისევსის მიწა საბერძნეთის კუნძულ კეფალინიაზე. არქეოლოგიურ, გეოლოგიურ და ლიტერატურულ რეალითა კომპიუტერული ანალიზის წყალობით ბრიტანელმა მეცნიერებმა იდუმალ კუნძულს მიაგნეს.

**ჰეი-ონ-უაის თიკუნი – ნიგნის სამყარო**

უელსის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს პატარა ქალაქი ჰეი-ონ-უაი, რომელსაც „ნიგნის ქალაქს“ უწოდებენ. პატარ-პატარა ჩიხებსა თუ შესახვევებში ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებით ბუკინისტურ დახლებსა და მაღაზიებს. მათი რაოდენობა ამჟამად უკვე 38-მდე აღწევს. და ეს ყოველივე 2 000 ადგილობრივ მკვიდრზე! ქალაქში ყოველწლიურად მრავალი სტუმარი თუ ტურისტი ჩადის ბიბლიოთეკების გასამდიდრებლად. აქ ჩვეულებისამებრ იმართება ბაზრობები და იშვიათ ნიგნთა აუქციონი.

უილიამ ფოლკნერი

## არასოდეს დაიღუპება

პიტზე რომ გვაცნობეს, მე და მამა მინდვრად ვიყავით. დედამ ცნობა საფოსტო ყუთიდან გამოიღო ჩვენი წასვლის შემდეგ, ლობესთან მოიტანა და წინასწარვე იცოდა, რაც იყო, რადგან თავშალი არც კი მოუხურავს, ეტყობა, სამზარეულოს ფანჯრიდან იყურებოდა, ფოსტალიონმა როდესაც შემოუხვია. და მეც უკვე ვიცოდი, რაც იყო, რადგანაც დედა არაფერს ამბობდა. ლობესთან გარინდებულები პატარა, უფერული, უმანკო კონვერტით ხელში, და მე მამას მინდვრის გადაღმიდან მოვძახოდი, რადგან მასზე შორს ვიყავ წასული და მან პირველმა ამიტომაც მიაღწია ლობეს, სადაც დედა ელოდა. თუმც ლამის მოვრბოდი. „ვიცი, რაც არის“, თქვა დედამ. „მაგრამ გახსნა არ შემიძლია. გახსენი“.

„არა, არ შეიძლება“, მოვრბოდი და ვყვიროდი. „არა, არ შეიძლება“. ვყვიროდი მერე. „არა, პიტ! არა, პიტ!“ ვყვიროდი, „დასწყევლოს ღმერთმა ის ჯაპები!“ და ისიც მე ვიყავი, ვინც მამას უნდა დაეჭირა და გაეჩერებინა, ცდილიყო გაჩერებას, შემჭიდებოდა გასაჩერებლად, თითქოს ვილაც კაცი ვყოფილიყავ და არა ცხრა წლის ბიჭი.

ეს იყო და ეს. პირლ ჰარბორიც იყო ერთ დღეს. და მომდევნო კვირას პიტი მემფისს გაემგზავრა ჯარში ჩასაწერად, იქ წასასვლელად და მათ დასახმარებლად; და ერთ დღილას დედა ლობესთან იდგა ფურცლის პანია ნაგლეჯით ხელში, რაც იმხელაც არ იყო, ცეცხლის დასანთებლად გამომდგარიყო, და მარკაც არა სჭირდებოდა კონვერტზე, რომელიც იუნყებოდა, **იყო გემი, ახლა აღარ არის, და თქვენი ვაჟი ერთი იმათგანი გახლდათ.** და თავს ნება მივეცით, ერთი დღე გვეგლოვა და ეს იყო და ეს. რადგანაც აპრილი იდგა, გაგანია, უმძიმესი ჟამი თესვისა და იყო მინა, სამოცდაათი აკრი, ჩვენი შემნახავი, პური და ცეცხლი, ჩვენამდე გრიერსები რომ მოინეწა, რაკილა ისინი ამუშავებდნენ; და პიტი მოინეწა, რადგან ვიდრე აქ იყო, თავის ვალს იხდიდა, და მოგვინელებდა დედას, მამასა და მე, თუკი ჩვენსას განვაგრძობდით.

და მერე კიდევ მოვიდა. იქნებ გონებიდან ამოგვვარდა, რომ ასე მოხდებოდა, და მოდიოდა და მოდიოდა იმ ხალხთან, ვისაც უყვარდა თავიანთი შვილები და ძმები, როგორც ჩვენ გვიყვარდა პიტი, ვიდრე ის დღე დადგებოდა, როცა ეს უნდა დასრულებულიყო. იმ დღის შემდეგ, რაც პიტის სახელი და სურათი ვნახეთ მემფისის გაზეთში, მამას ყოველთვის მოჰქონდა ერთი ცალი, როცა კი ქალაქში გაემგზავრებოდა და ვნახულობდით სურათებსა და სახელებს ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისა მისისიპის, არკანზასისა და ტენესის სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან, მაგრამ არცერთი არ განსხვავ-

დებოდა ჩვენისაგან და დრო რომ გამოხდა, ისე ჩანდა, თითქოს ყველა პიტი უნდა ყოფილიყო.

მერე კვლავ მოვიდა. ივლისი მინურულიყო, პარასკევი. მამა სისხამზე წასულიყო ქალაქად ჰომერ ბუკრაიტის სასაქონლე სატვირთოთი და უკვე მზე ჩადიოდა. ის-ის იყო დავბრუნდი მინდვრიდან, ჯორი დავაბინავე და საბძელიდან გამოველ, რომ ჰომერის სატვირთოც შეჩერდა საფოსტო ყუთთან და ბილიკზე გადმოუხვია, ფქვილის ტომარა მხარზე შემოეგდო და გაეწონასწორებინა, ფუთა ილლიაში ამოეჩარა და ხელში გაზეთი ეჭირა. მხოლოდ ერთხელ შევავლე თვალი დაკეცილ გაზეთს, რაკილა ვიცოდი, რომ ერთი ცალი ყოველთვის მოჰქონდა ქალაქიდან დაბრუნებულს. რადგან ადრე თუ გვიან მაინც უნდა მომხდარიყო; მარტო იოკნაპატოფას ოლქელებს არ გვიყვარდა ისე ძალიან, რომ განსაკუთრებული უფლება გვექონოდა გლოვისა. ასე რომ, მხოლოდ შევეგებე, ტვირთი შევუმსუბუქე და მასთან ერთად შემოვბრუნდი, სამზარეულოში ერთად შევევით, სადაც ცივი ვახშამი გველოდა მაგიდაზე და დედა ჩამავალი მზის შუქში ჩამომჯდარიყო ღია კარში, ხელი და მკლავი ღონივრად და მტკიცედ ჩაეჭიდა სადღვებლის კიდისათვის.

მას შემდეგ, რაც პიტზე გვაცნობეს, მამას დედასათვის აღარ მიუმართავს. არც ახლა გაუცია ხმა. ფქვილი მაგიდაზე დადო, სკამზე ჩამოჯდა და დაკეცილი გაზეთი გაშალა. „მაიორ დე სპენის ბიჭხეა“, თქვა. „ქალაქელზე. ავიატორზე. შარშან შემოდგომას ოფიცრის ფორმით რომ იყო ჩამოსული. თვითმფრინავი იაპონელთა სამხედრო ხომალდს დააჯახა და ააფეთქა. ასე რომ, იციან, რაც მოხდა“. დედას სადღვებელი კიდევ ერთ ნუთს არ გაუჩერებია, თუმც მეც კი შევამჩნიე, რომ კარაქი უკვე ამოსულიყო. მერე ადგა და პირსაბანთან მივიდა, ხელე-ბი გადაიბანა, უკანვე მობრუნდა და კვლავ დაჯდა.

„ნაიკითხე“, თქვა მან.  
და მე და მამა მივხვდით, რომ დედამ არამცთუ იცოდა მთელი ეს ხანი, რომ ეს კიდევ მოხდებოდა, ისიც უკვე იცოდა, თვითონ რას იზამდა, როცა ეს მოხდებოდა, არა მარტო ახლა, არამედ მერეც, ვიდრე საბოლოოდ დადგებოდა დღე, როცა ყველა მგლოვიარეს დედამინის ზურგზე, მდიდარსაც და ღარიბსაც, მათაც, ათი ზანგი ვისაც ემსახურებოდა მშვენიერ, დიდ, მორთულ-მოკაზმულ ქალაქურ სახლში და მათაც, ვინც სამოცდაათ აკრ არცთუ რიგიან მინაზე ცხოვრობდა ჩვენსავით, ანდა ერთადერთი, რაც გააჩნდათ, ოფლის ღვრა იყო მთელ დღეს, ღამით ლუკმა-პური რომ ჰქონოდათ, შეეძლოთ ეთქვათ, **ბოლოს და ბოლოს ერთი და იმავე რამისათვის ვგლოვობთ.**

საქონელი დავაპურეთ, მოვწველეთ, შემოვბრუნდით და ცივი ვახშამს შევექეცით, და მე ცეცხლი ავანთე ღუმელში და დედამ ჩაიდანა და რალაც-რალაცები შე-





მოდგა, რათა წყალი გაეცხლებინა ორისათვის, და მე საბანაო ტაშტი შემოვიტანე საკუჭნაოდან და, ვიდრე დედა ჭურჭელს დარეცხავდა და სამზარეულოს დაასუფთავებდა, მე და მამა წინკარში ვისხედით კიბეზე. სწორედ ამ დროს, დღის ამ ჟამს გავეშურეთ მე და პიტი ორ მილს იქით მოხუცი ვილგრიუს სახლისაკენ შარშან დეკემბერს, რათა რადიოსათვის მოგვესმინა, პირლ ჰარბორისა და მანილის ამბებს რომ გადმოსცემდა. მას შემდეგ პირლ ჰარბორსა და მანილაზე უარესი მოვლენები დატრიალდა და პიტს აღარავისათვის დაუძალებია იმ ამბების მოსმენა. და არც მე: ისე გამოდიოდა, რომ რაკილა არავის შეეძლო დაეზუსტებინა ჩვენთვის, თუ სად იმყოფებოდა იგი, როცა მისი **ყოფნა** შეწყდა, ნაცვლად იმისა, რომ გადაქცეულიყო **იყო** მინის რომელმე ნაგლეჯზე, სადაც მისი მოყვარული ხალხი ქვას დაადებდა გულზე, პიტი კვლავ ყველგან **არის** დედამინაზე, ერთი მათგანი ყველა სხვა მეომარს შორის, ვინც ასევე სამუდამოდ **იყო** თუ **არის**. ასე რომ, დედასა და მამას და მეც არა გვჭირდება პატარა ხის ყუთი მათი ხმების შესაგროვებლად, ვინც მებრძოლთა სიმამაცე და თავგანწირვა იხილა, მერე დედამ სამზარეულოში მიხმო, ტაშტში ჩასხმულ წყალს ოდნავ ასდიოდა ორთქლი, იქვე საპონი იდო თეფშზე და ჩემი გაქათქათებული ღამის პერანგი და პირსახოცი, ნახმარი ტილოს ტომრებისაგან რომ შემიკერა დედამ, და მე ვიბანავე, ტაშტი გადავღვარე, დედას გამზადებული დავუტოვე და დასაძინებლად მივნიქი.

მერე გათენდა და ჩვენც ავდექით. ჯერ დედა ადგა, როგორც სჩვეოდა. ჩემი გამარმარებული საკვირაო პერანგი და შარვალი მზად დამხვდა, ფეხსაცმელებიცა და წინდებიც, ყინვების გადავლის შემდეგ რომ აღარც მცმია. და მაინც, გუშინდელივით სამუშაო სამოსი გადავიცივი, ფეხსაცმელები სამზარეულოში გავიტანე, სადაც დედა ლუმელთან იდგა გუშინდელივე კაბით და არამართო საუზმეს გვიმზადებდა, არამედ მამას სადილსაც. ფეხსაცმელები დედას საკვირაო ფეხსაცმელებს მივუწყე კედელთან და ბოსელს მივაშურე; მე და მამამ საკონელი დავაპურეთ, მოვწველეთ, გამოვბრუნდით, დავსხედით და ვისაუზმეთ, დედა ლუმელსა და მაგიდას შორის ტრიალებდა, ვიდრე მოვრჩებოდით, და მერე თვითონაც დაჯდა. მერე ფეხსაცმლის სანმენდი ყუთი გამოვიღე, ვიდრე მამა მოვიდოდა და გამომართმევდა – საცხს, ნაჭერს, ჯაგრისსა და ოთხ ცალ ფეხსაცმელს ერთიმეორის მიყოლებით. „დე სპეინი მდიდარია“, თქვა. „მაიმუნივით ზანგი ჰყავს, თერთად შემოსილი, ხელში ქოთანნი რომ უჭირავს და თავს ახდის, ბატონს გადაფურთხება რომ მოეწებება. ისე გაიპრიალე ფეხსაცმელები, ჩაცმად ღირდეს; ძირს რომ დაიხედავ, საკუთარი თავი დაინახო“.

მერე ჩავიცვით. საკვირაო პერანგი გადავიცივი და შარვალი, ისეთი ხეშეშა და გამტკიცული, ზეზე გაჩერდებოდა, რომ დაგეყენებინა, და წინდები სამზარეულოში გავიტანე და დედაც შემოვიდა თავისი წინდებით ხელში, ჩაცმული იყო, ქუდიც კი დაეხურა, წინდები გამომართვა და თავისებთან ერთად დაანყო მაგიდაზე, მზინავი ფეხსაცმელების გვერდით, და კარადის თაროდან ჩანთა ჩამოიღო. ჩანთა კვლავ იმ მუყაოს ყუთში

იდო, რითაც მოიტანეს, ყუთს სან-ფრანცისკოს მალაზიის ფერადი იარლიყი ეკრა, პიტმა სადაც იყიდა – მრგვალი, ოთხკუთხედიანი წყალგაუმტარი ჩანთა სატარებელი სახელურით, ისე, რომ პიტი დანახვისთანავე მიხვდა მალაზიაში, რაც ისედაც უნდა სცოდნოდა, რომ სწორედ საიმისოდ დაემზადებინათ, ჩვენ რისთვისაც გამოვიყენებდით, ლითონის შესაკრავით შესაკრელი, ჯერ არც დედას რომ არ ენახა და არც მამას. საქმე ისაა, რომ მალაზიაშიც ვყოფილვართ ყველა და ჯეფერსონის ატცენტრიან დუქანშიც, მაგრამ მე აღმოვჩნდი ერთადერთი, ვისაც ეყო საზრიანობა მიხვედრილიყო, შესაკრავი როგორ იკვებოდა, თუმც არასოდეს მიოცნებია, ასეთი რამის მფლობელი გავხდები-მეთქი. ასე რომ, მე ვიყავი პირველი, ვინც გაასრიალა შესაკრავი და გახსნა ჩანთა და შიგ აღმოჩნდა ჩიბუხი და თამბაქოს შეკვრა მამასათვის და სანადირო ქუდი და კარბიდის თავზედასამაგრებელი ფანარი ჩემთვის და თვით ჩანთა კი დედასათვის, და დედამ დაკეტა და ისევე გახსნა ჩანთა და მერე მამამ სცადა, შესაკრავს აქეთ-იქით აცურებდა პატარა ტკაცუნა ბილიკზე, ვიდრე დედა შეაჩერებდა, არ გაცივითოო; და დედამ გახსნილი ჩანთა უკანვე ჩააბრუნა ყუთში, ბოსლიდან ცარიელი კვარტიანი ბოთლი მოვიტანე, საქონლის სამკურნალო სითხეს რომ ვასხამდით, დედამ გამოხარშა ბოთლი და საცობი, სუფთა, დაკეცილ პირსახოციანად ჩანთაში ჩადო და ყუთი კარადის თაროზე შემოდო, შესაკრავი გახსნილი დატოვა, რადგან თუკი დავგვჭირდებოდა, გახსნილი დაგვხვდებოდა და შესაკრავს ზედმეტი სრიალით არ გავცვეთდით. დედამ ამოიღო ყუთიდან ჩანთა, ჩანთიდან ბოთლი, ბოთლი კამკამა წყლით აავსო, საცობი დაუცო, ჩანთაში ჩააბრუნა სუფთა პირსახოციანად, ჩვენი ფეხსაცმელები და წინდებიც ჩაანყო და შესაკრავი დაკეტა და ქუჩაში გავედით და ვიდექით იმ ნათელ, ცხელ დილას საფოსტო ყუთის გვერდით, ვიდრე ავტობუსი მოვიდოდა და შეჩერდებოდა.

სკოლის ავტობუსი იყო, სწორედ ის, წინ და უკან რომ დამატარებდა ფრანგისხევიდან სკოლისაკენ შარშან ზამთარს და პიტს რომ დაატარებდა ყოველ დილა-სალამოს, ვიდრე სკოლას დაამთავრებდა, მაგრამ ამჟამად საპირისპირო მიმართულებით ადგა გზას, ჯეფერსონისაკენ, და ასე მხოლოდ შაბათობით დადიოდა და შორიდანვე მოჩანდა სამინდვრე გზის განოლილსა და გრძელ ზოლზე, მანამ, სანამ სხვები იცდიდნენ თავთავიანთ საფოსტო ყუთებთან, რათა ჩამსხდარიყვნენ. ჩვენი ჯერიც მოვიდა. დედამ ორი ოცდახუთცენტრიანი მიანოდა სოლონ ქუიკს, ვინც აანყო ეს ავტობუსი, მასვე რომ ეკუთვნოდა და თვითონვე მართავდა, და ჩვენც ჩავსხედით და დაძრვა და მალე ადგილი აღარ დარჩა მათთვის, საფოსტო ყუთებთან რომ იდგნენ და ანიშნებდნენ, გაგვიჩერეო, და მერე ავტობუსი აჩქარდა, ოცი მილი რჩებოდა, მერე ათი, მერე ხუთი, მერე ერთი და ბოლო ბორცვიც გადავიარეთ და მობეტონებული ქუჩებიც დაინყო; ავტობუსიდან ჩამოვედით და ბორდიურზე ჩამოვსხედით, დედამ ჩანთა გახსნა, ამოიღო ჩვენი ფეხსაცმელები, წყლით სავსე ბოთლი, პირსახოცი და ფეხები დავიბანეთ, წინდები და ფეხსაცმელები ჩავიცვით და დედამ ბოთლი და პირსახოცი უკანვე ჩააბრუნა და ჩანთა დაკე-  
ტა.

და გავუყევით რკინის სარებიან ლობეს, ვიდრე ბამბის ნაკვეთს მივადგებოდით, მოვუხვიეთ და ეზოში შევედით, უფრო დიდი რომელიც იყო, ვიდრე ის ფერმები, მე რომ მენახა, და მოხრეშილ ბილიკს დავადექით, უფრო ფართოსა და დატკეპნილ-მოსწორებულს, ვიდრე გზებია ფრანგისხევში, სახლისაკენ, რომელიც სასამართლოს შენობაზე უფრო დიდი მეჩვენა, და კიბეს ავუყევით, ქვის სვეტებს შორის გადავჭერთ პორტიკი, მთელს ჩვენს სახლს რომ დაიტევდა წინკარიან-ყველაფერიანად, და კარზე დავაკაკუნეთ. და მერე რალა აზრი ჰქონდა, ფეხსაცმელები ბზინავდა თუ არა: წამით გამოანათა მაიმუნივით ზანგის თვალების თეთრმა გარსმა, კარი როცა გაგვიღო, წამით გაიელვა მისი კოსტუმის სითეთრემ დარბაზის ბოლოს, ვიდრე თვალს მიეფარებოდა, კატასავით უხმაუროდ მიაბიჯებდა და გვტოვებდა, თვითონ რომ მიგვეგნო საჭირო კარისათვის, თუკი შევძლებდით. და მოვახერხეთ – მდიდარი კაცის კაბინეტში, რომელიც ყველა ფრანგისხეველ და, მგონი, მთელი დანარჩენი ოლქის ქალებსაც დაწვრილებით შეეძლოთ აღენერათ, მაგრამ თვით იმ კაცებსაც არ ენახათ, მაიორ დე სპეინს რომ სტუმრობდნენ ბანკის საათების შემდეგ ან კვირადღით, რათა გადა-

ვადება ეთხოვათ, ჭერის შუაგულში ჩვენი საბანაო ტაშტისხელა მოელვარე ყინულებიანი ჭალი ეკიდა, ოთახში მოოქვრილი არფა იდგა, იმხელა, ჩვენი საბძლის კარს რომ ჩაკეტავდა, და სარკე, ჯორზე ამხედრებული კაცი თავის თავსაც რომ დაინახავდა და ჯორსაც, და იატაკის შუაგულში კუბოს მსგავსი მაგიდა იდგა, ზედ კონფედერატთა დროშა გადაფენილიყო და მაიორ დე სპეინის ვაჟის ფოტოსურათი დაედოთ და დიდი, ლურჯი პისტოლეტი დროშას დაბლა ექაჩებოდა და მაგიდის ბოლოს მაიორი დე სპეინი აყუდებულებოდა, თავზე ქუდით, და ცოტ ხნის მერე თითქოს გაიგონა და გაარჩია დედას მიერ წარმოთქმული სახელი; – ნამდვილი მაიორი კი არ ყოფილა, ასე ეძახდნენ, რაკილა მამა ჰყავდა ნამდვილი მაიორი ძველად, კონფედერატთა ომში, თვითონ ბანკირი გახლდათ, ფულიც ბლომად მოეხვეჭა და გავლენაც, ისეთი, მამა ირწმუნებოდა, მისისიპის გუბერნატორებსა და სენატორებს ჰქმნისო; – მოხუცებულიყო, იტყოდით, საკმაოდ მოხუცია, ოცდასამი წლის ვაჟი რომ ჰყავდესო; საკმაოდ მოხუცი საიმისოდ, რომ ასეთი გამომეტყველება ჰქონოდა სახეზე.

„ჰა“, თქვა მან. „ახლა გამახსენდა. თქვენც გირჩიეს, რომ თქვენს ვაჟს სისხლი დაენტხია მოუმზადებლობისა და დაუდევრობის საკურთხეველზე. რა გნებავთ?“

„არაფერი“, უთხრა დედამ. კარში არ დაყოვნებულა, მაგიდისაკენ გაემართა. „თქვენთვის მოსართმევი არაფერი გაგვანჩნია. და არა მგონია აქ რაიმეს ვხედავდე, რისი წაღებაც გვენდომებოდა“.

„ცდებით“, თქვა მაიორმა დე სპეინმა. „თქვენ ერთი ვაჟი დაგრჩათ. ისე მოიქეცით, რაც მე მირჩიეს: წადით შინ და ილოცეთ. არა მკვდრებისათვის: არამედ მისთვის, ვინც ჯერჯერობით დაგიტოვებს, ეგება სადმე რაღაცნაირად შეენიოს და იხსნას!“ დედას მისთვის არ შეუხებდავს, ისე დადიოდა საბძლისხელა ოთახში, როგორც მაშინ, ჩემი და მამას სამხარი რომ ჩადო სათლში ლობის კუთხეში, როცა გუთნის შესაჩერებლადაც არ გაგვანჩნდა დრო, რათა გვეჭამა, და შინისაკენ გაბრუნდა.

„შემიძლია მაგაზე უფრო უბრალო რამ გითხრაო“, თქვა დედამ, „იტირეთ“, მერე მაგიდას მიუახლოვდა. გა-

ჩერდა, ოღონდ ხელი არ გაუჩერებია, მისი ხელი ისე უეცრად და სწრაფად გაცურდა, მაიორმა დე სპეინმა მაჯაშილა უტაცა თავისი; ორი ხელი ჩაეჭიდა ერთმანეთსა და დიდ ლურჯ პისტოლეტს, ფოტოსა და ოდნავ ამობურცულ, ფერადბაფთიან რკინის მედალს შორის რომ იდო, იმ ძველ დროშაზე, რაც უამრავ ხალხს, ვიცი, არასდროს უნახავს და, მეტიც, ვერც გა-



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

მოიცნობდა რა იყო, რომც ენახათ, და იქვე გაისმა ბერიკაცის ხმა, რომელსაც ასე არ უნდა გაეუღო:

„თავისი სამშობლოსათვის! მას არ გააჩნდა სამშობლო: ამ ქვეყანას არც მე ვცნობ. მისი და ჩემი სამშობლო გაძარცვეს, შებილნეს და დაანგრეს ოთხმოცი წლის წინათ, ჩემს დაბადებამდე. მისი პაპები იბრძოდნენ და დაიხოცნენ მისთვის, თუმც რისთვისაც იბრძოდნენ და დამარცხდნენ, ოცნება იყო. მას კი ოცნებაც არ გააჩნდა. ილუზიისათვის დაილუპა. მეგახშური ინტერესებისათვის, პოლიტიკოსთა სიბრიყვისა და სიხარბის გამო, ორგანიზებული შრომის განდიდებისა და გაძლიერებისათვის“.

„ჰო“, თქვა დედამ. „იტირე“... „არჩეულ მსახურთა პირადი პასუხისმგებლობისადმი შიშის გამო! მლიქვნელობის გამო, რითაც დემაგოგები თავგზას უზნევენ მშრომელ ადამიანებს! სირცხვილი? მწუხარება? განა შეიძლება სიმბდალეს, სიხარბესა და ნებაყოფლობით მონობას გაეგებოდეს სირცხვილი ან მწუხარება?“

„სირცხვილის გრძნობა ყოველ ადამიანს აქვს“, თქვა დედამ. „როგორც ყველას აქვს სიმამაცე, ღირსება, მსხვერპლშენიერვის უნარი. და მწუხარებაც ყველას შეუძლია. დრო გავა და ისწავლიან. უფრო მეტი მწუხარება, ვიდრე შენია და ჩემი, ასწავლით, და იქნებ უფრო მეტიც. მაგრამ იკმარებს“.

„როდის? როცა ყველა ჭაბუკი დაილუპება? მერე რა-  
ლა დარჩება გადარჩენის ღირსი?“

„ვიცი“, თქვა დედამ. „ვიცი. ჩვენი პიტიც ძალიან  
ახალგაზრდა იყო სიკვდილისათვის“. მერე მივხვდი, ხე-  
ლები ჩაკიდებული აღარ ჰქონდათ. მაიორი დე სპეინი  
ნელში გასწორებულიყო და პისტოლეტი დედას ოდნავ  
გადაეწოდა თავის მხარეს და წუთით ვიფიქრე, ჩან-  
თის გახსნასა და პირსახოცის ამოღებას აპირებს-მეთ-  
ქი. მაგრამ პისტოლეტი კვლავ მაგიდაზე დადო, დე სპე-  
ინისაკენ გადადგა ნაბიჯი, გულისჯიბიდან ცხვირსახო-  
ცი ამოუღო და ხელში ჩაუდო და უკან დაიხია. „სწორია“,  
თქვა მან. „იტირეთ. მისთვის არა: ჩვენთვის, მოხუცები-  
სათვის. ვინც არ ვიცით, რატომ. რა ჰქვია შენს ზანგს?“

მაგრამ დე სპეინს არ უპასუხია. ცხვირსახოციც არ  
მიუტანია სახესთან. ძველებურად გახევებულიყო და  
ხელში ეჭირა, თითქოს ჯერაც ვერ მიმხვდარა, რომ  
ხელში უჭირავსო, ან იქნებ იმას, რომ დედამ ჩაუდო  
ხელში. „ჩვენთვის, მოხუცებისათვის“, თქვა. „შენ გჯე-  
რა. სამი თვე გქონდა, რომ გაგეგო, თუ რატომ; ჩემი გუ-  
შინ მოხდა. მითხარი“.

„არ ვიცი“, თქვა დედამ. „იქნებ ქალებმა არც უნდა  
იცოდნენ, თუ რატომ უნდა დაეღუპოთ ვაჟები ბრძოლა-  
ში; იქნებ მათ მხოლოდ გლოვა ევალებათ. მაგრამ ჩემმა  
ვაჟმა იცოდა, რატომაც. და ჩემი ძმა რომ წავიდა ომში,  
პატარა გოგო როცა ვიყავი, და დედაჩემმაც არ იცო-  
და, რატომ, მან კი იცოდა. და პაპაჩემიც იბრძოდა იმ  
ძველ ომში და, ვგონებ, არც დედამისმა იცოდა, რატომ,  
მაგრამ, ვგონებ, თვითონ იცოდა. და ჩემმა ვაჟმაც იცო-  
და, რატომაც წავიდა ამ ომში, და ვიცი, რომ იცოდა,  
თუმც მე არ ვიცოდი, როგორც ის იცოდა ამ ბავშვმაც და  
მეც, ორივემ ვიცოდით, რომ უკან არ დაბრუნდებოდა.  
მაგრამ მან იცოდა, რატომაც, თუმც მე არ ვიცოდი, ვერ  
გავიგებდი და ვერც გავიგებ. ასე რომ, არა უშავს, თუნ-  
დაც ვერ მივხვდე. რადგან არაფერია მასში ისეთი, რაც  
მე და მამამისს არ მიგვიცეს. რა ჰქვია შენს ზანგს?“

მერე დე სპეინმა გასძახა. და ზანგიც იქვე ყოფილა,  
თუმც როცა შემოვიდა, დე სპეინი უკვე ზურგით იდგა  
კარისაკენ. თავიც არ შეუბრუნებია. მხოლოდ იმ ხელით  
მიუთითა მაგიდაზე, დედამ ცხვირსახოცი რომ ჩაუდო,  
და ზანგი ისე მივიდა მაგიდასთან, არავისთვის შეუხე-  
დავს, და კატასავით უჩუმრად გაიარა იატაკზე და არ  
შეჩერებულა; მომეჩვენა, თითქოს მანამდე მიბრუნდა  
და უკან წავიდა, სანამ მაგიდას მიუახლოვდებოდა: ერ-  
თხელ გაიელვა შავმა ხელმა და თეთრმა სახელომ და  
პისტოლეტი გაუჩინარდა არც კი დამინახავს, თუ შეეხო,  
და როცა კვლავ გვერდით ჩამიარა, ვერ დავინახე, სად  
გააქრო. ასე რომ, დედას ორჯერ გამეორება მოუხდა,  
ვიდრე მივხვდებოდი, რომ მე მეუბნებოდა.

„წავიდეთ“, თქვა მან.

„მოიცაო“, თქვა მაიორმა დე სპეინმა. იგი კვლავ შე-  
მობრუნდა და შემოგვხედა. „რა მიეცით შენ და მამამის-  
მა. გეცოდინება, რა იყო“.

„ვიცი, ეს ის რაღაცაა, რამაც გრძელი გზა გამოი-  
რა“, თქვა დედამ. „ასე რომ, ძლიერი უნდა ყოფილიყო,  
რათა ჩვენს მერეც დარჩენილიყო. ისეთი რამ უნდა ყო-  
ფილიყო, რისთვისაც სიკვდილი ეღირებოდა ამდენი  
ხნისა და გზის შემდეგ. წავიდეთ“, კვლავ თქვა მან.

„მოიცაო“, თქვა დე სპეინმა. „მოიცაო. საიდან მოხ-  
ვედით?“

დედა შეჩერდა. „ხომ გითხარით. ფრანგისხევიდან“.

„ვიცი. როგორ? საზიდრით? თქვენ ხომ მანქანა არა  
გყავთ?“

„ოჰ“. თქვა დედამ. „მისტერ ქუიკის ავტობუსით მო-  
ვედით. ყოველ შაბათს ამოდის“.

„და ლამემდე იცდის, ვიდრე უკან გაბრუნდებოდეს:  
ჩემი მანქანით გაგამზავრებთ“. კვლავ გასძახა ზანგს.  
მაგრამ დედამ გააჩერა. „გმადლობო“, უთხრა. „ჩვენ უკ-  
ვე გადავუხადეთ მისტერ ქუიკს. მას ჩვენი შინ წაყვანა  
მართებს“.

ერთი მოხუცი ქალი იყო, ჯეფერსონში დაბადებულ-  
გაზრდილი, მდიდარი გარდაიცვალა სადღაც ჩრდილო-  
ეთში და ცოტაოდენი ფული ქალაქსაც არგუნა მუზეუ-  
მის ასაშენებლად. ტაძარივით სახლი იყო, მხოლოდ იმი-  
სათვის აშენდა, ის სურათები გამოეფინათ, მან რომ შე-  
აგროვა – სურათები მთელი შეერთებული შტატებიდან,  
დახატული იმ ხალხის მიერ, ვისაც უყვარდა, რასაც შეჰ-  
ყურებდნენ და სადაც დაბადებულიყვნენ და იმდენხანს  
ეცხოვრათ, რომ სურათების დახატვა მოსურვებოდათ,  
რათა სხვებსაც ენახათ; სურათები კაცებისა, ქალებისა,  
ბავშვებისა, სახლებისა, ქუჩებისა, ქალაქებისა, ტყეები-  
სა, მინდვრებისა და მდინარეებისა, სადაც უმუშავიათ  
ან უცხოვრიათ და გაუხარიათ, რათა ყველას, ვისაც მო-  
უნდებოდა, ჩვენსავით ფრანგისხევიდან ან უფრო პატა-  
რა საცხოვრისებიდან, ვიდრე ფრანგისხევი, ჩვენს ოლ-  
ქში თუ შტატის გარედან, მოსულიყვნენ და უფასოდ შე-  
მოსულიყვნენ ამ სიგრილესა და სინყნარეში და ეთვა-  
ლიერებინათ სურათები კაცებისა, ქალებისა, ბავშვები-  
სა, ჩვენივე მსგავსთა, თუნდ სახლები და საბძლები გან-  
სხვავებული ჰქონოდათ და ყანები სხვაგვარად დამუშა-  
ვებული და სხვა რამ მოყვანილი. ასე რომ, უკვე გვიან  
იყო, როცა მუზეუმი დავტოვეთ, და უფრო დაგვიანდა,  
ქი რომ მივედით, ავტობუსი სადაც იცდოდა, და კიდევ  
უფრო, ვიდრე დავიძრებოდით, თუმც ბოლოს და ბოლოს  
ავტობუსშიც ავედით და ფეხსაცმელები და წინდებიც  
გავიხადეთ. მისის ქუიკი ჯერ არ მოსულიყო და სოლონს  
მისი დალოდება უხდებოდა, იმიტომ კი არა, მისი ცოლი  
რომ იყო, არამედ იმიტომ, ოცდახუთი ცენტი რომ გამო-  
ართვა კვერცხის ფულიდან, რათა ქალაქში ჩამოეყვანა  
და უკან წაეყვანა შაბათ დღეს და ვერ წავიდოდა და ვერ  
დატოვებდა მას, ფული ვინც გადაუხადა. ასე რომ,  
თუმც ავტობუსი სწრაფად მიჰქროდა, როცა გზა რო-  
გორც იქნა გასწორდა და ველზე გაიშალა, ცაზე მზის  
ჩასვლა განოლილიყო და მთელს ამერიკას მისდევდა  
წყნარი ოკეანიდან მოყოლებული და ყველა იმ ადგილს  
გადაუვლიდა, რბილი, მკრთალი ბორბალივით, რომლე-  
ბიც იმ კაცებსა და ქალებს, მუზეუმში, ისე უყვარდათ,  
რომ სურათები დაეხატათ.

მახსოვს, როცა მამას სურდა მე და პიტი რაღაცაში  
დავერწმუნებინეთ, პაპაზე მიგვითითებდა ხოლმე. მნიშ-  
ვნელობა არა აქვს, რამე უნდა დავეალებინა ჩვენთვის  
თუ არა, რაიმეს ჩადენისაგან უნდა შევეჩერებინეთ, თუ  
დროზე შეიტყობდა, რას ვაპირებდით. „აი, პაპათქვენს  
შეხედეთ“, გვეტყოდა. მახსოვს პაპაჩემი: მამაჩემის პა-  
პა, მოხუცი, ისეთი მოხუცი, ვერც დაიჯერებდით, ისეთი

მოხუცი, თითქოს დაბადებისა და გამოსვლის პატრიარქებთან ერთად ეცხოვროს, პირისპირ რომ ესაუბრებოდნენ ღმერთს, და მხოლოდ პაპა დარჩენილიყო ცოცხალი. ისეთი მოხუცი, მეჩვენებოდა, ძველი კონფედერატების ომისთვისაც კი აღარ გამოდგებოდა, თუმცა ეს გახლდათ ერთადერთი, რაზედაც ლაპარაკობდა, არამარტო მაშინ, როცა მღვიძარი გვეგონა, არამედ მაშინაც, როცა ვიცოდით, რომ ეძინა, ვიდრე დრო გავიდოდა და მივხვდებოდით, რომ ვერ გავიგებდით, ეძინა თუ ეღვიძა. ამოჩემებულ სკამზე იჯდა ეზოში, თუთის ძირას, წინკარის მზიან მხარეს ან კუთხეში ბუხართან; სკამიდან ადგებოდა და მაინც ვერ ვიგებდით, სად იყო, არასოდეს ეძინა თუ არასოდეს ეღვიძა, მაშინაც კი, როცა ყვირით ნაშობებოდა, „ფხიზლად! ფხიზლად! აგერ, მოდიან!“ არასოდეს ერთსა და იმავე სახელს არ იძახდა, არც ერთი და იმავე ადგილისა თუ ჯარისკაცისა: ფორესტისა თუ მორგანის, თუ ებ ლინკოლნის, თუ ვან დორენის, თუ გრანტისა თუ თვით პოლკოვნიკ სარტორისის, ვისი შთამომავლობაც ჯერაც ცხოვრობდა ჩვენს ოლქში, თუ მისის როზა მილარდისა, პოლკოვნიკ სარტორისის სიდედრის, ვინც იანკებიც მოიგერია და ავანტურისტი ჩრდილოელებიც ომის დამთავრებიდან ოთხი წლის მანძილზე, ვიდრე პოლკოვნიკი სარტორისი შინ დაბრუნებას მოახერხებდა. პიტს პაპის საქციელი სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა, მე და მამას გვცხვენდა. არ ვიცოდით, რას ფიქრობდა დედა იმ ნაშუადღევამდე, კინოფილმი რომ აჩვენეს.

გრძელი სურათი იყო, ვესტერნი; მგონი, ყოველ შაბათ საღამოს უჩვენებდნენ წლობით. მამა, პიტი და მე ყოველ შაბათს დავდიოდით ფილმის სანახავად და ხანდახან დედაც დაგვეყვებოდა, ვისხედით იქ, სიბნელეში, პისტოლეტები ჩხაკუნობდნენ და ტკაცუნობდნენ, ცხენი მიჰქროდა და თითქოს ის-ისაა უნდა შეეპყროთ, მაგრამ იცოდით, რომ ვერ მიწვდებოდნენ, და რომ კიდევ გაგაძელებოდა მომავალ შაბათსაც და კიდევ და კიდევ და შუალედში, მთელი კვირა, მე და პიტი ვსაუბრობდით არამზადას თვლებით მოოჭილ პისტოლეტზე და პიტს ის რო ეოცნებებოდა და მე კი გმირის წინწკლებიანი ცხენი. მერე ერთ შაბათს დედამ გადაწყვიტა პაპაც წამოეყვანა. იგი ჩემსა და დედას შორის იჯდა და ეძინა, ისეთი მოხუცი იყო, არც ხვრინავდა, ვიდრე ის დრო დადგებოდა, რაზეც საათს გაასწორებდი ყოველ შაბათს, ნაშუადღევს: როცა ცხენები კლდეზე დაეშვებიან, დატრიალდებიან და ხრამიდან ამოიფრქვევიან და თითქოს ერთი ნახტომიც და ეკრანს გამოარღვევენ და გადაურბენენ ბატიბუტივით პატარა სახეებს, ბლომად რომ ეყარა მათ გზაზე. ამ დროს გაიღვიძა პაპამ. ხუთ წამს მშვიდად იჯდა. ვგრძნობდი კიდევ, როგორ მშვიდად და მყარად იჯდა. მერე წამოიძახა, „კავალერია!“ მერე ფეხზე წამოხტა: „ფორესტი!“ შესძახა, „ბედფორდ ფორესტი! გამოდი მანდედან! გზიდან მოეცალე!“ ბოლო-ბოლო როგორც იქნა გამოვალწიეთ, ფილმის ნახევარი უკან დაგვჩრჩა, პაპა თვალებს ახამხამებდა და კანკალებდა დღის შუქზე და პიტი ხელებით კედელს მიყრდნობოდა, თითქოს შეუძლოდააო, და იცინოდა, მამა კი მკლავში ჩაფრენოდა პაპას, ანჯღრევდა და ეუბნებოდა, „ბებერო სულელი! ბებერო სულელი!“ ვიდრე დედა გააჩერებდა.

და ხეივნის გავლით წავიყვანეთ, საზიდარი სადაც გაგვეჩერებინა, ჩავსვით, დედაც ავიდა საზიდარზე, გვერდით მიუჯდა, ხელი გამოართვა და ასე ეჭირა, ვიდრე ცახცახს შეწყვეტდა. „ნადი და ერთი ბოთლი ლუდი მოიტანე“, თქვა მან.

„რა ლუდის ღირსია“, თქვა მამამ. „ბებერი სულელი, მთელი ქალაქი აცინა...“

„ნადი, ლუდი მოიტანე“. თქვა დედამ. „აქ იჯდება თავის საზიდარში და დალევს. ნადი!“ და მამა წავიდა და მერე დედას ბოთლი ეჭირა, ვიდრე პაპა გამოართმევდა, და დედა ხელს აშველებდა, ვიდრე ერთ ლაზათიან ყლუპს გადაყლაპავდა. მერე კანკალი შეწყვიტა და აღმოხდა, „აჰ-ჰ-ჰ“, ერთი ყლუპი კიდევ მოსვა და კვლავ აღმოხდა „აჰ-ჰ-ჰ“, და დედას ხელიც კი გააშვებინა, ოდნავლა უკანკალებდა, ჩქარ-ჩქარა მონრუპა ბოთლიდან და თქვა „ჰაჰ“, მერე კიდევ და „ჰაჰ“ კვლავ და არც ბოთლს უყურებდა და არც გარშემო იხედებოდა და თვალები დაკვესა, ვიდრე მოჭუტავდა. „თვითონ სულელე-ბო!“ გვიყვიროდა დედა მამას, პიტსა და მე. „არავისაც არ გაუბოდა! მათ თვალწინ დარბოდა და დოყლაპიებს ჩასძახოდა, ფხიზლად იყავითო, რადგან მათი მჯობი ვაჟკაცები მოდიოდნენ სამოცდათხუთმეტი წლის მერეც კი, კვლავ ძლევაგამოსილნი, კვლავ სამიშარნი, კვლავ მოდიან!“

და მეც ვიცნობდი მათ. მეც კი მენახა ისინი, მეც კი, ვინც ფრანგისხევეს არ გავცილებივარ იმ მანძილზე უფრო შორს, რომ საღამოს დავბრუნებულყავი და დამეძინა. ეს იმ ბორბალივით იყო, მზის ჩასვლასავით იმ პანია წერტილში, რუკაზეც რომ არ აღნიშნულა, დედამინაზე ორასიოდე კაცმაც რომ არ იცის, ფრანგისხევი რომ ჰქვია თუ რაც გინდა იყოს, და ყველგან ჩერდებოდნენ და ყველას ეხებოდნენ და არსად შეხვედრით არაფერი ისეთი დიდი, რომ ვერ შეხებოდნენ, და არც ისეთი პატარა, რომ ვერ დაემახსოვრებინათ: ეხებოდნენ ადგილებს, სადაც კაცები დ ქალები ცხოვრობდნენ და უყვარდათ და ეგებ ხატავდნენ სურათებს და ეგებ არც ხატავდნენ, ყველაზე პატარა ადგილებს, სადაც კი ცხოვრება შეიძლება და სიყვარული და სახელებიც ერქვათ და მათ ნალვანსაც ერქვა სახელი, ვინც გაუძლო, გადარჩა იბრძოლეს, წააგეს და კვლავ აღსდგნენ საბრძოლველად, რადგან არც გამათრახებისა უწყოდნენ რაიმე და იმორჩილებდნენ ველურ ბუნებას და გადალახავდნენ მთებსა და უდაბნოებს და იხოცებოდნენ და კვლავ მიდიოდნენ და იბრდებოდა შეერთებული შტატების სხეულის ჩრდილი და წინ ეფინებოდა. მეც ვიცნობდი მათ: კაცებსა და ქალებს ჯერ კიდევ ძლიერთ სამოცდათხუთმეტი წლის მერე და ორჯერ და კიდევ ორჯერ მეტი ხნის მერე, ჯერაც ძლიერნი არიან და ჯერაც საშიშნი და ჯერაც მოდიან ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, ვიდრე სახელი იმისა, რაც შეჰქმნეს და რისთვისაც თავი გასწირეს, ერთ სიტყვად იქცეოდა, ქუხილზე ხმამალალ სიტყვად, ეს არის ამერიკა, და ის ფარავს მთელს დასავლურ სამყაროს.

ინგლისურიდან თარგმნეს  
პაპატა და როსტომ ჩხეიძე

**მთარგმნელისაგან**

ჩანვდი ამერიკის სულს – ამ სარეკლამო ლოზუნგით გადაივსებოდა ჩვენი ტელე-სივრცე და ბილბორდებზეც ნამდაუნუმ ამ მონოდებას მოჰკრავდი თვალს. ის, რაც რეკლამაზე გამოხატულიყო, მაინცდამაინც ვერ მიგიძლოდა სულიერებისაკენ საერთოდ და ამერიკის სულისაკენ კერძოდ. მიგიძლოდა კი არა, სულ უფრო გამოვრებდა ნამდვილ ამერიკას და მის ნაცვლად ზედაპირს გთავაზობდა, მოჩვენებითობას, გამომშრალ სურო-გატს და ალბათ სჯობდა ლოზუნგი ასე გადასხვაფერებუ-ლიყო: ჩანვდი მასკულტურის სულს!..

ნამდვილი ამერიკის სულში ჩასანვდომად გაცილებით სანდო მეგზურები გვეგულეობდა, ადამიანის სულის უფ-სკრულეებში თავისუფლად რომ დამოგზაურობდნენ და უპირველესად მაინც თავიანთი სამშობლოს სამშერიდან გაიასზებდნენ და აფასებდნენ ყოველივეს.

გნებავთ მართლა ჩანვდით ამერიკის სულს?

იკითხეთ თუნდ უილიამ ფოლკნერის რომანები თუ მოთ-ხრობები, და განსაკუთრებით მაინც იმ მხატვრულ ქმნილე-ბებს ჩაუღრმავდით, რომლებიც უშუალოდ შეგახებინებენ ხელს ქვეყნის მფეთქავ ძარღვს – ამერიკელის ფიქრს, ოც-ნებას, მისწრაფებას, ოლონდ ამ ყოველივეს წრფელსა და შუფურადებულს, გარიდებულს გარეგნული ეფექტისა თუ ხიბლისაგან.

ამ სინამდვილის შეგრძნება გაპოვინებთ ძალასა და იმედს საკუთარ თავშიც, რათა იოლად არ გაუტყდეთ თავ-სდატეხილ უბედურებას – მიიღო ის ისე, როგორც გარდუ-ვალობა, მაგრამ როგორც გადასალახი და უკან მოსატოვე-ბელი გარდუვალობა.

თითქოს საიდან ამხელა იმედოვნება, როდესაც ფოლ-კნერის ამ ნოველას გადაიკითხავ – „არასოდეს დაიღუპე-ბა?“

ერთმანეთს ენაცვლება სასონარკვეთილი, დამთრგუნ-ველი სურათები, რომელთა ფონზეც უნდა გაიელვოს ბერი-კაცის ცოტა არ იყოს კომიკურმა ფიგურამ.

თითქოს ესაა და ეს.

მაგრამ ჭეშმარიტ მკითხველს არასოდეს ატყუებს მოვ-ლენათა ზედაპირი და მის სიღრმეში ძალდაუტანებლად აღ-მოაჩენს იმედოვნების დაუშრეტელ წყაროს და თვალდათ-ვალ მიადევნებს მზერას დედის სახებას – ამაღლებულს, განზოგადებულს, ქვეყნის სიმბოლოდ გადაქცეულს, და აღარც ნოველის ფინალი მოეჩვენება ზედმეტად პათეტიკუ-რი თუ სულაც პუბლიცისტური ყაიდისა.

პოლიტიკური ელფერი კი დაჰკრავს, მაგრამ განზოგა-დება და სიღრმე მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ ნოველის სივ-რცე ვერ მოემწყვდევა მარტოდენ ამერიკულ გარემოში და ყველა იმ ადამიანის გულისთქმას ეხმიანება, რომელთაც თავთავისი ქვეყნის მფეთქავ ძარღვზე უკიდიათ ხელი და მკურნალებივით გადამკვდარან მისი სიმრთელისა და სისა-ლის შესანარჩუნებლად.

ომის გუგუნის ისმის ამ ნოველაშიც, ისევე, როგორც ფოლკნერის მთელს იოკნაპატოფას საგაში – უმთავრესად მაინც სამოქალაქო ომის გუგუნე. მისი ნაშთები თუ ნარჩე-ნები მსჭვალავს ყოველივეს და ძნელდება ეროვნული ფსი-ქოლოგიის გამორიდება ამ ნარჩენებისაგან. დაე წურც აე-რიდება, პირიქით, ბოლომდე შეინოვოს, გადახარშოს და ერთხელ და სამუდამოდ დააღწიოს თავი პოლარულ დაპი-რისპირებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო სწო-

რად, დაპირისპირებანი თუ წინააღმდეგობანი ცივილი-ზებულ ემბაზში ამოველოს და საშიშიც აღარ იყოს მოქა-ლაქეებისათვის.

ომის გუგუნმა დაანერინა ფოლკნერს პირველივე რომა-ნი – „ჯარისკაცის საზღაური“, და თუმც ნაკითხვით არ წაე-კითხა, შერვუდ ანდერსონი წინასწარვე ძალიან შემოთოდე-ბოდა: რა კარგი ბიჭია ეს ბილი და ამასაც რა წერა აუტყდაო. მეუღლესთანაც დაიჩივლებდა: ნეტა ამ ხელობასაც არ წა-პოტინებოდა, ახლა ან გული უნდა აუცრუვდეს ყველაფერ-ზე, ან გრაფომანად ჩამოყალიბდეს და ცოდვასაო. – ურჩიე, შენ დაგიჯერებსო, – თავის მოსაზრებას გაუზიარებდა მი-სის ანდერსონი, ეს კი, უკვე სახელგანთქმული: აბა, რანაი-რად, უფროს მეგობრად ვეგულეები და, ეს რომ ვუთხრა, ეჭ-ვით უნდა შემომხედოს და სულაც დამკარგოს, დაჯერებით კი არ დამიჯერებსო.

იფიქრებდა, ითავშიცემებდა და ბოლოს ისევ მინიშნე-ბით თქმას გადანყვეტდა, ცოლსაც ამიტომ დააბარებდა ბი-ლისათვის გადასაცემად: ოლონდ ნუ წამაკითხებ შენს რო-მანს და გამოსაცემად მე თვითონ ვიზრუნებო.

და გულში გაივლებდა:

ნაკითხვაზე უარს რომ ვამბობ, ამით მიხვდება, რომ არ-ჩევანს არ ვუნონებ, და თუ ხელს მაინც ვუნვდი, ჩვენი მე-გობრობის გამოო.

უფრო გამჭვირვალედ რალა მიენიშნებინა.

უილიამ ფოლკნერი კი ისე მოცულიყო ამ მისთვისე მო-ულოდნელ გზაზე შედგომით, მინიშნებისას ვერაფერს გაი-გებდა და მადლობებით აავსებდა „უაინსბურგი, ოჰაიოს“ ავტორს მეგობრული თანაგრძნობისათვის.

ანდერსონი კი წუხდა: თუ საბოლოოდ ასცდება გზას, ხომ ჩემი ბრალი იქნებაო.

ომის გუგუნე არ ასვენებდა ფოლკნერს და იმ პაპის ტყავშიც ბუნებრივად გამოეხვეოდა, ვინც რეალობასა და კინოფილმს ერთმანეთისაგან ველარც განასხვავებდა და დარბაზში ისეთ ალიაქოთს ასტენდა და ისეთ კომიკურ ვი-თარებაში ჩაიგდებდა თავს, ყმანვილები სიცილით დაიხო-ცებოდნენ.

ის ყმანვილებიც თვითონაა და ის პაპაც – კიდევ გული-ანად გაიცინებს და სიცილის მიღმა იმ დრამატიზმსაც თვალნათლივ დაინახავს, რომლის ყველა კუნჭული და და-ნაშრევი ასეთი მხატვრული ხელოვნებით გამოეკვლია და მზის სინათლეზე ამოეზიდა.

არასოდეს დაიღუპება ამერიკა და მისი გავლენა სულ უფრო მრავლისმომცველი გახდება – ასეც შეიძლება ამოი-კითხო ნოველის მთავარი იდეა, თუ ცოტა გულუბრყვილო მკითხველი ხარ და საკუთარ ალლოზე მეტად სნობების შე-ხედულებებს ენდობი, მაგრამ უილიამ ფოლკნერი იმითაც განსხვავდებოდა პარტიული მწერლებისაგან, რომ არც სწორხაზობრივად აზროვნებდა და არც პოლიტიკური მო-ნოდებების მხატვრულ ილუსტრაციებს ქმნიდა. იგი ფოლ-კნერი იყო და უპირველესად ის სჯეროდა, რომ არავის სამ-შობლო არ უნდა დაღუპულიყო, და ადამიანს არამარტო უნ-და გაეძლო, კიდევ უნდა გადარჩენილიყო და სასონარკვე-თის წუთებშიც საქვეყნო ძარღვის ფეთქვას გამოეკვია.

ომის გუგუნეც, უკიდურესობამდე გავეშვებული ვნება-ნიც ამ ფეთქვას უნდა დაენაცრებინა.

... მე მივანიშნე და ახლა თვითონ იცის თავისი საქმეო, – თავს იმართლებდა შერვუდ ანდერსონი.

\* \* \*

მწერალთა სასახლის ტრიბუნაზე იზა ორჯონიკიძე გადმომდგარა ჩვეული მღელვარებით. ესაო, ისაო, და უეცრად მღელვარება სულაც გიზგიზში გადადის:

– რა არის ქალების ეს მოზღვავება ლიტერატურაში!..

ქალი შინ უნდა იჯდეს და აკვანს არწევდეს, ქალი ოჯახს უნდა უვლიდეს და სხვა საფიქრალი არ გააჩნდეს, აღარ გავიგონო, ქალებმა კიდევ რამე გამოაქვეყნონ. მარტო ორსა გვაქვს უფლება – მე და ნაირა გელაშვილს, დანარჩენები ახლავე შინ წადით.

დარბაზი გამტკნარებულა.

ქალები მაინც განსაკუთრებით დამფრთხალან და დაბნეულან. ანკი რა გასაკვირია!..

მხოლოდ ლეილა მესხი წამოიკნავლებს:



– რა მოხდება, იზა, ჩვენც რომ ვწეროთ?..

– რაო?? რა მოხდებაო?? ვერ გაიგეთ, რა გითხარით?? ლექსები უნდა ვწერო მე, პროზა ნაირა გელაშვილმა. დანარჩენები, აბა, ახლავე!!! შვილებს მიხედეთ, შვილებს!!!

შეუვალა ორატორი. და რაკი დარწმუნებულია, რომ მისი ბრძანება უსიტყვოდ და დაუყოვნებლივ აღსრულდება, დარბაზს ყურადღებას აღარ აქცევს და თავისას განაგრძობს.

... კაცებზე გამოტანილი დადგენილებისა კი არაფერი ვიცი. ან ჯერ ნაადრევად ეჩვენება მათი დახარისხება და იმ ორი-სამის გამორჩევა, ანდა მე არ შევსწრებოვარ მის განაჩენს.

ისე საკუთარი თავისა კი უნდა გვეროდეს ადამიანს!..

\* \* \*

ისევ იზა.

ისევ მწერალთა სასახლის დარბაზში.

– დღეს მსოფლიოში ორი პოეზია იყოფს პირველ-მეორე ადგილებს, – სპორტულ განსაზღვრებასა და ტერმინოლოგიას იშველიებს მეტი დამაჯერებლობისათვის... ან იქნებ იმიტომ, რომ სასწორის პინა სრულ თანასწორობას აუნყებს?!

დარბაზს სული შეეგუბება და შთამაგონებელი პაუზა კიდე დიდხანს რომ გაჭიანურდეს, ერთი-ორი სუსტი გულის პატრონი ხელით გასაყვანიც გაგვიხდება.

მაგრამ ორატორი ლმობიერებას იჩენს:

– დიახ, ორი პოეზია: ქართული და ახალბერძნული.

ქართულად თვითონ წერს, ახალბერძნულიდანაც – როგორც წარწერა გვამცნობს ხოლმე – თვითონ თარგმნის. და სასწორის პინის განონასწორება იმ რეალობას გვითვალსაჩინოებს, რომ ჩვენს გმირს ვერა და ვერ გადაუნყვეტია რომელი რომელს სჯობს: პოეტი იზა ორჯონიკიძე მთარგმნელ იზა ორჯონიკიძეს თუ მთარგმნელი იზა ორჯონიკიძე პოეტ იზა ორჯონიკიძეს. ასეთ დროს კი

მარჯვე მიგნება და საუკეთესო გამოსავალი, ცხადია, პირველ-მეორე ადგილების გაყოფაა.

მე თვითონ თანამედროვე ინგლისელ და ამერიკელ პოეტთაგან იმხანად თითო-ოროლა კრებული ძლივძლივობით ჩავიგდე ხელში და მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს ამ ქვეყნების პოეზიაზე, და მიხარია, რომ ორატორს მსოფლიო პოეზია გადაუბრუნებია და მისხით-მისხამდე გაუაზრებია.

ნეტა მესამე საპრიზო ადგილი რომელ ქვეყანას არგუნა? რომელია ის ბედნიერი?

იქნებ არცერთსაც, და პირველ-მეორე ადგილებიდან მხოლოდ ვეება ნაპრალს ხედავდეს სადღაც მეშვიდე თუ მერვე ადგილამდე.

სხვათა შორის, შოთა ნიშნიანიძე ქართულ პოეზიას ერთპიროვნულად, სხვასთან გაუყოფლად მიუჩნდა პირველ ადგილს მსოფლიოში, მეტაფორული აზროვნებითა და ბგერწერით ბადალი არა გვყავსო. ახალბერძნულს მის ახლო-მახლო ვერსად ამჩნევდა. ძალიან თუ ჩაეძიებოდი, მეორე ადგილზე ალბათ დაღესტნურ პოეზიას გაიყვანდა – რასულ გამზათოვის ლექსები ჰქონდა ნათარგმნი!..

\* \* \*

აბიტურიენტი „შპარგალკაში“ იხედება.

იქ აღნიშნულია, რომ: შუშანიკმა სატუსალოში თან წაიღო ევანგელე და მონამეთა ნიგნები.

ეს ფრაზა მის „თხზულებაში“ ამ სახით გადავა:

„შუშანიკმა სატუსალოში თან წაიღო ენგელის ნიგნი“.

წარმომიდგენია, ეს კუროზი რარიგ გაახარებთ ახალი საგანმანათლებლო კონცეფციის შემქმნელებს, ჰაგიოგრაფიული ძეგლების ამოღებას რომ მოითხოვენ სასკოლო პროგრამიდან იმის მომიზეზებით: ბავშვებს უძნელდებათ ამ „მკვდარი ლიტერატურის“ შესწავლა.

საგანმანათლებლო კონცეფცია უკეთესი აღარც შეიძლება!..

თუმც კუროზებს თუ გავიხდით გზის მაჩვენებლად, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ამოკვეთაც მოგვინევს ქრესტომათიიდან. აკი ერთი აბიტურიენტის „ნამ-რომში“ ასეთი ფრაზა აღმოჩნდა:

„ილია და აკაკი თეთრგვარდიელები იყვნენ“.



მეგობრული შარუები ბადრი გაგნიძისა

რა გასაკვირია, ყურისათვის უცხო „თერგდალეული“ შეჩვეულ „თეთრგვარდიელს“ რომ შეეცვალა.

სხვათა შორის, ეს კუროზი დავით ჯავახიშვილის მოთხრობის – „ხვალ“ – ერთ პასაჟს კარგად მოერგება.

მათი ამოკვეთაც მოგვინევსო...

თუმც მეც ვამბობ რა!

ანკი ილიასა და აკაკის ადგილია მონიშნული იმ ახალ კონცეფციაში?

ან ორივეს ამოაგდებენ, ანდა ისეთი შეცვლილ-გადასხვაფერებული სახით შეიტანენ მათ შემოქმედებას, სინამდვილესთან საერთოს ნაკლებად რომ შეინარჩუნებს და ასეთი ილია და აკაკი რა-ლა ილია და აკაკი იქნება...

თანაც ეს ყოველივე მოსწავლეებს გადაბრალდებათ: ასე უფრო გაუადვილებათ მათი შესწავლა.

არადა, ორიენტირი ის ყმანელი იქნება, ევანგელესა და ენგელსს ერთმანეთისაგან რომ ვერ არჩევს, თერგდალეულს კი თეთრგვარდიელისაგან.

... ისე ამ ყაიდის საგანმანათლებლო კონცეფციები რომელ კუროზს ჩამოუვარდება!

\* \* \*

ჰოი, რა მღელვარება ატყდებოდა, როდესაც გრიგოლ რობაქიძის სახელს ტაბუ აეხსნებოდა.

ყველაფერზე ხელი ჯერ არ მიგვიწვდებოდა, მაგრამ რაზეც მიგვიწვდებოდა, ის მცირე ნაწილიც მისი შემოქმედებისა სტატიების, ნარკვევების, სადისერტაციო ნაშრომების, ნიგნების თემებზე ჩამორიგდებოდა. წამდაუნუმ ახსენებდნენ, წამდაუნუმ იმონებდნენ, იმის მიუხედავად, მაინცდამაინც აუცილებელი იყო თუ არა... ლიტერატურულ საზომადაც ის ქცეულიყო.

ნუ გაიკვირვებდით, ვთქვათ, ასეთი ფრაზა რომ გაგეგონათ: „ენგადში“ ისეთი ექსპრესიული ძალითაა წაწლობის რიტუალი წარმოსახული, მასთან შედარებით მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ ბავშვური ნაწარმოებიაო.

ან – მოდერნიზმი „გველის პერანგია“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ლიმილი“ მასთან შედარებით აშკარად ფერმკრთალდებაო.

გრიგოლ რობაქიძე მოდური მწერალი ერთხელ უკვე ყოფილიყო – სიცოცხლეშივე, ვიდრე ისიც მოდის გილიოტინაზე აღმოჩნდებოდა.

ახლა კვლავ მოდურ მწერლად ქცეულიყო – სიკვდილის შემდგომ, ვიდრე ისევ მოდის გილიოტინაზე გააგზავნიდნენ.

ჯერ მისი გამოთქმები ლამის ერთადერთ ტერმინებად დამკვიდრებულიყო.

მათ შორის: თაურფენომენი – არქექიპის, პირველხატის, პირველფენომენის აღმნიშვნელად.

საბაბს ეძებდნენ, ოღონდაც პირველხატზე ჩამოეგდოთ სიტყვა და თაურფენომენი გამოეყენებინათ, ის კი არა, ლამის რიგითი მოვლენის მოხსენიების დროსაც უეცრად საიდანაც ეს თაურფენომენი ჩნდებოდა.

ყველაზე მარჯვე ტერმინადაც აღიარებულებო.

ეს მოდაც გადაივლიდა.

და ლევან ბრეგაძე მხოლოდ მერე აღნიშნავდა მის სიმარჯვეობასაც და გონებაშეხილობასაც, დიას, სწორედ გონებაშეხილობას იმ უბრალო მიზეზით, რომ გრიგოლ რობაქიძის გამოთქმა – თაურფენომენი – მთლიანად მოიცავს გერმანულ „დედანს“: ურფენომენ.

ამის შემჩნევას რა უნდოდაო, იქნებ თავიც გამოიღონ. ახლა ადვილია, ცხადია, ქართულ ტერმინში გერმანული სათავის გამოჩენვა. აბა, მანამდე მიხვედრილიყო ვინმე. მის ამოცნობასაც გონების სიმახვილე სჭირდება, იუმორის, სიტყვითთამამის ის შეგრძნება, რაც ლევან ბრეგაძეს უცხოური ეპიგრამების საუკეთესო ქართული ორეულების შექმნამდე მიიყვანდა.



10 აპრილი, 1975  
კინოსტუდია  
„ქართული ფილმის“  
დირექტორს  
ამხ. რ.დ. ჩხეიძეს

### ორი დოკუმენტი კინომცოდნის კომენტარით

და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამ რედაქციაში ყოველ დილას ბრიგადირის ერთ დაძახილზე კოლმეურნეები გამოდიან სამუშაოდ (სატიკროთო მანქანას მიჰყავს

ისინი მინდვრად). ჭაბუკები და ქალიშვილები სწავლისგან თავისუფალ დროს შრომაში ატარებენ. საკოლმეურნეო წარმოება აღჭურვილია ტექნიკით, რომელსაც ქმედებაში ვხედავთ.

2. შემოკლებულია სცენები, სადაც კოლმეურნეები ამუშავებენ საკარმიდამო ნაკვეთებს.

3. შერბილებულია აქცენტები მეზობლურ ქიშპზე: სანახევროდ შემოკლებულია ნაკვეთიდან ნაკვეთზე გადასროლის სცენები; აგრეთვე შემოკლებულია ეპიზოდები მეზობლების ჩხუბისა და დინამიკით თევზაობისა, ქეიფისა და ხანგრძლივი წვიმისა, რომელიც ქმნის გულგატეხილობის შეგრძნებას.

4. ერთგვარი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად შეცვლილია კოლმეურნე ქალიშვილის ედუკისა და ვიოლონჩელისტ ნიკოს ურთიერთობის სცენების გადაწყვეტა. ახალ რედაქციაში ეს ლირიკული ხაზი სუფთად და შთამაგონებლად ჟღერს. გაჭიანურებათა ამოღებამ (სურათიდან სულ ამოღებულია 26ს მეტრი), კონცეფციურ უზუსტობათა მონქესრიგებამ ფილმი გახადა რიტმულად უფრო მწყობრი, გააიოლა მისი აღქმა.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი წარმოადგენს კინოფილმ „პასტორალს“ საკავშირო ეკრანზე გასაშვებად.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი  
**ა. ჭიჭინაძე**

პატივცემულო რევაზ დავიდოვიჩ!  
ვუბრუნდები რა ჩვენს მიერ ფილმის „ზაფხული სოფლად“ (რეჟისორი ო. იოსელიანი) მასალის გასინჯვასა და განხილვას, აუცილებლად ვთვლი მივაქციო თქვენი ყურადღება იმას, რათა ფილმზე სამუშაოდ დარჩენილ დროში განხორციელდეს ჩვენი რეკომენდაციები, რომლებიც ეხება სურათის კონცეფციურ გადაწყვეტას.

არ გამოვეციდები წერილმანებსა და კონკრეტულ შენიშვნებს, რომლებიც საკმაოდ დანერგვით დავთქვით რეჟისორის თანდასწრებით. ვფიქრობ, რომ ფილმზე შემდგომი მუშაობისას ავტორებმა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგს:

1. თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის, მისი შრომის პოზიტიური ატმოსფეროს შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ მაყურებელმა იგრძნოს – ახალგაზრდა გმირი ქალის მშობლები ცხოვრობენ კარჩაკეტილ და ყოველდღიური საზრუნავით დაკავებულ ოჯახურ სამყაროში, რომლის მიღმაც ჩქეფს სხვა ცხოვრება სრულიად სხვაგვარი საზომითა და ფასეულობებით. როდესაც ფილმის ბოლოში ქალიშვილი კოლმეურნეობაში იწყებს მუშაობას, ამაში უნდა ჩანდეს შეგნებული საქციელი ადამიანისა, რომელმაც აირჩია ცხოვრების აქტიური პოზიცია არა მხოლოდ თავისთვის და თავისი პირადი კეთილდღეობისათვის.

2. როგორც აღვნიშნეთ განხილვისას, ჯერჯერობით გაურკვეველია მუხიკოსთა ფუნქცია, მათი პოზიცია. აქაც საჭიროა ვიპოვოთ მართებული გადაწყვეტილება.

გთხოვთ გააკონტროლოთ ზემოხსენებულისა და განხილვისას გამოთქმული სხვა რეკომენდაციების განხორციელება და მოგვცეთ შესაძლებლობა გავეცნოთ ფილმის დასამთავრებლად გადაღებულ მასალას ექსპედიციიდან რეჟისორის დაბრუნების შემდეგ.

მთავარი სასცენარო სარედაქციო კოლეგიის  
თემატური ჯგუფის მთავარი რედაქტორი  
**მ.გ. მარჩუკოვა**

#### დასკვნა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „პასტორალის“ შესახებ

სცენარის ავტორები ო. იოსელიანი,  
რ. ინანიშვილი, ო. მეხრიშვილი  
რეჟისორი ო. იოსელიანი

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორატი, რომელმაც გასინჯა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „პასტორალის“ წარმოებით და მთავრებული საბოლოო რედაქცია, აღნიშნავს, რომ სსრკ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში გასინჯვისა და განხილვის შემდეგ ჩატარებული შემდეგი სამუშაო:

1. მეტი ყურადღებითაა რედაქტირებული ეპიზოდები, რომლებიც ასახავენ კოლმეურნეთა ყოველდღიურ შრომას

რუსი კინომცოდნე ვალერი ფომინი ზემოთ დამონებული ორ დოკუმენტს ამგვარ კომენტარს ურთავს:

„გულახდილად რომ ვთქვათ, როდესაც იცი ოთარ იოსელიანის პრინციპები და გემოვნება, ძალზე ძნელია დაიჯერო ცენტრის ამხანაგთა სახელზე გაგზავნილი საპასუხო პატაკის სერიოზულობა. უფრო საფიქრებელია, რომ ეს არის შეგნებულად „დათმობანას“ თამაში, მოჩვენებითი თვინიერება, მცდელობა დაამშვიდონ მოსკოველი უფროსობის აფორიაქებული სული; დაარწმუნონ, რომ გასხივოსნებული წარმოდგენები თანამედროვე საკოლმეურნეო სინამდვილესა და სოფლის მშრომელთა თუ მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა მალალ ზნეობაზე არავითარ შემთხვევასა და არც ერთ დეტალში არ შეირყევა.“

საერთოდ, ჯეროვანი უნდა მივუზღოთ ქართული კინოს ხელმძღვანელებს – ცენტრალურ უწყებასთან ურთიერთობისას მათ მიაგნეს, შესაძლოა, ყველაზე ოპტიმალურ ფორმას იმდროინდელ ურთიერთობებში: „ნუ მოგერიდებათ დაგემოძღვროთ თქვენი ნეტარი სისულელეებით. ნუ მოგერიდებათ გვიბიძგოთ იმისკენ, რომ ეკრანიდან აშკარად ვატყუოთ ჩვენი ხალხი. ყასიდად ვითამაშებთ შემოთავაზებულ თამაშს, ცხოვრებასა და ხელოვნებაზე ვილაპარაკებთ თქვენი ძირძველი ცნებების ენაზე.“

აი, ასე იკატუნებდნენ თავს ქართველები და თავიანთ საქმეს კი აკეთებდნენო, – დაასკვნის რუსი კინომცოდნე.

კომპენსაცია – ნახევარი მილიონი

1962 წელს კარლოვი და-ნიშნეს „ცერეუს“ წარმომად-გენლად სახელმწიფო დეპარ-ტამენტში, სადაც დაზვერვის საიდუმლო ინფორმაციაზე ხელი აღარ მიუწვდებოდა.

სერჟ კარლოვს, აშშ ცენ-ტრალური სადაზვერვო სამ-მართველოს თანამშრომელს, სრულიად უსაფუძვლოდ დას-დეს ბრალი, თითქოს იგი საბ-ჭოთა აგენტი ბრძანდებოდა.

სინამდვილეში კარლოვი პატიოსნად და წარმატებით ემსახუ-რებოდა სამშობლოს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში, როდესაც ე.წ. „ცერეუს“ ერქვა სტრატეგიულ სამსა-ხურთა სამმართველო.

კარლოვი დაბადებულა შეერთებულ შტატებში, მაგრამ ბავშვობა გაუტარებია გერმანიაში, საიდანაც წარმოშობით იყვნენ მისი მშობლები. სწავლობდა კოლეჯში, მაგრამ არ და-უმთავრებია და 1942 წლის ივლისში ჩაურიცხავთ აშშ სამ-ხედრო-საზღვაო ძალთა რიგებში.

ლეთიტენანტის ჩინით მსახურობდა დაზვერვის კუთვნილ ფლოტილიაში ხმელთაშუა ზღვაზე და ერთხელაც ნაალაფვეი იტალიური კატერი, რომელსაც კარლოვი მართავდა, ნაღმზე აფეთქდა. კარლოვი მძიმედ დაიჭრა, ცალი ფეხი მოკვეთეს და საპატიო „ბრინჯაოს ვარსკვლავით“ დააჯილდოვეს.

1946 წელს კარლოვი დაბრუნდა ვაშინგტონში და თავის თანამშრომელთან ერთად შეუდგა სტრატეგიულ სამსახურ-თა სამმართველოს მატინის შედგენას (ეს წიგნი გამოქვეყ-ნდა კიდევ 1976 წელს). მიუხედავად ინვალიდობისა, კარლოვი განაგრძობდა სამ-სახურს „ცერეუსში“, ძირითადად, ჯაშუშთა აღჭურვილობის შექმნაზე. იგი ასე იხსენებს თავის მუშაობას: „ჩვენ საქმე გვქონდა ცეცხლსასროლ იარაღთან, კლიტებთან, დოკუმენ-ტებთან. ვამზადებდით იმას, რაც დაეხმარებოდა მზვერავს შეედნია სხვადასხვა „დახურულ“ ობიექტებზე... ვაკეთებ-დით ყალბ ეტიკეტებს, სამკერდე ნიშნებს, პირადობის მონ-მობებს, პროფკავშირის წევრთა ბარათებს, შრომით ნიგნა-კებს, სასურსათო ტალონებს“.

კარლოვის კარიერა წყნარად მიედინებოდა, მაგრამ უეც-რად ყველაფერი წყალში ჩაეყარა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიე-ბათა ფედერალური ბიუროს კონტრდაზვერვის თანამშრომ-ლებმა, ერთდროულად, დასაკვნეს, რომ საიდუმლო საბჭოთა აგენტი, მეტსახელად „საშა“, სწორედ სერჟ კარლოვი იყო. ეს დასკვნა ემყარებოდა შეერთებულ შტატებში გადახვენილი „კაგებეს“ ორი ოფიცრის ჩვენებებს.

იმავე წელს, მორიგი შემონებისას, იგი დაპკითხეს გამო-ძიებათა ფედერალურ ბიუროში. ყოველმხრივი კვლევისა და რამდენიმე დაკითხვის შედეგად კარლოვი დაითხოვეს სამსა-ხურიდან.

სამუშაოდ მოენყო კომერციულ ფირმაში და მთელ თავი-სუფალ დროს უთმობდა თავისი პატიოსანი სახელის აღდგე-ნას. მის წინააღმდეგ დამაჯერებელი საშხილი არ არსებობდა, ამიტომაც ოფიციალური ბრალდება არც წაუყენებიათ.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ჯეიმზ ენგელტონი, რომელმაც შეითხნა კარლოვის საქმე, 1974 წელს თავად დაითხოვეს სამსახურიდან. კარლოვი პირა-დად იცნობდა ენგელტონს და ცდილობდა მისგან დაეცინ-ცლა ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებოდა თავის გასამარ-თლებლად.

ამასობაში აშშ კონგრესმა მიიღო ახალი საკანონმდებლო აქტები, რის შედეგადაც „ცერეუს“ მრავალი დოკუმენტი ხელმისაწვდომი შეიქნა საზოგადოებისათვის და კარლოვი კიდევ უფრო გააქტიურდა, რათა რეაბილიტაციისათვის მი-ეღწია.

1986 წლის ოქტომბერში ჩატარდა დაზვერვის ვეტერანთა შეხვედრა, სადაც კარლოვმა მოახერხა გასაუბრებოდა „ცე-რეუს“ დირექტორს უილიამ კეისის. იგი დაპპირდა კარლოვს, შენს საქმეს გადავსინჯავთო, მაგრამ რამდენიმე თვეში გარ-დაიცვალა და დაპირება ვერ შეასრულა.

სამაგიეროდ, ახალმა დირექტორმა უილიამ უებსტერმა მალე გადასინჯა კარლოვის საქმე და დაასკვნა, კარლოვს უსამართლოდ მოექცენო.

1988 წელს აშშ კონგრესმა დაადგინა, რომ კარლოვი-სათვის გადაეხადათ ფულადი კომპენსაცია ნახევარი მილი-ონი დოლარის ოდენობით. ამასთან ერთად, სამსახურიდან უსამართლოდ დათხოვილს გადასცეს მედალი და ქებითი სიგელი „ცერეუსში“ ოცდაორწლიანი უმნიკვლო სამსახური-სათვის.

სამართალმა პური ჭამა და, რაც მთავარია, სერჟ კარლო-ვი სრულიად მოულოდნელად ნახევარმილიონერი გახდა!

„კავკასიურ სახლში“ კვლავ განახლდა საზოგადოებრივ-ლიტერატურული თავყრილობანი სახელწოდებით „კულტურუ-ლი კოლენდარი“.

პირველ შეხვედრაზე, 14 თებერვალს, ლიტერატურის მკვლევარმა გიორგი კანკავამ წაიკითხა მოხსენება „ილია და თანამედროვეობა“, რომელსაც მრავალმხრივ საგულისხმო დისკუსიაც მოჰყვა. მონაწილეობდნენ: ლელა გაფრინდაშვი-ლი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, ლევან ბრეგაძე, ნაირა გელაშ-ვილი...

მომხსენებელმა გამოთქვა შეხედულება, რომ არაერთი პო-ლიტიკური შეცდომა ჩვენს რეალობაში გამოიწვია იმან, რომ შესაფერისად არ ყოფილა გათვალისწინებული ილია ჭავჭავა-ძის შეხედულებანი; და რომ ჩატყბილი ხიდის მეტაფორა შეიძ-ლება გამოვიყენოთ საქართველოსა და დასავლეთს შორის ურ-თიერთობის შესაფასებლადაც. ჩვენ მოვალენი ვიყავით და ვართ, რომ დასავლური პოლიტიკური და კულტურული ყოფის

კალკირება კი არ მოვახდინოთ, არამედ მოვახერხოთ იმ დიდი გამოცდილების გადახარშვა.

რეპლიკის პასუხად: დასავლეთი თვითონვეა კრიზისში და მისი გამოცდილება დიდად არ გამოგვაგადგებაო, – ნაირა გელაშ-ვილმა განაცხადა: კრიზისში თუ არის, ისევე მათგანვე ვიცით და ჩვენ უპირველესად უნდა ვადმოვილოთ თვითკრიტიკის ის უნა-რი, რაც ნიშანდობლივია დასავლური აზროვნებისთვისო.

21 თებერვლის შეკრება კი მიიქვლინა „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემულ კრებულს „ოსური ზეპირსიტყვიერება“, რომ-ლის ირგვლივაც ისაუბრეს ნიგნის შემდგენელმა და ერთ-ერ-თმა მთარგმნელმა ნაირა ბეპიევამ და „კავკასიური სახლის“ დი-რექტორმა ნაირა გელაშვილმა. დასამახსოვრებელი იყო ოსი ეროვნების პიროვნებათა ემოციური გამოსვლები და კრებუ-ლის ალტაცებული შეფასება.

იმავე დღეს გაიხსნა ოსი მხატვრის ევა კუდუხაშვილის გა-მოფენაც.